კვირის პალიტრა

გზა

N48(77) 29/XI.-5/XII.2001.

ფასი 60 თ.

1168
2001

უკა ბერიძე „რუსთავი 2“-ის ნაჩუქარ მანქანას აღარ უფრთხილდება...

აუცილებელი პირობა ჭარბთმიანობის დასაძლევად

კახა ცისკარიძეს სიმღერას აუკრძალავენ?!

ხაბურძანიას ზარებს ქუთათელაძე არ პასუხობს

გვ.7

ვანო ჩხარტიშვილი:

„ერთ რამეში ვგრძნობ თავს დამნაშავედ:
შეიძლება, მორალური უფლება არ მქონდა,
ამეშენებინა სახლი მაშინ, როცა ადამიანებს უჭირთ“

 კვირის პალიტრა
№48 (77)
29 ნოემბერი – 5 დეკემბერი 2001
ფასი 60 თეთრი

21960

მინიატურები
მრეკეთ ბოთლი თავში, რა�ა!.. 3
მინისტრი
რა საჭიროა საქართველოში ჯაშუშები? 4
ექს...
ვანო ჩხარტიშვილი: „არასოდეს არაფერი დამიმალავს, ვმუშაობ სუფთად და ვქმნი „თეთრ“ ბიგნესს“ 7
ქალი საჭესთან
ეკა ბერიძე ნაჩუქარ მანქანას აღარ უფრთხილდება... 10
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 12
აგვლუა
წყალობენ თუ არა კახა ცისკარიძეს ბათუმელი აბაშიძეები 12
SOS!
სანამ ზუმბათი ჩამოიქცეოდა, ტაძარში მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები ატირდნენ 15
დეკლარანტები
უჯარიდ დარჩენილი გენერალი 16
კრიმინალი
• არასრულწლოვნების კამათი საშინელი ტრაგედიით დასრულდა 18
• ბიძაშვილმა ბიძაშვილი ხის კეტით სცემა 20
სილამაზე
ჭარბთმიანებო, მოერიდეთ ღანოლინს! 22
გამოსმაურება
„მოვეფეროთ“ ფიტულებს ანუ სენტიმენტალური ნეკროფილია 24
თამაში
ქართველი ბოგონები ბილიარდში მამაკაცებს დასჯაბნიან 25
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაგე 27
ხელოვანი
ირაკლი ოჩიაური: „ჩემს ნამუშევრებს გამბედაობა და სითამამე მოაკლდა“ 28

რა საჭიროა საქართველოში ჯაშუშები?

მობილური ტელეფონები ეკუთვნის კერძო სექტორს, რომლის გაკონტროლებაც თავიდანვე უნდა მომხდარიყო. როდესაც სატელეფონო ფირმები საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე შემოუშვეს, დიდი შეცდომა იქნა დაშვებული, უფრო მეტიც – დანაშაული.

4

წყალობენ თუ არა კახა ცისკარიძეს ბათუმელი აბაშიძეები



დიდი ხანია ამ შეკითხვას ველოდები, მაგრამ რატომღაც არავინ დამისვა. ყველა გაკვირვებულია, რატომ გამოვედი „იუმორინა 2001“-ზე. ზოგმა ისიც კი იკითხა: ნუთუ კახას ასე გაუჭირდაო?!.

12

არასრულწლოვნების კამათი საშინელი ტრაგედიით დასრულდა



ზურა თავისივე საცხოვრებელი ბინის ახლოს, მეზობლად მცხოვრები ამხანაგის – 17 წლის რომან კოპალეიშვილის მიერ მოქნეულმა დანამ იმსხვერპლა. შემთხვევის ადგილზე გახლდათ მისი უფროსი ძმა – დათო გვაზავაც. ზურა მის თვალწინ დაიღუპა.

18

ეკა ბერიძე ნაჩუქარ მანქანას აღარ უფრთხილდება...

პირველად მარტო რომ აღმოვჩნდი საჭესთან, ჩემ გარშემო მხოლოდ გიჟურ მოძრაობას ვხედავდი. კინაღამ პანიკაში ჩავვარდი. ასე გრძელდებოდა ორი კვირა. როცა საღამოს *შინ ვბრუნდებოდი, ვგრძნობდი*, რომ წნევა მქონდა აწეული.

10

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭაბუკები

ომში წასვლამდე ალეკოს სასაფლაოები შემოუვლია... 30

სამყარო

ვარსკვლავები, რომლებსაც ყველაფრის ეშინიათ 32

ტრადიციები

ახლა ხატობაგე „მუსიკით“ ამოდიან... 34

საგანძური

ვერის ბაგარში ნაპოვნი ახალგორის განძი 35

ფავორიტები

ციმბირელი დევგმირი 36

ვარსკვლავი

ჯეინ სეიმურს სახლში ყოველდღე გეიმი აქვს 40

მოგზაურის დღიურები

არგენტინა ევროპაა, ბედის წყალობით, სხვა კონტინენტზე მოხვედრილი... 42

ანომალია

მკვლელი მანიაკი მოგარდებს ცოლთან ერთად აუბედურებდა 45

რომანი

ნუგზო ბაშელი. ტარაკანა (გაგრძელება) 46

აქეთური-იქითური 50, 51

ავტო 52

ჯანმრთელობა

- თქვენი პატარა 54
- ჯანმრთელობის ფილოსოფია 55
- დიასახლისის კუთხე 55
- კითხვა-პასუხი 56

მაესტრო

სტივენ სპილბერგი – ყოვლისშემძლე ჯადოქარი 57

სპანგორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (3-9 დეკემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

თქვენი დამოკიდებულება დღესასწაულებთან 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ჭარბთმიანებო, მოერიდეთ ღანოლინს!

ყველაზე ძნელად, შედეგი ყელის არეში მიიღწევა. რაც შეეხება ტკივილს, ძალიან ხშირად მისვამენ შეკითხვას: რადგან ელექტროპილაცია მტკივნეულია, მოქმედებს თუ არა ნერვულ სისტემაზე?

22

არგენტინა ევროპაა, ბედის წყალობით, სხვა კონტინენტზე მოხვედრილი



არგენტინელ ქალს, რომელსაც გამომწვევად და სექსუალურად აცვია, ერთად ღამის გათევაში ფული რომ შესთავაზოთ, თქვენი საქმე წასულია – ასეთ შეურაცხყოფას ადვილად არ გაპატიებთ ...ფლირტში წარმატება სიმპათიასა და ღიმილზეა დამოკიდებული.

42

ჯეინ სეიმურს სახლში ყოველდღე ზეიმი აქვს



ტყუპი მსახიობმა 44 წლის ასაკში გააჩინა. „რა თქმა უნდა, მხოლოდ შეშლილ ინგლისელ ქალს შეუძლია ამ ასაკში ტყუპის გაჩენა, თანაც როცა ის დღეში 14 საათს მუშაობს, – იცინის სეიმური. – მაგრამ მე ყველაფერს ვასწრებ“.

40

ლაზარეთი

– ხმა არ ამოიღო!

რეზომ იგრძნო, ერთიანად რ̄ გორ აცახცახდა საცოდავი... კოლამ უმალ ჩამოჰგლიჯა ყელსაბამი და სხვა სამკაულს დაუწყო ძებნა, მაგრამ საოცრება... არც ბეჭედი, არც სამაჯური, არც საყურეები არ ეკეთა...

46

მრეკეთ ბოთლი თავში, რააა!..



ჟურნალისტობა თავისუფალ პროფესიად ითვლება და ალბათ ასეც არის — ამაში პირველ რიგში, ის იგულისხმება, რომ არ არის აუცილებელი დილით ადრე ადგომა, წვერის გაპარსვა, ჰალსტუხის „ჩამოკიდება“ და ცხრა საათზე სამსახურში ტაბელის გადატრიალება. პირიქით, წერ მაშინ, როდესაც „გეწერინება“ და ისე, როგორც გინდა. სხვა ამბავია, თუ რედაქტორს არ მოეწონა შენი ნაღვაწი და უჰონორაროდ დარჩი, მაგრამ ჩვენ მაინც თორმეტ საათამდე ძილი გვირჩევნია...

ერთი სიტყვით, ჩვენს პროფესიას მეტი პლუსი აქვს, ვიდრე მინუსი, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ასე ვფიქრობთ, თორემ ძალით კი არავინ გვაკავებს — წავიდოდით და ჩვენც მინისტრები ან პარლამენტარები გავხდებოდით. რატომ წამოვიწყე ამაზე საუბარი?! იმიტომ, რომ ჩემს ბედზე მეწუწუნა: ზემოთ თქმულის მიუხედავად, მე „განსაკუთრებული მდგომარეობა“ მიკავია — არ „გეწერინება“ კარგია, — კვირაში ერთხელ არ მოიტან მორიგ პასკვილს და დაკარგავ პროვოკატორის „საპატიო წოდებას“, მე შენ გეტყვი და, ცოტაა ჩასაფრებული მის წასაღლეტად!

არადა, რა გინდა, რომ იღონო? — პარლამენტში მოეშვნენ ერთმანეთის ჭამას, მინისტრებად ზოგი ძველი, ე.ი. „არააქტუალური“ დანიშნეს, ზოგიც ახალი — ჯერ რას ვერჩი და ვემართლები?! მიტინგები აღარ იმართება, დენი იმდენია, რომ ნათურებს ხეთქავს, გაზის სუნმა ლამის დაგვახრჩოს — მილებში აღარ ეტევა, პენსიები და ხელფასები რომ გაორმაგდა და თანაც, დროზე რიგდება, ნოღაიდელს იმიტომაც ავჯილდოებენ კვლავაც მინისტრის სავარძლით... მოკლედ ვარ ასე: თემის, საკბილოს და საქმის გარეშე.

მახსოვს, მეოთხე თუ მეხუთე კლასში სწავლისას, ისტორიის მასწავლებელმა, რომელსაც ძალიან გაუხარდა ჩემი თანაკლასელის მიერ დასმული კითხვის მოსმენა, — „მასწ, კომუნიზმი რა არისო“? — „ამომწურავი პასუხი“ გასცა და ბოლოს დააყოლა: „კომუნიზმის დროს აღარ იქნება მილიცია — რადგან დანაშაული აღარ მოხდება, აღარ იქნება საავადმყოფო — რადგან ავად აღარავინ გახდება, აღარ იქნება ფული — რადგან ყველაფერი უფასო იქნება“... ჰოდა, მოვიდა ეს დრო: მილიცია აღარ არის (რადგან ახლა პოლიციაა), საავადმყოფოები აღარ არის (იქ „სამედიცინო უნივერსიტეტებია“ გახსნილი, ზოგშიც, ლტოლვილები ცხოვრობენ), ფული ხომ არა და არ არის! ჰო, მთავარი მავიწყდებოდა: დამსახურებულმა პედაგოგმა ისიც გვითხრა, რომ კომუნიზმის ეპოქაში მთავრობაც აღარ იქნება საჭირო, რადგან ისედაც ყველას ეცოდინება, რა და როგორ უნდა აკეთოსო. ასე რომ, ამ ორი კვირის წინ კომუნიზმის ეს მეოთხე „კომპონენტიც“ გვქონდა — მთავრობა არ გვყავდა და არც ახლა გვყავს ნაწილობრივ.

ახლა მითხარით, რა უნდა აკეთოს ჩემი ხელობის კაცმა ასეთ დროს? ან „საქმიანობის სფერო“ უნდა შეიცვალოს, ან შარზე უნდა იყოს! ჰოდა, მეც შარზე ვარ: დილით ბავშვი გავლახე — გუშინდელი გაზეთი რატომ დამიკარგე-მეთქი (წინასწარ დავმალე მე თვითონ)? მერე ცოლს ავუხირდი — ჩვენი მემაწვნე ნისიად რატომ გაძლევს რძეს და მაწონს-მეთქი? სამარშრუტო ტაქსიში მძღოლს მოვდე შარი ხურდაში მოცემული ორმოცდაათთეთრიანისთვის — ყალბია-მეთქი და სანამ ხუთთეთრიანებზე არ დავახურდავებინე და სათითაოდ კბილით არ გავასინჯვინე, არ მოვეშვი... ვერავის ვერაფერს გამოვრჩი და რედაქციამდეც მოვედი ხელცარიელი. აქაც ყველაფერი წესრიგშია, ყველა თავის საქმეს აკეთებს — რა ჭირი ვქნა, რა შავ ქვას ვეცე?! აქეთ მიწყობს პროვოკაციას მთელი ქვეყანა! ოხ, ერთი კარგი ტერაქტი ახლა — რას დამხატავდა?! ან ერთი-ორი პარლამენტარის თუ მინისტრის დაპატიმრება კორუფციის, კოლეგის გაუპატიურების ან სულაც, წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით!

თქვენც არ მომიკვდეთ — წელებზე ფეხს იდგამენ, დღეღამეს ასწორებენ და საქმეს კაცურად აკეთებენ: პარლამენტის ახალმა თავმჯდომარემ სანქტ-პეტერბურგის სამიტზე კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა რუსეთის პოლიტიკა ჩვენ მიმართ, თავდაცვის მინისტრმა ფიცხელი ბრძანება გასცა და პანკისის ხეობის დასაბომბად შემოფრენილი ორი თვითმფრინავი ყვინჩებივით ჩამოყარეს ჩვენმა ჰაერსაწინააღმდეგო ძალებმა, პანკისის ხეობაშივე გატაცებული ოთხი ქართველი ბერი მეორე დღესვე იპოვეს და ბოროტმოქმედებსაც მაშინვე ბორკილები გაუყარეს და ადვოკატები დაუნიშნეს, შინაგან საქმეთა ახალმა მინისტრმა სამინისტროსა და დედაქალაქის სამმართველოს შენობების ყველა ფანჯარაზე (მესამე სართულის ზემოთ) გისოსების დამაგრება ბრძანა, ვინმე შემთხვევით (ცხადია) რომ არ გადმოვარდეს, თანაც, ქრთამის აღება აკრძალა განსაზღვრული „ტარიფის“ ზემოთ, „თელასმა“ ყველას აპატია ძველი დავალიანება და არასტაბილური დენის გამო, გადამწვარი ტელევიზორებისა და მაცივრების პატრონებს, მათი „ვიტიაზებისა“ და „სარატოვების“ ნაცვლად, „სონი-ტრინიტრონები“ და „არისტონები“ უყიდა...

არ არის ჩემი საშველი. იყო ასეთი პროფესიები: მეთულუხჩე (წყალს დაატარებდა ქალაქში გასაყიდად), მეეტლე, რაიკომის მდივანი და სხვა, ახლა სჭირდება ვინმეს? — არა! ასეა ჩემი საქმეც — აღარავის სჭირდება პროვოკატორი, „ისტორიული მისია“ დაკარგა!

P.S. ხალხო! ჩემო მშობელო ერო! ჩემო საყვარელო ქართველებო! წელიწად-ნახევარია, კვირაში ერთხელ თითო „ულუფა“ ღიმილს მაინც გგვრიდით და ამით ჯანმრთელობას გიკაჟებდით (სიცილი რომ რგებს ჯანმრთელობას — დადასტურებული ფაქტია). კი არ გამადღლით, მაგრამ ახლა თქვენ უნდა მიშველოთ: ან დემონსტრაციები მოაწყვეთ, ან ვინმე ააფეთქეთ, ან ერთმანეთი დაჭამეთ, ბოლოს და ბოლოს, ხუტა უფროსისა არ იყოს: „მრეკეთ ბოთლი, მრეკეთ ბოთლი თავში, رااا!..“

პროვოკატორი

უშიშროების ახალი მინისტრი, ვალერი ხაბურძანია, შეიძლება ითქვას, ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული. მას აქვს უნარი მოიპოვოს ადამიანების კეთილგანწყობა და ამას, რომ იტყვიან, მხოლოდ ლამაზი თვალების წყალობით არ აღწევს. 37 წლის მინისტრი არც „თერგდალეულთა“ და არც „ოკეანეგადალახულთა“ კასტას არ მიეკუთვნება. თუმცა, ყოველ პოლიტიკურ დაჯგუფებასთან რომ თანაბრად კარგი ურთიერთობა ჰქონია, ეს მისი მინისტრად დამტკიცების დროსაც გამოჩნდა.

რა საჭიროა საქართველოში ჯაბუშიანი?

ნანა ქიბიმაური

ვალერი ხაბურძანია არც „ჩეკისტისთვის“ დამახასიათებელი **странный взгляд**-*ით გამოირჩევა, არც „პროფესიული დუმილი“ და სიტყვაძუნწობა ახასიათებს და არც ისეთი ფიზიონომია აქვს, რომელიც უსიტყვოდ გეუბნება: „ეჰ, თქვე საცოდავებო, თქვენ რომ იმდენი იცოდეთ, რამდენიც მე...“ ახალ მინისტრს თავი მოკრძალებულად უჭირავს და ტიპური მოხელეებისგან განსხვავებით, რეფორმების დაწყებას საკუთარი კაბინეტიდან არ აპირებს: მას სავსებით აკმაყოფილებს ქუთათელაძის კაბინეტური დიზაინი და იქ რაიმეს შეცვლას არ გეგმავს. მინისტრის სამუშაო მაგიდას მხოლოდ დედის ფოტოსურათი შეემატა, რომელიც ხაბურძანიას საპარლამენტო მდივნად დანიშვნის შემდეგ, რამდენიმე დღეში მწვავე ლეიკოზით გარდაცვლილა. ბატონი ვალერის აზრით, მისი წარმატებული კარიერა ჯერ იურიდიულმა განათლებამ განაპირობა, შემდეგ კი, პიროვნულმა კონტაქტებმა. როგორც ამბობენ, ხაბურძანია კარგ შემსრულებლადაც ითვლებოდა და აქედან გამომდინარე, ყოველთვის ზემდგომებისა თუ „მასწავლებლების“ „ლიუბიმჩიკი“ იყო. თავის დროზე მისი „აპეკუნები“ იყვნენ ჯემალ გახოკიძე და ნუგზარ სავაია. მას შემდეგ კი, რაც, კახა თარგამაძის სახით, ედუარდ შევარდნაძეს მყარი საყრდენი გამოეცალა, შესაძლოა, ამ ახალი საყრდენის მისია სწორედ ხაბურძანიამ იტვირთოს. ყოველ შემთხვევაში, ქუთათელაძესთან შედარებით, ახალი მინისტრი უფრო ტანმაღალია და ზოგიერთი თანამოქალაქე ქუთათურის მსგავსად, მკვირცხლი და მოხერხებული ბიჭის შთაბეჭდილებასაც ტოვებს.*

რა იქნება მომავალში? შეცვლის თუ არა ხაბურძანია ტიპური ჩინოვნიკის წლების მანძილზე ჩამოყალიბებულ იმიჯს – ამაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. ამ ეტაპზე, ახალი მინისტრი მხოლოდ უახლოეს მომავალში მოსალოდნელ რეფორმებზე და საკადრო ცვლილებებზე საუბრობს.

— ბატონო ვალერი, რა გზა გაიარეთ სტუდენტობიდან მინისტრობამდე და პარალელურად, ამ პერიოდში რა ცვლილებები განიცადა უშიშროების სამინისტრომ?

– 1989 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 1992 წელს კი, ასპირანტურა. ვიყავი უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე. ვმუშაობდი საკანდიდატო დისერტაციაზე, რომელიც კონსტიტუციას ეხებოდა. პარალელურად, უწყებაშიც ვმუშაობდი და ახლახან მოვახერხე ამ ნაშრომის დასრულება. 1992 წელს მუშაობა დავიწყე საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურში. 1997 წელს ეს სამსახური სახელმწიფო უშიშროების სამინისტროდ გადაკეთდა. 2001 წლამდე ვიყავი ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში, შემდეგ დავინიშნე პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნად. ბოლო ათი წლის განმავლობაში უშიშროების სამინისტრომ მრავალჯერ შეიცვალა სახე. ეს ცვლილებები ხან ხელისუფლების შეცვლის პარალელურად ხორციელდებოდა, ხან – კადრების „ლამაზად“ შესაცვლელად გამოიყენებოდა, ხან რეალური აუცილებლობიდან გამომდინარეობდა, ხან კი, იცვლებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ უშიშროების სამსახური გარკვეულ კონიუნქტურას მორგებოდა...

— თქვენი მინისტრობის პერიოდში რა შეიცვლება სამინისტროში?

– პირველ რიგში, შეიცვლება კადრები: კანონის შესაბამისად, მოადგილეებს უკვე ვთხოვე თავ-თავისი თანამდებობის დატოვება. ნებისმიერ სამინისტროში საკადრო ცვლილებების გატარება მტკივნეული საკითხია, იმიტომ, რომ ამის უკან დგანან ადამიანები, პიროვნებები, მათ უკან კი – ოჯახები. მაგრამ კადრების გადახალისების გარეშე, სამინისტროში არ გატარდება ის რეფორმები, რომლის განხორციელებასაც ვაპირებ ჩემი მინისტრობის პერიოდში.

— სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად, საქართველოში ყველაზე კორუმპირებულ უწყებებად შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროები დასახელდა. როგორ აპირებთ სისტემის შელახული ავტორიტეტის აღდგენას?

– იმ აზრს, რომ ეს სამინისტროები კორუმპირებულია, ვეთანხმები, მაგრამ არ ვიზიარებ იმას, რომ ისინი ყველაზე მეტად არიან კორუმპირებულები – უბრალოდ,

ხალხი ასახელებს იმ უწყებებს, რომელთანაც უფრო ხშირი შეხება აქვს. ჩემი აზრით, მეტი თუ არა, ნაკლები კორუფცია არ არის ენერგეტიკის სფეროში, საფინანსო თუ საგადასახადო სისტემებში. უშიშროებისა და ამ სისტემების კორუმპირებულობა ერთმანეთს რომ შევადაროთ, დარწმუნებული ვარ, უშიშროების სამინისტრო „საპრიზო რეიტინგშიც" ვერ მოხვდება. რაც შეეხება შელახული ავტორიტეტის აღდგენას, ნებისმიერ სამსახურს ავტორიტეტს ის ადამიანები უქმნიან, რომლებიც იქ მუშაობენ. აი, ამიტომ ექცევა კადრებს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

— წლების განმავლობაში გაძლიერებული შსს-ს ფონზე, უშიშროების სამსახური დასუსტებული უწყების შთაბეჭდილებას ტოვებს, ასე ვთქვათ, არაკონკურენტუნარიანად გამოიყურება. ახალი მინისტრების დროსაც, მოჩვენებითი ხომ არ იქნება ორი ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლობა?

— ორივე ძალოვან სტრუქტურას კონსტიტუციით აქვს გამიჯნული და ჩამოყალიბებული მუშაობის არეალი, ფორმა და პირობები. კონსტიტუციის ნორმების გათვალისწინებითა და მკაცრი დაცვით, ვფიქრობ, არანაირ უწყებრივ გადაკვეთას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს. ესეც არ იყოს, სამსახურებრივი ურთიერთობების გარდა, პიროვნული ურთიერთობებიც ბევრ რამეს განაპირობებს: მე და კობა ნარჩემაშვილს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა გვაქვს, ვმეგობრობთ და არ გაგვიჭირდება, ჩვენს სამსახურებს შორის ყოველგვარი ფორმისა და გამოვლინების პარალელიზმი აღმოვფხვრათ.

— ჩემი აზრით, უშიშროების სამინისტრო ყველაზე გავლენიანი სწორედ იგორ გიორგაძის მინისტრობის დროს იყო, არც ფინანსურად უჭირდა...

— იგორ გიორგაძესთან, როგორც მინისტრთან, გარკვეული ინტენსივობით მქონდა შეხვედრები. ის ცოცხალი და იმპულსური პიროვნებაა. რაც შეეხება სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას, იმ დროს — 1993-დან 1995 წლამდე, ქვეყანა ეკონომიკური აღმავლობის გზით წავიდა: საბიუჯეტო წარმატებებმა განაპირობა ის, რომ ყველა სახელმწიფო სტრუქტურა დროულად არიგებდა ხელფასებს. როგორც ვიცი, საგამოძიებო მასალებში არის ინფორმაცია, რომ მაშინ უშიშროების სამინისტროში იყვნენ ჯგუფები, რომლებიც დანაშაულებრივ ბიზნესშიც იყვნენ ჩართულები და სამინისტროს იქიდანაც ჰქონდა შემოსავალი. არის ვარაუდები იმის თაობაზეც, რომ სამინისტროს ბევრ თანამშრომელს სხვადასხვა კრიმინალურ დაჯგუფებასთან ჰქონდა კავშირი. ჩემთვის ბევრი რამ არის მიუღებელი, რაც მაშინ უშიშროებაში ხდებოდა.

— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ დღეს უშიშროებაში დასაქმებულ ადამიანებს არ აქვთ კრიმინალებთან კავშირი?

— მაშინ საქმე პოლიტიზებულ კრიმინალებთან გვქონდა. ისინი ხელისუფლებაში ტრიალებდნენ და ამდენად, უფრო საშიში იყვნენ. ახლაც იქნებიან ჩვენს სისტემაში ასეთი თანამშრომლები, მაგრამ მაშინ ამას მასობრივი ხასიათი ჰქონდა.

— გიორგაძის დროს ჩამოყალიბდა სპეციალური დანიშნულების რაზმები „ალფა" და „ომეგა". ბიჭები, რომლებმაც წვრთნა ამერიკაში გაიარეს, საქართველოში იდევნებოდნენ: ზოგი დაიჭირეს, ზოგი მოკლეს, ზოგი გადაიხვეწა... თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ მათ შესახებ? სად გაქრა ეს ხალხი?

— ჩემი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, სპეციალური დანიშნულების რაზმის ბიჭებთან არანაირი კონტაქტი არ მქონია, ვფიქრობ, ისინი სახელმწიფოსთვის არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენენ და არ უნდა მოვიხსენიოთ ისე, როგორც მტრები. ჩემი ინფორმაციით, ზოგი მათგანი საქართველოდან წავიდა, ზოგი კი, კერძო დეტექტიური საქმიანობითაა დაკავებული.

— დღეს უშიშროების სამინისტრო სპეციალური დანიშნულების რაზმების გარეშე მუშაობს?

— ანტიტერორისტულ ცენტრს ჰყავს სპეცდანიშნულების რაზმი, რომელიც ანტიტერორისტულ ოპერაციებს უზრუნველყოფს. სხვათა შორის, ისიც მეგობარი ქვეყნების გამოცდილების საფუძველზეა მომზადებული.

— ვახტანგ ქუთათელაძე უშიშროების მინისტრობამდე პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსი იყო, გამინისტრების შემდეგ კი, ფაქტობრივად, მთელი სამინისტრო ისევ და ისევ პრეზიდენტის პირადი დაცვის სამსახურში ჩააყენა.

— ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, რაკი მე მინისტრობამდე საპარლამენტო მდივანი ვიყავი, გამინისტრების შემდეგ მხოლოდ პრეზიდენტისა და პარლამენტის პოლიტიკური უსაფრთხოება უნდა დავიცვა... უშიშროების სამსახურის დანიშნულება უფრო ფართოა: მისი მოვალეობაა, უზრუნველყოს კონსტიტუციური სისტემისა და კონსტიტუციური წყობის დაცვა. შესაბამისად, აქ იგულისხმება პრეზიდენტისა და მისი ხელისუფლების უსაფრთხოების დაცვაც და მთლიანად სახელმწიფოს უსაფრთხოებაც. არ შეიძლება, სპეციალური სამსახური ჩაერთოს პოლიტიკურ ინტრიგებში და ხელისუფლების მხოლოდ ერთი კონკრეტული ჯგუფის უსაფრთხოებისთვის იზრუნოს. ჩვეულებრივ, ეს მთავრდება ან უწყების კრახით — უკეთეს შემთხვევაში, ან სახელმწიფოს კრახით — ყველაზე უარეს შემთხვევაში.

— თქვენი აზრით, დღეს რა წარმოადგენს სახელმწიფოსთვის ყველაზე დიდ საშიშროებას?

— დღეს სახელმწიფოსთვის ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენს, დაძაბულ სოციალურ ფონზე განვითარებული პოპულიზმი, უფრო სწორად — გაპონიზმი. ხომ გასხოვს მღვდელი გაპონი, დატანჯული ხალხი რომ აიყოლია, წაიყვანა და მერე შუა გზაზე მიატოვა.

— ნუთუ უშიშროების მინისტრს სახელმწიფოსთვის პოპულიზმი და გაპონიზმი უფრო საშიშ მოვლენად მიაჩნია, ვიდრე ჯაშუშები და აგენტები, რომლებიც, როგორც ამბობენ, მრავლად არიან ჩვენში?

— რბილად რომ ვთქვა, იმ ქვეყნებს, რომლებიც უცხოურ ორგანიზაციებს

საქართველოში საჯაშუშოდ შემოგზავნიან, ტვინის დეფიციტი აქვთ. რა საჭიროა აქ ჯაშუში? — საქართველოში ხომ ყველაფერი ღიად და აშკარად ხდება... ეს, რა თქმა უნდა, ნახევრად ხუმრობით. სინამდვილეში კი, არსებობს ქვეყნები, რომლის სპეცსამსახურებიც გარკვეული მეთოდიკით მუშაობენ და ეს რომ ასეა, ამის დამადასტურებელი ფაქტები იმ შედეგებში უნდა ვეძებოთ, რომელიც სახეზე გვაქვს. ჩვენთან მიმდინარეობს პროცესები, რომელსაც აშკარად ეტყობა მართვადობა, მიზანმიმართულება და, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი, სპონტანურად კი არა, წინასწარი გეგმის შესაბამისად ხდება.

— უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების აგენტებად ხშირად, ჟურნალისტებსაც გვნათლავენ ხოლმე...

— ხშირად ხდება ის, რომ ჟურნალისტების მიერ გამოთქმული ვერსიები თუ ვარიანტები, სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურების ინტერესებს ემთხვევა, უფრო ხშირად კი — ჟურნალისტებს საფრად იყენებენ. რაც შეეხება იმ აზრს, რომ ჩვენი სახელმწიფოს საზიანოდ, ჩვენი ჟურნალისტები შეგნებულად ემსახურებიან რომელიმე ქვეყნის ინტერესებს, ამ აზრისაგან შორს ვარ.

— ეთანხმება თუ არა ახალი მინისტრი იმ აზრს, რომ სახელმწიფო უშიშროების თვალსაზრისით, პანკისის ხეობაში არასწორი სახელმწიფო პოლიტიკა ტარდება?

— იმას, რაც პანკისის ხეობაში ხდება, მიზანმიმართულ სახელმწიფო პოლიტიკას ვერ დავარქმევ. უბრალოდ, სახელმწიფო თავის მხრივ იქ აკეთებს იმდენს, რამდენის შესაძლებლობა და საშუალებაც აქვს. პანკისის ხეობაში ისეთ პრობლემებთან გვაქვს საქმე, რომლის მოგვარებაც, დიდი ეკონომიკური შესაძლებლობების ქვეყანასაც კი გაუჭირდებოდა. მიმაჩნია, რომ როგორც აქამდე იყო, ისე გაგრძელება აღარ შეიძლება და იქ, რაღაც არაორდინარული ნაბიჯები უნდა გადაიდგას. და რაც მთავარია, ისე, რომ ხალხის ინტერესები მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული: ხალხი — აი ეს არის ყველაზე მთავარი, რასაც უნდა მოვუფრთხილდეთ!

— შეიცვლება თუ არა ის ძირითადი მექანიზმი, რომლითაც დღემდე სულდგმულობდა და იკვებებოდა უშიშროება? ვგულისხმობ თვალთვალს, მოსმენებს, ცალკეულ პიროვნებებზე შედგენილ დოსიეებს და ა.შ.

— თვალთვალისთვის არსებობს სპეციალური სამსახური, რომელიც ოპერატიული სამძებრო ხასიათის ოპერაციებს ასრულებს. ისინი თავიანთ საქმიანობას გარე დაზვერვას უწოდებენ. ასეთი კოდირებული დასახელება აქვს თითქმის ყველა სამსახურს, რომელიც უშიშროების უწყებაში შედის. თვალთვალიც და მოსმენაც კანონით დადგენილი წესების დაცვით უნდა განხორციელდეს და თუ ყველა წესი დაცული იქნება, უშიშროების სამსახური ისე შეასრულებს თავის ფუნქციას, რომ არ დაარღვევს ადამიანის უფლებებს და არ შეუქმნის ხალხს დამატებით პრობლემებს. მოსმენის გასახორციელებლად საჭიროა მოსამართლის მიერ გაცემული საგანგებო სანქცია. და თუ უნებლიე მოსმენასთან გვექნება საქმე, პროცესუალური ნორმების დაცვის თანახმად, საუბრის ასეთი ჩანაწერი მაშინვე უნდა განადგურდეს, შესაბამისად, მას არანაირი სამართლებრივი შედეგი და ღირებულება არ გააჩნია.

— გაზეთ „კვირის პალიტრაში" იყო წერილი იმის შესახებ, რომ მობილური ტელეფონები მოსასმენი აპარატურის ფუნქციასაც ასრულებს...

— მობილური ტელეფონები ეკუთვნის კერძო სექტორს, რომლის გაკონტროლებაც თავიდანვე უნდა მომხდარიყო. როდესაც სატელეფონო ფირმები საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე შემოუშვეს, დიდი შეცდომა იქნა დაშვებული, უფრო მეტიც — დანაშაული: მათთვის უნდა მოეთხოვათ ე.წ. პოზიციური ბლოკები. ყველა ქვეყანაში კერძო სატელეკომუნიკაციო საშუალებებს სთხოვენ ამგვარი ბლოკების შეძენას. ეს არის ლეგალური ტექნიკური შესაძლებლობა იმისა, რომ, მოსამართლის ბრძანების შემთხვევაში, სათანადო ოპერატიულმა სამსახურებმა განახორციელონ მოსმენა. ეს ბლოკი საკმაოდ ძვირად ღირებულია. მოწყობილობას რთული სისტემა აქვს და არა მგონია, საგანგებო დანიშნულების უწყების გარდა, მისი საქართველოში შემოტანით რომელიმე კერძო პირი დაინტერესდეს. მხოლოდ სიხშირის ცოდნა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მობილურმა ტელეფონმა მოსასმენი აპარატის ფუნქცია შეასრულოს.

— რა მდგომარეობაში დაგხვდათ უშიშროების არქივი? იქ ალბათ ზღვა ინფორმაცია ინახება?

— არქივის საქმიანობას უშიშროების სპეციალური დანაყოფი უძღვება, ჯერჯერობით დეტალურად არ ვიცი, რა ხდება იქ. ადრე საქართველოს უშიშროების არქივი სმოლენსკში იქნა წაღებული, იქიდან კი, მხოლოდ ნაწილი დაბრუნდა. რა იქნა და სად წავიდა საარქივო დოკუმენტაცია, რომელიც საქართველოში არ დაბრუნდა, ჯერჯერობით არ ვიცი.

— თუ შეხვდით და ესაუბრეთ ვახტანგ ქუთათელაძეს მას შემდეგ, რაც მინისტრი გახდით?

— ბატონ ვახტანგთან ყოველდღე ვცდილობ დაკავშირებას, მაგრამ, სამწუხაროდ, მობილური ტელეფონი გამორთული აქვს და დღემდე ვერ მოვახერხე მასთან საუბარი.

— როგორ დაიწყებთ მასთან საუბარს? რაიმე კომპლექსი ხომ არ გაქვთ?

— ისევე დავიწყებ, როგორც მანამდე: „გამარჯობათ, ბატონო ვახტანგ!"

— პრეზიდენტთან თუ გქონიათ შეხვედრა გამინისტრების შემდეგ?

— პრეზიდენტთან გამინისტრებამდეც მიწევდა შეხვედრები და ახლაც ხშირად ვეკონტაქტები. ოპერატიული სიტუაციების გარკვევის დროს, მას ვეკითხები რჩევას. ზოგჯერ თავისი ინიციატივითაც მირეკავს და მეკითხება — ხომ არაფერი მჭირდება. ასე რომ, მე მისგან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ.

— რა სამხედრო წოდება გაქვთ?

— პოლკოვნიკი ვარ.

— გისურვებთ გენერლობას!

— გმადლობთ!

■

ვანო ჩხარტიშვილი:

ალბოდენ ალაფერი დამიმალავს, ვეუბნოთ ცუდად და ვფიქრობ „თეთრ“ ბიზნესზე

ბოლო დროს, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის აწ უკვე ყოფილი მინისტრი ვანო ჩხარტიშვილი, გამუდმებით, საზოგადოების ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. ამის მიზეზად, ხან პოლიტიკური დებატები, ხან კოლეგებთან დაპირისპირება, ბოლოს კი, ის კონფლიქტი იქცა, რომელიც მის მიმართ ლევან ბერძენიშვილის მიერ გამოთქმულმა ბრალდებამ გამოიწვია: როგორც ცნობილია, ვანო ჩხარტიშვილმა, თბილისის საოლქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის წინააღმდეგ: პრესაში პატივისა და ღირსების შელახვისთვის, ჩხარტიშვილი ერთ მილიონ ლარს მოითხოვს. ბუნებრივია, მასთან საუბრისას, ამ თემასაც შევეხეთ. განსაკუთრებით დავინტერესდით იმით, თუ, მისი აზრით, საიდან მოიტანს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი მილიონ ლარს, სასამართლო პროცესის წაგების შემთხვევაში, და კიდევ — რაში სჭირდება ასე სკანდალურად აღებული მილიონი ისედაც მილიონერ ვანო ჩხარტიშვილს...

ბატონ ვანოს „გაერთიანებულ ქართულ ბანკში“ შევხვდით.

ლელა ჭანკოტაძე

— ბატონო ვანო, როგორ გრძნობთ თავს, როგორც ექსმინისტრი?

— მშვენივრად. ვაპირებ აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას და, ბუნებრივია, ვფიქრობ ასევე აქტიურად პოლიტიკაში დაბრუნებას. როგორი ფორმით მოხდება ეს, სად ან რომელი მიმართულებით, ჯერ-ჯერობით არ მაქვს გადაწყვეტილი. ვაგრძელებ სამეცნიერო მოღვაწეობას. უახლოეს პერიოდში ვაპირებ დისერტაციის დაცვას. ამასთან, ვგრძნობ დიდ პასუხისმგებლობასაც, რათა ჩვენი დაწყებული საქმე ეკონომიკის სამინისტროში ბოლომდე მივიდეს და მიეცეს პრაქტიკული რეალიზაციის საშუალება. ჩემთვის ეს პროფესიონალური ღირსების საკითხია, რადგან მიმაჩნია, რომ ძალიან ბევრი რამ გავაკეთეთ, თუმცა ბევრი დაგვრჩა გასაკეთებელი.

— რა გეამაყებათ მინისტრობის პერიოდში გაკეთებული საქმეებიდან?

— ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციასთან მიმართული პროგრამა. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ შეიქმნა მცირე და საშუალო ბიზნესის დაბეგვრის ახალი მეთოდოლოგია. შეიქმნა კანონი ლიზინგის შესახებ. დარწმუნებული ვარ, მას უახლოეს პერიოდში განიხილავს პარლამენტი.

— რა შეცდომები დაუშვით, როგორც მინისტრმა? რეალურად, რა შეიძლება გისაყვედურონ ოპონენტებმა?

— რა თქმა უნდა, უფრო მეტის გაკეთება შეიძლებოდა, მეტის გაკეთების საშუალება იყო. მე შევქმენი თანამოაზრეების ჯგუფი, რომლის თითოეული წევრი გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით. ახალი მინისტრი ამ ჯგუფთან გააგრძელებს მუშაობას. შესაძლებლობა უფრო მეტია. ერთი რამ კი აუცილებელია: თუ მიგაჩნია, რომ ხარ მართალი, ამ სიმართლის დაცვისთვის მაგრად უნდა დადგე. მე ჩემი პრინციპებისთვის არასოდეს მიღალატია, მიუხედავად იმისა, რომ შემეძლო, ჩემი სხვა კოლეგების მსგავსად, ჩუმად ვყოფილიყავი. მაშინ ალბათ, ვიქნებოდი ყველაზე წარმატებული მინისტრი ჩემი ოპონენტებისთვის. მე ეს ნაბიჯი შეგნებულად არ გადავდგი, რაზედაც გული არც მწყდება.

— განსაკუთრებით მწვავედ იმიტომ ხომ არ მოეკიდეთ ლევან ბერძენიშვილის განცხადებას, რომ ცდილობთ, პოლიტიკაში სუფთა რეპუტაციით დაბრუნდეთ?

— ბერძენიშვილი არის ძალიან პატარა ფიგურა, თავისი ადგილითა და როლით, ამ ისტორიაში. თუმცა, შეიძლება, მოცულობით ის დიდად გამოიყურებოდეს. სამწუხაროდ, მას ჰგონია, რომ მხოლოდ თავისი სკანდალური გამონათქვამებით იპოვის ადგილს საზოგადოებაში. ის ნამდვილად წიგნიერი ადამიანია; როცა მას ვუსმენ ტელევიზიით, ყოველთვის საინტერესოდ საუბრობს. მაგრამ ის აღმოჩნდა გარკვეული ავანტიურული ჯგუფის ინსტრუმენტი და ამიტომ გამოთქვა ისეთი ბრალდებები, რომლის შესახებაც მას არანაირი ინფორმაცია არ გააჩნდა. ის მუშაობს დაკვეთით.

— თქვენ არსად, არც ერთ ინტერვიუში არ დააკონკრეტეთ, ვინ დგას ბატონი ლევან ბერძენიშვილის უკან. ვინ არიან ამ ჯგუფის წევრები?

— როცა დასრულდება სასამართლო პროცესი, ეს მაშინ გახმაურდება. ჯერ არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო წინ. მე ამას ვაკეთებ არა ბერძენიშვილისთვის, არამედ საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც ბერძენიშვილმა და ამ ჯგუფმა შეცდომაში შეიყვანა. ამიტომ, მე არ ვაპირებ პასუხი მხოლოდ ბერძენიშვილს გავცე. ეს რომ ლოკალური ხასიათის შემთხვევა იყოს, არ დავტვირთავდი საზოგადოებას ამ სკანდალური შოუს მოწყობით. მაგრამ აქ დგას ჩემი პრინციპისა და ღირსების საკითხი. არ გავჩერდები, სანამ სიმართლეს არ გავარკვევ. რადგან მე ვარ ბიზნესიდან მოსული, ჩემთვის ყოველთვის სიამაყეს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ვქმნიდი „თეთრ“ ბიზნესს. საერთოდაც, მიმაჩნია, რომ „თეთრი“ ბიზნესი ყოველთვის იყო ჩემი ღირსება.

ნანა გოთუა და ვანო ჩხარტიშვილი ჯვრისწერისას

— მეანაბრეთა საკითხიც პროვოკაციის მიზნით არის წამოწეული?

— ანაბრების დევალვაცია მოხდა 1993 წლის 1 მარტს. სამ წელიწად-ნახევრის შემდეგ მოხდა ბანკის ფორმირება. მივმართავ ყველა ჟურნალისტს და ყველა ჟურნალისტურ საგამოძიებო ჯგუფს, მათ შორის „60 წუთსაც“ — გამოიკვლიონ, თუ ერთი აქციონერი მაინც იქნება დაკავშირებული მეანაბრის რომელიმე ანაბართან. თუ აღმოაჩენენ, რომ მეანაბრის წილი იქნება ბანკის სადამფუძნებლო აქციებში, მზად ვართ, ყველა აქციონერმა დავთმოთ ჩვენი წილი და გადავცეთ იმ ჯგუფს, რომელიც ამას აღმოაჩენს. ჩვენი დამფუძნებლები არიან: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და უცხოური კომპანია „მარტინ ბაუერი“. მათ სამჯერ ჩაატარეს აქ საერთაშორისო აუდიტი. დარღვევები არ აღმოჩენილა. ამიტომ, ბრალდებები მეანაბრეთა საკითხთან დაკავშირებით, არის უგუნურობა და დაგეგმილი პროვოკაცია.

— როგორც ბერძენიშვილმა თქვა, მას განზრახული არ ჰქონია თქვენი შეურაცხყოფა და, აქედან გამომდინარე, არც კომპრომატები აქვს...

— ბერძენიშვილი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ვერ მოძებნის ჩემზე კომპრომატებს, რადგან ასეთი კომპრომატები არ არსებობს. მე არასოდეს არაფერი დამიმალავს, ვმუშაობ სუფთად და ვქმნი „თეთრ“ ბიზნესს. ერთ რამეში ვგრძნობ თავს დამნაშავედ: შეიძლება, მორალური უფლება არ მქონდა, ამეშენებინა სახლი მაშინ, როცა ადამიანებს უჭირთ.

— თუ გიფიქრიათ იმაზე, საიდან მოიტანს ლევან ბერძენიშვილი წაგების შემთხვევაში, ერთ მილიონ ლარს?

— ეს მისი და მისი გარემოცვის პრობლემაა. თუ სასამართლო გამოიტანს ობიექტურ გადაწყვეტილებას და მე გავიმარჯვებ, თანხა, რომელიც დაეკისრება გადასახდელად, მთლიანად დაიხარჯება საქველმოქმედო მიზნებზე. ჩემი პატრონაჟის ქვეშ არის კოჯრის ბავშვთა სახლი. ამ მილიონ ლარს მოვახმართ ბავშვებს, რომლებიც მეც და ჩემს გარემოცვასაც ძალიან გვიყვარს.

— ეს ამბავი რომც არ მომხდარიყო, თქვენ მაინც გქონდათ და გაქვთ საქართველოში კორუფციის ერთ-ერთი „მამის“ იმიჯი. თქვენი აზრით, ასეთი იმიჯი მხოლოდ იმიტომ შეგექმნათ, რომ მდიდარი ადამიანი ბრძანდებით?

— ჯგუფის მთავარი იდეოლოგია, რომელზეც მე ვსაუბრობ, იყო ის, რომ ჩემთვის ეს იმიჯი შეექმნათ. ამიტომაც შევიტანე სარჩელი. არ დავანებებ მათ თავს, სანამ სათითაოდ ბოდიშს არ მოიხდის თითოეული, თუნდაც მასმედიის საშუალებით...

— ბატონო ვანო, გურული იუმორი თუ გშველით საქმიანობაში და საერთოდ, ცხოვრებაში? თქვენ ცნობილი ხართ კარგი იუმორით. თქვენს ექსმინისტრობასაც თუ უყურებთ იუმორით?

— მინისტრობას რომ იუმორით ვუყურებდე, მაშინ არასერიოზული მინისტრი ვიქნებოდი. რაც შეეხება იუმორს, ვერ წარმომიდგენია ადამიანი, მით უმეტეს გურული, იუმორის გარეშე.

— გარეგნულად უყმური ვანო ჩხარტიშვილი, ამბობენ, თბილი და გულჩვილი ადამიანიაო. ბერძენიშვილი არ გებრალებათ?

— ბერძენიშვილი და მისი მსგავსი ადამიანები არ მებრალებიან. მათ ეგონათ, რომ რეაქცია ჩემი მხრიდან არ იქნებოდა, მაგრამ მე ამ უსამართლობას ვერ ავიტან, სადაც არ უნდა ვიყო და რასაც არ უნდა ვაკეთებდე.

ვანო ჩხარტიშვილი თავისი ოჯახით ვაკეში, მცხეთის ქუჩაზე, ორსართულიან სახლში ცხოვრობს. მისი მეუღლე — ქალბატონი ნანა გოთუა პროფესიით ექიმია. დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიის ფაკულტეტი. მეორე შვილი რომ შეეძინა, იძულებული გახდა, სამსახურისთვის თავი დაენებებინა და მთელი დრო ქმარ-შვილისთვის დაეთმო. თავად ბატონმა ვანომ წითელ დიპლომზე დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. გაიარა სტაჟირება ლონდონში.

ჩხარტიშვილებს ორი შვილი ჰყავთ — ნათია და მიშიკო. მიშიკო VI კლასის მოსწავლეა, ნათია XI კლასში სწავლობს. ის ხატავს. სახლი სავსეა ნათიას ნახატებით, რომელიც სწავლას სამხატვრო აკადემიაში, მოდელირების ფაკულტეტზე გაავრძელებს. ჩხარტიშვილების ოჯახი აკადემიის ერთ-ერთ სტუდენტს — ოზურგეთელ გოგონას აფინანსებს, რომელსაც სწავლის გავრძელებისთვის საჭირო თანხა არ ჰქონდა.

მდიდარ ოჯახს, ცხადია, ბევრი ღარიბი ნათესავი და ახლობელი ჰყავს. ქალბატონი ნანა მათ ყურადღებასა და თანადგომას არ აკლებს... ისინი ეხმარებიან ლტოლვილთა ოც ოჯახს, რომელიც წყნეთში ცხოვრობს. არ ავიწყდებათ ოზურგეთის V საშუალო სკოლაც, სადაც ცოლ-ქმარმა ერთმანეთი გაიცნო და შეიყვარა.

— ქალბატონო ნანა, როგორი მამაა ბატონი ვანო?

— პირველ რიგში თბილი, მოსიყვარულე, მაგრამ მკაცრიც. ბავშვებს ის ძალიან უყვართ, თვალებში შესცინინებენ. ერიდე-

ნანა გოთუა

ნანა გოთუა და ნათია ჩხარტიშვილი

ბიან მისგან შენიშვნის მიღებას და ცდილობენ, მამისგან საყვედური არ მიიღონ.

— რას ვერ იტანს ბატონი ვანო?

— უყურადღებობას, ხმაურს. მის ირგვლივ სიმშვიდე უნდა სუფევდეს. სახლში ძალიან დაღლილი მოდის ხოლმე და ცდილობს, განიმუხტოს, დაისვენოს. კარს რომ შემოაღებს, იმ წუთიდან ავიწყდება დაღლა. სახლიდან გასული რომ არის, ცხადია, ვნერვიულობ — ცუდი წინათგრძნობა თუ მაქვს, განსაკუთრებით მაშინ. ხიფათი არასოდეს მოსვლია. მხოლოდ ერთხელ, სტუდენტობის დროს, ავარიაში მოჰყვა კახეთის გზაზე და მსუბუქად დაშავდა.

— ნანა, როგორია ბატონი ვანო ოჯახში?

— ვანო საერთოდ თბილი და გულისხმიერი ადამიანია. ამასთან, არაჩვეულებრივი, ყურადღებიანი და მოსიყვარულე მეუღლეა. ჩვენ თვრამეტი წელია, რაც ერთად ვცხოვრობთ და არც ერთხელ ჩემი დაბადების დღე არ დავიწყებია. მხოლოდ ყვავილებს მჩუქნის ხოლმე, რადგან მაღაზიებში სიარული ეჯავრება, მისთვის ტანსაცმელსაც კი მე ვყიდულობ. ჯერჯერობით ჩემი გემოვნებით კმაყოფილია. ოჯახისთვის საჭირო ნივთებსაც ძირითადად, მე ვარჩევ.

— ერთმანეთი სად გაიცანით?

— ვანო ოზურგეთში, V საშუალო სკოლაში სწავლობდა. მე ამ სკოლაში VII კლასში გადავედი. ერთ მერხზე აღმოვჩნდით. თავიდანვე დავუახლოვდით ერთმანეთს. ჯერ ახლო მეგობრები ვიყავით. სიყვარული შემდეგ მოვიდა. მგონი, პირველად მას გაუჩნდა გრძნობა.

— როგორი იყო შეყვარებული ვანო ჩხარტიშვილი?

— მახსოვს, ტელეფონით ვსაუბრობდით ხოლმე საათობით. სულ ჩემთან უნდოდა ყოფნა, უჩემოდ წუთითაც არ შეეძლო. თქვენ წარმოიდგინეთ, სიყვარული არ აუხსნია. ალბათ, არც იყო ამის საჭიროება: ისედაც ვგრძნობდი, ძალიან რომ ვუყვარდი. ზოგჯერ ხომ არის სიტუაცია, როცა სიტყვები აღარაა საჭირო. ჩვენს შემთხვევაშიც ასე იყო...

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ გაგიმართლათ და ბედნიერი ქალი ხართ?

— დიახ. ვანო საუკეთესო თვისებების მქონე ადამიანია. როგორც კი თავისუფალ დროს გამონახავს, მაშინვე ოჯახში მოდის. განსაკუთრებით უყვარს ჩვენთან ერთად დასვენება. მახსოვს, პირველად რომ წავედით დასასვენებლად, როგორი ბედნიერები ვიყავით. მაშინ ვანო საგადასახადოში მუშაობდა. ბავშვები პატარები იყვნენ, ამიტომ მე და ვანო მათ გარეშე წავედით იალტაში. არაჩვეულებრივი დღეები ვაჩუქეთ ერთმანეთს. საერთოდ, ვანოს ზღვა უყვარს და ერთადერთი, სადაც დასასვენებლად მიდის, სწორედ ზღვაა.

— თავისუფალ დროს სად ატარებთ? რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბატონ ვანოს უყვარს თეატრი. ბოლოს ვისი სპექტაკლი ნახეთ?

— ვანოს ძალიან უყვარს ხალხური ცეკვა და სიმღერა. ყოველთვის მივდივართ ნინო ანანიაშვილის ხელოვნების სანახავად, როცა ის თბილისში ჩამოდის. ვანოს ძალიან მოეწონა საბავშვო ოპერა, რომელიც ბათუმში დაიდგა. კინოში არ დავდივართ. რაც შეეხება თეატრს, ბოლოს, ერთად ვნახეთ „ჰამლეტი“ რუსთაველის თეატრში. საერთოდ, ვანოს საყვარელი სპექტაკლებია: „ეზოში ავი ძაღლია“, „ყვარყვარე თუთაბერი“. ვიყავით მერაბ სეფაშვილის სოლო კონცერტზეც.

— რომელ დღესასწაულებს აღნიშნავთ ოჯახში და როდის იკრიბებიან თქვენთან მეგობრები და ნათესავები?

— ახალ წელს ჩვენთან მოდიან, აღდგომას კი, ყოველთვის გურიაში ვატარებთ. ვანოს არ უყვარს პომპეზურობა, ამიტომ დაბადების დღეებს მეგობრების ვიწრო წრეში აღვნიშნავთ ხოლმე, ბავშვები კი, თავ-თავიანთ მეგობრებს პატიჟებენ სადმე.

— ტორტს ვინ აცხობს? ბატონი ვანო თვითონ თუ აქრობს ხოლმე სანთლებს?

— ყველაფერს მე ვაკეთებ, ტორტის გარდა. ვანოს ჩემი გაკეთებული ყველა კერძი უყვარს, განსაკუთრებით, მჭადი და ყველი. დაბადების დღეზე ვჩუქნით სუნამოს, სანთებელას ან ჰალსტუხს.

— დამისახელეთ ყველაზე ძვირიანი საჩუქარი, რომელიც ბატონ ვანოს თქვენთვის მოურთმევია.

— ყველაფერი, რაც მაქვს, ვანოს ნაჩუქარია. მე არ ვმუშაობ, ყველა ნივთი ვანოსგან მაქვს და ყველა ძვირფასია ჩემთვის.

— როგორი სიმთვრალე აქვს ბატონ ვანოს?

— მთვრალი ისეთი თბილია, ხანდახან ვეუბნები: ცოტა ხომ არ დაგელია-მეთქი...

— ქალბატონო ნანა, როგორ შეხვდით ბატონი ვანოს გადაწყვეტილებას — პასუხი აგებინოს ლევან ბერძენიშვილს პატივისა და ღირსების შელახვისათვის?

— მთელი ოჯახი შეურაცხყოფილი ვართ. განსაკუთრებით მწვავედ განიცდიან ამას ბავშვები: მამა ხომ მათთვის ყველაფერია. იმედი მაქვს, რომ სასამართლო სწორ გადაწყვეტილებას გამოიტანს. ■

ეკა ბერიძე ნაჩუქარ მანქანას აღარ უფრთხილდება...

ცნობილი ტელეწამყვანი, სტაჟიანი მძღოლი არ ყოფილა, მაგრამ სიფრთხილესთან ერთად, სწრაფი სიარულიც ჰყვარებია და თბილისურ ორმოებშიც სნაიპერის სიზუსტით „ხტება" ხოლმე.

ელისო გურგენიძე

— **ეკა, მანქანა კომფორტია თუ აუცილებლობა?**

— ორივე ერთად — აუცილებლობაც და კომფორტიც.

— **სანამ მანქანას შეიძენდით, რით მგზავრობდით?**

— არასოდეს ვმჯდარვარ სამარშრუტო ტაქსიში. როცა ფული მქონდა, ტაქსის ვაჩერებდი ხოლმე, თუ არა და, ფეხით დავდიოდი.

— **რამდენი ხანია, რაც საკუთარი მანქანა გყავთ?**

— ორი წელი იქნება.

— **ავტომობილი საკუთარი ხელფასით შეიძინეთ?**

— არ შემიძენია — „რუსთავი 2"-ის ხელმძღვანელობამ ახალ წელს, 2000-ის დადგომისას, ახალთახალი „07" მაჩუქა.

— **მანქანის მართვა ვინ გასწავლათ?**

— კერძო მასწავლებელმა. დაახლოებით, თვე-ნახევრის მანძილზე, კვირაში 2-3-ჯერ მიტარებდა გაკვეთილს. თითო გაკვეთილი 10-12 ლარი ღირდა.

— **როგორი მოსწავლე აღმოჩნდით?**

— საკმაოდ იოლად ვისწავლე მანქანის მართვა, მაგრამ პირველად მარტო რომ აღმოვჩნდი საჭესთან, ჩემ გარშემო მხოლოდ გიჟურ მოძრაობას ვხედავდი. კინაღამ პანიკაში ჩავვარდი. ასე გრძელდებოდა ორი კვირა. როცა საღამოს შინ ვბრუნდებოდი, ვგრძნობდი, რომ წნევა მქონდა აწეული, მაგრამ ჯიუტად ვაგრძელებდი მანქანის მართვას. ვიცოდი, რომ თუ შიშის გრძნობას არ გადავლახავდი, საჭეს ვეღარასოდეს მივუჯდებოდი.

— **თუ საიდუმლო არ არის, მანქანის მართვის მოწმობა როგორ აიღეთ?**

— გამოცდები ჩავაბარე, ოღონდ — „იოლ ფორმებში": ვისაც მართვის მოწმობა უნდა მოეცა, ყველა მიცნობდა და პრობლემები არ შემქმნია.

— **„07" ქალისთვის ცოტა მძიმე მანქანა ხომ არ არის?**

— „07" მძიმე მანქანაა საერთოდ — საჭე აქვს მძიმე. რაც ამ მანქანაზე დავჯექი, ხელის კუნთები საკმაოდ განმივითარდა. თუმცა, არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ ქალი პატარა და ნაზ მანქანას უნდა მართავდეს. ძალიან მიყვარს ძლიერძრავიანი, საშუალო მანქანები.

— **რამდენად ეთანხმებით იმ აზრს, რომ მანქანის მიხედვით პატრონის ხასიათის განსაზღვრა შეიძლება?**

— ავტომობილის მიხედვით, არ ვიცი, მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ დამყავს მანქანა, შეიძლება მიხვდე, როგორ გუნებაზე ვარ.

— **ძირითადად, ავტომობილის მართვას, გოგონებს მამები ასწავლიან ხოლმე. მამათქვენს არ ჰყავდა მანქანა?**

— მამა ექვსი წლის წინ გარდამეცვალა. მანქანა ჰყავდა და ძალიან კარგადაც დაჰყავდა, მაგრამ მე არ მანდობდა, სულ მეუბნებოდა — ვერასოდეს ისწავლი მანქანის მართვასო. პარადოქსია, მაგრამ ჩემი ძმა, ექვსი წლიდან, მამას საჭესთან ეჯდა და სულ ამბობდა — შენი ძმა ძალიან ნიჭიერიაო. მას შემდეგ ჩემმა ძმამ 3 თუ 4 მანქანა დაამტვრია და დღეს უმანქანოდ არის, მე კი, ჯვარი მწერია და, ჯერ ავარია არ მომსვლია. ერთი სიტყვით, მამაჩემს არასოდეს უფიქრია, საჭესთან დავესვი. მე კი, იმდენად თავხედი არ ვიყავი, მამის ნებართვის გარეშე მემართა მისი ავტომობილი. მოგვიანებით, ჩემი ყოფილი მეუღლე ცდილობდა, ჩემთვის მანქანის მართვა ესწავლებინა, მაგრამ არც ერთს არ გვეყო ნერვები, რომ ეს საქმე ბოლომდე მიგვეყვანა.

— **მამათქვენი ასე ცუდი თვალით რატომ გიყურებდათ?**

— ბავშვობიდან ცუდი ორიენტაციის უნარი მაქვს, დღესაც ეს არის ჩემი ერთადერთი დიდი მინუსი მანქანის მართვისას.

— **კრიტიკულ სიტუაციებში როგორ იქცევით? ვერ დავიჯერებ, რომ სახეზე ხელებს იფარებთ და კივილს იწყებთ.**

— არა, არც კივილს ვიწყებ და არც პედლები მერევა. საკმაოდ კარგი რეაქცია მაქვს, რაც მანქანის მართვას მიად-

ვილებს. კრიტიკულ სიტუაციებში არ ვიბნევი.

— მოგწონთ ქალი საჭესთან?

— მამაჩემი ამბობდა, ქალი საჭესთან რომ ზის, ამას შორიდანვე ვხვდებიო. თუმცა, ახლა, ძალიან ბევრი ქალი მართავს მანქანას და ბევრიც საკმაოდ პროფესიონალურად დადის.

— არცთუ ისე დიდი ხანია, რაც საკუთარი ავტომობილი გაქვთ. შეგიძლიათ თქვათ, რომ თქვენც პროფესიონალურად მართავთ მანქანას?

— არ, მაგრამ ნორმალურად ვმართავ და სერიოზულ შეცდომებს არ ვუშვებ.

— როცა მანქანა გიფუჭდებათ, ხვდებით, რა ნაწილი დაუზიანდა?

— არა, აზრზე არა ვარ. ერთადერთი, რასაც ვხვდები, ის არის, რომ აკუმულატორია დამჯდარი.

— მანქანა შუა გზაზე რომ გაგიჩერდეთ, რას იზამთ?

— ერთხელ მქონდა ასეთი შემთხვევა. მე და ჩემი მეგობრები ღამით ქალაქში ვსეირნობდით. საჭესთან ჩემი მეგობარი იჯდა, რომელსაც ახალი ნასწავლი ჰქონდა მანქანის მართვა. უეცრად, სიბნელეში, მოსახვევში ბოძს შევეჯახეთ. მანქანის ორი საბურავი ერთბაშად ჩაიფუშა. ძალიან ცუდ დღეში ჩავცვივდით. წვიმდა. ბედად, მხსნელად პოლიციის მანქანა მოგვეევლინა. პოლიციელებმა ჩემი „07“ თავიანთ მანქანას მიაბეს და დანიშნულების ადგილამდე ისე მიგვიყვანეს... ხშირად მცნობენ და მეხმარებიან ხოლმე. ასე რომ, შუა გზაზე მანქანის გაფუჭების არ მეშინია. მთავარია, ცოცხალმა ადამიანმა გამოიაროს და ყოველთვის გამიწევენ დახმარებას.

— მანქანის ზეთი თუ გამოგიცვლიათ?

— არა, არც ზეთი გამომიცვლია და არც საბურავი დამიბერავს. არადა, ჩემს მანქანას უკამერო საბურავები აქვს და საკმარისია, დისკმა ოდნავი დეფორმაცია მიიღოს, საბურავი ერთიანად ეფუშება. თბილისის ქუჩების მდგომარეობა მოგეხსენებათ, როგორია, მე კი, როგორც ჩემი მეგობრები ამბობენ, ორმოებს პირდაპირ ვუმიზნებ და არც ერთს არ ვაცდენ... და ამის გამო, ხან სად მიჩერდება მანქანა და ხან სად...

— საკუთარი ხელით თუ გაგირეცხავთ მანქანა?

— არა. ჩემი სახლის ეზოში ძალიან კარგი სამრეცხაოა, სადაც არაჩვეულებრივად ასრულებენ ამ საქმეს.

— საცობების დროს როგორ იქცევით ხოლმე? პანიკაში არ ვარდებით?

— ერთი-ორჯერ მქონდა ასეთი შემთხვევა. მანქანის მართვა ახალი დაწყებული მქონდა, პირველად საცობში რომ მოვხვდი. 45 წუთი ვიყავი გაჩერებული. კინაღამ მანქანა მივატოვე და გზა ფეხით გავაგრძელე. მეორედ, ჩემი ორიენტაციის პატრონს, გზა შემეშალა და ბორჯომის ქუჩაზე მიმავალი, ვაგზლის ტერიტორიაზე აღმოვჩნდი. 2 საათი ვიჯექი მანქანაში. ხალხმა ჩემი გულისთვის თავიანთი სავაჭრო დახლები მისწი-მოსწია და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვძვერი საცობიდან. მანქანიდან რომ გადმოვედი, ერთიანად ვკანკალებდი.

— გერმანელებმა ჩაატარეს გამოკვლევა, რომლის მიხედვითაც, სუსტი სქესის წარმომადგენლები, მამაკაცებზე ნაკლებად ხვდებიან ავარიულ სიტუაციებში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი მამაკაცებზე უკეთესი მძღოლები არიან, — უბრალოდ, ითვლება, რომ მამაკაცები იმდენად თავისუფლად გრძნობენ თავს საჭესთან, ქალებისგან განსხვავებით — რომლებსაც საკმაოდ ფრთხილად დაჰყავთ მანქანა, რომ წესებს აღარ იცავენ და მანქანის მართვის პროცესს შემოქმედებითად უდგებიან.

— ჩვენთან ისეთი მოძრაობაა, არ ვიცი, ასეთ დროს შემოქმედებაზე როგორ უნდა იფიქრო. წესებს, ზომიერების ფარგლებში, ვიცავ: სადაც საშუალება მაქვს, დავარღვიო ანუ იმის საშიშროება არ არის, რომ ვინმეს შევეჯახები, წესებს ვარღვევ ხოლმე... ერთმა ფსიქოლოგმა მითხრა — წესები თუ არ დაარღვიე, მანქანის მართვა გაგიჭირდებაო. ამ ქალაქში მთავარი ის არის, რომ სადაც წესების დარღვევა შეიძლება, უნდა დაარღვიო. თუმცა, სიფრთხილე არ მავიწყდება.

— თვითონ, მანქანის მართვის პროცესი რამდენად განიჭებთ სიამოვნებას?

— ძალიან მიყვარს მანქანის ტარება. ღამღამობით, მე და ჩემი მეგობრები ქალაქში მანქანით გვიანობამდე ვსეირნობთ ხოლმე: 3-4 გოგო ჩავსხდებით და დავაქროლებთ ავტომობილს.

— რა სიჩქარით დაგყავთ მანქანა?

— მაქსიმუმ, 120-130 კმ/სთ, მაგრამ ქალაქში დღისით ეს შეუძლებელია. ცოტა ხნის წინ, ჩემმა მეგობარმა მათხოვა თავისი BMW. საოცარი სისწრაფით დამყავდა. საერთოდ, თუ რუსული წარმოების ავტომობილის მართვა შეგიძლია, ე.წ. „ფირმა“ მანქანების საჭესთან ნამდვილად თავდაჯერებულად გრძნობ თავს. მანქანებში, სადაც მართვის პროცესი ნაწილობრივ მაინც ავტომატიზებულია, შემოქმედებაზეც შეგიძლია იფიქრო.

— ავტოინსპექტორები როგორ გეექცევიან?

— ძალიან კარგად. გიორგი სანაია და მე, შარშანწინ ჩვენ-ჩვენი მანქანებით აჭარაში წავედით. ავტოინსპექტორები, ჩემს მანქანას რომ გააჩერებდნენ და დამინახავდნენ, ხელს მიწევდნენ და მიშვებდნენ, გიორგი კი, სადაც გააჩერეს, ყველგან 10-10 ლარი დაატოვებინეს. გიორგი ბრაზობდა — შენ თუ გცნობენ, მე რას მერჩიანო?..

— არსებობს მანქანა, რომლის შეძენაზეც ოცნებობთ?

— ძალიან მინდა თეთრი „ალფა-რომეო“ ვიყიდო. არ ვიცი, რა ღირს. „მერსედესიც“ ძალიან ლამაზი და სწრაფი მანქანაა, ძრავაც კარგი აქვს, მაგრამ მე „ალფას“ ვარჩევდი.

— რამდენად უფრთხილდებით თქვენს ავტომობილს?

— ამ მანქანას არ ვუფრთხილდები. საერთოდ, ასეა — პირველი მანქანა იმისთვის არის, რომ ტარება ისწავლო... თუმცა, ჩემს „07“-ს ერთი წელი ნაკაწრიც კი არ ჰქონდა, ბოლო რამდენიმე თვეა, რაც საშინელ დღეში ჩავაგდე.

— ეტყობა, ახლის ყიდვას მალე აპირებთ...

— დიახ, ასეა.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. ჰაინრიხ შლიმანმა 22 ენა იცოდა.
2. კოტე ყუბანეიშვილი და დავით ყიფიანი კლასელები იყვნენ.
3. ანტარქტიდაში მდებარე უედელის ზღვა ყველაზე სუფთაა მთელ მსოფლიოში.
4. თუ ტორნადო მხედველობის არეშია, იცოდეთ, საფრთხე გემუქრებათ.
5. „ადამიანმა ადამიანს ზემოდან მხოლოდ მაშინ უნდა დახედოს, როდესაც წამოსაყენებლად გაუწვდის ხელს“, — ამბობდა გაბრიელ გარსია მარკესი.
6. ქვეყნისადმი სტალინის დამსახურების ხელაღებით უარყოფის შემდეგ, რუსებმა წითელ მოედანზე ყოვლად უსინდისოდ, ჟუკოვს დაუდგეს ძეგლი.
7. ერბოქვა — ასე ეახდნენ საქართველოში სამართებლის, დანის და მისთანა მჭრელი იარაღის სალეს წმინდა ქვას, რომელსაც წინასწარ ერბოს ან ზეთს უსვამდნენ.
8. სარგებლით ფულის გამესხებელს ზარაფი ჰქვია.
9. ახალ ზელანდიაში ყოველ ადამიანზე 20 ცხვარი მოდის. ახალზელანდიელი მწყემსების ძაღლები დღეში 80 კილომეტრს დარბიან.
10. ჩერჩილის ცოლს კლემენტინა ერქვა.
11. ლევან თედიაშვილი კახეთის გუბერნატორობის დროს დედოფლისწყაროსთან დაჭრეს.
12. დუგლუგი კონდახის მეორენაირი სახელია.
13. სახელდახელოდ მოხარშულ ძროხის ხორცს თათარიახნი ჰქვია.
14. „ქალაქი სპეციალისტისთვის არის დიდი ტერიტორიისა და მთელი მოსახლეობის აღმნიშვნელი სიტყვა, ხოლო კერძო ადამიანისთვის ქალაქი სულ რამდენიმე ათეული ადამიანი და რამდენიმე ათეული ქუჩაა, — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში გიორგი დანელიამ და შემდეგ ნაღვლიანად დასძინა: — ჩემი თბილისი დღითი დღე პატარავდება. ადრე რომ ჩამოვდიოდი, სუფრასთან 60 კაცი ვიყრიდით თავს, ახლა კი თითებზე ჩამოსათვლელნიღა დავრჩით.“
15. ნიუ-იორკის უბნის, ბრაიტონ ბიჩის ერთ-ერთ ქუჩას, სადაც ყველაზე უფრო კომპაქტურად სახლობენ რუსი ემიგრანტები, იაშკინ სტრიტს ეძახიან. ამ ქუჩაზე ყველაფერი იმდენად რუსულ ყაიდაზეა მოწყობილი, რომ იქ მოხვედრილი ადამიანი ვერც კი იფიქრებს, ამერიკაში თუ იმყოფება. იმის გამო, რომ რუსები თავს არ იწუხებენ ინგლისურის სწავლით, ადგი-

სალონი MS განებივრებულია ვარსკვლავთა ყურადღებით, რასაც თურმე იქ არსებული განსაკუთრებით კარგი ატმოსფერო და მყუდრო გარემო განაპირობებს. კახა ცისკარიძესთან ინტერვიუს ჩასაწერად მისულებს დიდხანს მოგვიწია იმის ყურება, თუ როგორ ემსახურებიან ვარსკვლავს: ჭრიან თმას, ვარცხნიან, უწესრიგებენ ფრჩხილებს. გავიგეთ, როგორ ახერხებს კახა ასეთი სიზუსტით ბლანჟეს დაყენებას. რომელი ფირმის შამპუნსა და ლაქს იყენებს. კახამ ისიც გაგვიმხილა, სმას თავი დავანებე და თუ ადრე შემეძლო მექეიფა და მომელხინა, ახლა მხოლოდ ერთი ჭიქა ვისკით ვკმაყოფილდებიო. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს სილამაზის სალონში შევხვდით, მაინც საქმეზე ვისაუბრეთ. კახა განსაკუთრებით სერიოზული, ფონოგრამებზე საუბრის დროს აღმოჩნდა და თქვა: თუ მომღერალს მსმენელი ჰყავს, უნდა იმღეროს და არავის აქვს უფლება, მას სიმღერა აუკრძალოსო. აუკრძალავენ თუ არა კახა ცისკარიძეს სიმღერას და აპირებს თუ არა თავად სიმღერისთვის თავის დანებებას — ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

წყალზეც თუ არა კახა ცისკარიძეს ბათუმელი აბაზიძეები

ლელა ჭანკოტაძე

— კახა, რა სიახლეებია მოსალოდნელი უახლოეს მომავალში და რას უნდა ელოდნენ შენი თაყვანისმცემლები?

— სულ მალე გამოვა ჩემი მეორე ალბომი და პირველი კომპაქტ-დისკი. მეორე ალბომის სახელწოდებაა „შენთან მინდა“. მასში შევა თორმეტი სიმღერა, ზოგიერთი ცნობილია. ძირითადად, ეს არის ჩემი დაწერილი სიმღერები, რომელიც ჯერჯერობით მსმენელს არ მოუსმენია.

— კახა, ბოლო პერიოდში აქტიურად საუბრობენ ფონოგრამებზე და იმაზეც, რომ მხოლოდ ცოცხალი შესრულებით უნდა იმართებოდეს კონცერტები? შენ რას ფიქრობ ამის თაობაზე?

— მიმაჩნია, რომ ეს არის ძალიან სერიოზული საკითხი, რომელსაც ასევე სერიოზული ფიქრი, აწონ-დაწონა და გადაწყვეტა სჭირდება. მე მომწონს იდეა უფონოგრამოდ გამოსვლის შესახებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ თუ აღარ იქნება ფონოგრამა, ქართული ესტრადა დაკარგავს უამრავ კარგ სიმღერას და ბევრ საინტერესო და ახალ მიმართულებას.

— მოულოდნელი იყო შენი გამოჩენა „იუმორინა 2001“-ზე. ვისგან მიიღე მიწვევა და თუ იყო შენთვის მუშაობის პროცესი საინტერესო?

— დიდი ხანია ამ შეკითხვას ველოდები, მაგრამ რატომღაც არავინ დამისვა. ყველა გაკვირვებულია, რატომ გამოვედი „იუმორინა 2001“-ზე. ზოგმა ისიც კი იკითხა: ნუთუ კახას ასე გაუჭირდაო?!. ძალიან ვაფასებ იმ ხალხს, ვინც მიმიწვია. ესენი იყვნენ ბატონები: გივი ბერიკაშვილი და ჯემალ ბაღაშვილი. უდიდესი სიამოვნება იყო ჩემთვის ამ კონცერტებზე გამოსვლა. მიმაჩნია, რომ ის ხალხი,

ვის გვერდითაც მომიწია მუშაობამ, კულტურის მთელ ეპოქას წარმოადგენენ. მათ დაფასება და გაფრთხილება სჭირდებათ. ისევ დიდი სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას, თუკი მიმიწვევენ. მე არც ვხუმრობდი და არც ვინმეს ვაჯავრებდი – უბრალოდ, გამოვდიოდი ჩემი სიმღერებით. მისმენდა იმ კატეგორიის მსმენელი, რომელიც არ მოვა სპორტის სასახლეში. უკვე ათი წელია, ეს კონცერტები ანშლაგით მიმდინარეობს. სხვა მსმენელი, სხვა გარემო და ინტერესები მიმზიდველი და სასიამოვნო აღმოჩნდა ჩემთვის. გამიცნო ახალმა მსმენელმა.

— ბოლო დროს, რაც თბილისში ხარ, შენი მეუღლეც აქ არის?

– რა თქმა უნდა, სადაც მე ვარ, იქ არის მირანდაც. ის პროფესიით მუსიკოსი არ არის. მუშაობდა „ჯეოსელის“ მარკეტინგის განყოფილებაში. ახლა დროებით უმუშევარია, მაგრამ სულ მცირე ხანში ისევ თავისი სპეციალობით დაიწყებს მუშაობას. სწავლა უკვე დაამთავრა და კარგი პრაქტიკაც მიიღო. ჯერჯერობით პირად ცხოვრებაში არანაირი სიახლე არ მაქვს. ბავშვის გაჩენას თუ დავაპირებთ, ამას ყველა გაიგებს. რაც შეეხება ინტერვიუებს, მირანდა თავს არიდებს ჟურნალისტებთან ურთიერთობას.

— თინეიჯერები ხომ არ აწუხებენ შენს მეუღლეს?

– არა. მათი ყურადღება არასდროს ყოფილა გამაღიზიანებელი, პირიქით, სასიამოვნო ფაქტია, როცა მსმენელის სიყვარულს გრძნობ. ჩემი მეუღლე კარგად იცნობს ცხოვრებას და წვრილმანების გამო, არ ნერვიულობს. ბედნიერი ვარ, მას რომ შევხვდი. ის კარგი ადამიანია და არასოდეს ღიზიანდება სატელეფონო ზარებით, რომლითაც თინეიჯერები ჩემ მიმართ სიყვარულს, აღტაცებას, მოწონებას გამოხატავენ.

— კახა, სპონსორი რატომ არა გყავს? ჯერ არავინ გამოჩნდა თუ უბრალოდ, ეს შენი კაპრიზია?

– არა. ეს ჩემი კაპრიზი არ არის. სპონსორის ყოლა ნამდვილად არ მაწყენდა, მაგრამ ასეთი წინადადებით ჯერ ჩემთვის არავის მოუმართავს. ჯერჯერობით თავად ვუმკლავდები პრობლემებს. თავად ვაკეთებ ყველაფერს. საკუთარი თავის პროდიუსერიც ვარ, მენეჯერიც და დირექტორიც. რა თქმა უნდა, მეუღლეც მეხმარება.

— რადგან ჯული ხოფერია ბათუმელია, უმეტესობას ჰგონია, რომ ის შენს სპონსორობასაც მოისურვებს. თუ გქონია მისგან შემოთავაზება? თუ დაგხმარებია ოდესმე?

– ჯულისთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს. ის ძალიან კარგი ადამიანია, ბევრჯერ დამხმარებია. ძალიან დიდი მადლობა მას თანადგომისათვის, მაგრამ ის ჩემი სპონსორი ნამდვილად არ არის, სპონსორი არც არასდროს მყოლია.

— კახა, როცა შენ გამოჩნდი ქართულ ესტრადაზე, ბევრი ალბათ, ვერც იფიქრებდა, თუ ასე სწრაფად შეძლებდი დამკვიდრებას და თან ასე მყარადაც. როგორ ფიქრობ — გაგიმართლა თუ პოპულარობა შენთან მაინც დიდი შრომის შედეგად მოვიდა?

– არ მიმაჩნია, რომ სწრაფად მოხდა დამკვიდრება. ასე ის ადამიანები ფიქრობენ, ვინც მე არ მიცნობს. ძალიან ბევრი ვიშრომე, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთაც და ბევრი რამ ვისწავლე კიდეც. ანუ ის ეტაპი, რომელიც გავიარე, ჩემი პოპულარობის საფუძველი გახდა. ზოგს დიდი და რთული გზა სჭირდება იმისთვის, რაღაცას რომ მიაღწიოს. ჩემს

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

ლობრივი პოლიციელებიც კი იძულებულნი არიან, თავად ისწავლონ რუსული.

16. კუს კვერცხებიდან გამოჩეკილი პატარების სქესს ტემპერატურა განსაზღვრავს. მაღალ ტემპერატურაზე მდედრობითი სქესის კუები იჩეკებიან, დაბალ ტემპერატურაზე – მამრობითი.

17. თბილისის ძარცვა-დარბევის დროს აღა-მაჰმად-ხანის მეომრები ხმლის სიბასრის გამოსაცდელად ძუძუთა ბავშვებს ჰაერში ისროდნენ და ისე ჩეხდნენ შუაზე.

18. ანტონ ჩეხოვი თავის პირველ მოთხრობებს იუმორისტულ ჟურნალებში – „სტრეკოზა“, „ბუდილნიკი“, „ზრიტელი“, „ოსკოლკი“ – ანტოშა ჩეხონტეს ფსევდონიმით აქვეყნებდა.

19. მიტოვებული სალოცავების მცველსა და სახატო წესების შემსრულებელს წოვა თუშებში აბორბარდი ჰქვია. აბორბარდობა მას შემდეგ დამკვიდრდა, რაც წოვა თუშები ალვანში გადასახლდნენ.

20. მას, ვისაც საიდუმლოს შენახვა არ შეუძლია, დოღრიალას ეძახიან.

21. „51 წლის ცივი ზაფხული“ პაპანოვის უკანასკნელი ფილმი იყო. იგი 64 წლის ასაკში გარდაიცვალა.

22. მილანის „ტანგენციალე“ ყველაზე დიდი ხიდია მსოფლიოში.

23. გულის ტრანსპლანტაციის პირველი ოპერაცია 1967 წლის 3 დეკემბერს გაკეთდა.

24. საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაცია შვაიერ ჰენრი დუნანტმა დააარსა.

25. ვახუშტი კოტეტიშვილის მეუღლე მამით ხევსური (გოგოჭური) და დედით ფშაველია (ბაიაშვილი). იგი ქმარზე 29 წლით არის უმცროსი. როდესაც თხოვდებოდა, ფშავ-ხევსურებმა სიძე დაიწუნეს – ბებერიაო. ნაწყენმა ვახუშტი კოტეტიშვილმა ასეთი ლექსი მისწერა მათ:

რად გინდათ, ფშაველ-ხევსურნო,
ჩატყდეს ჩვენ შორის ხიდია,
მე მგონი, კაცი ფასდება,
იმით, რაც უფრო მშვიდია,
რაც უფრო მეტი სიბრძნე აქვს,
რაც მეტი ტვირთის მზიდია.
ძველ ღვინოს ენდეთ, ძმობილო,
თორემ მაჭარი ფლიდია...
ეგ შარი, რასაც მიწუნებთ,
მე სწორედ იქა მკიდია! ■



ცხოვრებაში წარმატება შედარებით ადრე მოვიდა. თორმეტი წლიდან სერიოზულად ვარ ჩაბმული შემოქმედებით შრომაში. ხელი შემიწყო ჩემმა ძმამ. ვაჟას დახმარებით გავაკეთე პირველი ალბომი. მეხმარებოდნენ ჩემი მეგობრებიც. არ არის აუცილებელი მატერიალური მხარდაჭერა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, როგორი გულით დაგიდგებიან გვერდით.

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შენ და გიორგი აბაშიძე მეგობრები ხართ. ამბობენ, გწყალობს თავად ბატონი ასლანიც. რა ურთიერთობა გაქვს მათ ოჯახთან?

— პირველ რიგში, გეტყვით იმას, რომ მაქვს არაჩვეულებრივი ურთიერთობა. მე და გიორგი თანაკლასელები ვართ და, ცხადია, ვმეგობრობთ კიდეც. გიორგის და — დიანა ჩემი საუკეთესო მეგობარია, არაერთხელ შემიწყო ხელი თანადგომით. რაც შეეხება მფარველობას, მე არასოდეს მითხოვია მათთვის არც სპონსორობა და არც მფარველობა. რადგან მეგობრები ვართ, ამის გამო ვერ ვეტყვი: გიორგი ჩემი სპონსორი გახდი-მეთქი. მეუხერხულება ამის თქმა და არც არასდროს მსგავსი რამ არ გამიკეთებია. არანაირი პრობლემა ჩვენ შორის არ ყოფილა და ალბათ, არც იქნება.

— ბოლო პერიოდში ბათუმელმა მომღერლებმა შეძლეს ქართულ ესტრადაზე ფეხის მოკიდება, არც ამაში მიუძღვის ასლან აბაშიძეს წვლილი?

— ეს ხალხი ნიჭიერია და თანაც, მშრომელი. ნინო ქათამაძეს მსმენელი არ იცნობდა, როცა მე მასთან დუეტი ჩავწერე და საახალწლო გადაცემაში გამოვიყვანე, მას შემდეგ აგორდა ტალღა: ვიღაც უფრო მეტად დაინტერესდა, ვიღაცამ მისი სიმღერა შეიყვარა... ასე ხდება ყოველთვის. ნიჭიერ ხალხს თანადგომა და ხელშეწყობა სჭირდება. ვცდილობ, გამოვაჩინო ყველა, ვინც ნიჭიერია.

— შენ თუ გამოგიყენებია ვინმე იმისთვის, რომ „ქულები დაგეწერა“, ვიღაცის პოპულარობა გამოგეყენებინა იმისთვის, უფრო ცნობილი რომ გამხდარიყავი?

— არა, პირიქით. ძალიან ვამაყობ იმით, რომ არასოდეს არავინ გამომიყენებია. არავის გვერდით არ მიმღერია იმ მიზნით, რომ გავმხდარიყავი კიდევ უფრო პოპულარული. მე ეს არ მჭირდება. მყოფნის ის, რაც მაქვს. ძალიან მდიდარი ადამიანი ვარ — არა მატერიალურად, არამედ სულიერად, მორალურად. ვთვლი, რომ შემიძლია იმ ადამიანების წარდგენა და სცენაზე გამოყვანა, ვინც ჯერჯერობით შოუბიზნესში პოპულარული არ არის, მაგრამ ნიჭიერია.

— მოვიდა ის დრო, როცა ელემენტარულად, უხერხულია იმის კითხვა, არსებობს თუ არა ჩვენში შოუბიზნესი?

— ნამდვილად ასე ვფიქრობ. პირველად ვამბობ ხმამაღლა, რომ მაქვს ერთადერთი საარსებო წყარო და რომ არ არსებობდეს შოუბიზნესი, მაშინ არც მე ვიარსებებდი. რადგან მე მაქვს შესაძლებლობა, გავმართო კონცერტი, ვიმღერო და ავიღო გარკვეული თანხა, ე.ი. არსებობს შოუბიზნესი. მე რომ ბიზნესმენი ვიყო, მაშინ შეგეძლოთ გეფიქრათ: გასართობად მღერის, ფულის მეტი რა აქვსო... ამ ეტაპზე კი, ჩემი მუშაობის სფერო შოუბიზნესია.

— კახა, მიგაჩნია თუ არა, რომ ვარსკვლავს პირადი დაცვა სჭირდება?

— თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში დაცვა ვისაც ჰყავს, ისიც კი არ არის დაზღვეული უსიამოვნებებისგან, — მაშინ გამოდის, რომ დაცვის აყვანას აზრი არა აქვს. მაგრამ კონცერტზე მომღერალი ნამდვილად უნდა იყოს დაცული.

— რატომ? რაიმე საფრთხე შეიძლება შეიქმნას თინეიჯერებისგან თუ ამას მხოლოდ ბოთლების სროლის გამო ამბობ?

— სხვათა შორის, ჩემთვის ბოთლი ჯერ არ უსვრიათ და ამის გამო, შინაგანად კმაყოფილი ვარ. სცენაზე რომ გავდიოდი, ვფიქრობდი — რა უნდა ვქნა, ბოთლები რომ დამიშინონ-მეთქი? გაოცებული დავრჩი, რომ არ მესროლეს. შეიძლება, ბოთლები შემოაკლდათ და ამიტომ, შეიძლება, ამის სურვილი არ გაუჩნდათ. ყოველ შემთხვევაში, მე მაინც მადლობა მინდა ვუთხრა მათ. მადონას კონცერტებზე ბადე იყო ხოლმე შემოვლებული, რომ მომღერალს რამე არ მოხვედროდა და არ დაშავებულიყო. მე ბათუმშიც ჩამიტარებია კონცერტები, მაგრამ იქ ბოთლები არავის უსვრია. ორგანიზატორებმა უნდა გამოიჩინონ უფრო მეტი სიფრთხილე. როგორ შეიძლება, კონცერტზე სასმელ-საჭმელი გაიყიდოს?! კონცერტზე ყველა უნდა იყოს დაცული, რადგან თუნდაც სიყვარულის გამოსახატავად, თინეიჯერმა ისეთი რამ შეიძლება გააკეთოს, რომ მომღერალი დააზარალოს.

— ვინ ზრუნავს შენს ჩაცმაზე? მხოლოდ მაკა ასათიანი?

— მიყვარს ორიგინალური სამოსი. ამაში მაკა ასათიანი მეხმარება. მაკა ჩემი მეგობარია. ჩვენი გემოვნება ხშირად ემთხვევა. ერთმანეთის სურვილებს ვითვალისწინებთ და ასე ვირჩევთ ხოლმე, რა უნდა ჩავიცვა. ჩემი ტანსაცმელი განსხვავებული უნდა იყოს. ბევრს მიაჩნია, რომ ჩემი სტილი ექსტრავაგანტურია, არადა, ჩვეულებრივად, მაგრამ გემოვნებით ვიცვამ...

— რატომ დადიხარ ამ სალონში? ვინ არის შენი სტილისტი და რა გიზიდავს აქ?

— ამ სალონში უკვე დიდი ხანია დავდივარ. აქ კარგი ატმოსფეროა. ჩემი სტილისტი ლუდაჩკაა. არ მჭირდება მისთვის მითითებების მიცემა — ის ჩემს გემოვნებას აბსოლუტურად აკმაყოფილებს. ვზივარ ჩემთვის, ვფიქრობ, ის კი თავის საქმეს შესანიშნავად აკეთებს. აქ ყოველთვის სიმყუდროვეა. ამ ხალხს შევეჩვიე და სხვაგან წასვლას არ ვაპირებ.

— კახა, თუ გიფიქრია, რომ შეიძლება დადგეს დღე, როცა შენ სიმღერაზე უარს იტყვი და მთელ დროს ინსტრუმენტულ მუსიკას დაუთმობ?

— გპირდებით, რომ მე ყოველთვის ვიმღერებ...

■

სანამ გუმბათი ჩამოიქცეოდა, ტაძარში მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები ატირდნენ

ელისო გურგენიძე

კახეთში ერთ-ერთი უდიდესი, ხირსის სტეფანწმინდის ტაძარი, ამ ცოტა ხნის წინ თითქმის ნახევრად დაინგრა: შუადღისას უეცრად ჩამოიქცა ტაძრის გუმბათი. მაგრამ, როგორც იტყვიან, პატრონი და მშველელი არსად ჩანს. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ მოქმედი ეკლესია, ბოლო დროს ღამურების თავშესაფრად იყო ქცეული და ფრინველთა სკორისაგან ისეთი სუნი იდგა ტაძარში, რომ აირწინაღის გარეშე შესვლა ჭირდა.

— ფაქტობრივად, თავზე გვექცევა ტაძარი. წმინდანის საფლავზე მალე ალბათ ნანგრევები აღმოჩნდება — *ღელავენ ხირსის სტეფანწმინდის მონასტრის ეზოში შეკრებილი ტიბაანელები.*

— რატომ ინგრევა ტაძარი?

— გუმბათიდან წყალი ჟონავდა. დაიბზარა კედლები, ლოდები დალპა. ამ ერთი თვის წინ კი, გუმბათი ჩამოინგრა და ზევიდან უზარმაზარი დამპალი ლოდები ჩამოცვივდა. წირვა-ლოცვა აღარ ტარდება. ავარიული მდგომარეობის გამო ტაძარში ვეღარ შევდივართ.

ასურელ მამათაგან ერთ-ერთმა — წმ. სტეფანე ხირსელმა, მეექვსე საუკუნეში ააშენა ეს ტაძარი საქართველოში ქრისტიანობის განსამტკიცებლად. წმ. სტეფანე ამავე ტაძარში მოღვაწეობდა და აქვეა დაკრძალული. საუკუნეების მანძილზე ტაძართან არსებული მონასტერი ევანგელიზაციის ცენტრის ფუნქციასაც ასრულებდა აღმოსავლეთ საქართველოსა და მთელ კავკასიაში. მეოცე საუკუნეში ეკლესიამაც და მონასტერმაც ფუნქციონირება შეწყვიტა. 1992 წელს მონასტრის ტერიტორიაზე წმ. სტეფანეს სახელობის სასწავლებელი გაიხსნა. ტიბაანელები დღესაც დიდი სითბოთი და სიყვარულით იგონებენ მამა გრიგოლს — მოძღვარს, რომელმაც ხსენებული სასწავლებელი დააარსა.

ნაირა დორსმიშვილი:

— ამ სასწავლებელს მამა გრიგოლი ხელმძღვანელობდა. მთელი სიღნაღის რაიონიდან მოდიოდნენ ჩვენთან მოსწავლეები. სასწავლებელში 90-მდე ბავშვი სწავლობდა. მამა გრიგოლმა ტაძრისთვისაც ბევრი რამ გააკეთა. მის გადახურვაზეც დაიწყო ზრუნვა. ტაძარს გარშემო რკინის ხარაჩოები შემოავლო. გადასახურად სპილენძის ფურცლები მოზიდა. მამა გრიგოლის წასვლის შემდეგ დაიხურა სასულიერო სასწავლებელი. მას შემდეგ, წლები გავიდა, ტაძარს ნამდვილი მზრუნველი და გულშემატკივარი აღარავინ გამოუჩნდა. ზრუნვას ვინ ჩივის, — გადასახურად მოზიდული სპილენძის ფურცლებიც კი მოიპარეს.

— ადგილობრივი მოსახლეობა არ აქცევდა ტაძარს ყურადღებას?

ნინო ალელაშვილი:

— გადავწყვიტეთ, ფული შეგვეგროვებინა. ვინც კი ტიბაანიდან იყო წარმოშობით და ამ პერიოდში საქართველოდან საზღვარგარეთ წასული, ყველას დახმარება ვთხოვეთ. გარკვეული თანხა შეგროვდა, მაგრამ ტაძრის ჩამონგრევის შემდეგ ის თანხა აღარ არის საკმარისი შენობის რეკონსტრუქციისთვის. წერილობით მივმართეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და ძეგლთა დაცვის სამმართველოს. იქიდან შემოგვითვალეს, ტაძრის შეკეთების საშუალება კი არა, ბენზინის ფულიც არ გვაქვს, რომ მანქანაში ჩავასხათ და ჩამოვიდეთო. თვითონ ადგილობრივი მოსახლეობა და ბავშვები თავდაუზოგავად ვმუშაობდით ტაძრის დასასუფთავებლად.

ვასიკო ლილუაშვილი (სკოლის მოსწავლე):

— ძალიან ცუდი სუნი იდგა. აირწინაღების გარეშე ვერ შევდიოდით ტაძარში. დაბზარული კედლებიდან ღამურები შეფრინდნენ ეკლესიაში. 1500 ღამურა მაინც დავხოცეთ და 5 ტონამდე სკორე გამოვიტანეთ ტაძრიდან.

მარიამ ჩალათაშვილი:

— არ არის კარგის მომასწავებელი ამ ტაძრის დანგრევა — არც ჩვენთვის და არც მთელი საქართველოსთვის. გუმბათის ჩამონგრევამდე მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები ატირდნენ ეკლესიაში. დღესაც მირონი სდით წმ. ნიკოლოზისა და ღვთისმშობლის ხატებს... საშინელი სანახავია ტაძარი შიგნიდან. ხატებს ნაჭერი აქვთ გადაფარებული, რომ ზემოდან ნანგრევები არ დაეყაროთ. სამწუხაროდ, წმ. სტეფანე ხირსელიც და ეს ეკლესიაც დავიწყებული და შეურაცხყოფილია ქართველებისგან. ამას არც წმინდანი იმსახურებს და არც სტეფანწმინდის ეკლესია. ■

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისა და საქართველოს პარლამენტის წევრის თამაზ ნადარეი-შვილის ცხოვრება-ქონებაზე მითებს ჰყვებიან... არადა, კაცმა არ იცის, მართლა რა ავლადიდების პატრონია დიდგვაროვან აფხაზ თავადთა მემკვიდრე. ამჯერად, ბატონ თამაზს დეკლარანტის ამპლუაში წარმოგიდგენთ.

ნინო ჯავახიშვილი

უჯრიდან ყველაზე ფანტელი

დოსიე:

თამაზ ნადარეიშვილი გაგრაში 1954 წლის 19 ივლისს დაიბადა. მამამისი, ვლადიმერ ნადარეიშვილი – გაგრის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი, ცნობილი პიროვნება და შეძლებული კაცი ყოფილა. 7 წლის თამაზს მამა ავიაკატასტროფაში დაეღუპა. ბატონმა ვლადიმერმა იმხელა ქონება დაუტოვა ოჯახს, რომ ადრე დაქვრივებულ ახალგაზრდა ალექსანდრა შენგელაიას (დიდგვაროვან თავადთა შთამომავალს – მერი შარვაშიძისა და თავადაზნაურთა თვალსაჩინო წარმომადგენლის, ვარლამ შენგელაიას მხოლოდშობილ ასულს), მატერიალურად არ გასჭირვებია ობლების დაზრდა. ქალბატონი ალექსანდრა წინაპართა რელიკვიებს სათუთად უნახავდა შვილებს, მაგრამ დღეს საგვარეულო განძიდან მხოლოდ მერი შარვაშიძის ალბომიღა შემორჩა, რომელიც გაგრის დაცემის შემდეგ აფხაზმა ნათესავებმა გამოუგზავნეს თბილისში.

ახალგაზრდა თამაზ ნადარეიშვილი და სოხუმელი ლელა ყურაშვილი სიყვარულით შეუღლებულან. სხვათა შორის, ნადარეიშვილის მეუღლე თავადაც საკმაოდ შეძლებული ოჯახიდან გახლავთ. მამამისი „აფხაზთამბაქოს“ გენერალური დირექტორი ყოფილა, რომელსაც ქალიშვილისთვის მზითვად მოუყოლებია უზარმაზარი სახლი სოხუმის ცენტრში. ერთი სიტყვით, ქონება ქონებას დაემატა და ნადარეიშვილების ოჯახის ცხოვრებაც ზღაპრივით აეწყო.

დეკლარაციაში მხოლოდ ნადარეიშვილების ერთადერთი მემკვიდრე და შეძლებული ბაბუის მოსახელე – ვლადიმერ ან, როგორც მოფერებით ეძახიან – ვაკო ფიგურირებს, რომელიც ამჟამად პარლამენტის აპარატში იურისტად მუშაობს. 23 წლის ანა კი, იმ საპატიო მიზეზით ამოვარდა „დეკლარირებული“ შვილების სიიდან, რომ 3 წლის წინ გათხოვდა და თბილისელი კერესელიძეების რძალი გახდა.

რა შარს გადაჰყარა ნადარეიშვილი ძველმა მილიონებმა?!

ნადარეიშვილების ოჯახის მთელ უძრავ-მოძრავ ქონებას შეადგენს საცხოვრებელი ბინა თბილისში, რომელიც 200 ათას ლარად არის შეფასებული, და ოციათასლარიანი ავტომანქანა „მერსედესი“. ეს არის და ეს! არადა, „ბოროტი ენები“ ნადარეიშვილის მილიონებზე ლაპარაკობენ... სულ ტყუილად! ძნელია ცხოვრება, როცა ყველას ყველაფერი აქვს, შენ თვითონ კი არაფერი გაბადიაო, – დასცდა ბედის სამდურავი დეკლარანტს და ბოლოს დაიქადნა, – თბილისში დროებით ვცხოვრობ, ამიტომ სულ არ მჭირდება აქ სრა-სასახლეებიო. აი, დავბრუნდები აფხაზეთში და მაშინ უამრავი სახლიც მექნება, რესტორანიც, მაღაზიაც და ანგარიშზე კარგა გვარიანი თანხაც... ნადარეიშვილებმა ხომ აფხაზეთში მართლაც მილიონების ქონება დატოვეს.

– შარშანდელ დეკლარაციაში, ჩემდა ჭირად, ის სახლებიც ჩავწერე, სოხუმსა და გაგრაში რომ მქონდა. ეს იყო სიმბოლური ჩანაწერი, რითაც კიდევ ერთხელ დავაფიქსირე, რომ ყველაფერი, რაც აფხაზეთში დაგვრჩა, ჩვენია, თორემ გაგრის სახლიც (რომელიც დეკლარაციაში 2 მილიონ ლარად არის შეფასებული. – ავტ.) გადაწვეს სეპარატისტებმა და სოხუმისაც (რომლის დეკლარირებული ფასი 1 მილიონი ლარია. – ავტ.). სენსაციების მოყვარულმა ჟურნალისტებმა კი ეს ამბავი აიტაცეს და მილიონერთა სიაში ჩამწერეს – აი, ნახეთ, ნადარეიშვილს რამდენი ქონება აქვსო. დიახ, ეს ქონება ნამდვილად მქონდა! მქონდა წინაპრებისგან დანატოვარი ადგილ-მამული, სახლ-კარი და შარვაშიძე-დადიანთა ნაქონი უნიკალური საგვარეულო ნივთები, მაგრამ დღეს არაფერი აღარ არსებობს – ყველაფერი აფხაზეთში დარჩა.

— წლევანდელი დეკლარაციიდან რატომ „აორთქლდა“ ეს „სიმბოლური“ ჩანაწერი?

– წელს კი არა, ნეტავ შარშანაც არ ჩამეწერა: ამის გამო იმდენ შარს გადავაწყდი, რომ ვერც აღგიწერთ.

— ისე, იმასაც ამბობენ, რომ თბილისში ჩამოსვლისთანავე ბინების ყიდვა-გაყიდვის ბიზნესში ჩაერთეთ...

– ესეც მორიგი მონაჭორია. თბილისში რომ ჩამოვედი, ცოლ-შვილთან ერთად, ხან რომელ ნათესავთან ვცხოვრობდი და ხან – რომელთან. თენგიზ სიგუამ, რომელიც მაშინ პრემიერ-მინისტრი იყო, ეს ამბავი რომ გაიგო, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე კარგი სამოთახიანი ბინა მომცა. მოგვიანებით, მეორე ბინა მერიამ გამომიყო ლტოლვილი ნათესავებისთვის. რამდენიმე წელიწადში ნათესავთაგან, ზოგი რუსეთში წავიდა, ზოგიც გარდაიცვალა. გადავწყვიტე, ორივე ბინა გამეყიდა და საკუთარი სახლი მეყიდა. გავარემონტე და გავყიდე, მეორეც გავარემონტე და ისიც გავყიდე. ერთი სიტყვით, ბოლოს და ბოლოს, ნუცუბიძეზე ერთსართულიანი ნორმალური სახლი ვიყიდე. აი, სწორედ ეს „ოპერაციები“ გახდა ამ ჭორების აგორების საფუძველი... ერთ ამბავსაც მოგიყვებით – ანეკდოტს კი ჰგავს, მაგრამ სიმართლეა: ხობში ჩასულ ერთ

ლტოლვილს მთელი ქალაქი შეუყრია — ეს რა ვნახე, ნადარეიშვილს რამხელა სასახლე ჰქონიაო. მეზობლები დაინტერესებულან — ნეტავი, რა არის ამისთანაო? რა ვიცი, უზარმაზარი სახლი კია, სასტუმრო „აჭარის“ გვერდით დგასო: თურმე სპორტის სასახლეს გულისხმობდა... კარგად ვიცი, ასეთ ჭორებს რატომაც მიგონებენ — იმიტომ, რომ დევნილი მოსახლეობა დამიპირისპირონ. ისიც კი მომიგონეს, თითქოს 12 ძაღლი მყავდა და ყოველდღე მათ 12 კგ ხორცს ვაჭმევდი, რაც, ბუნებრივია, ხალხში გაღიზიანებას გამოიწვევდა: აი, ჩვენ მშივრები ვართ, ნადარეიშვილი კი თავის ძაღლებს ხორცით უმასპინძლდებაო... კარგად ხვდებიან, ჩემ გვერდით 300000 კაცი რომ დადგეს, აფხაზეთში დავბრუნდებით.

„საჩუქრები ძალიან მიყვარს“

იყო დრო, როცა სხვის ჭერქვეშ სამადლოდ შეფარებულ ნადარეიშვილების ოჯახს ძალიან უჭირდა. ისე უჭირდა, რომ თურმე ბატონი თამაზის თანამეცხედრე, ძვირფას სამკაულებსაც კი შეელია და გაყიდა! ის კი არა და, ერთხანს, ნაცნობ-მეგობრებთაგან ნაწყალობევი ჩასაცმელ-დასახურითაც გადიოდა თურმე იოლას.

— 1995 წელს მიუნხენში გულით ავადმყოფთა კლინიკაში ვმკურნალობდი. იქ გავიცანი ქართველი ემიგრანტი ქრისტეფორე კირკიტაძე — შეძლებული კაცი და ერთ-ერთი იურიდიული ფირმის შეფი, რომელმაც უამრავი რამით დამასაჩუქრა — პიჯაკებით, პერანგებით, ჰალსტუხებით და ა.შ. მოკლედ, ისე „დამგრუზა“, რომ სამ-ოთხი წელი ჩაცმის პრობლემა აღარ მქონია. საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებშიც უამრავ საჩუქარს ვიღებდი. რატომღაც(!) ყველა ცდილობდა, რომ ჩემთვის პატივი ეცა.

— ეტყობა, საჩუქრები ძალიან გიყვართ?

მერი შარვაშიძის პორტრეტი

— რატომაც არა. თქვენ არ გიყვართ? თუ ვინმე რაიმეს მაჩუქებს, დიდად მადლობელი დავრჩები, მაგრამ ამ ბოლო დროს, არავის აღარაფერი ემეტება...

— როგორც ამბობენ, ავტომანქანაც მეგობრებმა გისახსოვრეს...

— დიდი არაფერი — ნახმარი, 7 წლის მანქანაა. ბევრ ლტოლვილსაც არ გაუჭირდება ასეთი ავტომანქანის ყიდვა. ძირითადად, ჩემი ოჯახის წევრები სარგებლობენ — მე სამთავრობო მანქანა მემსახურება.

— მაინც ვინ გაჩუქათ, არ გაგვიმხელთ?

— ყველამ ძალიან კარგად იცის, მაგრამ მაინც არ გეტყვით! ადრეც, დიდი ამბავი ატყდა ამის გამო, მაკონტროლებლებმა შეაწუხეს... არადა, იმ კაცმა სკოლაც ააშენა და ეკლესიაც. 6-7 ათასლარიანი მანქანის ყიდვა გაუჭირდებოდა?! *(ბატონ თამაზს ალბათ დააავიწყდა, „ტერსედესი“ 7.000-ად კი არა, 20.000-ად რომ შეაფასა დეკლარაციაში. — ავტ.).*

პოლიტიკოსის ფიქრები — რესტორნის შეფი ვიქნები!

მუშნი ზარანდიასეული პრინციპი — კაცი უნდა ეყოს ხელფასს და არა ხელფასი კაცს — კარგად შეუთვისებია მომჭირნე ლტოლვილ დეკლარანტს. ნადარეიშვილების ყოველთვიური სახელფასო შემოსავალი, ბატონი თამაზის თქმით, სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ ოჯახმა თავი ირჩინოს. დეკლარაციის მიხედვით, თამაზ ნადარეიშვილის, როგორც აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისა და პარლამენტის წევრის წლიური შემოსავალი 8.310 ლარით განისაზღვრება. ოჯახის ბიუჯეტის შევსებაში გარკვეული წვლილი მის მეულლესაც შეაქვს. იგი საგარეო საქმეთა სამინისტროს საკადრო დეპარტამენტის უფროსია და მისი ყოველწლიური ხელფასი 1.996 ლარს შეადგენს. რაც შეეხება ვაჟიშვილს, საკუთარი ხელფასი (ყოველთვიური 100 ლარი) მხოლოდ გზის ფულად თუ ეყოფა.

— ხომ იცით, ოჯახისთვის ყველაზე მთავარი პრობლემა მაინც ჭამა და ჩაცმადახურვაა. ამისთვის ჩვენი შემოსავალი თავისუფლად გვყოფნის. ისე, სიმართლე რომ გითხრათ, მაინცდამაინც პრეტენზიული მჭამელიც არ ვარ: ხორცს საერთოდ არ ვეკარები, აი, თევზეულზე კი უარს ვერ ვამბობ, თუმცა იშვიათად ვყიდულობ — უმეტესად, ფოთიდან და ბათუმიდან მიგზავნიან ხოლმე ახლობლები. რაც შეეხება ჩაცმას, არც მე ვარ კაპრიზული და არც ჩემი ცოლ-შვილი. ასე რომ, არც ამაში გვეხარჯება მაინცდამაინც ბევრი ფული...

სხვათა შორის, თამაზ ნადარეიშვილის დეკლარაციაში ვერც აქციები, ვერც სხვა ფასიანი ქაღალდები და საბანკო ანგარიშები ვერ აღმოვაჩინეთ.

— ბატონო თამაზ, ანგარიშებიც უფულობის გამო არ გაქვთ გახსნილი თუ თქვენც უცხოეთის ბანკებისკენ გიჭირავთ თვალი?

— არავითარი ანგარიშები და აქციები არ მაბადია. საერთოდ ვერ ვერკვევი ასეთ რამეებში. ჩემზე უთქვამთ — ანგარიშზე 5 მილიონი დოლარი აქვსო. ცოტა არ იყოს, გავნაწყენდი კიდეც — რატომ 5 და არა, მაგალითად, 25?! ვისზე ნაკლები ვარ-მეთქი? ანგარიში რომ მქონდეს გახსნილი, დედაჩემს, მერი შარვაშიძის ქალიშვილს, სადღაც გადაკარგულში ვაცხოვრებდი? დედაჩემი ვარკეთილში კი არა, — ვაკეში, სასახლეში უნდა ცხოვრობდეს!

— თანამდებობა ხელს გიწყობთ და რაიმე, დამატებითი შემოსავლის წყაროზე არ გიფიქრიათ?

— კი მიფიქრია, მაგრამ მარტო ფიქრი საქმეს არ შველის. ძალიან მინდა, რომ ქალაქის ცენტრში რესტორანი, მაღაზია ან ბენზინგასამართი სადგური მქონდეს, მაგრამ სად არის? ყიდვით ვერ ვყიდულობ — ძალიან ძვირი ღირს, მუქთად კი, არავინ მაძლევს. მერიასაც კი მივმართე თხოვნით, რომ გარკვეული თანხის საფასურად, რაიმე შენობა გამოეყო, მაგრამ ამაოდ. ისე, ცუდი არ იქნება, თუკი თვეში 1.000 დოლარამდე დამატებითი შემოსავალიც მექნება...

საუბრის დასასრულს, პროფესიული ცნობისმოყვარეობა ვერ დავმალე და ჩემს ენაწყლიან რესპონდენტს მოკრძალებით ვკითხე, თუ რა თანხა ჰქონდა იმწუთას ჯიბეში. პასუხად ბატონმა თამაზმა სასწრაფოდ ამოიცარიელა ჯიბეები და ფულის დათვლას შეუდგა, მცირე ხნის შემდეგ კი გამომხილა — სულ 170 ლარი ყოფილაო!..

პოსტსკრიპტუმის მაგიერ

სახელოვან წინაპართაგან თამაზ ნადარეიშვილს შთამომავლობით მხოლოდ ადგილ-მამულები როდი ერგო: თურმე მისი ბაბუა და დიდი ბაბუაც რუსეთის იმპერიის გენერლები ყოფილან. ეტყობა, ბატონ თამაზსაც უყივლა სისხლმა და ძალები სამხედრო სამსახურშიც მოსინჯა. კითხვაზე — თქვენ რა სამხედრო წოდება გაქვთ-მეთქი, ამაყად განმიცხადა: გენერალი ვარო!

დიახ, ის გენერალია, ოღონდ — უჯარო დარჩენილი გენერალი!..

■

„ძმას გავხედე, გასისხლიანებული პირდაპირ ჩემს ხელებზე დაეცა...“


რომან კოპალეიშვილი

თბილისში, 1998 წელს მომხდარი ტრაგიკული შემთხვევა, რომელსაც 16 წლის ზურა გვაზავას სიცოცხლე შეეწირა, კვლავ განხილვის საგნად იქცა. ზურა თავისივე საცხოვრებელი ბინის ახლოს, მეზობლად მცხოვრები ამხანაგის — 17 წლის რომან კოპალეიშვილის მიერ მოქნეულმა დანამ იმსხვერპლა. იგი გულმკერდის არეში სასიკვდილოდ დაიჭრა და მაშინვე გარდაიცვალა. შემთხვევის ადგილზე გახლდათ მისი უფროსი ძმა — დათო გვაზავაც. ზურა მის თვალწინ დაიღუპა.

არასრულწლოვნების კამათი საშინელი ტრაგედიით დასრულდა

მეგი ცანავა

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე სამმა სასამართლომ განიხილა. რომან კოპალეიშვილის მიმართ სამივემ ერთნაირი განაჩენი გამოიტანა და მას განზრახ მკვლელობისთვის გათვალისწინებული სასჯელი მიუსაჯა. პირველმა ინსტანციამ განსასჯელს 8 წლით პატიმრობა განუსაზღვრა (არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში კანონი სასჯელის მაქსიმუმად, 10 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გასაჩივრების საფუძველზე საქმე უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ განიხილა და განაჩენი ძალაში დატოვა. მსჯავრდებულის მხარემ ეს გადაწყვეტილებაც გაასაჩივრა და საზედამხედველო პალატას მიმართა. საზედამხედველო პალატამ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე, ზოგიერთი დეტალის გასარკვევად, წინასწარ გამოძიებაში დაბრუნა. ამის შემდეგ რომან კოპალეიშვილი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს წინაშე წარდგა. მოსამართლემ მას განზრახ მკვლელობის შესაბამისი მუხლი კვლავ დაუმტკიცა, თუმცა სასჯელის განსაზღვრისას ერთი წლის სხვაობა დაუშვა და რვის ნაცვლად, შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მსჯავრდებულის წარმომადგენლები არც ამჯერად დარჩნენ კმაყოფილნი. ისინი მიიჩნევდნენ, რომ რომან კოპალეიშვილმა ჩხუბისას თავი დაიცვა და დანა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში გამოიყენა, ამდენად, მათი აზრით, კოპალეიშვილის ქმედება კანონსაწინააღმდეგო არ იყო, რის გამოც იგი პასუხისმგებლობისგან უნდა გათავისუფლებულიყო. ამ შინაარსის საჩივრით მათ თბილისის საოლქო სასამართლოს მიმართეს. რომან კოპალეიშვილის მიმართ განაჩენის შესახებ გადაწყვეტილებას მოსამართლეები ამ დღეებში მიიღებენ.

სამწუხაროდ, როგორც მსგავს დანაშაულებათა უმეტეს შემთხვევაში, ისე ამ საქმეშიც, მკვლელობის წინაპირობა, ახალგაზრდებს შორის არასერიოზული მიზეზის გამო წარმოქმნილი შელაპარაკება და უბრალო ჩხუბი გახლავთ. თუმცა, როგორც გაირკვა, რომან კოპალეიშვილსა და ზურა გვაზავას შორის წყენა კარგა ხნის წინ წარმოიშვა.

რომან კოპალეიშვილი თბილისში, ზაზიშვილის ქუჩის I შესახვევში ცხოვრობდა. იგი ბავშვობიდან მეგობრობდა მისი საცხოვრებელი სახლის ეზოში მეზობლად მცხოვრებ ალექსანდრე (ალიკა) აკოფოვთან. ალიკას ასეთივე მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა იქვე, მამრაძის ქუჩაზე მცხოვრებ, აფხაზეთიდან ლტოლვილ ზურა (შალვა) გვაზავასთან. ალიკა და ზურა კალათბურთს ერთ გუნდში თამაშობდნენ. ზურა ალიკასთან სახლში ხშირად დადიოდა. სწორედ იქ გაიცნო რომან კოპალეიშვილიც.

1997 წლის მიწურულს კალათბურთის გუნდის სათამაშო დარბაზის გასახდელში ერთ-ერთ მოთამაშეს სპორტული ფეხსაცმელები — „ბოტასები“ დაეკარგა. გუნდის ზოგიერთი წევრი ამაში ალიკა აკოფოვსა და ზურა გვაზავას ადანაშაულებდა. ამის გამო მათ შორის შელაპარაკება მოხდა, რის შემდეგაც ერთმანეთს აღარ ეკონტაქტებოდნენ. ამის შესახებ რომან კოპალეიშვილმაც შეიტყო და ზურა გვაზავაზე განაწყენდა.

1998 წლის 31 იანვარს ალიკა აკოფოვი ჩხუბისას ვინმე ლევან თვალაშვილმა მოკლა. იმ დღეებში მის პანაშვიდებზე მეგობრები დადიოდნენ, მათ შორის ზურა გვაზავაც იყო. რომან კოპალეიშვილი ძალიან განიცდიდა თავისი საუკეთესო მეგობრის მოულოდნელ, ტრაგიკულ სიკვდილს. საქმის მასალების მიხედვით, ერთ დღეს, სამძიმრისას მან ზურა გვაზავა შენიშნა. გაახსენდა, რომ ალიკა მასზე ნაწყენი იყო და გაბრაზებულმა უცენზურო სიტყვებით მიმართა და შემდეგ დედა შეაგინა ყველას, ვინც ალიკას არ ელაპარაკებოდა. ზურას არაფერი უთქვამს.

1998 წლის 20 აპრილს, აღდგომის მეორე დღეს, ალიკა აკოფოვის საფლავზე მეგობრებმა კვლავ მოიყარეს თავი. რომან კოპალეიშვილმა იქ მყოფ ზურა გვაზავას იმ დღესაც მიმართა უცენზურო სიტყვებით. „ამას დედის გინება აქვს „შეწერილიო“ — თქვა რომანმა ზურას მისამართით. ზურამ არც ამჯერად უპასუხა, იქაურობა დატოვა და შინ წავიდა.

1998 წლის 22 მაისს, საღამოს, ზურა გვაზავა მეგობრებთან იმყოფებოდა. დაახლოებით 8 საათამდე კალათბურთი ითამაშეს, მერე კი ერთ-ერთ მეგობართან — გიორგი ჯანდიერთან ერთად, ზაზიშვილის ქუჩით სახლისკენ წავიდნენ. სწორედ მაშინ, მან ქუჩაში რომან კოპალეიშვილი შენიშნა. იგი ბავშვებთან ერთად, თავისი სახლის წინ, ეზოში კალათბურთს თამაშობდა. ზურა და გიორგი რომანს მიუახლოვდნენ. ზურამ ამ უკანასკნელს იქვე მდებარე ხევში გაყოლა სთხოვა — შენთან სალაპარაკო მაქვსო. კოპალეიშვილმა მას უარი უთხრა: თუ სალაპარაკო გაქვს, აქვე ვილაპარაკოთო. ზურა და გიორგი უკან გაბრუნდნენ, თუმცა ქუჩის კუთხეში მათ ზურას უფროსი ძმა — 20 წლის დათო გვაზავა შეხვდათ. მან რომანისა და ზურას დაძაბული ურთიერთობის შესახებ იცოდა. ისიც ჰქონდა გაგონილი, რომ

სასამართლო კოლეგია. წინა პლანზე – ადვოკატი ოთარ გამყრელიძე

რომანმა მის ძმას რამდენჯერმე სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და ამით იგი ბიჭების წინაშე დაამცირა.

ზურამ მას ცოტა ხნის წინ რომანთან შეხვედრის შესახებ უთხრა. დათომ ბიჭებს შესთავაზა – მე გაგყვებით და დაველაპარაკოთო. ისევ მიბრუნდნენ. ამჯერად რომანი მათ დაემორჩილა და იქვე მდებარე ეზოში გაჰყვა. ზურამ რომანს შეურაცხყოფისთვის პასუხი მოსთხოვა. მათ შორის კამათი დაიწყო, რაც მალე ჩხუბში გადაიზარდა. რომანმა ზურას ხელი გაარტყა, ამ უკანასკნელმაც დარტყმითვე უპასუხა. გიორგი ჯანდიერმა იმ მომენტში იქაურობა მიატოვა და გაიქცა. დათო გვაზავა კი მოჩხუბრების გაშველებას შეეცადა და მათ შუაში ჩაუდგა. რომანმა მას ფეხი მოუქნია და წიხლი მკერდში ჩაარტყა. დათო წაიქცა. ამ დროს რომანმა სპორტული შარვლის ჯიბიდან დასაკეცი დანა – ე.წ. „ბაბოჩკა“ ამოიღო და იგი ზურა გვაზავას მიმართულებით მოიქნია. ამ უკანასკნელს მან დანით სამი ჭრილობა მიაყენა. მძიმედ დაჭრილი ზურა ადგილზევე გარდაიცვალა. რომან კოპალეიშვილი იქიდან მაშინვე გაიქცა, შევარდა თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოში, აირბინა კიბე, ცოტა ხანში შინიდან ისევ გამოვიდა, ავიდა სახურავზე, საიდანაც იქვე მდებარე ქარხნის სახურავზე გადახტა, გადაძვრა ხეზე და ასე ჩავიდა ძირს. გააჩერა ტაქსი და ორთაჭალაში, თავისი დედის ძმასთან – გურამ ანთიძესთან წავიდა. მისთვის ჩხუბის შესახებ არაფერი უთქვამს, უთხრა მხოლოდ ის, რომ სახლში უსიამოვნება მოუვიდა. მასთან ისადილა, მერე ნარდიც ითამაშა და ბოლოს, დასაძინებლად წავიდა.

პროკურატურაში რომან კოპალეიშვილი 1998 წლის 11 ივლისს ბრალის აღიარებით გამოცხადდა. თუმცა, სამართალდამცავთა მიერ წარდგენილ ბრალდებაში ზურა გვაზავას განზრახ მკვლელობაში მან თავი დამნაშავედ არ ცნო. ბრალდებულმა განმარტა, რომ მართალია, განიცდის იმას, რაც მოხდა, მაგრამ დანაშაული გაზრახ არ ჩაუდენია. მისი თქმით, იგი თავს იცავდა და ზურა გვაზავას მხოლოდ მოგერიების წესით მიაყენა დაზიანებები. კოპალეიშვილი ირწმუნება, რომ მას ზურა და დათო გვაზავები გიორგი ჯანდიერთან ერთად თავს დაესხნენ.

„მე ძლიერ ნაცემი ვიყავი, გონება თითქმის დაკარგული მქონდა, ისე ვიქნევდი დანას აქეთ-იქით. იმის ახსნაც არ შემიძლია, რა დროს, ვის მივაყენე დაზიანებები...“ – ამბობდა **რომან კოპალეიშვილი** წინასწარი გამოძიებისას.

მაშინ იგი ქალაქ თბილისის 141-ე საშუალო სკოლის მე-11 კლასში სწავლობდა და პარალელურად, უნივერსიტეტში ეკონომიკურ ფაკულტეტზე მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდა. მისი თქმით, მას ზურა გვაზავასთან, ნაცნობობის გარდა, სხვა არაფერი აკავშირებდა. კოპალეიშვილი კატეგორიულად უარყოფს მასთან ალიკა აკოფოვის გამო რაიმე უთანხმოებას.

დალი ანთიძე, განსასჯელის დედა:

„ადრე ჩემს შვილსა და ზურა გვაზავას თითქმის არანაირი ურთიერთობა არ ჰქონიათ, მხოლოდ უბრალო ნაცნობობა აკავშირებდათ, თუმცა, ორივენი კარგ დამოკიდებულებაში იყვნენ ჩვენს მეზობელ ალიკა აკოფოვთან. ეს ბიჭი რომ დაიღუპა, მეგობრები სასფლაოზე მართლაც შეიკრიბნენ. ჩემი შვილიც იქ იყო. ზურას ძმას უთქვამს – „ვოლგის“ მარკის ავტომანქანა სჯობს „ბე-ემ-ვე“-სო. ამის გამო შეკამათდნენ თურმე. როცა იქიდან წამოსულან, რომანს უთქვამს ზურასთვის – რატომ შეეგინე დედაო. აი, ამ მიზეზით მოხდა მათ შორის ჩხუბი. საკალათბურთო დარბაზში დაკარგული „ბოტასები“ აქ არაფერ შუაშია...“

ნელი არზიანი, დაღუპულის დედა:

„სწორედ იმ „ბოტასების“ გამო, ჩემს შვილსა და ალიკას, გუნდის წევრები ფულს – 100 დოლარს „აწერდნენ“. ჩანთა და ფეხსაცმელები არ გვინდა, ფული მოგვეციოთ – ეუბნებოდნენ. არადა, ზურა არაფერ შუაში იყო. იმ ბიჭებსაც ეჭვი განსაკუთრებით ალიკას მიმართ ჰქონდათ, მაგრამ რადგანაც ზურა მასთან მეგობრობდა, იფიქრეს, რომ საქმეში ისიც გახლდათ გარეული. ჩემი შვილი იმდენად მშვიდი, არაკონფლიქტური და ლმობიერი ბუნების ადამიანი იყო, რომ ამას არავითარ შემთხვევაში არ იკადრებდა“.

დალი ანთიძე:

„თქვენ რა გგონიათ, დაზარალებულებს სიმართლის დადგენა აწუხებთ? მათთვის ფულია მთავარი. ბავშვი რომ დაკრძალეს, მეორე დღესვე მომაკითხეს და 20.000 ლარი მომთხოვეს, მერე კი ოფიციალურად, სარჩელით, მორალური ზარალის ასანაზღაურებლად, 100.000 ლარი მომთხოვეს (სახელმწიფო ბრალმდებელმა აღნიშნული სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა. – ავტ.). *არადა, ჩემს შვილსაც არანაკლები ზიანი მიადგა: გარდა იმისა, რომ ფსიქიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუუარესდა, ტვინის შერყევაც მიიღო. ზურა გვაზავა, მისი ძმა – დათო გვაზავა და მათი ერთი მეგობარი ნასვამები მივიდნენ რომანთან, საჩხუბრად გვერდზე გაიყვანეს და სასტიკად სცემეს. ჩემი შვილი იძულებული გახდა, თავი დაეცვა... საქმეში არსებობს ჯიხურის გამყიდველის ჩვენება, რომელიც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ზურამ და მისმა მეგობრებმა მასთან არყები იყიდეს.“*

შეკითხვაზე, თუ რატომ ჰქონდა იმ დღეს რომანს თან „ბაბოჩკა“ დანა, განსასჯელის დედამ გვიპასუხა: *„დანას იგი, ისევე, როგორც მისი ძმა, ყოველთვის თან ატარებდა. მე თვითონ ვუყიდე ჯაყვები შვილებს. რომანი ხის მხატვრული დამუშავებით იყო გატაცებული და დანა ამისთვის სჭირდებოდა. სახლი სულ მისი ნამუშევრებით მაქვს მორთული...“*

აღსანიშნავია, რომ თავად რომან კოპალეიშვილი, წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში დანის სისტემატური ტარების ფაქტს არ ახსენებს:

„... იმ დღეს სახლში ქართულის მასწავლებელს ველოდებოდი. მოვიდა კიდეც და ვიმეცადინე. საღამოს შინ მამაც მოვიდა. ერთად ვისადილეთ და მერე ეზოში გავედი. მეზობელმა – ალიკას დედამ მთხოვა – გარდაცვლილი შვილის დარგული ვაზის გასწორებაში დამეხმარეო. ამ მიზნით, სახლიდან დანა გამოვიტანე, კარინა დეიდას დავეხმარე და დანა ჯიბეში ჩავიდე.

მერე ეზოში კალათბურთის თამაში დავიწყე. ცოტა ხანში ზურამ, მისმა ძმამ და გიორგი ჯანდიერმა მომაკითხეს... სალაპარაკოდ გვერდით ეზოში შევედით. ის ეზო იმ ადგილიდან დაახლოებით 20 მეტრის მოშორებითაა. იქვე თაღთან, რკინის კიბესთან მე და ზურა ერთმანეთის პირისპირ დავდექით. მკითხა – თუ გახსოვს, სასაფლაოზე რა მითხარიო? – ვუპასუხე, რომ ვერაფერს ვიხსენებდი. როგორ არ გახსოვსო? – მითხრა ზურამ და სახეში ხელი გამარტყა. მეც ორივე ხელი ვკარი მას, რის შემდეგაც სამივენი – დათოც, ზურაც და გიორგიც ჩემკენ გამოექანნენ. მე გავიქეცი, მაგრამ ფეხი დამიცდა, თავი კარს მივარტყი და გავითიშე. მუხლებზე დაჩოქილს თავი წინ მქონდა ჩარგული. როცა გონს მოვედი, თავის არეში ძლიერი დარტყმები ვიგრძენი. უცებ ჩემ გვერდით ძირს დაგდებული საკუთარი დანა დავინახე. ავიღე და უგზო-უკვლოდ ვიქნევდი, თან ვყვიროდი: არ მომეკაროთ-მეთქი...“

გამოძიებას ჩვენება მისცა დავით გვაზავამაც, თუმცა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოში პროცესებს არ ესწრებოდა, რადგან იმ დროს საზღვარგარეთ იმყოფებოდა. მისი ჩვენების მიხედვით, პირველად რომანმა გაარტყა ხელი ზურას. *„როცა მან ჯიბიდან დანა ამოიღო, მივვარდი, რათა წამერთმია, მაგრამ მუცელში წიხლი ჩამარტყა და ძირს დავვარდი. ამის შემდეგ, დანის წასართმევად მას ზურა მივარდა, თუმცა რომანმა ხელი გაითავისუფლა და ორჯერ თუ სამჯერ ჩაარტყა დანა ჩემს ძმას გულმკერდის არეში. ამ დროს წამოდგომა მოვახერხე და რომანს კვლავ მივვარდი, თუმცა იგი მაშინვე გაიქცა. მე ზურას მივუბრუნდი, იგი ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, თუმცა, რამდენიმე წამში, პირდაპირ ჩემს ხელებზე დაეცა. პერანგი ავუწიე, დავინახე, რომ გულმკერდი სულ გასისხლიანებული ჰქონდა, შველას ითხოვდა, მაგრამ მალე გარდაიცვალა...“*

არც დათო გვაზავას, არც მის ძმას და არც გიორგი ჯანდიერს დანა ან სხვა იარაღი თან არ ჰქონიათ. სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებელმა განაცხადა, რომ იგი რომან კოპალეიშვილის ჩვენებას ვერ გაიზიარებს, რადგან, მისივე თქმით, რომანმა მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით ყველაფერი მოიგონა.

„არც ის შეესაბამება სიმართლეს, თითქოს განსასჯელს იმ დღეს სამი პიროვნება დაესხა თავს. გამოძიებითა და მოწმეთა ჩვენებით დადგენილია, რომ გიორგი ჯანდიერი გვაზავასა და კოპალეიშვილს შორის ჩხუბის დაწყებისთანავე გაიქცა შემთხვევის ადგილიდან. იქ მხოლოდ დათო და ზურა დარჩნენ“, – განაცხადა პროკურორმა და განსასჯელი განზრახ მკვლელობაში დაადანაშაულა, სასჯელად კი მისთვის 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. სახელმწიფო ბრალმდებლის თქმით, უკვე ორმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის მასალებში კოპალეიშვილის მხრიდან აუცილებელი მოგერიების ჩადენის მტკიცებულება არ არსებობს.

ოთარ გამყრელიძე, რომან კოპალეიშვილის ინტერესების დამცველი ადვოკატი:

„მე ვერ დავეთანხმები სახელმწიფო ბრალმდებელს, რადგან საქმის მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ მკვლელობა ჩადენილია აუცილებელი მოგერიების შედეგად. მოვითხოვ რომან კოპალეიშვილის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას, რადგან მისი ქმედება მართლსაწინააღმდეგო არ გახლავთ. კოპალეიშვილი მართლზომიერად მოიქცა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ადამიანს, თუკი მას თავს ესხმიან, აქვს აუცილებელი მოგერიების უფლება. არა აქვს მნიშვნელობა, რა მიზანი ამოძრავებს თავდამსხმელს – მკვლელობა, ცემა, დაჭრა თუ რა. აქედან გამომდინარე, ჩემი მოთხოვნა სავსებით სამართლიანია...“

■

სასამართლო დარბაზში. მეორე რიგში, მარცხნიდან პირველი – დაღუპული ზურა გვაზავას დედა ნელი არზიანი

ბიძაშვილმა ბიძაშვილი ხის კეტით სცემა

75 წლის ვახტანგ გიგოლაშვილი ოთხი თვის შემდეგ გარდაიცვალა

მეგი ცანავა

გასულ კვირას, თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეებმა გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევის მკვიდრს — 47 წლის ომარ გიგოლაშვილს განაჩენი გამოუტანეს. მან ურთიერთშელაპარაკებისას, საკუთარი ბიძაშვილი კეტით სასტიკად სცემა. ექსპერტების თქმით, დაზარალებულმა სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებები მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ ცემის გამო მის სიცოცხლეს საფრთხე არ დამუქრებია. თუმცა, ფაქტია — 75 წლის ვახტანგ გიგოლაშვილს ნეკნები ჩაემსხვრა და ლოგინად ჩავარდა. მოხუცის სხეულმა ამას ვერ გაუძლო და იგი ოთხ თვეში გარდაიცვალა.

ჩადენილი დანაშაულის გამო, ომარ გიგოლაშვილი სამსჯავროს წინაშე ორჯერ წარდგა. გორის რაიონის სასამართლომ მას ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მსჯავრდებულის მხარის მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანის შემდეგ, საქმე თბილისის საოლქო სასამართლომ განიხილა, ზემოთ აღნიშნული განაჩენი გააუქმა, ომარ გიგოლაშვილი ციხიდან გაათავისუფლა და მისი მეთვალყურეობა პოლიციას დააკისრა. მოსამართლეებს

მიაჩნიათ, რომ ომარ გიგოლაშვილი დანაშაულამდე თავად დაზარალებულმა მიიყვანა.

როგორც საქმის წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის შედეგად დადგინდა, ომარ გიგოლაშვილი 1999 წლის 5 დეკემბერს, დაახლოებით დღის 2 საათისთვის საკუთარ ეზოში, ბაღში კომბოსტოს კვლებს ათვალიერებდა. ამ დროს დაინახა, რომ ბოსტანში ვიღაცის პირუტყვი შევიდა და კვლების გადათელვა დაიწყო. იგი მაშინვე დაედევნა საქონელს და ბაღიდან გარეკვა დაუპირა. სწორედ იმ მომენტში, მოულოდნელად, გვერდით მდებარე ბოსტნიდან თავისი ბიძაშვილის – ვახტანგ გიგოლაშვილის ყვირილი მოესმა. ეს უკანასკნელი, გაღიზიანებული ტონით საყვედურობდა: საქონელი ჩემია და ბაღიდან რად უშვებო? ამის გამო ბიძაშვილებს შორის ჩხუბი ატყდა. სიტყვიერი შეკამათება მალე ფიზიკურ შეურაცხყოფაში – ცემაში გადაიზარდა. ომარ გიგოლაშვილმა იქვე მცხოვრები ბაბულია გიგოლაშვილის სახლის ეზოდან ხის კეტი გამოიტანა და ვახტანგ გიგოლაშვილს თავში ჩაარტყა. ამ უკანასკნელმა საპასუხოდ, ნამგალი მოუქნია, თუმცა ომარ გიგოლაშვილმა მისი მოგერიება მოახერხა, ხის კეტი ვახტანგ გიგოლაშვილს ამჯერად ფეხებში დაარტყა და იგი ძირს დასცა.

ომარ გიგოლაშვილი, მსჯავრდებული:

„მამაჩემი – არჩილი და ჩემი ბიძაშვილი – ვახტანგი ერთმანეთთან ცუდ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. ვახტანგი დაუნდობელი, კონფლიქტური პიროვნება იყო და ამიტომაც, მას ყოველთვის ვერიდებოდი. ადრე სხვებთანაც მოსვლია ჩხუბი და ისინი ნამგლითაც დაუჭრია... საქონელი ბოსტანში რომ დავინახე, ვერ მივხვდი, ვისი იყო. ნარგავებს მინადგურებდა და მაშინვე დავედევნე. თან ხმამაღლა ვყვიროდი – ვისია ეს პირუტყვი, ასე თავისუფლად, უმეთვალყურეოდ სხვის ბაღში რად უშვებენ და მოსავალს ანადგურებინებენ-მეთქი? სწორედ ამ დროს, მეორე ბაღიდან ვახტანგ გიგოლაშვილი გამომელაპარაკა და ჩემკენ წამოვიდა. ილანძღებოდა, იგინებოდა და თან ნამგალი მოჰქონდა. როცა მომიახლოვდა ყვირილით, იგი თავისა და ტანის მიმართულებით მომიქნია. სადაც მინდა, იქ შევრეკავ ჩემს საქონელსო – გაიძახოდა. მოულოდნელად, ბეჭებში მუშტისხელა ქვა მომხვდა, ამის მერე სამი ქვა ერთბაშად მესროლა ვახტანგმა. ერთი თავში მხვდებოდა, მაგრამ როგორღაც ავიცილე. ძალიან გავბრაზდი, გზაზე ბაბულია გიგოლაშვილის სახლთან ახლოს, დაახლოებით ერთი მეტრის სიგრძის ჯოხი ვიპოვე. ავიღე და ვახტანგთან მივბრუნდი. მას ჯოხი რამდენჯერმე მოვუქნიე, მინდოდა, ნამგალი ხელიდან გამეგდებინებინა. ვახტანგმა ნამგლის წვერი მაჯაში ჩამარტყა, ამის კვალი ტანსაცმელს, რომელიც იმ დღეს მეცვა, ახლაც ეტყობა. ვახტანგი 75 წლის მოხუცი იყო, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ იგი მეტად დაუნდობელი გახლდათ და მეშინოდა, ნამგალი ჩემთვის სხეულში არ ჩაერტყა და არ მოვეკალი. ამიტომაც, ჯოხი ფეხებში მოვარტყი, რის შედეგადაც იგი წაიქცა“...

ძირს წაქცეული მოხუცი, ომარ გიგოლაშვილმა იქვე დატოვა და თავად, შემთხვევის ადგილიდან წავიდა. დაზარალებულის თქმით, ომარ გიგოლაშვილმა ნაცემი ბიძაშვილი იქვე მდებარე მდინარისკენ ფეხებით გადაათრია. ამას მსჯავრდებული კატეგორიულად უარყოფს.

„მე ვახტანგი არსად მიმითრევია, მოგვიანებით შევიტყვე, რომ იგი სახლამდე თავისი ფეხით მივიდა. როცა ძირს დაეცა, მაშინვე მივატოვე იქაურობა და წავედი. ვახტანგისთვის სხეულზე არც სისხლი შემიმჩნევია. ვიცი, ლოგინში იწვა, მაგრამ მას შემდეგ სოფელში, ქუჩაში გამოსულიც დავინახე. მე მისი მოკვლის ან ცემის განზრახვა არასოდეს მქონია, იმ დღეს საჩხუბრად თავად გამომიწვია“.

დაზარალებული, გარდაცვლილის მეუღლე – ჟენია გულიაშვილი მომხდარ ფაქტს სხვაგვარად წარმოგვიდგენს. იგი ყველაფერში ომარ გიგოლაშვილს ადანაშაულებს. ჟენია გულიაშვილი სასამართლოს, ამ უკანასკნელის განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით გასამართლებასა და შესაბამისი სასჯელით დასჯას სთხოვდა.

ჟენია გულიაშვილი:

„იმ დღეს ჩემი ქმარი ბაღში ჩალის მოსაჭრელად წავიდა, თან ორი ხბო წაიყვანა. მოულოდნელად მისთვის, იქვე მყოფ ომარ გიგოლაშვილს დაუწყია ჩხუბი, მეზობლის ეზოდან ბარი გადმოუტანია და ვახტანგისთვის თავში ჩაურტყამს. ჩემი ქმარი ძირს დაცემულა, ომარი კი თურმე წაქცეულსაც ურტყამდა. დაახლოებით 3 საათი იქნებოდა, როცა ვახტანგი შინ მთლად გასისხლიანებული მოვიდა. სისხლი თავიდან მოსდიოდა. შვილიშვილების დახმარებით იგი საწოლამდე ძლივს მივიყვანე, როცა დავაწვინე და ოდნავ მოვასულიერე, ყველაფერი მიამბო. ისიც მითხრა, რომ მისთვის სისხლი მეზობლის ქალს მოუწმენდია, თავი შეუხვევია და სახლისკენ ისე გამოუშვია. ექიმი გამოვიძახეთ. გაირკვა, რომ ვახტანგს ოთხი ნეკნი ჰქონდა მოტეხილი. სახლში ვმკურნალობდით, ექიმმა ამბულატორიული ცნობაც გასცა. ვახტანგი ჩივილს არ აპირებდა, მაგრამ ომარმა რომ არანაირი ყურადღება არ მოგვაქცია, გადავწყვიტეთ, გვეჩივლა. ერთხანს ვახტანგმა ლოგინიდან წამოდგომაც სცადა, შეძლო კიდეც, თუმცა მალე ისევ დაუძლურდა, ვეღარ გაუძლო ავადმყოფობას და გარდაიცვალა“.

ვახტანგ გიგოლაშვილის სიცოცხლის პერიოდში, მისსავე სხეულზე ჩატარებულმა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ ბლაგვი საგნის შედეგად მიყენებული დაზიანებები და ნეკნების მოტეხილობები დაადასტურა. თუმცა, დაშავებულის სიკვდილის მიზეზის დადგენა ექსპერტებმა შეუძლებლად მიიჩნიეს, რადგან გვამის გაკვეთა და გამოკვლევა არ მომხდარა.

გორის რაიონის სასამართლომ განსასჯელის – ომარ გიგოლაშვილის ჩვენება არ გაიზიარა. მან გაცილებით დამაჯერებლად, დაზარალებულის ჩვენება მიიჩნია და ომარ გიგოლაშვილს საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

თბილისის საოლქო სასამართლომ გორის რაიონის სასამართლოს პოზიცია არ გაიზიარა და მსჯავრდებულს მუხლი შეუცვალა. მუხლის გადაკვალიფიცირების მთავარ საფუძვლად, მოსამართლეებმა, დაზარალებულის მიერ დანაშაულის პროვოცირების გარდა, მსჯავრდებულის პიროვნების დახასიათება და მისი ოჯახური მდგომარეობაც გაითვალისწინეს: ომარ გიგოლაშვილს მეუღლე და სამი შვილი (მათ შორის, ერთი არასრულწლოვანი) ჰყავს. ■

ჭარბთმიანობა, მოვრიდეთ ლანოლინს!

როგორ ვებრძოლოთ ჭარბთმიანობას, როდესაც ნებისმიერი მექანიკური ზემოქმედება დროთა განმავლობაში უარყოფით შედეგს იძლევა. ვოლფრამის ნემსი, ლაზერული ეპილაცია, სპეციალური დასაწებებელი საშუალებები, ტრადიციული პინცეტი თუ საუკუნეების წინანდელი გამოცდილება: „საცა კატის ფინთი სცხო, იქ თავის დღეში ბალანი არ ამოვიდეს“ — რომელია ამ ჩამონათვალთაგან შედარებით ეფექტური ან საერთოდ, როდის არის სასურველი მკურნალობის დაწყება? ქალბატონ ცაცა ცხომელიძეს ამ პროფილით მუშაობის 20 წლიანი გამოცდილება აქვს. მისი დაკვირვებით, ჭარბთმიანობა უშუალოდ ყოფილა დაკავშირებული მთავრესთან: თუ არასასურველი თმისგან გათავისუფლებისას, მთვარის ფაზასაც გაითვალისწინებთ, გარანტირებულ შედეგს მიიღებთ. ადამიანის გარეგნობაზე, განსაკუთრებით — კანზე, მთვარის ზემოქმედების შესწავლას დრო სჭირდება; დაგროვილი ცოდნა პრობლემური კანის ყოველდღიურ მოვლაში დაგეხმარებათ. თურმე ბევრი მკვებავი ნელსაცხებელი, რომლითაც მანდილოსანთა უმრავლესობა სარგებლობს, დამზადებულია იმ იაფფასიანი პროდუქტებისა და ქიმიური შენაერთებისაგან, რომელიც თმის ზრდას უწყობს ხელს. ამიტომ მათ, ვისაც ჭარბთმიანობისკენ აქვთ მიდრეკილება, განსაკუთრებული ყურადღება მართებთ კოსმეტიკური პროდუქციის შეძენის დროს. ეს მოკლედ, ვრცლად კი — ქალბატონი ცაცა გვირჩევს, როგორ ავარიდოთ თავი კანის ადრეულ დაბერებას, თმის მოცილებასა და მისი ზრდის გააქტიურებას.

ნანა ქიბიმაური

— ქალბატონო ცაცა, დღეს ძალზედ მომრავლდა სხვადასხვაგვარი ეპილაციის კაბინეტები, არადა, ელექტროეპილატორი მათ ხელში, ვისაც შესაბამისი ცოდნა არ გააჩნია, შესაძლოა, საშიშ იარაღადაც იქცეს...

— მართლაც, ეპილატორი მათ ხელში, ვინც კანის სტრუქტურას ბოლომდე არ იცნობს, საშიში იარაღია და სახის დამახინჯებაც კი შეიძლება გამოიწვიოს. დამწყებ კოსმეტოლოგებს, რომელთაც შესაბამისი განათლება არ მიუღიათ, უნდა ახსოვდეთ, რომ ეპილაცია, კოსმეტოლოგიურ პროცედურებს შორის, ყველაზე ფაქიზი სამუშაოა: დენთან და მაღალ ტემპერატურასთან გვაქვს საქმე. თუ იმ ადგილას, რომელსაც ნემსი ეხება, ყვავილის მსგავსი ღრმულები გაჩნდა, კანს სასწრაფოდ სჭირდება მკურნალობის სრული კურსის ჩატარება. თუ 6 თვის განმავლობაში დაზიანებული ქსოვილი არ აღდგება, მერე უკვე დაგვიანებულია: ადამიანი, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, ნაყვავილარი სახითა და წერტილოვანი ფორებით ივლის. ჩემს პრაქტიკაში კოსმეტოლოგის მიერ დამახინჯებულ ბევრ ქალს შევხვედრივარ, ამიტომ მათ, ვინც ახლა იწყებს ეპილატორით მუშაობას, ვურჩევდი: ექსპერიმენტებისათვის ჯერ საკუთარი სხეული გამოიყენონ, მერე ოჯახის წევრებისა და როდესაც ხელის ტექნიკას საკმარისად დახვეწენ, მხოლოდ მას შემდეგ მიიღონ პაციენტები. პაციენტმა კი, საკუთარი სახე არასოდეს არ უნდა ანდოს ისეთ კოსმეტოლოგს, რომელიც ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე, მაშინვე მუშაობას იწყებს. თავად ქალი, რომელსაც ჭარბთმიანობისგან უნდა გათავისუფლება, 6 თვის განმავლობაში უნდა დააკვირდეს საკუთარ ორგანიზმს: შეადგინოს მენსტრუალური ციკლის გრაფიკი, მოიწესრიგოს კვების რეჟიმი, იცოდეს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის აქტივობა. ამის დასადგენად კი, უნდა აწარმოოს ყოველდღიური აღნიშვნები და თვითგამოკვლევის შედეგებით ხელდამშვენებული მივიდეს კოსმეტოლოგთან. და კიდევ ერთი: პაციენტმა საკუთარი, ინდივიდუალური ნემსი უნდა მოითხოვოს. დაუშვებელია ის, რასაც ბევრი კოსმეტოლოგი ყურადღებას არ აქცევს, — რამდენიმე პაციენტს ერთი ნემსით ემსახურება.

— ჭარბთმიანობასთან საბრძოლველად დღეს იმდენი საშუალება არსებობს, რომ ვფიქრობ, თუ მდგომარეობა მეტისმეტად გართულებული არ არის, პრობლემას სახლის პირობებშიც მოევლება.

— სწორედ ამგვარი საშუალებები იწვევს ნამდვილ ჭარბთმიანობას. ზოგს ერთი-ორი, თითქმის შეუმჩნეველი ღინღლი აქვს. დაიწებებს ამ „საშუალებას“ და ამის შედეგად ისეთი ბეწვი ამოსდის, რომ მერე მართლაც აუცილებელი ხდება ეპილაცია. ესეც ერთგვარი ბიზნესია, მე ვიტყოდი — საშინელი ბიზნესი. ამ საშუალებებს ერთჯერადი ეფექტი აქვს, სამაგიეროდ, ამის შედეგად გაუხეშებული თმა ამოდის, კანი იღებს მოლურჯო ფერს და ისეთივე ხდება, როგორიც მამაკაცებს აქვთ ხშირი პარსვის დროს. უარყოფითი ეფექტი აქვს ლაზერსაც: მისი გამოყენების დროს, შესამჩნევ თმასთან ერთად, იწვება და ნადგურდება ე.წ. ღინღლი, რომელიც კანისთვის ისეთივე აუცილებელია, როგორც წამწამები თვალისთვის: სხვადასხვა ბაქტერიის გავლენისგან იცავს კანს. განსაკუთრებით არ არის სასურველი ეპილაციის გამოყენება თავის არეში. საერთოდ, პრაქტიკაში ცნობილია, რომ ლაზერით სახის დამუშავება დასაშვებია მხოლოდ სამ ეტაპად განმეორდეს — ამაზე მეტი უკვე საზიანოა ჯანმრთელობისათვის, ჩვენში კი, ხშირად 8 ეტაპამდეც კი ადიან. ჩემი აზრით, ლაზეროეპილაცია დასახვეწია, რადგან ის ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია.

ცაცა ცხომელიძე

რაც შეეხება პერეგიდროლის აბებს, რომლითაც ხშირად ულვაშებს იუფერულებენ, მისი გამოყენებაც არ მიმაჩნია მიზანშეწონილად, რადგან ისიც, ისევე, როგორც სხვა საშუალებები, ხელს უწყობს ბეწვის გამრავლებას. მისი სისტემატური გამოყენებით მივიღებთ იმას, რომ ერთი ბოლქვიდან, საიდანაც, როგორც წესი, ერთი ღერი თმა ამოდის ხოლმე, სამი ღერი ამოვა. ესეც რომ არ იყოს, ესთეტიკური თვალსაზრისითაც ულამაზოა, როდესაც შავგვრემან გოგოს ოქროსფრად „უელავს“ საულვაშე. ჩემი აზრით, დღეს მთელ მსოფლიოში ყველაზე ნაკლები უარყოფითი მოვლენები და კარგი შედეგები ისევ და ისევ ვოლფრამის ნემსით გაკეთებულ ელექტროეპილაციას მოაქვს. თუმცა, მისი გამოყენების დროსაც ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი: მაგალითად, ის, თუ რომელ ფაზაშია მთვარე. ახალ მთვარეობის დროს გაკეთებული ეპილაცია გაცილებით ნაკლებშედეგიანია, ვიდრე – მთვარის უკანასკნელ მეოთხედში. ასეთ შემთხვევაში, ან ძალიან გვიან, წლების შემდეგ ამოდის ბეწვი, ან საერთოდ აღარ ამოდის. საკუთარი პრაქტიკითა და ცოცხალი მაგალითებით რომ არ დავრწმუნებულიყავი, ალბათ ვერასოდეს დავიჯერებდი, რომ ასეთი დიდი გავლენა ჰქონდა მთვარეს ჩვენს გარეგნობასა და საერთოდ, ცხოვრებაზე. პირველად ამის შესახებ საზღვარგარეთ შევიტყვე სამწლიანი მუშაობის დროს. ერთერთი ჩემი პაციენტი იყო თურქული სკოლის მოსწავლე, რომელმაც მთვარის შესახებ იმდენი ინფორმაცია მომაწოდა, რომ გაოცებული დავრჩი. შემდეგ წავიკითხე შესაბამისი ლიტერატურა, დავაკვირდი კონკრეტულ შემთხვევებს და მივედი იმ ჭეშმარიტებამდე, რომელსაც დღემდე ვეყრდნობი.

— ცხიმოვანი ნიღბები თუ ააქტიურებს ჭარბთმიანობას?

– ნიღაბი შესაძლოა, მექანიკურ გამღიზიანებლად იქცეს. ამიტომ, არანაირი ნიღაბი არ უნდა მივაკაროთ იმ ადგილებს, სადაც მომეტებული თმიანობა შეიმჩნევა. კარგია კვერცხითა და თაფლით დამზადებული ნიღბები, თუმცა, ვერც ერთი მათგანი ვერ მოვა თიხის ნიღაბთან, რომელიც გამორჩეულ ეფექტს იძლევა. ეს არის 21 დღიანი კურსი, რომელსაც თიხათერაპია ჰქვია. ამ დროს სასურველია დალიოთ კიდეც თიხისგან მომზადებული ნაყენი. ბულგარელი წინასწარმეტყველი ვანგას რეკომენდაციით, ეს პროცედურა შესანიშნავად აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას და კოლიტის გამომწვევ პრობლემებს. კოსმეტიკური თეთრი თიხა აფთიაქებში იყიდება. განსაკუთრებით კარგია ასკანის თიხა (სამწუხაროდ, დიდი რაოდენობით გადის საბერძნეთში; ეს სიმდიდრე ისე გაედინება ჩვენი ქვეყნიდან, რომ ბევრმა მისი ფასი არც იცის). არაჩვეულებრივია თიხისა და არაჟნისგან მომზადებული ნიღაბი, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ თიხა აუცილებლად გრილ წყალში უნდა გაიხსნას, თავისი სამკურნალო თვისებები რომ არ დაკარგოს.

— ნელსაცხებლებს შორის თუ არის ისეთი, რომლის ხმარებასაც არ ურჩევდით ჭარბთმიანობისკენ მიდრეკილ მანდილოსნებს?

– ბოლო წლებში, ჩვენი სავაჭრო ქსელი იაფფასიანი ნედლეულით დამზადებული, უხარისხო კოსმეტიკური პროდუქციით აივსო. მანდილოსნებს არ ვურჩევდი ისეთი ნელსაცხებლების შეძენას, რომელიც ლანოლინზეა დამზადებული: მას კატასტროფული სისწრაფით ამოჰყავს სახეზე თმა. არადა, ძალიან ბევრი კოსმეტიკური ფირმა იყენებს. ამიტომ, როდესაც რაიმე ახალ მკვებავ საშუალებას ყიდულობთ, ნუ ენდობით მხოლოდ გამყიდველებს და მათ მიერ გაწეულ რეკლამას: ისინი ხშირად, დილეტანტის დონეზეც ვერ ერკვევიან იმ პროდუქციის ავკარგიანობაში, რომელსაც ჰყიდიან. ენდეთ საკუთარ თვალებს – წაიკითხეთ შემადგენლობა და თუ იქ ლანოლინსაც ამოიკითხავთ, ნუ შეიძენთ... ჩემი პაციენტები ხშირად მეუბნებიან, რომ სახეზე სუფთა ზეთს ან ბავშვის ნელსაცხებლებს ისვამენ. დაუშვებელია! მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა ადამიანის კანი ინდივიდუალურია და ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს! ამიტომ, თითოეულმა ქალმა ზუსტად უნდა იცოდეს, რა არის მისთვის სასარგებლო და საზიანო, ამის გარკვევაში კი, დახმარების აღმოჩენა მხოლოდ და მხოლოდ ექიმ-კოსმეტოლოგს შეუძლია.

— რომელია ყველაზე მტკივნეული არე სახეზე და რა ადგილი ემორჩილება ყველაზე ძნელად მკურნალობას?

– სამჯერ მეტად მტკივნეულია საულვაშე ადგილი, მაგრამ სამჯერ მეტად ემორჩილება მკურნალობას: აქ არის თავმოყრილი ნერვული დაბოლოებები და საცრემლე ჯირკვლები. ყველაზე ძნელად, შედეგი ყელის არეში მიიღწევა. რაც შეეხება ტკივილს, ძალიან ხშირად მისვამენ შეკითხვას: რადგან ელექტროეპილაცია მტკივნეულია, მოქმედებს თუ არა ნერვულ სისტემაზე? ტკივილი ცუდი შეგრძნებაა, მაგრამ აქ საქმე არ გვაქვს ისეთი სიძლიერის ტკივილთან, რომელიც ნერვულ სისტემაზე მოქმედებს. არსებობს გაუტკივარების ბევრი საშუალება. ადრე ამ მიზნით ტალკს ვიყენებდი, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ ტალკი მავნე ინგრედიენტების რიგში შედის, ამიტომ, ახლა მუშაობისას ვიყენებ სპეციალური დანიშნულების წამალს – „ენლას“ და „ნიუვეისის“ ფირმის მალამოს, რომელიც საკმაოდ ძვირი ღირს, მაგრამ გაცილებით „ძვირფას“ შედეგს იძლევა. მისი წყალობით ნაწიბურები, რომელიც ეპილაციისგან რჩება, 2-3 დღის შემდეგ აბსოლუტურად ქრება.

— ჭარბთმიანობის დროს კვების პროდუქტებიდან რომელს უნდა მოერიდოს ადამიანი?

– კვების პროდუქტებზე უფრო მნიშვნელოვანია სტრესი! უცნაურია, მაგრამ ის უშუალოდ უწყობს ხელს თმის ზრდასა და გახშირებას, განსაკუთრებით – მაშინ, თუ ადამიანს გენეტიკურად ჭარბთმიანობისკენ აქვს მიდრეკილება. სასურველი არ არის ხორცეული და ცხიმიანი საკვები. ასევე მოქმედებს ზედ-

მეტად ცხელი საჭმელი, ორთქლი, სიგარეტის კვამლი.

— რამდენი პროცედურის შემდეგ შეიძლება აბსოლუტური შედეგის მიღწევა?

— თუ ქალი არ არის ჭარბწონიანი და არ აწუხებს ქალური დაავადებები და თუ მისი თმა ხელუხლებელია, — პირველსავე პროცედურაზე 80%-იანი შედეგის მიღწევა შეიძლება, ერთხელ ჩატარებული ეპილაცია იმდენად ეფექტური იქნება, რომ მას არასოდეს აღარ შეაწუხებს ეს პრობლემა, მაგრამ თუ თმა ნაწვალებია, — პროგნოზის გაკეთება ძნელია. არის შემთხვევები, როდესაც საერთოდ არ უნდა მოჰკიდო ხელი პაციენტს: მაგალითად, თუ ის ორსულად არის, აქვს ეპილეფსია ან მაღალი წნევა და ა.შ. ყოველ პაციენტს თავისებური მიდგომა და განსაკუთრებული, მხოლოდ მასზე მორგებული მკურნალობის კურსი სჭირდება. ცნობილია ის ფაქტიც, რომ ასაკოვან ადამიანებში უფრო ადვილია შედეგის მიღწევა, რადგან თმის ზრდის პროცესი აღარ არის იმდენად აქტიური, როგორც ახალგაზრდა ორგანიზმში.

— ხალხური მედიცინა რას გვირჩევს ყოველივე ამის შესახებ?

— არ ვიცი, რამდენად ეფექტურია ის, რაც „ეფრემ-ვერდში“ წერია, ყოველ შემთხვევაში, არავინ შემხვედრია იქ მოყვანილი რჩევების შემდეგ განკურნებული. მხოლოდ ერთი უცნაური შემთხვევა მახსენდება: გოგონამ, რომელიც აშკარად ჭარბთმიანი იყო, მიამბო, რომ ბებიამ იღლიებში ახალდაბადებული თაგვი ამოუსვა. მართლაც, მთელი სხეული ბალნით ჰქონდა დაფარული და ერთადერთი, იღლია იყო, სადაც ბალნის ნასახიც კი არ ჰქონდა. მსგავსი რამ არსად წამიკითხავს და მინახავს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენმა წინაპრებმა უფრო მარტივი, უმტკივნეულო და უებარი საშუალებები იცოდნენ. თუმცა, ჩვენამდე ამ ყველაფერს არ მოუღწევია; შედეგი კი ის არის, რომ დღეს საქართველოში სახენაპარსი ქალები მომრავლდნენ — ქალები, რომელთაც ერთადერთ იმედად, ეპილაცია დარჩენიათ... მაგრამ გული არავინ გაიტეხოს: თუ კარგ სპეციალისტს მონახავთ, თქვენი პრობლემა მხოლოდ ძველი ფოტოსურათებითღა შეგახსენებთ თავს. ■

„მოვეფეროთ“ ფიტულებს

ანუ სენტიმენტალური ნეკროფილია

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მომიტანეს „გზის“ ნომერი (№30), რომლის ფურცლებზეც ვრცელი წერილი იყო (ავტორი ნინო ჯავახიშვილი) ძველ მონადირეზე, ახლა ფიტულების მუზეუმი რომ გაუხსნია. ძალიან კარგი...

წერილი გამსჭვალულია გულის ამაჩუყებელი აღფრთოვანებით, ლაპარაკია ბუნების სიყვარულზე, რომელიც, თურმე, წერილის გმირს ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს, როცა იგი შურდულით ჩიტებს ხოცავდა, ხოლო ბებია ამისთვის აქებდა. მერე გაზრდილა და უკვე ყველაფერს ხოცავდა. თან ენანებოდა, როგორც თვითონ ამბობს, „ბუნების ეს ულამაზესი ქმნილებები“ და ამიტომ, მათგან ფიტულების კეთება დაუწყია.

რას არ ნახავ, თურმე, ამ მუზეუმში, — პატარა ჩიტებიდან დაწყებული, უზარმაზარი ტახებითა და ვეფხვის ბოკვრებით დამთავრებული. კარგი... რა სჯობს ვეფხვის ბოკვრების ხოცვას... თუმცა, არ მესმის სად იპოვეს — საქართველოში ვეფხვი დიდი ხანია, გადაშენდა: ან ეს, უკანასკნელი ვეფხვის ბოკვრები იყვნენ, ან ზოოპარკში „მოინადირეს“, ან კიდევ, არ ვიცი... ყველა შემთხვევაში, მათი დახოცვა გმირულ, კეთილშობილურ, ბუნების სიყვარულით გამსჭვალულ საქციელად ითვლება...

ნადირობა ძველი ტრადიციაა (ყოველგვარ ტრადიციაზე უძველესიც არის — ინსტინქტია). ტრადიცია, რასაკვირველია, გაფრთხილებასა და „მოფერებას“ საჭიროებს. თუმცა, ზოგი ტრადიცია, რბილად რომ ვთქვათ, ცოტა უხერხულია: მაგალითად, ინდოეთში ტრადიციულად, ქმრის სიკვდილის მერე, ცოლს ქმართან ერთად ცოცხლად წვავდნენ. საქართველოში კი, ზოგიერთ კუთხეში, მოკლული მტრის მარჯვენას სახლის კედელზე ამაგრებდნენ... მე მაინტერესებს, თუ რა შინაარსს დებენ ეს ბატონები „ბუნების სიყვარულში“?

რას ჰქვია სიყვარული? მე მეგონა, იმას, რომ გინდოდეს — ის, ვინც ან რაც გიყვარს — რაც შეიძლება კარგად იყოს. ყოველ შემთხვევაში, ცოცხალი მაინც დარჩეს... მაგრამ არა, თურმე, სიყვარული ნიშნავს მოკვლას, ფიტულის გაკეთებას და მერე „მოფერებას“. როგორც ზემოთ ვთქვი, მე შეიძლება, ბევრი რამ არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ასეთ „სიყვარულს“ მეცნიერების ენაზე ნეკროფილია ეწოდება (განმარტება ლექსიკონში შეგიძლიათ მონახოთ). თანაც სენტიმენტალური ნეკროფილია — ისეთივე, როგორიც არის საქართველოს თვალცრემლიანი სადღეგრძელო, წარმოთქმული კაცის მიერ ქეიფის დროს თავის სახლში, რომელიც რელიქტური (საუკუნოვანი) ტყეების გაჩეხა-გაზიდვით აიშენა...

ფაქტი ერთია — სენტიმენტალური ნეკროფილების ხელში ჩვენს ბუნებას დიდი დღე არ უწერია... თუმცა, რად გვინდა ცოცხალი ბუნება? მივიდეთ მუზეუმში და მოვეფეროთ ფიტულებს...

დალი ბერიკაშვილი
ცხოველთა უფლებების კომიტეტის წევრი



ქართველი გოგონები ბილიარდში მამაკაცებს დასჯაბნიან

დარწმუნებული ვარ, მკითხველთა უმრავლესობას, ისევე, როგორც მე, ბილიარდი მხოლოდ სამსახურის შემდეგ დაღლილობის მოხსნის ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნია. პროფესიულმა ცნობისმოყვარეობამ ყაზბეგის გამზირზე, საბილიარდო კლუბში მიმიყვანა. სტუმართმოყვარე მასპინძელი, ბილიარდის მოყვარულთა ლიგის — „12 მაგიდა“ ვიცე-პრეზიდენტი, ლევან მაღრაძე აღმოჩნდა. აქამდე არც ვიცოდი, რომ საქართველოში თურმე საბილიარდო ტურნირებიც იმართება, გამარჯვებულები ლასვეგასში, საერთაშორისო შეჯიბრებაზე მიემგზავრებიან და გოგონებიც ისეთივე წარმატებას აღწევენ, როგორსაც ვაჟები.

მარი ჯაფარიძე

ქართველებს „ბილიარდის ლეგენდა“ — დაუმარცხებელი ჩემპიონიც გვყოლია — ბატონი ***გივი კომოსნიძე****, რომელიც, თუმცა უკვე 67 წლისაა, მაგრამ დღესაც ტოლს არ უდებს ახალგაზრდა მოთამაშეებს.*

— ბატონი გივი, რამდენი წელია, რაც ბილიარდს თამაშობთ?

— 14 წლის რომ ვიყავი, ჩემმა ნათლიამ, (მაშინ ის ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი იყო) ანტონ ჯორბენაძემ „ლოკომოტივის“ ბაზაში მიმიყვანა. სანატორიუმის ეზოში ბილიარდი ჰქონდათ. თამაში ამ გუნდის ფეხბურთელმა — ვოვა ელოშვილმა მასწავლა და 3 დღეში მასვე მოვუგე. 10 დღის შემდეგ გუნდის ყველა მოთამაშეს ვუგებდი. 6 თვის ვარჯიშის შემდეგ კი, თბილისში საუკეთესო მოთამაშე ვიყავი. 16 წლისამ საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონს, სულიკო ბეჟანიშვილს მოვუგე.

— როგორც ვიცი, თქვენ სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწეოდით.

— 1965 წელს მივლინებით ვიყავი მოსკოვის ლომონოსოვის სახ. უნივერსიტეტის ბიოლოგია-ნიადაგმცოდნეობის ფაკულტეტზე, სადაც ნიკო კეცხოველთან ერთად ვმუშაობდი. ბილიარდის თამაშს იქაც განვაგრძობდი — შაბათ-კვირას დავდიოდი კლუბში და მალე, მოსკოვში დაუმარცხებელი მოთამაშის სახელი გამივარდა. ბატონი ნიკო ყოველთვის ჩემი გულშემატკივარი იყო და ჩემი წარმატებებით ამაყობდა.



გივი კომოსნიძე

— ნაძლევზე თუ გითამაშიათ?

— ბილიარდის სამყაროში არსებობს ასეთი ტერმინი: „გასტროლიორი“. ეს არის კარგი მოთამაშე, რომელიც სხვადასხვა ქალაქში იმისთვის მოგზაურობს, რომ ითამაშოს, ფული მოიგოს და ოჯახიცა და თავიც ამით ირჩინოს. მე „გასტროლიორი“ არასოდეს ვყოფილვარ, არც საქართველოში მითამაშია ფულზე, მაგრამ რუსეთში — კი. ვთამაშობდი გარკვეულ თანხაზე, ჩემი მეგობრები კი „მაზავდნენ“ დამსწრე საზოგადოებასთან (ფსონს ჩადიოდნენ — ისევე, როგორც დოღზე ხდება). მერე თანაბრად ვინაწილებდით მოგებულ თანხას.

— ყველაზე დიდი თანხა, რომელიც მოგიგიათ?

— ეს იყო მოსკოვში, 1965 წელს. ვეთამაშებოდი ვინმე ემილ ტარნოვსკის. ებრაელი კაცი იყო. რომელიღაც სავაჭრო ბაზაში მუშაობდა და საკმაოდ შეძლებულიც გახლდათ. იმ დროისთვის საკმაოდ დიდი თანხა მოვიგე — იმდენი, დაახლოებით 10-12 ახალ „ვოლგას“ რომ იყიდდა. იმ ფულით „მერსედესი“ შევიძინე, მაგრამ თბილისში დაბრუნებისას, ერთი პრობლემა გამიჩნდა: რა მეთქვა მშობლებისთვის? დედა უნივერსიტეტის ლექტორი იყო, მამა — სამხედრო მოსამსახურე — პოდპოლკოვნიკი. სულ მიშლიდნენ ბილიარდის თამაშს, მით უმეტეს — ნაძლევზე, მაგრამ მე ჩემსას არ ვიშლიდი. სწორედ ამიტომ ვერ ვიტყოდი ოჯახში, რომ ძვირფასი მანქანა ვიყიდე. ბატონ ნიკო კეცხოველს გავანდე ჩემი გასაჭირი. მან დედაჩემს დაურეკა და უთხრა: გილოცავთ, თქვენმა შვილმა კარგი მუშაობისთვის 5 წლის პრემია

აიღოო. დედას გაუხარდა, მეც შვებით ამოვისუნთქე.

— თბილისში 1965 წელს ჩამოყვანილმა ძვირად ღირებულმა „მერსედესმა“ სამართალდამცავების დაინტერესება ხომ არ გამოიწვია?

— არა. რადგან მეცნიერი მუშაკი ვიყავი, არავითარი პრობლემები არ მქონია.

— თქვენზე ამბობენ, ისე წავიდა ბილიარდის სამყაროდან, არც ერთხელ არ დამარცხებულაო...

— მართალია. იტყვიან ხოლმე — მოგება და წაგება ძმები არიანო, მაგრამ მე მხოლოდ მოგება ვიცი. არც ერთ პარტიაში არ დავმარცხებულვარ. მაშინდელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ყველა რესპუბლიკის ქალაქებში, საბილიარდოებში ჩემი გადიდებული სურათები იყო გამოკრული — ყველას რომ ვეცნე და ჩემთან არ ეთამაშათ.

მახსოვს, ერთხელ თბილისში ჩამოვიდა ბაქოელი რაფიკა. 1962 წელი იყო. მთელი თბილისი „გაატყავა“ ამ „გასტროლიორმა“. დამიძახეს — გივი, გვიშველეო. მივედი მუშტაიდის ბაღის საბილიარდოში. ქუდი მეხურა. დავიწყეთ თამაში. ბურთები დავშალე და ქუდი მერე მოვიხადე. Это же Гиви! — მიცნო რაფიკამ, კია

თამუნა კანკია და მისი მწვრთნელი სპარტაკ გულიაშვილი

მომცეს. მას მერე მხოლოდ გასართობად ვთამაშობ ბილიარდს.

*ამ დროს ჩვენს საუბარს გოგონებს შორის საქართველოს ჩემპიონი – **თამუნა კანკია** და კლუბის ექსპერტი, **გია გურჯულაძე** შემოუერთდნენ.*

— ბატონო გია, თქვენ აშშ-ში საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდით. როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდით?

– ეს ტურნირი ყოველი წლის მაისში ტარდება ლას-ვეგასში. წელსაც საკმაოდ ძლიერი გუნდები მონაწილეობდნენ. ბევრი თამაში მოვიგე, ავსტრალიის გუნდსაც კარგი თამაში ვუჩვენეთ, მაგრამ კანადამ ტურნირიდან ამოგვაგდო. ისე, კარგი გუნდი რომ წავიდეს, ვფიქრობ, ბევრს მივაღწევთ.

— როგორ ხდება საქართველოში, მსოფლიო ჩემპიონატზე გასაგზავნი მოთამაშის შერჩევა?

– ჩვენთანაც, ყოველწლიურად ტარდება საქართველოს ჩემპიონატი ქალთა და ვაჟთა შორის. გამარჯვებული ღებულობს საგზურს ლას-ვეგასის საერთაშორისო ტურნირზე გასამგზავრებლად.

— ვინ უკეთებს ორგანიზებას საქართველოს ჩემპიონატს?

– ჩვენი კლუბი. საკუთარი ძალებით ვახერხებთ ჩემპიონატის ორგანიზებასაც და გამარჯვებულის გასამგზავრებლად საჭირო თანხასაც ჩვენ გამოვყოფთ.

— გოგონებიდან ვინ მონაწილეობდა ლას-ვეგასის ტურნირში?

– ჯერჯერობით არავინ, მაგრამ მომავალ წელს, ვფიქრობთ, ამის აუცილებლობაც დადგება. ჩემი აზრით, გოგონები გაცილებით მეტს მიაღწევენ.

— რატომ?

– ბილიარდი და ჭადრაკი ძალიან ჰგავს ერთიმეორეს: ორივე თამაში მოითხოვს, წინასწარ გათვალო საჭირო კომბინაცია. ჭადრაკში ეს გაცილებით ადვილია, რადგან ფიგურას გადადგამ და სვლა გაკეთებულია. ბილიარდში კი, ისე უნდა გათვალო, რომ ბურთულის ჩაგდების შემდეგ, მაგიდაზე ისეთი კომბინაცია დარჩეს, მოწინააღმდეგეს საპასუხო სვლის გაკეთება გაუჭირდეს. ჭადრაკში, მოგეხსენებათ, საქართველოში ქალები ლიდერობენ. ვფიქრობ, ბილიარდშიც ქალები დაწინაურდებიან.

— თამუნა, შენც ასე ფიქრობ?

– არ ვიცი. სურვილი კი მაქვს, რომ ბევრს მივაღწიო, ლას-ვეგასში წასვლაზეც არ ვიტყოდი უარს, მაგრამ ჯერჯერობით საქართველოს ჩემპიონობას ვჯერდები.

— მომიყევი შენ შესახებ...

– 20 წლის ვარ, დავიბადე და გავიზარდე სოხუმში. ახლა თბილისში ვცხოვრობ დედასთან ერთად. ვსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში. ერთხელ შემთხვევით მოვხვდი საბილიარდოში, დავინტერესდი და საკმაოდ კარგად დავეუფლე კიდეც. წინათ კალათბურთსაც ვთამაშობდი, თანრიგოსანიც ვიყავი. ახლა ყველაზე მეტ დროს ბილიარდს ვუთმობ.

— რა თვისებები უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ბილიარდს კარგად დაეუფლოს?

– პირველ რიგში, ნერვები უნდა ჰქონდეს მშვიდი. აუღელვებელი ადამიანი ყოველთვის იგებს. აუცილებელია ცივი გონება და, რა თქმა უნდა, პრაქტიკა.

— შენ თუ თამაშობ ნაძლევზე?

– ფულზე არასოდეს მითამაშია. შოკოლადზე და ტკბილეულზე – კი.

— შენი მომავალი გულის სწორი აუცილებლად უნდა თამაშობდეს ბილიარდს?

– სასურველია იცოდეს, მაგრამ თუ არ ეცოდინება, აუცილებლად ვასწავლი. ბილიარდი ჩემი ცხოვრების ნაწილია და ერთმანეთისთვის გასაგებ ენაზე ხომ უნდა ვილაპარაკოთ!..

■

ტესტი ერუდიციაზე

1. „პა-სეანსელი“ მსახიობის ცუცა კაპანაძის ნამდვილი სახელია:

ა) ციცო;
ბ) ციალა;
გ) ციური.

2. ცნობილი ქართველი მწერალი, რომელსაც უნდა შეესრულებინა პაატა საკაძის როლი:

ა) ოტია იოსელიანი;
ბ) ჭაბუა ამირეჯიბი;
გ) რეზო ჯაფარიძე.

3. რომელი ქართველი წმინდანი აღესრულა ოსვენციმის საკონცენტრაციო განაკში?

ა) მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა);
ბ) ბერი ალექსი (შუშანია);
გ) არქიმანდრიტი გრიგოლი (ფერაძე).

4. აშშ-ის დამოუკიდებლობის დღე აღინიშნება:

ა) 4 ივლისს;
ბ) 2 სექტემბერს;
გ) 7 ნოემბერს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

„ქალი ბროწეულით“

ჭედურმა ხელოვნებამ საქართველოში უამრავ ისტორიულ კატაკლიზმსა და ჟამთა სიავეს გაუძლო — იმიტომ, რომ მას ქართულ ცნობიერებაში თავისი განსაკუთრებული ადგილი ყოველთვის ეკავა. ნაბიჯ-ნაბიჯ, დროებათა კვალდაკვალ მოჰყვებოდა ჭედურობა ქართულ ისტორიას მეოცე საუკუნის მეორე ნახევრამდე, როდესაც ასპარეზზე გამოჩნდა თაობა, რომელმაც თითქოს ახალი სიცოცხლე, ახალი სული შთაბერა ამ ხელოვნებას. ამ თაობის ერთ-ერთი, ყველაზე ღირსეული წარმომადგენელია საქართველოს სახალხო მხატვარი ირაკლი ოჩიაური.

ირაკლი ოჩიაური: *ჩემს ნამუშევრებს გამბედაობა რა სიხარამე მოჯერა...*

მურად ბარნაძე

— ბატონო ირაკლი, თავდაპირველად დიდი წარმატებები გქონდათ ქანდაკებაში, მაგრამ მოულოდნელად გადაწყვეტილება შეიცვალეთ, — ლითონზე ჭედურობა აირჩიეთ...

— ქანდაკებაში მართლაც კარგი დასაწყისი მქონდა: ჩემი პირველი ნამუშევარი — „სტუდენტი გოგონას პორტრეტი“, რომელიც 1953 წელს შევქმენი, კულტურის სამინისტროს იმდენად მოეწონა, რომ თვითონ გაიღო ხარჯები ბრინჯაოში მისი ჩამოსხმისათვის, ხოლო შემდგომ, მოსკოვში გააგზავნა ქართული კულტურის დეკადაზე გამოსაფენად. მაშინ ახალგაზრდა მოქანდაკე გახლდით და ეს მოულოდნელი წარმატება ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა. გარდა ამისა, 1956 წელს მარმარილოში გამოვთალე ჩემი მომავალი მეუღლის — „ინჟინერ ჯანდიერის პორტრეტი“, რომელიც ამჟამად საქართველოს სურათების გალერეაში ინახება, ხოლო ზემოთ ნახსენები „სტუდენტი გოგონას პორტრეტი“ — საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია. 1959 წელს დაბა ყაზბეგში ჩემ მიერ შესრულებული ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლი დაიდგა.

ასეთი დასაწყისის შემდეგ, რომ იტყვიან,

ირაკლი ოჩიაური

პროფილი აღარ უნდა შემეცვალა, მაგრამ აკადემიის დამთავრებისას მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდი — არც საკუთარი სახელოსნო მქონდა და არც მატერიალურად გახლდით განებივრებული. უცებ გამახსენდა ჩემი სტუდენტობის პერიოდი, უფრო ზუსტად, ის დრო, როდესაც იაკობ ნიკოლაძეს ვეხმარებოდი თავის სახელოსნოში. ერთხელ იქ ტყვიის ფურცლები შევამჩნიე და ბატონ იაკობს ვკითხე, რაში სჭირდებოდა. მიპასუხა — სურვილი მაქვს, სიბერეში ჭედურ ხელოვნებაშიც ვცადო ბედიო. სიმართლე გითხრათ, მაშინ ჭედურ ხელოვნებაზე არც კი ვფიქრობდი. იმ დროს კი, როდესაც ჩემს ცხოვრებაში მძიმე პერიოდი იდგა, უცებ ბატონი იაკობის სიტყვები გამახსენდა, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ, იგი უკვე ცოცხალი აღარ იყო. იძულებული გავხდი, ჭედურობაში პირველი ნაბიჯები დამოუკიდებლად გადამედგა და, უნდა ვაღიარო, საწყის ეტაპზე ძალიან გამიჭირდა. უკვე 1953 წელს, მხატვართა რესპუბლიკურ გამოფენაზე სხვა ნამუშევრებთან ერთად, ჩემი პირველი ჭედური ნამუშევარი — „იაკობ ნიკოლაძის პორტრეტიც“ გავიტანე, თუმცა, ის მაშინ არავის შეუმჩნევია. მაგრამ მე ძალიან გამიტაცა ამ მიმართულებით მუშაობამ და ფარ-ხმლის დაყრაზე არც მიფიქრია. ამას ალბათ იმანაც შეუწყო ხელი, რომ იმ პერიოდში ბევრი ახალგაზრდა მხატვარიც გაიტაცა ჭედურობამ და ხელოვნების ეს დარგი მიღებული და აღიარებული იქნა ჩვენს ქვეყანაში. ასე ნელ-ნელა ჩამოვშორდი ქანდაკებას და „გადავბარგდი“ ჭედურ ხელოვნებაში, რომლის აღორძინების საქმეში შეტანილი წვლილისათვის 1972 წელს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატიც გავხდი.

— სულ რამდენი გამოფენა გქონიათ მოწყობილი?

— სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ თითქმის ყველა რესპუბლიკურ თუ საკავშირო გამოფენაში მიმიღია მონაწილეობა. პერსონალური გამოფენები მქონდა

„...ადამიანი, პლასტიკა და დრამატიზმი მაინტერესებს.“

როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ გერმანიაში, აგრეთვე ავსტრიაში, ნორვეგიაში, სირიაში, იორდანიასა და იაპონიაში, ვმონაწილეობდი საზღვარგარეთ მოწყობილ მრავალ ჯგუფურ გამოფენაშიც. 70-იან წლებში მე, დინარა ნოდიას, ზურაბ ნიჟარაძესა და ლევან ცუცქირიძეს ბელგიაში, ბრიუსელის რატუშაში ძალზედ საინტერესო ჯგუფური გამოფენა გვქონდა. პუბლიკამ კარგად მიიღო ჩვენი ნამუშევრები, ჩვენ კი ეს, რა თქმა უნდა, ძალიან გვახარებდა. მახსოვს, მაშინ ჩემთან მოვიდა რამდენიმე დამთვალიერებელი, მათ ჩემი ნამუშევრების შესყიდვის სურვილი გამოთქვეს. კარგად მოგეხსენებათ, რომ მსგავსი რამ საბჭოთა მხატვრებს აკრძალული გვქონდა. ასე რომ, ისინიც და მეც ერთდროულად, იმედგაცრუებულები დავრჩით...

— რა არის თქვენი შემოქმედების ყველაზე არსებითი, მთავარი ღირსება?

— საკუთარი შემოქმედების მსაჯულად, რა თქმა უნდა, ვერ გამოვდგები, ერთს ვიტყვი მხოლოდ: ყოველთვის ვცდილობდი, ეროვნული, ქართველი მხატვარი ვყოფილიყავი... ჩემი შემოქმედების ცენტრში ძირითადად, ადამიანია, თავისი შინაგანი ბუნებით, მისწრაფებებით. ყველაზე მეტად, ადამიანი, პლასტიკა და დრამატიზმი მაინტერესებს.

— საზღვარგარეთის რომელ მუზეუმებს აქვთ შესყიდული თქვენი ნამუშევრები?

— ზუსტი ცნობები არ გამაჩნია. ვიცი, რომ საზღვარგარეთის კერძო კოლექციებში უამრავი ჩემი ნამუშევარია; აშშ-ის ქალაქ სიეტლის ხელოვნების მუზეუმში ინახება ჩემ მიერ შესრულებული „მოცეკვავე გოგონა“. ბევრი ჩემი ნამუშევარია — მოსკოვში, ტრეტიაკოვის გალერეასა და სომხეთშიც.

„ქალი ყვავილებით“

— შეგირდები თუ გყავთ? ახალგაზრდები თუ ეუფლებიან ჭედურობის ხელოვნებას?

— ქართველებს თითქმის არასდროს მოუმართავთ იმისთვის, რომ მათთვის ჭედური ხელოვნების საიდუმლოებანი მესწავლებინა. შეგირდები უფრო მეტად, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან მყავდა: უკრაინიდან, ყაზახეთიდან, დაღესტნიდან და მოსკოვიდან. დღესაც მსიამოვნებს მათი შეხვედრა და, როგორც ოსტატს, მეამაყება, რომ ისინი მე ვაზიარე ამ ხელოვნებას.

— თავის დროზე, ლითონი თქვენთვის ალბათ პლასტიკის გამოვლენის ახალი საშუალება გახდა...

— ლითონი გრძნობებისა და ემოციების გადმოსაცემად ნაკლებად უხეშია, მარმარილოსა და ქვასთან შედარებით. ხელოვნისათვის მთავარი, იცით, რა არის? — ჰქონდეს სათქმელი. უპირველესი, მხატვრული იდეაა — აი, რა უნდა აწუხებდეს მხატვარს.

— რომელიმე ნამუშევარი თუ გიყვართ გამორჩეულად?

— სიმართლე გითხრათ, საერთოდ უკმაყოფილო ვარ ჩემი შემოქმედებით: ახალგაზრდობის პერიოდში შექმნილ ნამუშევრებში ახალგაზრდული სიმსუბუქე იგრძნობა, ხოლო როდესაც ასაკში შევედი, პასუხისმგებლობისა და ოსტატობის ხარჯზე, თითქოს გამბედაობა და სითამამე მოაკლდა... ყოველთვის თან მდევს იმის შეგრძნება, რომ ჩემს შემოქმედებაში, როგორც ხელოვანმა, სრულად ვერ მოვახდინე რეალიზება. თუმცა, ამის, როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიზეზები არსებობს და ამ მიზეზებზე დაწვრილებით საუბარი შორს წაგვიყვანდა...

— თქვენი აზრით, რა ადგილი უჭირავს მაღალ ხელოვნებას დღევანდელ საქართველოში?

— მატერიალურმა გაჭირვებამ ყოფით პრობლემებზე ყურადღების გადატანა გამოიწვია, ეს კი თავისთავად, სულიერ მოთხოვნათა უკანა პლანზე გადაწევას ნიშნავს, ხშირად — უგულებელყოფასაც კი. წარმოგიდგენიათ? — საქართველოში, პოეტებისა და მგოსნების სამშობლოში, ლექსებს აღარ კითხულობენ! რაც შეეხება მხატვრობას — იგი შედარებით ძნელად აღსაქმელი დარგია და, ბუნებრივია, ახლანდელ საზოგადოებას, ზემოთ ნახსენები მიზეზის გამო, თანდათან დაეკარგა ინტერესი მის მიმართ. ქვეყანაში შექმნილი სიტუაციით არის გამოწვეული ისიც, რომ მოხდა ხელოვნების კომერციალიზაცია. შთაგონებამ უკანა პლანზე გადაიწია, არადა, მოგეხსენებათ, ლამაზი და მშვენიერი ამქვეყნად შთაგონების გარეშე არაფერი შექმნილა.

— თქვენი თვალთახედვით, რა მდგომარეობაშია დღეს ქართული სახვითი ხელოვნება და როგორ გესახებათ მისი მომავალი?

— თანამედროვე სახვითი ხელოვნება დღეს, ჩემი აზრით, დეკადანსს განიცდის. მაპატიონ ჩემმა ახალგაზრდა კოლეგებმა, მაგრამ მათი შემოქმედება ეპიგონურია — ეროვნულობის თემა მათ ნამუშევრებში იშვიათად გვხვდება და, რაც უფრო სამწუხაროა, გამომსახველობითი ფორმებიც არაეროვნულია. მე მათ ვერაფერს განვუმარტავ — ვერ მივცემ „ეროვნულობის“ რეცეპტს, თუმცა, იმასაც კარგად ვგრძნობ, რომ ეს მათ სულაც არ აინტერესებთ. მე კი გულს მტკენს და ძალიან მაღელვებს ხელოვნებისადმი მათი ასეთი დამოკიდებულება... ■

ომში წასვლამდე ალეკოს სასაფლაოები შემოუვლია...

ნათია ტყემალაძე

ალექსანდრე (ალეკო) ნუცუბიძე 1968 წლის მაისში დაიბადა. პატარაობისას საოცრად ცელქი, ვერცხლისწყალივით მოძრავი ბავშვი ყოფილა. მშობლებმა ბევრი იფიქრეს და ბიჭს სახელი ბაბუის პატივსაცემად დაარქვეს. ალეკოს ბაბუა ალექსანდრე ნუცუბიძე დიდ სამამულო ომში თავდადებით იბრძოდა. საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმეც ებარა, სამხედრო ნაწილის პოლიტიკური ხელმძღვანელი ყოფილა. სევასტოპოლში ერთ-ერთი შეტაკების დროს ფეხებში მძიმედ დაჭრილა. ძლიერი ტკივილებისაგან ფეხზე ადგომაც ვეღარ მოუხერხებია და თავი მოუკლავს. ტყვედ ჩავარდნას და საშინელ სიკვდილს ეს არჩია და თავს სასიკვდილო განაჩენიც გამოუტანა, რადგან გერმანელებს ბრძანება ჰქონიათ გაცემული – ყველა პოლიტიკური ხელმძღვანელი ტყვედ აეყვანათ და სათანადო ინფორმაციის მიღების შემდეგ, დაეხვრიტათ...

ალეკომ თბილისის 57-ე საშუალო სკოლა დაამთავრა. განსაკუთრებით უყვარდათ კლასელებს. საოცრად თბილი და მოსიყვარულე ბიჭი ყოფილა. ხშირად, როცა კლასელები შატალოზე მიდიოდნენ, ალეკო შინ ბრუნდებოდა. მიუხედავად ამისა, გაკვეთილების გაცდენას მას აბრალებდნენ, რადგან იცოდნენ, რომ მეგობრებს არ დაასმენდა და არც უღალატებდა. საოცარი მეგობარი იყო. საამხანაგოს გული და სული ყოფილა.

ალეკო ბავშვობიდან ქართული სულისკვეთებით იზრდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ დედა – ქალბატონი ლალი ვედენკო, წარმოშობით, უკრაინელია, ორივე შვილი საქართველოს დიდი სიყვარულითა და ერთგულების შეგნებით აღზარდა. ალბათ ბევრი ქართველი დედა ვერ დაიკვეხნის იმას, რაც ქალბატონმა ლალიმ გააკეთა.

ლალი ვედენკო, დედა:

– ჩემი ერთადერთი სამშობლო საქართველოა – ამ სულისკვეთებით აღვზარდე ალეკოც და ნათიაც. მათ ბავშვობიდანვე საქართველოს სიყვარულსა და ერთგულებაზე ვესაუბრებოდი. ჯერ კიდევ სულ პატარებს ვუკითხავდი რაფიელ ერისთავის ლექსს „სამშობლო ხევსურისა“. ალბათ, ჩემს შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია: ჩემმა 25 წლის შვილმა ხომ დაუფიქრებლად შესწირა ყველაზე ძვირფასი, რაც კი ადამიანს აქვს – სიცოცხლე...

ალეკოს პატარაობიდანვე იტაცებდა სამხედრო საქმე. ჯერ კიდევ ბავშვობაში სამხედრო კომისარს მოუნათლავს, რის შემდეგაც განსაკუთრებით გაძლიერებულა მისი ინტერესი ამ სფეროსადმი. პატარა ბიჭი სულ სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი დადიოდა, სამხედრო ქუდი ეხურა და ისე თამაშობდა თურმე. მაშინ, როცა ალეკო მშობლებს დასასვენებლად ბათუმში წაუყვანიათ, სანაპიროზე მათთან ერთად სამხედრო ნაწილის ბიჭებიც ყოფილან. სანამ ისინი ზღვიდან ამოვიდოდნენ, პატარა ალეკო მათი ჩექმებითა და ტანსაცმლით დადიოდა და ეს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა.

მშობლების მიმართ უსაზღვროდ მოსიყვარულე ბიჭს, განსაკუთრებით, მამის დიდი რიდი ჰქონია. დედასთან უფრო მეგობრული და ახლო ურთიერთობა აკავშირებდა. ისინი მესაიდუმლეებიც კი ყოფილან – დედა-შვილს შორის დაფარული არაფერი არსებობდა.

სკოლის დამთავრებისთანავე ალეკომ თბილისის უმაღლეს საარტილერიო სასწავლებელში ჩააბარა. თავიდან ძალიან გაუჭირდა შეგუება: სასწავლებლის შინაგანაწესის მიხედვით, ბიჭს თვეში ერთი-ორჯერ თუ უშვებდნენ შინ.

„მიჭირს უთქვენობა. თავი ციხეში მგონია. თბილისის ქუჩები მენატრება. განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩემი სასწავლებლის ფანჯრებიდან მთაწმინდას და ფუნიკულიორს ვუმზერ“.

ლალი ვედენკო:

– მთელი სტუდენტობის განმავლობაში, ყოველდღე, თოვლი იყო თუ წვიმა, დილით ჩემს შვილთან სასწავლებელში მივდიოდი: მისი ნახვა მხოლოდ 9-დან 10 საათამდე შემეძლო. არც ერთი დღე არ გამომიტოვებია. მივიდოდი თუ არა, ყველაფერს გამომკითხავდა, დაწვრილებით მომაყოლებდა ოჯახის თითოეული წევრის შესახებ. ასე გრძელდებოდა მთელი ოთხი წელიწადი. თურმე რა ბედნიერი ვიყავი მაშინ. რას ვიფიქრებდი, რომ სულ მალე, ომში მოხვედრილი ტყვია გამოასალმებდა სიცოცხლეს...

ოფიცერი ალეკო ნუცუბიძე

პატარა ალეკო ნუცუბიძე

ოთხმა წელმაც სწრაფად გაიარა და ალეკო ნუცუბიძემ უმაღლესი სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა. დადგა დრო, როცა პირად ცხოვრებაზე ფიქრის საშუალება მიეცა ჭაბუკს და მშვენიერ სვეტაზე დაქორწინდა.

სვეტა ნუცუბიძე, მეუღლე:

– ერთმანეთი ჩემს მეგობართან გავიცანით. თავიდანვე საოცრად მომეწონა. შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი ზრდილობიანი, წესიერი და კულტურული ადამიანი იშვიათად შეგხვდება. ჩემთან პაემანზე უყვავილოდ არასოდეს მოსულა... ერთად მხოლოდ სამი წელიწადი ვიცხოვრეთ. მერე კი სამუდამოდ დაგვტოვა და ამ ქვეყნიდან წავიდა.

ქორწინებიდან ერთი კვირის შემდეგ, ალეკო ერევანში გააგზავნეს სამხედრო სამსახურიდან. სულ რამდენიმე დღის გაბედნიერებული სვეტა მარტო დარჩა და დღეებს ითვლიდა, როდის ნახავდა საყვარელ მეუღლეს.

სომხეთიდან გადმოყვანილი ალექსანდრე ნუცუბიძე საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მობილური ძალების სამხედრო ნაწილის პი-

რად შემადგენლობაში, საარტილერიო ასეულის მეთაურის თანამდებობაზე მსახურობდა. მალე შინაგან ჯარებში სარიტუალო ასეულის შექმნა გადაწყვიტეს, რომლის ფუნქციებში მაღალი რანგის სტუმრების შეხვედრა-გაცილება და სხვადასხვა საზეიმო-სარიტუალო ღონისძიებაში მონაწილეობა უნდა შესულიყო. უმოკლეს ხანში შინაგანი ჯარების ნაწილებში რაინდული იერის, კარგი გარეგნობისა და სხვა გამორჩეული თვისებების მქონე 130 სამხედრო მოსამსახურე შეარჩიეს. გამოიყო ცალკე ყაზარმა, შემუშავდა სპეციალური მეცადინეობის ცხრილი და უფროსი ლეიტენანტის, ალეკო ნუცუბიძის ხელმძღვანელობით, დაიწყო ინტენსიური სამწყობრო მომზადება და სარიტუალო წესების შესწავლა.

საუბედუროდ, ვითარება ქვეყანაში უკიდურესად დაიძაბა და ჯარისკაცი მხოლოდ რიტუალისთვის როდი დასჭირდა საქართველოს.

ალეკო შინაგანი ჯარებიდან ქართულ გვარდიაში გადადის. ამ დროს იწყება ომი – შეიარაღებული კონფლიქტი ქართველებსა და აფხაზებს შორის. ფრონტზე წასული ალეკო ნუცუბიძე პირველი დღიდანვე თავგანწირვით იცავდა მამულსა და სიმართლეს.

ერთხელ დიდი ჭრილობით დაბრუნდა შინ. ოპერაციაც გაიკეთა. ექიმებმა უთხრეს, რომ თირკმლები ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჰქონდა და აუცილებლად სამკურნალოდ უნდა დაწოლილიყო. მან კი საავადმყოფოში დაწოლასა და მკურნალობაზე უარი თქვა.

ლალი ვედენკო:

– ვთხოვე, ემკურნალა და მერე წასულიყო ომში. არ დამიჯერა, მითხრა, – ჩემთან ერთად 18-19 წლის ბიჭები იბრძვიან, იარაღის ხელში ჭერაც არ იციან და ბრძოლის ველზე როგორ მივატოვო – მათ ხომ მეთაური სჭირდებათო. თან ნაწილის უფროსმა სთხოვა, რამდენიმე დღით წასულიყო აფხაზეთში, რადგან ტანკსაწინააღმდეგო დანადგარის აწყობა და ხმარება მხოლოდ ალეკოს სცოდნია. როგორც თვითონ შემპირდა, ამ საქმეს რომ მოაგვარებდა, თბილისში ჩამოვიდოდა რამდენიმე კვირით და ჰოსპიტალში სამკურნალოდაც დაწვებოდა.

საუბედუროდ, ეს წასვლა საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის. 20 სექტემბერს ბრძოლის დროს, ალეკო და მისი თანამებრძოლები კოდორის ხეობაში მტრის ზურგში შეჭრილან. როცა ყველა სანგარში იყო, ალეკო ამოსულა, რათა ტანკსაწინააღმდეგო მოწყობილობა აეწყო. სწორედ ამ დროს სნაიპერის ტყვია მოხვდა. მხოლოდ სამი სიტყვის თქმა მოასწრო: „ბიჭებო, თავს მიხედეთ“.

ტყვია გულმკერდის არეში ჰქონდა მოხვედრილი და ალეკო ადგილზევე გარდაიცვალა.

თანამებრძოლებმა მისი ნეშტი მდინარე კოდორზე ხელით გადმოასვენეს. მიუხედავად სოხუმის აეროპორტის ხელმძღვანელობის დიდი წინააღმდეგობისა, იმავე დღეს ჩამოასვენეს თბილისში, თვითმფრინავით, რომელიც გადატენილი იყო ლტოლვილი ქალებით, ბავშვებითა და უმწეო მოხუცებით. ალეკო ნუცუბიძე სოხუმის დაცემამდე რამდენიმე დღით ადრე დაიღუპა. სოხუმის დაცემის დღეს კი, თავდადებული მებრძოლი მიწას მიაბარეს.

ნათია ნუცუბიძე, და:

– ომში ყოველი წასვლის დროს მხოლოდ მე ვაცილებდი – ქუჩის ბოლომდე ჩავყვებოდი ხოლმე. ბოლო – საბედისწერო წასვლისას შინ არ ვიყავი, რის გამოც ვერ გავაცილე. რომ გამეცილებინა, იქნებ ასე არც მომხდარიყო... წასვლამდე რამდენიმე საათით ადრე სასაფლაოები სულ ფეხით შემოუვლია. იმ სასაფლაოზეც ყოფილა, სადაც ერთი კვირის შემდეგ დავკრძალეთ...

რას გრძნობდა იმ დღეს ალეკო? ომში წასასვლელად გამზადებულმა ბიჭმა რატომ ჩამოიარა სასაფლაოები და რატომ ნახა სულის სიმშვიდე იქ, სადაც რამდენიმე დღეში დაასაფლავეს? რას ფიქრობდა იმ დროს? ვაითუ ხვდებოდა, რომ იმ დღის მერე თბილისის ცას ვეღარასოდეს ნახავდა და ვეღარ მოეფერებოდა თავის საყვარელ ცოლ-შვილს? თუ ამას ხვდებოდა, რატომ წავიდა? სამშობლოს სიყვარულმა და თავდადებამ არ გააჩერა შინ... ან, წასვლის წინ, რატომ მიაძახა მეზობელს – ნახვამდის, ომიდან ან დავბრუნდები, ან არაო?!

თავისი თილისმაც კი, რომელსაც მთელი ცხოვრება თან ატარებდა, მხოლოდ იმ დღეს მოიშორა თავიდან – სახლში დატოვა და ისე წავიდა...

ოჯახმა ალეკოს დაღუპვა მეორე დილით გაიგო. მანამდე კი, დედა მთელი ღამე ტიროდა, თვალი ერთი წუთითაც არ მოუხუჭავს და თავის შვილზე ფიქრი არ ასვენებდა: ალბათ გულმა უგრძნო, რომ ალეკო ცოცხალი აღარ იყო. გამთენიისას, მთასავით ბიჭი სახლში მიუსვენეს...

ალექსანდე ნუცუბიძე მაიორის წოდებაზე იყო წარდგენილი. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე კი ბრძანებაც გამოიცა: 25 წლის ალეკო მაიორი გახდა.

თემურ ნუცუბიძე, შვილი:

– მე სამი წლის ვხდებოდი, როცა მამა აფხაზეთის ომში დაიღუპა. ეს ზუსტად 8 წლის წინ მოხდა. მახსოვს მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამ: როცა მამა სამსახურიდან დაღლილი ბრუნდებოდა, წამოწვებოდა და მე ზურგზე ფეხებით ვადგებოდი. ჩემს მეხსიერებას მხოლოდ ეს შემორჩა – მეტი არაფერი... მეამაყება, რომ გმირის შვილი ვარ, მაგრამ ზოგჯერ სევდა შემომაწვება – მაშინ, როცა უმამობას ვგრძნობ ხოლმე. ალბათ, რა ბედნიერი ბავშვი ვიქნებოდი, მამა რომ გვერდით მყავდეს. როცა მარტო ვარ სახლში, ვიდეოს ვრთავ, მამაჩემის ცხოვრებისეულ კადრებს ვუყურებ და ვფიქრობ – რა მოხდებოდა, არ მომკვდარიყო და მეც მყოლოდა მამა...

სვეტა და თემურ ნუცუბიძეები

შვილის დაკარგვამ დაამუნჯა მშობლები: დედა სულ ფანჯარასთან დგას და ელოდება, როდის შემოაღებს ჭიშკარს მისი ბიჭი და შესძახებს: დედი, ჩამოვედი და ორ დღეში ისევ უკან უნდა წავიდეო... მამა სულ ჩაფიქრებული დადის და ხანდახან თუ დაილაპარაკებს, ისე დაჩაგრა ცხოვრებამ, თავისი შვილის დაღუპვის გამო. მაგრამ, ოჯახს ჰყავს დიდი იმედი – ეს თემურია – 11 წლის ბიჭი, რომელიც უფალმა თანატოლებში გამოარჩია, რადგან საამაყო – ნამდვილი გმირი მამის შვილია...

ვარსკვლა
რომლებსაც ყველაფრ

გამოჩენილი ადამიანები თურმე ჩვეულებრივ მოკვდავებზე მეტად ექცევიან სხვადასხვა მანიის, ფობიისა და ცრურწმენის ტყვეობაში.



პამელა ანდერსონი

სიბილ შეპარდი



ლუჩანო პავაროტი

ვარსკვლავებს შორის ყველაზე უფრო გავრცელებული ფობია – მათზე თავდასხმის შიშია. სინამდვილეში, მათ თავს ძალიან იშვიათად ესხმიან, მაგრამ საკმარისია, ფსიქიკურად გაუწონასწორებელმა თაყვანისმცემელმა რომელიმე ვარსკვლავს კუდში დევნა დაუწყოს, რომ შიშის ეპიდემია მთელ ჰოლივუდში ელვის სისწრაფით ვრცელდება. ამ შიშის გავლენის ქვეშ მოქცეული ვარსკვლავები უსაფრთხოების გაძლიერებულ ზომებს მიმართავენ და კუნთმაგარ მცველებსაც აღარ ენდობიან. ამიტომ, ვთქვათ, ნაზი და გრაციოზული ჯულია რობერტსი თავის ხელჩანთაში მუდამ ატარებს სმიტ-ვესონის 35-ე კალიბრის იარაღს, სიბილ შეპარდი უფრო მოკრძალებულ მოდელს ირჩევს – ის თავს მშვიდად მხოლოდ მე-18 კალიბრის რევოლვერის თანხლებით გრძნობს. შერონ სტოუნი საბნის ქვეშ თურმე მონადირის ნამდვილ თოფს მალავს. იარაღი მუდამ მზადყოფნაში აქვთ კლინტ ისტვუდს, რობერტ დე ნიროს და ჰარვი კეიტელს. ზოგიერთი, განსაკუთრებით მდიდარი ვარსკვლავი, კოლოსალურ ხარჯებს არ ერიდება და დაცვის განსაკუთრებულ სისტემებს იძენს. შერონ სტოუნმა, ჯოდი ფოსტერმა და შერმა ძუბ-ს უკანასკნელი სიახლე შეიძინეს. ეს მოწყობილობა ამერიკის ადმინისტრაციის უმაღლესი ეშელონის მოხელეთა დასაცავად გამოიყენება: ღილის ზომის აპარატი საფრთხის მაუწყებელ სიგნალს შორ მანძილზე – პირდაპირ პრეზიდენტის დაცვის ცენტრალურ ოფისში გადასცემს.

ვარსკვლავებს შორის გავრცელებული კიდევ ერთი ფობია, თვითმფრინავების ავადმყოფური შიშია. მათ შორის, ვინც ცხოვრებას ავიაკატასტროფის მოლოდინში ატარებს, არნოლდ შვარცენეგერი და მრავალი სხვა ცნობილი ადამიანია. ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება იშვიათად იმგზა-

მუსიკალური ჰიტპარადი ტელევიზიის პირველ არხზე	ვალი ანუ	მეჩეთის კრშკი	გარეული ფრინველი ქათმების ოჯახიდან	მოთელილი მატყლის წამოსასხამი	
ჟ ე ა ს ო მ ა ნ ი ა ნ ი ს ი ა ჟ ი ნ ა ხ ე ლ ი ჩ ა ჩ ა ბ ი ნ ა ბ ა ლ ი					
ნაცვალსახელი	სატელეფონო ტერმინი	ნეორეალისტური იტალიური კინოს მსახიობი ანა ...	ტაბლანდის ძველი სახელწოდება	...-ეკალი	მოძღვრება მორალის შესახებ	სათაური ავტომობილში მძღოლი-სათვის	შვილიშვილ

...ეშინიათ

სილვესტერ სტალონე

სელმა ჰაიეკი

ვრონ თვითმფრინავით და თუ ეს მგზავრობა გარდაუვალია – დამამშვიდებელი აბების გროვას სვამენ. რაც შეეხება ვუპი გოლდბერგს, მან დაიფიცა, რომ არასოდეს ჩაჯდება თვითმფრინავში, რა დიდი მოგების შანსიც არ უნდა გაუჩნდეს ამ ფრენის შედეგად.

ეკრანზე მუდამ უშიშარი სილვესტერ სტალონე თურმე ვერ იშორებს დამანგრეველი მიწისძვრის შიშს. ეს კოშმარი მას არა მარტო დღისით, არამედ ღამითაც თან სდევს და საწყალი რემბო თურმე ისე დაიტანჯა, რომ იძულებული გახდა, ექიმისთვისაც მიემართა.

მაგრამ სტალონეს სხვა პრობლემებიც ჰქონია: თურმე მას მცირედი უქეიფობაც აშინებს და მაშინვე ჯანმრთელობის გაკაჟების სხვადასხვა ხერხს მიმართავს. გარდა ამისა, სლაი, ისევე როგორც ტომ კრუზი, საერთოდ ვერ იტანს გარშემომყოფ უცნობთა დაჟინებულ მზერას. სტალონეს სიფრთხილე ყოფაცხოვრებაშიც ვლინდება: თურმე თავის მდიდრულ ვილაში ყოველი წვეულების წინ, ის საგულდაგულოდ ითვლის პირსახოცებს, რადგან დარწმუნებულია, რომ მისი რესპექტაბელური სტუმრები მას აუცილებლად მოჰპარავენ. თავისი უცნაურობების წყალობით, სლაი მოსამსახურეთა დაცინვის ხშირი ობიექტი ხდება.

„ყვითელი პრესის“ გაქნილმა ჟურნალისტებმა სტივენ სპილბერგის პატარა საიდუმლოს გამოქექვაც შეძლეს. აღმოჩნდა, რომ „იურიული პერიოდის პარკის“ შემქმნელს პანიკურად ეშინია ბაყაყების და ქვეწარმავლების. ბო დერეკს და სელმა ჰაიეკს ისტერიკაში აგდებთ გველის დანახვა, თუნდაც იგი მხოლოდ ტელეეკრანზე ჩნდებოდეს. ალბათ ბედის ირონია იყო ის, რომ სწორედ სელმა ჰაიეკს მოუწია გველთან მოცეკვავე ქალის როლის შესრულება ფილმში „აისიდან დაისამდე“. რეჟისორმა რობერტ როდრიგესმა ვერაფრით შეძლო მსახიობის დაყოლიება, რომ მას ცოცხალი, გაწვრთნილი მახრჩობელა დაესვა მხრებზე. სასოწარკვეთილმა რეჟისორმა უკანასკნელ საშუალებას მიმართა და გადასაღებ მოედანზე ჰიპნოზიორი მიიწვია. ჰიპნოზის ხანგრძლივი სეანსის შემდეგ, სელმამ როგორც იქნა, შეძლო იმ საშინელი ცეკვის შესრულება.

რა თქმა უნდა, ყოველ თავმოყვარე ვარსკვლავს საკუთარი თილისმა უნდა ჰქონდეს. ჰოლივუდში განსაკუთრებული პოპულარობით აცტეკთა უძველესი ამულეტები სარგებლობს. მათი მფლობელები დარწმუნებულნი არიან, რომ თილისმა მათ ავი თვალისგან, კონკურენტთა ოინებისგან და შესაძლო უბედურებისგან საიმედოდ დაიცავს. ვისაც უძველესი ამულეტი ხელთ არ აქვს – თანამედროვე საგნების გამოყენება უწევს. სწორედ ასე იქცევა ლუჩანო პავაროტი, რომელიც თავის ცნობილ ზოლიან შარფს ატარებს. მომღერალი საკუთარ თილისმას ძალიან უფრთხილდება და განსაკუთრებით მნიშვნელოვან კონცერტებსა და პრემიერებზეც კი არ იშორებს. პავაროტის არც სახელგნათქმული მოდელიერები ჯანფრანკო ფერე და ვალენტინო ჩამორჩებიან. მოდის განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ჩვენებებზე ვალენტინო წითელ პიჯაკში ცხადდება, ფერე კი – ლურჯში. კუტურიეები დარწმუნებულნი არიან, რომ ამ ნივთებს მათთვის წარმატება მოაქვს.

და საერთოდ, ვარსკვლავები ბავშვებივით ფრთხილები, გულუბრყვილოები და ეჭვიანები არიან. ამის მიზეზი ალბათ ის არის, რომ ისინი სხვებზე მეტად არიან დამოკიდებულნი ფორტუნაზე და შესანიშნავად იციან: საკმარისია, წარმატების ქალღმერთმა სულ მცირე ხნით შეაქციოს ზურგი, რომ შეიძლება, მაშინვე წყვდიადში ჩაიკარგონ და მათი არსებობა ყველამ დაივიწყოს. ■

...ეკახეთში. ...ენ საძოვრად	იოსიფ ბროზ ...	ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიური ჩანაწერი	გამის ნოტა	ფილმი ლეილა აბაშიძის მონაწილეობით	თვეების ძვალი	ცვარი	ქალაქი საფრანგეთში
...ეკ...ი...ბ...ი...ბ...ო...ა...ბ...ი...ა...ბ...ი...ა...ბ...ი

ახლა ხატობაზე «მუსიკით» ამოდიან...

სალომე ზოზიტაშვილი

და ახალგაზრდები ჩუმ-ჩუმად ევროპულადაც ცეკვავენ, ოღონდ ისე, რომ უხუცესებმა არ დაინახონ...

ხატობის ციკლს თუშეთში „ათინგენას“ უწოდებენ. დღეობებსაც ასე ნათლავენ – მთავარანგელოზის ათინგენა, წმინდა გიორგის ათინგენა, მიქელგაბრიელის ათინგენა და ა.შ. ათინგენას – თვით სახელს, ერთნი წარმართულ ღვთაებას უკავშირებენ, მეორენი – ბერძნულ წმინდანს... ერთი კი ცხადია, რომ თუშეთი ამ დღესასწაულის გარეშე დღესაც წარმოუდგენელია.

ხატობა-დღეობები ივლისში იწყება და მთელი თვე გრძელდება, ეს ის დროა, როცა საგაზაფხულო სამუშაოები დამთავრებულია და თიბვაც არ დაწყებულა.

მთის მიხვეულ-მოხვეულ ბილიკზე ამ ზაფხულსაც მოჩანდა ხატში მიმავალი მანქანები, შიგადაშიგ ხურჯინგადაკიდებული მომცრო მთის ცხენები, არცთუ ისე იშვიათად, ჭრელი, მოქარგული ხურჯინებიდან ცნობისმოყვარე ბავშვებიც იჭყიტებოდნენ. საკლავიც მრავლად მიჰყავთ და ტანსაცმელიც სადღეობო აცვიათ (ქალები ხატობისთვის საგანგებოდ ქსოვენ და ქარგავენ სამოსს).

– ეს ხატობა ისე გაატარეთ, რომ ერთმანეთის წყენინება ნუ იქნება. ნურც ჩხუბი იქნება და ძველი შურისძიება სხვაგან და სხვა დროს ეძიეთ. აქ მოვსულვართ სალოცავად და არა საჩხუბრად...

ასე დაამწყალობებს დეკანოზი თავის მრევლს. დეკანოზს დროშა უჭირავს, რომელიც ყოველ ხატობაზე შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს.

გვესაუბრება ცნობილი ეთნოლოგი ***მზია მაკალათია:***

– მლოცავები ორად იყოფიან. ერთ გორაკზე ქალები დაბანაკდებიან, მეორეზე – კაცები. მოზიდავენ უამრავ შეშას და დაანთებენ დიდ ცეცხლს. ღამის მთეველი ქალები ცალკე ფუსფუსებენ. ღია ცის ქვეშ იწვება მწვადი და იხარშება ხორცი. მღერიან და ლექსაობენ კიდეც. შუაღამისას შულტა დაიძახებს (შულტა ხომ გახსოვთ, დეკანოზის თანაშემწეა. – ავტ.) – კაცები „კოდის ლოცვაზე“ მოდითო.

— ამ ლოცვაში ქალები არ მონაწილეობენ?

– არავითარ შემთხვევაში. და საფიქრებელია, რომ ეს რიტუალი წარმართული წეს-ჩვეულებებიდან მოდის.

— კოდის ლოცვა ხომ საკმაოდ ლამაზად წარმოითქმის და ამდენად, ერთგვარი პროტესტის გრძნობა მიჩნდება, რატომ არა აქვთ ქალებს ამ ლოცვის წარმოთქმის უფლებაც კი.

– მართლაც ლამაზი ლოცვაა, თუნდაც დასასრული ავიღოთ:

„წმინდის გიორგის კარზედა,
ხე ალვად ამოსულიყო,
იმას დეესხა ყურძენი,
საჭმელად მოწეულიყო,
იმის შემცოდე ქალ-ვაჟი
უდროოდ დაშაულიყო“...

მაგრამ გული ნუ დაგწყდებათ. ეს ღამით ხდება. გათენდება და ხატისკენ დაიძვრებიან სიმღერით. ამ სიმღერის ტექსტში ზემოთ მოყვანილი სტრიქონებიც ურევია და ქალებიც მღერიან...

— ახლა სახატო სუფრასთანაც დავსხდეთ...

– დღეს სახატო სუფრასთან ქალებიც სხდებიან მამაკაცებთან ერთად. ადრე ეს ყოვლად წარმოუდგენელი იყო. კაცები ხატთან ახლოს სხდებოდნენ, ქალები კი მოშორებით და ცალ-ცალკე მხიარულობდნენ.

— თუმცა, გული კი ერთმანეთისკენ მიუწევდათ...

– შიგადაშიგ ყოჩაღი ბიჭები მაინც შეიჭრებოდნენ ხოლმე ქალების წრეში და ლეკურს დაუვლიდნენ. ახლა კი ხატობაზე მაგნიტოფონებიც ამოაქვთ და ახალგაზრდები ჩუმ-ჩუმად ევროპულადაც ცეკვავენ, ოღონდ ისე, რომ უხუცესებმა არ დაინახონ...

— სხვა მხრივ რით აწონებდნენ თავს ქალებს ყოჩაღი თუშები?

– ასეთი წესიც იყო: დედაკაცები ტყის ბილიკის თავზე შეკრავდნენ გზას სახრეებითა და შოლტებით შეიარაღებულნი. მხედრები ჯგუფ-ჯგუფად გააჭენებდნენ ცხენებს. ვაი, მათი ბრალი, იმდენი სახრე ხვდებოდათ... ზოგს ცხენიც კი უფრთხებოდა, მაგრამ გაწვრთნილი რაინდები უშიშრად არღვევდნენ ქალთა „ციხეს-იმაგრეს“. გამარჯვებულები სოფლისკენ გაჭენდებოდნენ, სადაც მათ „ერთი ჩხუტით“ (პური, ლუდი და არაყი) ასაჩუქრებდნენ.

— მერე ქალები ადვილად ურიგდებოდნენ „დამარცხებას“?

– არც მთლად მასე იყო საქმე. ყველა ცხენოსანი კი ვერ იმარჯვებდა პირველივე ცდაზე და მორიგ „წრეზე“ წამოსულნი ახლა პირდაპირ შეტევაზე გადადიოდნენ. თუმცა კი დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ, ქალები მხედარს ცხენიდან ჩამოათრევდნენ ხელჩართული ბრძოლისას, დასტაცებდნენ ამ სანაქებო მთიელთ ცალ ფეხში ხელს და ფერდობზე ჩაათრევდნენ.

— როგორ ახსნას მოუძებნიდით „ჩათრევის“ რიტუალს?

– ამბობდნენ, ქალები არც ერთ მამაკაცს ჩაუთრეველს არ დატოვებდნენ. ეგ კი არა, ვინც ბრძოლის გუნებაზე არ იყო, თვითონვე ჩამოხტებოდნენ ცხენიდან და მორჩილად „გაუწვდიდნენ“ ცალ ფეხს დედაკაცს „ჩასათრევად“. ჩაუთრეველ კაცს ხატი დაამიზეზებსო – ამბობდნენ...

...

დასრულდებოდა „ჩათრევა-ჩათარა“, დაირეკებოდა ჯვრის ზარი, მოილოცავდა ხალხი, დეკანოზი დაამწყალობებდა მხვეწარს, ჩამოარიგებდნენ ლუდს და დაიძვრებოდნენ სოფლისკენ. მერე სოფლის მოედანზეც იმართებოდა ცეკვა-თამაში, ერთმანეთს სახლშიც მიიწვევდნენ. არცთუ ისე იშვიათად, სტუმარს მოიტაცებდნენ ხოლმე ქალები (აქაც ფეხით დაათრევდნენ) და ვაი მასპინძლის ბრალი – ქვაბ-საკლავით უნდა გამოესყიდა გატაცებული სტუმარი.

P.S. სამწუხაროდ, დღეს გატაცებულ „სტუმრებს“ ქვაბ-საკლავი აღარ ჰყოფნით გამოსასყიდად...

■

ელენე სალარიძე

ვერის ბაზარში ნაპოვნი ახალგორის განძი

ეს ამბავი 1908 წელს მოხდა. თბილისში, ვერის ბაზარში, ექვთიმე თაყაიშვილის ყურადღება ერთმა 15-ოდე წლის ყმაწვილმა მიიპყრო, რომელსაც ხელში ოქროს უჩვეულო ნივთი ეჭირა და საკმაოდ იაფადაც ყიდდა...

ექვთიმე ბიჭს გამოელაპარაკა. მას ოქროს ნივთი სოფელ საძეგურში ეპოვა, ახალგორთან ახლოს. ჩემს „დოსტებს“ (ძმაკაცებს) ამაზე უკეთესები აქვთო, უთქვამს...

დიდ მეცნიერს „განძის მომპოვებელი“ შინ წაუყვანია, დაუპურებია, ჩასაცმელ-დასახური უყიდია, ფულიც იმაზე მეტი მიუცია, რასაც ბიჭი იმ ოქროს ნივთს აფასებდა და მეორე დღესვე საძეგურში გაჰყოლია...

...

აი ასე, სრულიად მოულოდნელად საგანძურის „კვალზე დამდგარან“ ქართველი არქეოლოგები. თუმცა საძეგურში ჩასულებს ახალი „თავგადასავალი“ ელოდათ. მთელი ღამე გადაუღებლად წვიმდა თურმე და იმ ადგილას, სადაც ოქრო „აღმოჩნდა“, არანაირი ძვირფასეულობის კვალი აღარ დახვედრიათ...

ამჯერად, ჩემი თანამოსაუბრეა სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ექსკურსიამძღოლი, ჩვენი მკითხველისთვის უკვე ნაცნობი ქართული საგანძურის მცველი, ქალბატონი **ნუნუ გეწაძე**.

— იმედგაცრუებულ ბატონ ექვთიმეს ხელი არ ჩაუქნევია და ახლა უკვე პროფესიული ინტუიცია მოუშველიებია. წვიმისგან ჩამორეცხილ ქანს აჰყოლია ზემოთ, ზემოთ და... ადგილ-ადგილ რამდენიმე ძვირფას ნივთს გამოუნათებია. წვიმას ბექობზე მდებარე სამარხი ჩამოურეცხავს და მეცნიერიც გზადაგზა „კრეფდა“ ოქროს...

— და როგორც ჩანს, „საბადოსაც“ მიაკვლიეს.

— ეს მართლაც საბადო იყო. ოქროები მდიდარი ქალის სამარხიდან პირდაპირ მოცვიოდა. უფრო მეტიც, დიდგვაროვანი ქალბატონი თავად ხომ განსაცვიფრებელი სამკაულებითა და მდიდრული ნივთებით იყო შემკული, მის მახლობლად ექვსი ცხენი ჩაეტანებინათ — ექვსივე ოქრო-ვერცხლით მორთულ-აღკაზმული. მარტო ის რად ღირდა, რომ ცხენების ეს აღკაზმულობა სულ ლოტოსის ყვავილებით შემკული ორნამენტებით იყო დამშვენებული.

— რომელ პერიოდს განეკუთვნება აღნიშნული სამაროვანი?

— ჩვ.წ.აღ-ით V-IV საუკუნეებს. იმასაც გეტყვით, რომ ახალგორის განძი საქართველოს უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ მონაპოვრად ითვლება. აქ უამრავი გამორჩეული სამკაულია.

— და მაინც ყველაზე გამორჩეული ალბათ ოქროს საკიდია ცხენების გამოსახულებით...

— ეს სასაფეთქლეებია. თითოეულზე ორ-ორი ცხენია „გამოქანდაკებული“, რომელთა ზურგზე ვარდულით დაბოლოებული ფართო ვერტიკალური ზოლია, გავარსის დახვეწილი ტექნიკით შესრულებული.

— სად ვეძებოთ იმის ფესვები, რომ დიდგვაროვან ქალს ცხენები ჩაატანეს საფლავში და გარდა ამისა, ყველაზე ძვირფასი ნივთი მის განსასვენებელში სასაფეთქლეებია, რომელზედაც ასევე ცხენებია გამოსახული?

— ეს ძალიან შორეული წარსულიდან მოდის. ცხენი ხომ ძლიერებისა და სიმდიდრის სიმბოლოდ ითვლებოდა. ამავე დროს გულდასაწყვეტია ის ფაქტი, რომ საფლავში დიადემა არ აღმოჩნდა — ამ პერიოდის არმაზის სამაროვნების მსგავსად. მე ვფიქრობ, დიადემა აუცილებლად იქნებოდა და იგი ისევე დაიკარგებოდა, როგორც ახალგორის განძთაგან მრავალი ნივთი... რომ არა ვერის ბაზარში გასაყიდად გამოტანილი ოქროს სამკაული.

— თავდაპირველად სად ინახებოდა ახალგორის განძი?

— ჩვენთან. ოღონდ ამ მუზეუმს მაშინ კავკასიის მუზეუმი ერქვა. ექვთიმემ ყველა ნივთი საგულდაგულოდ შეამოწმა, გაასუფთავა, ძველებური პეწი და ლაზათი დაუბრუნა, ზოგი საგამოფენო სტენდზე მოათავსა, ზოგიც ფონდში... მერე, ასევე თვითონ ჩაალაგა ეს ნივთები მძიმე ზანდუკებში საქართველოს საგანძურის დიდ ნაწილთან ერთად... მენშევიკურმა მთავრობამ ხომ 1921 წელს საგანძური საფრანგეთის გზას გაუყენა თავის მცველთან ერთად, ხოლო, როგორ უპატრონა უხუცესმა მეცნიერმა იქ მთელი 23 წელი და როგორ შეძლო სამშობლოში დაებრუნებინა ეს ნივთები, თქვენ უკვე იცით...

— ქალბატონო ნუნუ, ახალგორის განძიდან თქვენ თუ გაქვთ რომელიმე გამორჩეული ნივთი?

— მაქვს და იცით, რომელი? ორმაგმძივიანი ოქროს ყელსაბამი, მირჩილული გომბეშოების გამოსახულებებით. ეს ყელსაბამი ისეთი ლამაზია, რომ კარგა ხანს ყურადღება არ მიმიქცევია, რა იყო ამ მოგრძო ბურთულებზე გამოსახული. თურმე, შეიძლება გომბეშოც კი გაალამაზოს ხელოვნის საჭრეთელმა.

...

ახალგორის განძი ახლა მუზეუმის ოქროს ფონდშია. აქ არის გავარსით დაფარული საყურეები, ოქროს ბეჭდები სფინქსისა და ფორტუნას გამოსახულებებით, ნაირ-ნაირი ოქროს ბალთა (ზოგი, სამწუხაროდ, გატეხილი), თერმეტი მარტო ოქროს მძივია სარდიონის საკიდებით. ასობით ოქროს კილიტი, ვერცხლის სამკაულიც მრავლადაა, ოქროს მილაკებს, ზანზალაკებს და ფირფიტებს ხომ თვლა არა აქვს...

P.S. ავტორს მკითხველისადმი ერთი თხოვნაც აქვს. მოგვწერეთ, საქართველოს საგანძურიდან რომელი ნივთი მიგაჩნიათ ფასდაუდებლად, რომელ მათგანზე გსურთ გესაუბროთ. ან იქნებ, რაიმე უცნობი ფაქტი ან ამბავი იცით რომელიმე ძვირფასი ისტორიული ნივთის — რარიტეტის შესახებ. ■

ციმბირელი დევგმირი

დოსიე:

დაბადების თარიღი: 1967 წლის 19 სექტემბერი

დაბადების ადგილი: ქ. ნოვოსიბირსკი

სიმაღლე: 191 სმ

წონა: 128 კგ

მიღწევები: 1988, 1992, 1996 წლების ოლიმპიური ჩემპიონი; 9 გზის მსოფლიო ჩემპიონი; 12 გზის ევროპის ჩემპიონი; 13 გზის რუსეთის ჩემპიონი. ჟურნალისტთა გამოკითხვების შედეგად 1989, 1990, 1992 და 1994 წლებში პლანეტის საუკეთესო მოჭიდავედ იყო დასახელებული.





...ის გასახდელში იჯდა და ტიროდა; მაშინ, 80-იანი წლების დასაწყისში, 18 წლის ბიჭმა, რომელსაც ჯერ ჯიდევ არავინ იცნობდა, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა საბჭოთა ჯავშირის პირველობაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. ალბათ ნებისმიერი სხვა სპორტსმენი ამ „მარცხს" მხოლოდ წარმატებად აღიქვამდა. მტირალ ბიჭს ჯი, მაშინვე ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ის „ნებისმიერი" არ უნდა ყოფილიყო და მხოლოდ გამარჯვებების გზით უნდა ევლო. გავიდა წლები და ბეჭდაუდებელი ნოვოსიბირსკელი მოჭიდავის შესახებ მთელმა მსოფლიომ შეიტყო. საშა ჯარელინმა, რომელიც ერთი შეხედვით, თითქოს არაფრით გამოირჩეოდა თავისი თანატოლი სპორტსმენებისგან, შეძლო გამხდარიყო პლანეტის ყველაზე ტიტულოვანი მოჭიდავე და ამით ისეთი დიდი სპორტსმენების გვერდით დამდგარიყო, როგორებიც არიან მუჰამედ ალი, პელე, მაიკლ ჯორდანი.

დედას 8 მარტი მოტეხილი ფეხით „მიულოცა"...

კარელინების ოჯახში პროფესიონალი სპორტსმენი არავინ ყოფილა. საშა კარელინის მამა, ალექსანდრი სატვირთო მანქანის მძღოლად მუშაობდა და ახალგაზრდობაში კრივითაც კი ყოფილა გატაცებული, თუმცა, სპორტს ბოლომდე არ გაჰყოლია. თავად საშა კარელინი ბავშვობაში უპირატესობას სათხილამურო სპორტსა და კალათბურთს ანიჭებდა, ისე კი, როგორც თავად იხსენებს ხოლმე, მამის მსგავსად, თურმე, დიდი თვითმცლელის მძღოლი უნდოდა გამხდარიყო. საშას ცხოვრებაში გარდამტეხი აღმოჩნდა დღე, როდესაც რუსეთში ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ერთ-ერთმა ცნობილმა სპეციალისტმა, ვიქტორ კუზნეცოვმა მასში ნიჭიერი, პერსპექტიული მოზარდი აღმოაჩინა. მაშინ საშა 13 წლის იყო. ვიქტორ კუზნეცოვი უმნიშვნელოვანეს ფიგურად იქცა კარელინის სპორტულ კარიერაში. „საშამ ჩემი ყურადღება მაშინვე მიიქცია. ის სხვა სპორტსმენებისგან გამოირჩეოდა. მაშინ 178 სმ სიმაღლისა იყო და 78 კგ-ს იწონიდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ პირველივე ვარჯიშზე გადავწყვიტე, რომ მას განსაკუთრებული დელიკატურობით უნდა მოვპყრობოდი. მისი დევგმირული გარეგნობის მიღმა ფაქიზი სულის ადამიანი იმალებოდა. ერთხელ საშამ ასეთი შემთხვევის შესახებ მიამბო: მას ძალოსნობაში ვარჯიში განუზრახავს და შტანგის დარბაზში მისულა, მწვრთნელს კი, მისთვის ისე უყვირია, რომ შემდეგ საშა იმ დარბაზს ახლოსაც აღარ გაჰკარებია", — იხსენებს ვიქტორ კუზნეცოვი.

საშა სერიოზული, მორიდებული, ზრდილობიანი და გულკეთილი ბიჭი ყოფილა. ის არასოდეს ჩხუბობდა, არც ხულიგნობდა, ყველაფერში უჯერებდა მშობლებს. „მე მკაცრად და მართებულად მზრდიდნენ. როდესაც პატარა ვიყავი, მეჩვენებოდა, რომ მშობლები ჩემ მიმართ ზედმეტ სიმკაცრეს იჩენდნენ, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ყველაფერს სწორად აკეთებდნენ. მშობლები თავიანთ გადაწყვეტილებებს არასდროს ცვლიდნენ, ცრემლები კი, ჩვენს ურთიერთობებში არგუმენტად არ გამოდგებოდა. ძირითადი პრინციპები სწორედ მშობლებმა ჩამინერგეს. დედამ ჩემზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა. მან შთამაგონა სპორტისა და სამშობლოს სიყვარული, მიმაჩვია შრომას. თავიდან ბავშვი „ალუმინის" არის და ის ადვილად შეიძლება მოდრიკო. „რკინისა" ის მაშინ ხდება, როდესაც ცხოვრება გამოაწრთობს. ამ ბილიკით პირველად გავლა, მისი გაკვალვა და ფართო გზად გადაქცევა — დამივჯერეთ, არც ისე ტკბილი პროცესია... დღეს ჩემი მშობლები სოფლის მეურნეობას მისდევენ. მიწასთან ჭიდილი უყვართ. მამამ უკვე სამოცს გადააბიჯა. მე წელიწადში ცხრა თვე სახლში არ ვიმყოფებოდი, ამიტომ აგარაკზე თითქმის ვერასოდეს ვეხმარებოდი", — იხსენებს საშა კარელინი.

ვიქტორ კუზნეცოვის ხელმძღვანელობით კარელინმა ვარჯიში დაიწყო და დიდი სპორტის მწვერვალების დაპყრობას შეუდგა. როდესაც ის საჭიდაო ხალიჩაზე გამოდიოდა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ყურა-



დღებას თავისი გოლიათური აგებულებით იქცევდა. საშას სპორტული კარიერის დასაწყისში, ბერძნულ-რომაული ჭიდაობის არაერთი სპეციალისტი მიიჩნევდა, რომ კარელინი გამარჯვებებს სწორედ თავისი ფიზიკური მონაცემების წყალობით აღწევდა, თუმცა, ვიქტორ კუზნეცოვი არასოდეს იზიარებდა ამ აზრს. „საშას ჩემპიონის ხასიათი სისხლში აქვს გამჯდარი, მას ყოველთვის სურს პირველობა. ბიცეპსებისა და კისრის სიგანე — მეათეხარისხოვანია, მთავარია ხასიათი! ოდესმე გინახავთ, როგორ ვარჯიშობს?.. შეუძლებელია, მას ვინმემ მიჰბაძოს“, — პასუხობდა საშას მიმართ სკეპტიკურად განწყობილ ჭიდაობის სპეციალისტებს ვიქტორ კუზნეცოვი.

ამბობენ, რომ ძალიან ხშირად, კარელინი თავის მოწინააღმდეგეებს მხოლოდ მზერით, ფსიქოლოგიურად თრგუნავდა და მონუსხულებს ისევე იმორჩილებდა, როგორც პითონი თავის მსხვერპლს. საშას შეუპოვარი ხასიათი იმაშიც გამოვლინდა, რომ მას არაერთხელ მიუღია უმძიმესი ტრავმა, თუმცა ამის გამო სპორტი არ მიუტოვებია. არაერთხელ კი, ტრავმირებული, ხალიჩაზე გასულა და გამარჯვებაც მოუპოვებია. „თხუთმეტი წლისამ ფეხი მოვიტეხე. მაშინ დედამ ვარჯიში ამიკრძალა და სპორტული ფორმაც დამიწვა. გასაკვირიც არ იყო: 8 მარტს, ქალთა დღეს, სახლში ჩემი ჩანთა მიუტანეს და უთხრეს: „თქვენი ვაჟიშვილი საავადმყოფოშია“. მიუხედავად ამისა, მაშინ მესამე ადგილი დავიკავე ნოვოსიბირსკის ოლქის პირველობაზე“, — იხსენებს საშა.

თავისი გამარჯვებებიდან, ყველაზე დიდი ემოციური შთაბეჭდილება კარელინზე ატლანტის ოლიმპიადის ფინალურმა ორთაბრძოლამ მოახდინა. მაშინ საშა ამერიკელ გაფარის ხვდებოდა. ამერიკელებს კი, როგორც ყოველთვის, ამ ორთაბრძოლით შოუს მოწყობა სურდათ. „რაღაცით ფინალი ცნობილი ჰოლივუდური ფილმის კადრებს ჰგავდა, რომელშიც მოკრივეები — ამერიკელი როკი და რუსი ივან დრაგო იბრძვიან. პირდაპირი ტრანსლაცია მთელ მსოფლიოში გადაიცემოდა. ორთაბრძოლის წინ კი, სწორედ იმ ფილმის მუსიკას უკრავდნენ. გაფარი ამერიკის ეროვნულ დროშაშემოხვეული გამოვიდა“, — იხსენებს კარელინი, რომელმაც ატლანტის ოლიმპიადამდე, ერთ-ერთ ტურნირზე მკერდის დიდი კუნთი დაიზიანა და ტრავმირებულს უხდებოდა ხალიჩაზე გამოსვლა. როგორც ჟურნალისტები წერდნენ, საშა ერთი ხელით ჭიდაობდა. მოწინააღმდეგეებმა იცოდნენ ამის შესახებ და ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა გამარჯვება მოეპოვებინათ, მაგრამ კარელინი მაინც გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა ყველასთვის. ერთ-ერთმა ფინელმა მოჭიდავემ კი, კარელინს სახეშიც გაარტყა. „ამან ძალიან მატკინა გული, რადგან ოლიმპიადამდე ცოტა ხნით ადრე, ერთ-ერთ ტურნირზე ზუსტად იმ ფინელმა მთხოვა, მისთვის თუნდაც ერთი ქულა მიმეცა და მომეგო არა 10:0, არამედ, ვთქვათ, 8:1, შემდეგ კი ასე გადამიხადა მადლობა...“

ფალავანი ხშირად იხსენებს სტოკჰოლმში ჩატარებულ ერთ-ერთ ტურნირსაც, სადაც ის შვედეთის ნაკრების ლიდერს, ტომას იუჰანსონს შეხვდა. შვედ მოჭიდავეს მეტსახელად, „ტუმბას“ ეძახდნენ და, როგორც თავად საშა ამბობს ხოლმე, თურმე ის მართლაც ჰგავდა უზარმაზარ ტუმბოს. პუბლიკაში რომ დიდი ინტერესი აღეძრათ, შეჯიბრების ორგანიზატორებმა ამგვარი რეკლამა გაუკეთეს კარელინისა და იუჰანსონის შეხვედრას: „ერთმანეთს შეეჭიდებიან „ტუმბა“ იუჰანსონი და რუსი დევგმირი ალექსანდრ კარელინი, მეტსახელად „ხულკინი“. „გესმით, ერთი ასო უნდა შეუცვალო და... ფიქრი მაწამებდა იმის გამო, თუ რატომ მაინცდამაინც „ხულკინი“, — სიცილით იხსენებს საშა, — აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ შვედურ მულტსერიალში „ცხოვრობს“ ზუსტად ამ სახელის მქონე გმირი. ის ნამდვილი ინტელიგენტია, ჭკვიანი, სკოლაში მასწავლებლად მუშაობს. ხულკინი — რაღაც სკანდინავიური ბეტმენის მაგვარი არსებაა. როდესაც უსამართლობას ხედავს, ის დაკუნთულ მონსტრად გადაიქცევა და ათასი ჯურის დამნაშავეს ებრძვის. იმის გამო, რომ მულტსერიალში ხულკინი ყოველთვის იმარჯვებდა, მეც იძულებული ვიყავი, რომ გამემარჯვა“...

ორ ათეულ წელზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც საშა კარელინმა ჭიდაობა დაიწყო. ამ ხნის მანძილზე მან უდიდეს წარმატებებს მიაღწია და თავისი სპორტული მიღწევების მიხედვით, გასული საუკუნის მსოფლიოს 25 საუკეთესო ათლეტს შორისაც აღმოჩნდა. „ჭიდაობამ უცნობი ნოვოსიბირსკელი ბიჭი, საშა კარელინი აქცია ადამიანად, რომელსაც დღეს მთელ მსოფლიოში იცნობენ“, — იუწყებოდა სხვადასხვა საინფორმაციო კომპანია რუსი დევგმირის შესახებ. ამ ფაქტს არც თავად კარელინი უარყოფს: „სპორტმა ყველაფერი მომცა. საზოგადო მოღვაწესა და კიდევ, ათასგვარ სხვა სახელს მიწოდებენ, მაგრამ მე მხოლოდ მოჭიდავე ვარ. ვინ ჩამოვიდოდა ნოვოსიბირსკში ინტერვიუსთვის კუნთმაგარ, ძლიერ საშა კარელინთან, რომელიც, ვთქვათ, ზეინკლად მუშაობს ქარხანაში? არავინ! ჭიდაობა ტრამპლინია უკეთესი ცხოვრებისათვის“.

მისი მისამართით ვერავინ იხმარს ცნობილ ფრაზას: Сила есть, ума не надо

საშა კარელინის შემხედვარე, ადამიანი (თუნდაც მხოლოდ სურათზე, ტელეეკრანზე) მაშინვე იგრძნობს, რომ რუსი ათლეტის სხეულში მართლაც დევგმირის ძალა და არაადამიანური ენერგიაა, თუმცა კარელინის პიროვნება მხოლოდ ფიზიკური ძალის განსახიერება როდია. საშას ძალიან უყვარს კითხვა, განსაკუთრებით, ინგლისური და ამერიკული ლიტერატურა, მისი საყვარელი მწერალი კი, ფეოდორ დოსტოევსკია. კარელინს რუსი კლასიკოსის ყველა ნაწარმოე-

ბი აქვს წაკითხული. ამბობენ, რომ ციმბირელი დევგმირი თვით შეჯიბრებების დროსაც არ იშორებს წიგნებს. მაგალითად, ერთ-ერთ ჩემპიონატზე იგი „ძმებ კარამაზოვებს“ კითხულობდა. მისი ნაცნობი ამერიკელები გაკვირვებულები იყვნენ: როგორ შეიძლება, შეჯიბრებების დროს დოსტოევსკის კითხულობდე?! ის ხომ, თავისი შემოქმედებით, პესიმისტი და უიმედო განწყობის მწერალია, მის ნაწარმოებებში ყველა და ყველაფერი მოწყენილია. გმირებიც მუდამ რაღაცით არიან შეწუხებულნი — ერთი სიტყვით, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნეგატიური ემოციებია. „საპასუხოდ, შევახსენებდი ხოლმე, რის შესახებ წერდა ჩემგან დიდად პატივცემული და მათი თანამემამულე ჰემინგუეი: ომზე, დაკარგულ თაობაზე, სიკვდილთან მოთამაშე მატადორებზე. მასთანაც, მთავარი თემა — სასოწარკვეთილებაა, მაგრამ დოსტოევსკისგან განსხვავებით, სიტუაციიდან გამოსავალი ამერიკელ მწერალს არ შემოუთავაზებია. დაკვირვებული მკითხველი მიხვდება, რომ დოსტოევსკის ნაწარმოებებს სიყვარული გასდევს ლაიტმოტივად და ვინც მოინდომებს, მის ნებისმიერ ნაწარმოებში აღმოაჩენს გზის მაჩვენებელ ძაფს, რომელიც ნებისმიერი ცხოვრებისეული ჩიხიდან გამოსავალს გვიჩვენებს,“ — ამბობს კარელინი, რომელსაც ბავშვობაშივე ძალიან უყვარდა წიგნი. მაშინ ის დევგმირებზე ლეგენდების კითხვით იყო გატაცებული. ცოტა რომ წამოიზარდა, ჯეკ ლონდონის ლიტერატურულ სამყაროს ეზიარა. საშა აგრეთვე ძალიან არის დაინტერესებული ქრისტიანობის ისტორიით. „ბოლოს კი, სულ რამდენიმე წლის წინ, მე გავიზარდე იქამდე, რომ დოსტოევსკის თითოეული წინადადების ჩაწვდომას ვცდილობდი“, — ამბობს საშა და დასძენს: „არასოდეს ვცდილობდი, თავი ბრძენ ადამიანად წარმომედგინა, მაგრამ რაც მე ყველაზე მეტად მორგუნავდა, ეს იყო ფრაზა: Сила есть, ума не надо. როგორ შეიძლება, ადამიანისთვის, რომელიც კოლოსალურ ფიზიკურ დატვირთვას იტანს და ფანტასტიკურ მწვერვალებს იპყრობს, ძნელი იყოს რომელიმე წიგნის წაკითხვა ან მეცნიერების დაუფლება? მთავარი ხომ სურვილია. ხშირად გაიგონებთ ფრაზას: „სპორტი ადამიანს ზღუდავს“, მაგრამ როგორ შეიძლება, ვარჯიშმა ხელი შეგიშალოს განათლების მიღებაში? სპორტსმენთა გარშემო ხომ ამდენი საინტერესო ადამიანია. თავისუფალ დროს კი, ოთახში შენ გვერდით შეიძლება იყოს პეტრეც, პავლეც, პლუტარქეც, ვოლტერიც და ფეოდორ დოსტოევსკიც“...



გარეგნობა

ვისაც საშა კარელინთან პირადად ჰქონია ურთიერთობა, ყველამ კარგად იცის, თუ რა კეთილი და სენტიმენტალური ადამიანი იმალება მისი „მკაცრი იერის“ მიღმა. არადა, მაშინ, როდესაც საშას ჯერ კიდევ არავინ იცნობდა, თავისი გარეგნობის გამო, ხშირად ექმნებოდა პრობლემები. „ჩვენ ხშირად მივფრინავდით საწვრთნელ შეკრებებზე „ვნუკოვოდან“ და ჩემთვის მილიციის ადგილობრივი განყოფილება მშობლიურად იქცა, — იხსენებს საშა. — როგორც კი დამინახავდნენ, მაშინვე მეუბნებოდნენ: გამარჯობათ, წამობრძანდით განყოფილებაში საბუთების გასასინჯად. ახლა, როდესაც წონაში მოვიმატე, კიდევ არა მიშავს რა, ადრე კი, წარმოიდგინეთ, გამხდარი, სახეზე კანგადაჭიმული და ჩავარდნილთვალებიანი ბიჭი ვიყავი. მახსოვს, საკმარისი იყო, ტრამვაიში ავსულიყავი და იქ მჯდარი ბებიები მაშინვე დაიწყებდნენ ერთმანეთში ჩურჩულს: „შეხედეთ, ბანდიტი ამოვიდა“.

დღეს ალექსანდრ კარელინს მოსახლეობაც ცნობს და აღარც პოლიციელებთან ექმნება პრობლემები. ყველამ იცის, რომ ეს თავგადაპარსული, „საშაში გარეგნობის“ ბუმბერაზი კაცი, მსოფლიოს ყველაზე ტიტულოვანი მოჭიდავეა. თუმცა, როგორც თავად კარელინი ამბობს, მისი პირველი ნახვისას ადამიანებს იგივე განცდა ეუფლებათ, როგორც ეს წინათ ხდებოდა. „იმისთვის, რომ გაიგონ, ვინ ხარ, დროა საჭირო“, — ამბობს კარელინი, რომელიც თავის ვარცხნილობას მამამისს უმადლის: „ერთხელ, როდესაც მეშვიდე კლასში ვსწავლობდი, მამასთან კამათი მომიხდა. მან მითხრა: „ნამდვილი მამაკაცი ფიზიკურად ძლიერი უნდა იყოს, ყველაფერზე საკუთარი შეხედულება ჰქონდეს და მტკიცე ხასიათით გამოირჩეოდეს. რაც შეეხება თმას, — ის მოკლედ უნდა ჰქონდეს შეჭრილი.“ მე ვუპასუხე, რომ ვეთანხმები და მზად ვარ, მისი სურვილისამებრ შევიჭრა თმა, მაგრამ თავადაც ასე უნდა მოიქცეს. მამაჩემმაც მიიღო ჩემი წინადადება. მას შემდეგ თავგადაპარსული დავდივარ, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივად ქერა, ხუჭუჭი თმა მაქვს. ერთ დროს კი, კაზაკურ ქოჩორსაც ვატარებდი“.

საჭიდაო ხალიჩის მიღმა

თავისი არასტანდარტული გარეგნობისა და გოლიათური აგებულების გამო, საშა კარელინი რამდენჯერმე ჰოლივუდში კინოსინჯებზეც მიიწვიეს. საშა ოკეანის გაღმა მართლაც გაფრინდა, თუმცა, ყველაფერი მხოლოდ ამით შემოიფარგლა. მიზეზი კი, ის იყო, რომ მას ხან КГБ-ს პოლკოვნიკის როლს სთავაზობდნენ, ხან — ციხეში მჯდომი ბოროტმოქმედისა, ხანაც — მოკრივის, რომელმაც ვითომ, ბრძოლაში თვით მაიკ ტაისონი გამოიწვია. „საკმაოდ სასაცილოა, — ამბობს კარელინი, — რატომ უნდა შევერკინო რინგზე მაიკს და რატომ არ უნდა შემხვდეს იგი საჭიდაო ხალიჩაზე? ერთ-ერთი პროექტის თანახმად, მათ იმის სურვილიც ჰქონდათ, რომ ეკრანზე ჩემგან შვარცენეგერის მსგავსი სუპერმენი შეექმნათ, მაგრამ მე ამის წინააღმდეგი წავედი. იმ კონტრაქტზე ხელის მოწერა, რომლითაც გაფასებენ არა როგორც პროფესიონალ მსახიობს, არამედ, როგორც ოლიმპიურ ჩემპიონს ან არასტანდარტული გარეგნობის ადამიანს, არ ვისურვე. რა თქმა უნდა, ერთია სპორტსმენის სულიერი სამყარო, მეორე — თამაში, გარდასახვა. თუმცა, სტალონე, ბრიუს ლი, შვარცენეგერი ადამიანთა ცნობიერებაში სწორედ კინემატოგრაფის

მეშვეობით შევიდნენ. ალბათ მე ჯერ კიდევ არ ვარ მზად სამსახიობო მოღვაწეობისთვის. ერთხელ როკერებზე ვნახე გადაცემა. ისინი საკუთარ თავზე, მუსიკაზე, ცხოვრების წესზე საუბრობდნენ. ვისმენდი სლენგს, რომელიც მათი იმიჯია. მე კი, ასეთი იმიჯი არ მჭირდება – მე ჩვეულებრივი, ნორმალური ადამიანი ვარ".

მართალია, საშა კარელინს მსახიობობა არ დაუწყია, მაგრამ მას ხშირად იღებენ რეკლამებში; აქაც ციმბირელ ათლეტს საკუთარი პრინციპი აქვს. იგი არასოდეს მონაწილეობს სიგარეტის ან არყის რეკლამებში. საშას ვერ წარმოუდგენია, როგორ უნდა მოუწოდოს მოზარდებს თამბაქოს ან ალკოჰოლური სასმელების მოხმარებისკენ.

ლიტერატურის გარდა, ალექსანდრ კარელინს სხვა გატაცებებიც აქვს: თავისუფალ დროს ის თამაშობს ფეხბურთს, უყვარს ტაიგაში სეირნობა. ამბობენ, რომ ზამთარში, სიამოვნებით დარბის ხოლმე უღრან ტყეში, წელამდე თოვლში ჩაფლული. საშას აგრეთვე ძალიან უყვარს ნადირობა. ის უპირატესობას ე.წ. ველურ ნადირობას ანიჭებს, რაც ცხენზე შეჯდომასა და ერთი კვირით მაინც, ცივილიზაციისგან მოწყვეტას ნიშნავს. კარელინს ირემზე, შველსა და ცხენირემზე უნადირია, თუმცა მიაჩნია, რომ ნადირობისას მთავარია არა ნანადირევით შინ დაბრუნება, არამედ თვით ბუნებასთან მჭიდრო კონტაქტში ყოფნის პროცესი. ერთხელ საშა დათვზე სანადიროდაც იყო წასული, რასაც სიცილით იხსენებს ხოლმე: „როგორ ფიქრობთ – დათვი იმიტომ ვერ მოვკალით, რომ გაგვეპარა? არა, უბრალოდ, იგი უფრო გონივრულად მოიქცა: სადაც ჩვენ ველოდით, იქ საერთოდ არ გამოჩენილა".

კარელინი მართლმადიდებელია და ცდილობს, ეკლესიის ყველა კანონი დაიცვას, ხოლო როდესაც სპორტული რეჟიმი ამაში ხელს უწყობს, მარხვასაც ინახავს. „მე მაქვს მშვენიერი წიგნი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იკვებო მარხვის დღეებში. მასში მოცემულია ათასამდე გემრიელი და სასარგებლო კერძის რეცეპტი, ასე რომ, ვიტამინებსა და მიკროელემენტებს, რომელიც ნაყოფიერი ვარჯიშისთვის არის საჭირო, მარხვის დღეებშიც ვიღებ".

საშა კარელინი რუსეთის სათათბიროს წევრიც არის. რამდენიმე წლის წინ კი, მას ქალაქ ნოვოსიბირსკის საპატიო მოქალაქის წოდებაც მიანიჭეს. „ჩვენ სამს მოგვაგეს ეს დიდი პატივი – 70 წლის სოციალისტური შრომის გმირს, 65 წლის აკადემიკოსსა და მე – 30 წლის სულელს, – ამბობს საშა კარელინი, – ნუთუ მაქვს იმისი უფლება, რომ ერთი წამით მაინც თავი უბედურ ადამიანად წარმოვიდგინო?!."

■

დენ ლაკუტურმა თვალის ტრავმა მიიღო

„პიტსბურგსა" და „აილენდერსს" შორის რამდენიმე დღის წინ გამართული მატჩის მსვლელობისას ფორვარდ დენ ლაკუტურს ტრიბუნებიდან შაიბა ესროლეს. ეს მაშინ მოხდა, როცა „აილენდერსის" ფორვარდი სათადარიგოთა სკამისკენ მიემართებოდა. „შაიბა პირდაპირ თვალში მომხვდა, – აღნიშნა ფორვარდმა, – ყინულზე კოპისა და თვალის ჩალურჯების მოლოდინში ყოველთვის უნდა იყო, მაგრამ არა ტრიბუნიდან". დარბაზში გამოცხადდა, რომ „პიტსბურგს" ჯარიმის გადახდა მოუწევდა, თუ მოედანზე ტრიბუნიდან კიდევ რაიმეს ისროდნენ. ამის შემდეგ შეხვედრა ექსცესების გარეშე წარიმართა. თვალჩალურჯებულმა ლაკუტურმა კი, განაცხადა, რომ მიუხედავად მიღებული ტრავმისა, ის შემდეგ მატჩში მაინც გამოვა თავისი გუნდის შემადგენლობაში. ■

მონტევიდეოს აეროპორტში ავსტრალიელი ფეხმძრთელობა სცემეს

როგორც ცნობილია, 25 ნოემბერს ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში 2002 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩი გაიმართა. მანამდე უკვე ცნობილი იყო ის 31 გუნდი, რომელიც მომავალ ზაფხულს იაპონია-კორეაში გაემგზავრება. ავსტრალია-ურუგვაის შორის პლეიოფის ორი მატჩის ჯამში გამარჯვებული, ოცდამეთორმეტე ეროვნული ნაკრები სწორედ გასულ კვირას უნდა გამოვლენილიყო. ურუგვაიელებმა საკუთარ მოედანზე ავსტრალიის ეროვნული ნაკრები სძლიეს – 3:0 (პირველ მატჩში, ავსტრალიაში მასპინძლებმა 1:0 გაიმარჯვეს) და ჩემპიონატის საგზურიც გაინაღდეს, თუმცა მონტევიდეოში გამართულ შეხვედრას დიდი აურზაური უძღოდა წინ, რომელიც ურუგვაიელი გულშემატკივრების გამო მოხდა: ფანები აგრესიულად ჯერ კიდევ პირველი მატჩის შემდეგ იქცეოდნენ, როდესაც მწვანე კონტინენტზე სამხრეთ ამერიკელთა დამარცხების ამბავი შეიტყვეს. ექსტრემისტმა გულშემატკივრებმა მონტევიდეოში სხვადასხვა საზოგადოებრივი ობიექტის დარბევასაც კი მიჰყვეს ხელი. განმეორებითი მატჩის მოლოდინში ურუგვაიელები მზად იყვნენ, ნებისმიერი ქმედების ფასად „მიხმარებოდნენ" თავიანთ ნაკრებს. მონტევიდეოში დაძაბული ვითარების გამო, ავსტრალიის ნაკრების თვითმფრინავი ცოტა ხნით ბუენოს-აირესში შეაყოვნეს, მაგრამ ამას გაცხარებული გულშემატკივრებისთვის ხელი არ შეუშლია, რომ მოწინააღმდეგე გუნდს მონტევიდეოს აეროპორტში დახვედროდნენ. მოსაცდელ დარბაზში შესული ავსტრალიელები ალყაში მოაქციეს და ყოველგვარ შეურაცხყოფას აყენებდნენ. ერთ-ერთმა ურუგვაიელმა კი, თავის თანამემამულეს ხელი ჰკრა და ავსტრალიელს მიაჯახა, რითაც ჩხუბის პროვოცირება მოახდინა. რით იყო დაკავებული ამ დროს მონტევიდეოს პოლიცია, არავინ იცის, თუმცა აღნიშნული ინციდენტის შემდეგ, წესრიგის დამცველებმა კეთილი ინებეს და ავსტრალიელი სპორტსმენები და გულშემატკივრები, სათითაოდ გააცილეს აეროპორტის გასასვლელში, ჩასვეს ავტობუსებში და სასტუმროში გაამგზავრეს.

■

„როცა მე და ჩემი ქმარი (ცნობილი ამერიკელი რეჟისორი და მსახიობი ჯეიმს ჯიჩი), ჯალიფორნიაში, მალიბუში, ჩვენს სახლს ვაშენებდით, პირველ რიგში, ისეთ ადგილზე ვოცნებობდით, სადაც ზეიმის მოწყობა იქნებოდა შესაძლებელი", – ამბობს ტელესერიალ „დოქტორი ქუინი, ქალიექიმი"-ს ვარსკვლავი ჯეინ სეიმური.

ჯეინ სეიმურის სახლში ყოველდღე ზეიმი აქვს

მეუღლეები თავად ქმნიდნენ ინტერიერის დიზაინს და სურდათ, რომ სახლში დიდი ოჯახის ყველა წევრს თავი მყუდროდ ეგრძნო. ჯეინს და ჯეიმსს (მეოთხე ქმარი) სულ ექვსი შვილი ჰყავთ: 5 წლის ტყუპი ჯონი და კრისტოფერი (საერთო შვილები), კიჩის ვაჟი – 23 წლის კალენი და ჯეინის შვილები – 16 წლის შონი, 19 წლის ქეითი და გერი – 21 წლის ჯენიფერი, რომლის მამაც ჯეინის მესამე ქმარი დევიდ ფლინია.

სეიმური პროფესიონალი მხატვარია. იგი ძირითადად, ყვავილებს ხატავს, მისი აკვარელი „სიხარულის ცრემლები" კომპანია „ესკადამ" აბრეშუმის თავშალის მოტივადაც კი გამოიყენა. ქალი ჰყვება, რომ მისთვის ძალიან საინტერესო იყო დიზაინერის რანგში საკუთარი თავის გამოცდა. მსახიობის თქმით, ამაში დიდი სიამოვნებით ქმარიც ეხმარებოდა. ისინი რამდენიმე დღის განმავლობაში ისხდნენ ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ უმსხვილეს დიზაინერულ ცენტრში, სადაც ავეჯის მრავალი ნიმუში და კილომეტრობით ქსოვილი გადასინჯეს.

როცა საბოლოო არჩევანი გაკეთდა, მეუღლეებმა მეზობლად მდებარე ცარიელი სახლი იქირავეს და შენაძენის ნაწილი იქ გადაიტანეს. სახლის სასტუმრო ოთახი სრულიად ცარიელი იყო და მთელ მის მოწყობილობას მხოლოდ დიდი, თეთრი ხალიჩა შეადგენდა. „ხალიჩაზე", – ამბობს ჯეინი – ქსოვილის ნიმუშები დავალაგე, გვერდით კი ინტერიერის მოსართავი ის წვრილ-წვრილი ნივთები, რომელიც ქსოვილებს ძალიან უხდებოდა. შემდეგ მე და ჯეიმსი ოთახში დავდიოდით და იმ ნივთებს ვარჩევდით, რომელიც მაშინვე ძალიან მოგვეწონებოდა. „აი, ეს საძინებელს მოუხდება, – ამბობდა ჯეიმსი. – ეს კი ძალიან ლამაზი იქნება სამზარეულოსთვის".

ჯეინს ყოველთვის სურდა, ჰქონოდა დიდი ოჯახი და დიდი, მყუდრო სახლი. თავად მსახიობი ინგლისის პატარა ქალაქ ჰალინგტონში დაიბადა. შემდეგ მათი ოჯახი საცხოვრებლად ლონდონში გადავიდა. გოგონას მშობლები საკმაოდ მოკრძალებულად ცხოვრობდნენ, მატერიალურ მდგომარეობას მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონია. ჯეინი იხსენებს, რომ მათ სახლში არასოდეს ყოფილა არც ძვირფასი ავეჯი, არც ნატიფი ჭურჭელი და არც საგვარეულო ვერცხლეულობა. მისი მამა ჯონ ფრანკენბერგი (მსახიობის ნამდვილი სახელია – ჯოის პენელოპა ვილჰელმინა ფრანკენბერგი, ფსევდონიმი ჯეინ სეიმური მან 17 წლის ასაკში მოიგონა – ასე ერქვა ინგლისელი მეფის ჰენრიხ მერვეს მესამე ცოლს) პროფესიით ექიმი იყო,



ჯეინი და ჯეიმსი უკვე 8 წელია ერთად არიან

„არსად ვისვენებთ ისე კარგად, როგორც აქ“

შეხედულებებით კი ჭეშმარიტი სოციალისტი. დედამისი ჯერ კიდევ ომამდე წითელ ჯვარში მედიცინის დად მუშაობდა და ქმრის მსგავსად, მისთვის მთავარი ცხოვრებაში, უმწეოთათვის დახმარების გაწევა იყო. მთელი ოჯახი — მშობლები და სამი ქალიშვილი, პატარა სახლში ცხოვრობდნენ, ჯეინს და მის უმცროს დებს კი ერთ ოთახში, გასაშლელ საწოლებზე ეძინათ.

ამჟამად ჯეინს ორი სახლი აქვს: მალიბუსა და საკურორტო ადგილ ბატში.

მალიბუს სახლი მთის ძირას არის აგებული, ამიტომაც იგი ორ დონეზე იქნა განლაგებული. შესასვლელიდან პირდაპირ მეორე სართულზეც შეიძლება მოხვედრა. მისი სიმაღლე ექვს მეტრს აღემატება, ზემოთ გალერეაა მოთავსებული, საიდანაც ბიბლიოთეკაში, სასტუმრო ოთახში და სავარჯიშო დარბაზში შეიძლება მოხვედრა. მეორე სართულის ცენტრში დიდი, მინისკედლებიანი სასტუმროა, საიდანაც საუკეთესო ხედი იშლება ოკეანეზე, ნაპირთან კი მთიდან კიბე ჩადის. სასტუმრო ოთახიდან, სამზარეულოსა და სასადილო ოთახებშია გასასვლელი, მეორე მხრიდან კი — საძინებლები, სტუმრებისთვის განკუთვნილი და საბავშვო ოთახებია. მთელი პირველი სართული უფროს შვილებს აქვთ დათმობილი. იქ მოხვედრა ცალკე შესასვლელიდანაც არის შესაძლებელი. „ახალგაზრდებს თავიანთი ცხოვრება აქვთ, მათ შეუძლიათ მაშინ წავიდ-წამოვიდნენ და მოვიდნენ, როცა ეს მოესურვებათ, — ამბობს ჯეინი, — ჩვენ ვფიქრობდით, რომ უმჯობესი იყო, ყველა შვილს ჩვენთან ერთად ეცხოვრა, ვიდრე სადმე სხვაგან“.

ტყუპი — ჯონი და კრისტოფერი, მსახიობმა 44 წლის ასაკში გააჩინა. ბავშვებს სახელები ოჯახის ახლო მეგობრების — მომღერალ ჯონი კეშის და მსახიობ კრისტოფერ რიჩის პატივსაცემად შეურჩიეს. „რა თქმა უნდა, მხოლოდ შეშლილ ინგლისელ ქალს შეუძლია ამ ასაკში ტყუპის გაჩენა, თანაც როცა ის დღეში 14 საათს მუშაობს, — იცინის სეიმური. — მაგრამ მე ყველაფერს ვასწრებ“. მიუხედავად იმისა, რომ სახლში ორი პატარა ბავშვია, ზედა სართულის ინტერიერში ძირითადად, მაინც თეთრი ფერი სჭარბობს. ქვედა სართულის ყველა ოთახისთვის კი მეუღლეებმა კაშკაშა, ტროპიკული ფერები შეარჩიეს და იქ პუერტორიკოელი ოსტატების ნაწარმოებთა დიდი კოლექცია გამოფინეს.



ტყუპი ჯონი და კრისტოფერი მსახიობმა 44 წლის ასაკში გააჩინა: „დღეს ვერც კი წარმომიდგენია, როგორ შემეძლო მათ გარეშე ცხოვრება!“

სეიმური მხოლოდ ინტერიერის შექმნით როდი იყო დაკავებული; თავისი მამულის დათვალიერების შემდეგ მან გადაწყვიტა, რომ აუცილებლად უნდა გაეშენებინა ხილის დიდი ბაღი და ბოსტანი. მის ბაღში ყველანაირი ციტრუსი, ვაშლი, ავოკადო და ბევრი კენკრა ხარობს: „ჩვენ აქ ყველაფერი მოგვყავს, არ გვაქვს მხოლოდ საკუთარი წარმოების ხორცი, თევზი და რძე“.

როცა სახლის მშენებლობა, ინტერიერის მორთვა და ნაკვეთის განაშენიანება საბოლოოდ დასრულდა (ბავშვების გასახარად ადგილი საცურაო აუზისთვის, ჩოგბურთის კორტისა და საკალათბურთო მოედნისთვისაც კი მოიძებნა), ჯეინი მიხვდა, რომ საცხოვრებლად სამუდამოდ იქ დარჩებოდა: „სამაგიეროდ, დღესასწაულებზე არსად გამგზავრება არ გვიწევს, ჩვენ ხომ არსად ვისვენებთ ისე კარგად, როგორც აქ“. ■

აკაკი გეგენავა

თუ ბედმა გაგიღიმათ და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხვდით, თანაც ჩემსავით მოგზაურობაზე ჭკუას კარგავთ (და თუ „ცოტა“ ფულიც გაქვთ), ჩათვალეთ, რომ ოცნებას ძალზე იოლად აისრულებთ.

... არგენტინაში გამგზავრება გადავწყვიტე და ერთმა ტურისტულმა ფირმამ, რომ იტყვიან, თითი თითზე არ დამაკარებინა, ყველაფერი თვითონ მომიგვარა და სულ მალე ნანატრ ქვეყანაში ამოვყავი თავი.

გამგზავრებამდე თბილისელი სომეხი ვადიკა (რომელიც ამჟამად ნიუ-იორკში ცხოვრობს) მოვიდა ჩემთან და მთხოვა:

— კაკოჯან, ბიძაჩემი რაფიკა ათი წელია ბუენოს-აირესში ცხოვრობს. თუ ძმა ხარ, ეს წერილი წაიღე და გადაეცი... — მითხრა და ფურცლების მოზრდილი დასტა მომაწოდა.

— ბომბი ხომ არ გიდევს?! — გამიკვირდა ფურცლების სიმძიმე.

— არა გრცხვენია, კაკოჯან, ფოსტაში ხომ იცი, ფულს აიღებენ. შენ კიდევ, მაინც მიდიხარ...

რას იზამ, სომხები პრაქტიკული ხალხია.

ასე რომ, არგენტინაში ორი „მისია“ მქონდა — დამეთვალიერებინა ქვეყანა და მომენახულებინა რაფიკა...

ცოტა რამ წარსულიდან...

არგენტინაში ყველაფერი პირიქითაა — ჩრდილოეთში ცხელა, სამხრეთში კი ცივა. აქაური ინდიელები ჩრდილო ამერიკელებივით მკვირცხლები არ ყოფილან და არც XVI საუკუნეში გამოჩენილ ესპანელებს გასჭირვებიათ მათი „დაპყრობა“. ესპანელებს იქ ვერცხლი უპოვიათ და იქაურობაც „ვერცხლის ქვეყნად“ მოუნათლავთ („არგენტუმი“ ხომ ლათინურად ვერცხლს ნიშნავს).

დროთა განმავლობაში გაირკვა, რომ ვერცხლი იქ არცთუ ისე დიდი რაოდენობით ყოფილა, ქვეყანას კი სახელი მაინც შერჩა.

არგენტინის აღმოჩენას ესპანელ ხუან დიას-დესოლისს მიაწერენ, რომელიც მის სანაპიროს 1516 წელს მიადგა. 1580 წელს კი ესპანელმა კოლონისტებმა პერუდან გადალახეს ანდები და დააარსეს ბუენოს-აირესი.

სხვათა შორის, არგენტინა ოთხ გეოგრაფიულ ნაწილად იყოფა:

— პატაგონია — სამხრეთ ნაწილშია, მაღალმთიანი რაიონია. ზაფხულში ქვიანი და გამომშრალი ბუჩქებით დაფარული ადგილი სიცხით იხრუკება, ზამთარში კი საკმაოდ ცივა. ეს მეცხოველეობის რაიონია, ძირითადად ცხვარს უვლიან.

— პამპაც მეცხოველეობის რაიონია. იგი აღმოსავლეთით მდებარეობს. თითოეული ფაზენდა თვალუწვდენელ მინდვრებზეა გადაჭიმული. ძირითადად მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს უვლიან, ცნობილი არგენტინული ჯიშის ხორბალიც მოჰყავთ.

— გრან-ჩაკო პამპის ჩრდილოეთის ცხელი ნაწილიდან იწყება, სადაც მეცხოველეობაც არის განვითარებული და ბამბაც მოჰყავთ.

— დასავლეთ ნაწილში აღმართულ ანდებში მევენახეობას და მეციტრუსეობას მისდევენ. ჩილესთან საზღვარიც იქ გადის.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების სამი მეოთხედი, ქვეყნის ექსპორტს წარმოადგენს. თუმცა, არგენტინა ავტომობილებსაც აწარმოებს, ტელევიზორებსაც და წარმოიდგინეთ — თვითმფრინავებსაც.

თეთრი ადამიანების ქვეყანა

9 საათის ფრენის შემდეგ ბუენოს-აირესში ღამით ჩავედი. სასტუმროდან რაფიკას დავურეკე (მითხრეს, რომ ქალაქში სამი დღის შემდეგ იქნებოდა). სხვა ნაცნობი ამ უზარმაზარ ქვეყანაში არავინ მყავდა. დავყვებოდი ტურისტთა ჯგუფს, გულმოდგინედ ვუსმენდი გიდებს...

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში არგენტინა მსოფლიოში უმდიდრეს ქვეყნად ითვლებოდა — უკან ჩამოიტოვა ჩრდილოეთ ამერიკა, ჩრდილოეთ ევროპასთან ერთად. ანდაზაც კი იყო ასეთი — „მდიდარია, როგორც არგენტინელი“.

ამიტომაც ჩამოდიოდნენ და ჩამოდიოდნენ არგენტინაში: სამხრეთ იტალიელები, პირენეის ბასკები, გერმანელები, ავსტრიელები შვეიცარიელებთან ერთად, ირლანდიელები, შოტლანდიელები, რუსები, ებრაელები... აფრიკელები კი იქ საერთოდ არ ყოფილან.

და ასე, სამხრეთ ამერიკაში წარმოიქმნა თეთრი ქვეყანა, კათოლიკური აღმსარებლობით, ესპანური სულისკვეთებით და ნაკლებად ევროპული ცხოვრების



აკაკი გეგენავა ბუენოს-აირესში

სტილით.

საუკუნის უკან, ჩამოსული თითოეული ერის წარმომადგენლები ისეთ ადგილს ირჩევდნენ, სადაც თავად მოსწონდათ და საკუთარი ადათ-წესით მკვიდრდებოდნენ. და ასე:

— სიცივის ამტანმა შოტლანდიელებმა მშვენიერი პატაგონია აითვისეს, თავისი მყინვარებითა და ცივი ტბებით.

— რუსები და ებრაელები ძირითადად, ქალაქებში დასახლდნენ...

— არგენტინას „საკუთარი შვეიცარია“ აქვს — ანდების მაღალ მთაში, სადაც სამთო ტურიზმის ქალაქი სან-კარლოს დი ბარილოჩეა და ძირითადად სწორედ შვეიცარიელები ცხოვრობენ.

არგენტინაში სირიელებიც კი სახლობენ (სამხრეთ ამერიკაშიც რომ იშვიათად შეხვდებით). უფრო მეტიც: დღევანდელი პრეზიდენტი კარლოს მენემი წარმოშობით სირიელია, დაბადებიდან მუსლიმანი, რომელიც მოზრდილ ასაკში გაქრისტიანებულა.

არგენტინელებს ძალიან უყვართ შოკოლადი. ისე ძალიან უყვართ, რომ საექსპორტოდ ვერ იმეტებენ. მიუხედავად იმისა, რომ 500-ზე მეტი სახეობის შოკოლადი აქვთ, გამუდმებით აფართოებენ ასორტიმენტს.

არგენტინაში უყვართ ევროპელები, ევროპულ კულტურას ამერიკულზე წინ აყენებენ. არგენტინელები თვლიან, რომ არგენტინა ევროპაა, უბრალოდ ბედის წყალობით, სხვა კონტინენტზე მოხვედრილი.

არგენტინელებს არ უყვართ ქვეყნიდან გასვლა. თუ მაინც მოუწიათ, პარიზს, ლონდონსა ან ბრიუსელს ირჩევენ. არც თავიანთ შვილებს აგზავნიან შეერთებულ შტატებში სასწავლებლად. თუ მატერიალურად ვერ უზრუნველყოფენ სწავლების მთელ კურსს ევროპულ უნივერსიტეტებში, ცდილობენ, 2-3 თვით მაინც გააგზავნონ. ვინც პრესტიჟულ ევროპულ უნივერსიტეტებს ამთავრებს, ძველ სამყაროს აღარ უბრუნდება — რას იზამ, პატრიოტები არიან...

სამყაროს დედაქალაქი

არგენტინაში ათი დღე უნდა ვყოფილიყავი; ოთხი უკვე გასული იყო. რაფიკას ასავალ-დასავალს ვერ მივაკვლიე. შეხვედრის იმედი უკვე გადაწურული მქონდა, როცა დამირეკა.

... რაფიკ ხაჩატუროვი ქერა ქალბატონთან ერთად მოვიდა. დამინახა თუ არა, პირდაპირ სომხურად დაიწყო:

— ჰაეს?.. ცავატანემ...

— არა, ძმაო, ქართველი ვარ.

— პირველი ქართველი ხარ, რომელიც აქ მეგულება!.. — სუფთა ქართულით მიპასუხა.

— როგორ, აქ ქართველები არ ცხოვრობენ?

— ხუთი წლის წინ გავიცანი ერთი თბილისელი მოხუცი. ომის დამთავრების შემდეგ დასახლებულა. შარშან გარდაიცვალა. სხვა მე არავინ შემხვედრია, — მითხრა რაფიკამ და უკეთ გაცნობის მიზნით, იქვე მდიდრულ კაფეში მიმიპატიჟა.

რაფიკა 50-ს მიტანებული კაცი იყო, თუმცა ასაკი არ ეტყობოდა. დენდიივით გამოიყურებოდა.

ავლაბარში დაიბადა და გაიზარდა. სიყვარულით შექმნილი ოჯახი დაენგრა. თბილისში ცოლი და ორი შვილი დატოვა და ამერიკაში წავიდა საცხოვრებლად. იქაურ ცხოვრებას გემო ვერ გაუგო და არგენტინაში გადავიდა. ბედს არ უჩივის...

თბილისელი საერთო ნაცნობები გამოვნახეთ და ამაზე მთლად გადაირია. პატივისცემის ნიშნად, მთელი ბუენოს-აირესი მომატარა — ქალაქი, რომელსაც რაფიკა სამყაროს ცენტრს ეძახდა და მასზე კარგი ადგილი მსოფლიოში არ ეგულებოდა.

... ბუენოს-აირესი მარტო რაფიკასთვის კი არა, ყველა არგენტინელისთვის ქვეყნისა და მთელი სამყაროს ცენტრია — ადგილი, სადაც შორეული მოგზაურობის შემდეგ ბრუნდებიან, რადგანაც მასზე უკეთესს ვერსად პოულობენ...

მშვენიერია ბუენოს-აირესი ღამით. ყოველი კუთხიდან ნაცნობი არგენტინული ტანგო ისმის. ქალაქი დღემდე ითვლება მუსიკისა და გართობის ცენტრად. წამყვან თეატრებში ლათინურამერიკელ მუსიკოსებთან და მოცეკვავეებთან ერთად, მსოფლიოს ვარსკვლავები გამოდიან. განსაკუთრებით პოპულარულია თეატრი, სადაც პირველად შესრულდა არგენტინული ტანგო.

რაფიკა ყოველდღე მოდიოდა ჩემთან, ყოველთვის მანდილოსანი ახლდა და ყოველთვის... სხვადასხვა. თავიდან ვერ გავუბედე, ბოლოს კი, ვერ მოვითმინე და ვკითხე:

— უკაცრავად, რაფო, ვინ არიან ეს ქალები?

— ჩემი მეგობრები... ვენაცვალე ამათ!.. — სახე გაუბრწყინდა.

— მერე რამდენი გყავს?

— მთელი არგენტინის ქალები ჩემი მეგობრები არიან!

— ვა!.. კაზანოვა ხარ?

— არა, კაკოჯან! მე, უბრალოდ, ცხოვრება მიყვარს... თვალი გაახილე და ნახავ — ეს ქვეყანა სიამოვნებისთვის არის შექმნილი, მაშ!..

— მერე ამდენ ქალს, ეჭვიანობის გამო ჩხუბი არ მოსდით? — დავინტერესდი.

— არა, არა! აქ ყველაფერი, „ნებაყოფლობით“ ხდება... ანდა, რას მალაპარაკებ? — წამო, პრაქტიკა გაიარე, რა!.. — მითხრა და ღამის კლუბში შემიყვანა.

... ე.წ. „პუტანკები“ არსად შემიმჩნევია. არც გაზეთებში მინახავს სარეკლამოების მისამართები. არგენტინელ ქალს, რომელსაც გამომწვევად და სექსუალურად აცვია, ერთად ღამის გათევაში ფული რომ შესთავაზოთ, თქვენი საქმე წასულია — ასეთ შეურაცხყოფას ადვილად არ გაპატიებთ: ...ფლირტში წარმატება სიმპათიასა და ღიმილზეა დამოკიდებული და თუ ქალი საცეკვაოდ გამოგყვათ, ჩათვა-



ბუენოს -აირესი მუსიკისა და გართობის ცენტრია

ლეთ, რომ წარმატება გარანტირებული გაქვთ...

არგენტინაში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი ცდილობს ერთად იცხოვროს. არის ჩინური, იტალიური, რუსული რაიონები. ქვეყანაში 400 ათასამდე ებრაელი ცხოვრობს და მათი რაოდენობით არგენტინა, ისრაელის, შეერთებული შტატებისა და რუსეთის შემდეგ, მსოფლიოში მე-4 ადგილზეა. ბუენოს-აირესის ერთ-ერთ ქუჩაზე, სადაც მხოლოდ საიუველირო მაღაზიებია, სომხები ცხოვრობენ. საკმარისია, სომხური იცოდე და საკუთარ სახლში იგრძნობ თავს. ამ რაიონში ჰქონდა მაღაზია ჩემს მასპინძელს.

— რაფო, ძნელია არგენტინაში ბიზნესის დაწყება? — ვკითხე.

— სულაც არა! უბრალოდ, ქვეყნის მოქალაქე უნდა იყო.

— ამისთვის რა არის საჭირო?

— ქალი! ხელს მოაწერ და დანარჩენი, ყველაფერი თვითონ მოდის... — გამიღიმა რაფომ.

— შენი ცოლი რომ არ მინახავს?

— ცოლი მაკლია ახლა? ბავშვები არ მყოფნის?

— ბავშვებიცა გყავს? — ამას არ მოველოდი.

— ჰო, ექვსი — სამი ქალისგან... — ეს კი მთლად მოულოდნელი იყო.

— მერე?

— ბავშვები ხან ჩემთან არიან, ხან თავიანთ დედებთან. ნახევარი არგენტინა ასე ცხოვრობს... ცოლმა და ქმარმა შეიძლება, ერთმანეთს ვერ გაუგონ, მაგრამ შვილებს არაფერს დააკლებენ... — ასე ამიხსნა რაფომ არგენტინული ოჯახის პრინციპი.

აქაურები ცოტა მსუბუქად უყურებენ ცხოვრებას. მათი საყვარელი გამოთქმაც ასეთია: „რატომ უნდა ინერვიულო დღეს, როცა იცი, რომ ხვალ ისევ გათენდება!“ თუმცა, დროის მიმართ ზერელე დამოკიდებულება არგენტინელთა საქმიან აქტივობაზე ნამდვილად არ მოქმედებს. დღესდღეობით ქვეყანაში მშენებლობის ბუმია. შენდება სახლები, ოფისები, მაღაზიები, ავტომაგისტრალები. საქმიანი კაცი, რომელსაც სურს მომსახურების სფეროს ბიზნესი ჰქონდეს და აქვს სულ ცოტა 20 ათასი დოლარი, ნამდვილად არ წააგებს: პატარა კაფე, საპარიკმახერო, საუნა ან თუნდაც სპორტული დარბაზი — ყოველთვის გაამართლებს.

მწვადი არგენტინაშიც მწვადობს...

არგენტინული სამზარეულო არცთუ ისე მრავალფეროვანია. სადაც არ უნდა შეხვიდე — ნებისმიერ კაფესა თუ რესტორანში, მენიუ ყველგან ერთნაირი ან თითქმის ერთნაირია.

ნაციონალურად ითვლება ჩვენებური მწვადის მსგავსი კერძი, რომელიც ადვილი მოსამზადებელიცაა. საჭიროა მხოლოდ რამდენიმე აგური, რკინის ბადე, ქვანახშირი და ხორცი... აგურებზე დადებენ ბადეს, შეუკეთებენ ქვანახშირს და უცდიან, სანამ კარგად არ გახურდება. შემდეგ ხორცის ნაჭრებს მარილს მოაყრიან და ბადეზე ყრიან. 15-20 წუთში ნაციონალური კერძი მზად არის.

ნაციონალურ სასმელს მცენარეებისგან აყენებენ და გოგრისგან დამზადებულ ჭიქაში ასხამენ, მდუღარე წყალს ამატებენ და პატარა საწრუპავით მიირთმევენ.

რესტორნებში მუსიკა არ უკრავს და არც არავინ ცეკვავს. აქ სანადიმოდ და ღვინის სასმელად დადიან. თუმცა კი დიდხანს არ რჩებიან. საზეიმო დღეებში კი, გვარიანად ქეიფობენ, მღერიან კიდეც, უხვად სვამენ ხილის ღვინოს, რომელიც ძალიან უყვართ. მოლხენის შემდეგ უხმაუროდ იშლებიან...

ქვეყანაში მრავლად არის დისკოთეკა და დისკობარი, რომელიც, როგორც წესი, მსხვილ კომპლექსშია მოთავსებული. ერთ დარბაზში თუ რესტორანია, მეორეში — საცეკვაო მოედანია, მესამეში — საბილიარდო და ა.შ. — აირჩიე, რომელიც მოგესურვება. ოღონდ, შესვლა შედარებით ძვირია — 50-70 დოლარი ღირს.

ჩანჩქერი იგუასუ — ბუნების საოცრება

ბუნების საოცრებად ითვლება ჩანჩქერი იგუასუ, რომელიც ორი სახელმწიფოს — არგენტინისა და ბრაზილიის ტერიტორიაზეა. „დიდი წყლები“ (ასე უწოდებენ მას ადგილობრივი ინდიელები) ყველაზე დიდია დასავლეთ ნახევარსფეროში. იგი 21 მეტრით მაღალი და სამჯერ უფრო ფართოა, ვიდრე ცნობილი ნიაგარის ჩანჩქერი. გიდმა გვითხრა, რომ არაერთ გაბედულ ადამიანს გადაუცურავს ჩანჩქერის ზედა ნაწილი და არგენტინის გმირებადაც ითვლებიან, მათთვის ბიუსტებიც კი დაუდგამთ.

ჩანჩქერის გარშემო ნაციონალური პარკია და ჩემდა გასაოცრად, იმ ხმაურში უამრავი ცხოველი თავს მშვენივრად გრძნობს, ფლორაც მრავალფეროვანია.

ერთი სიტყვით, თუ ამ მიდამოებში მოხვდით, დიდად კმაყოფილი დარჩებით, ხოლო თუ ხელმეორედ მოგზაურობის შანსი მოგეცათ, რაღა თქმა უნდა, ხელიდან არ გაუშვებთ...

არგენტინაში მოგზაურობის ათმა დღემ სწრაფად გაირბინა. აეროპორტში რაფო მაცილებდა. გასუსული იდგა და დანა პირს არ უხსნიდა.

— რა გჭირს, რაფო, ცუდად ხომ არ ხარ?.. — ჩავეკითხე.

— რავი, რაღაც ვერა ვარ... — ძლივ-ძლივობით ამოღერღა და ტირილი წასკდა. დამშვიდება დავუწყე, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. რაფო ზლუქუნს უმატებდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოსთქვამდა:

— აბა, მე ვარ კაცი?.. სადღაც გადაკარგულში ვარ და მიხარია. იქ კიდევ, თბილისში დედ-მამა მელოდება და ჩემი ჩასვლა ენატრებათ... ჩემს შვილებს ველარც ვიცნობ ალბათ... ეს არის ცხოვრება?!

გული დამეთუთქა. რა მეთქვა, აღარ ვიცოდი. ბოლოს, თავად დაწყნარდა და დამმოძღვრა:

— კაკოჯან, სამშობლოს ფასი არაფერია! არასოდეს მიატოვო... არც მე მივატოვებ — იცოდე, აუცილებლად ჩამოვალ, აუცილებლად!..

ცრემლები მოიწმინდა, გადამეხვია და უკან მოუხედავად გავიდა აეროპორტის შენობიდან.

2000 წელი

ახლა დიუტრუ აცხადებს: „მათი მოკვლა არ მინდოდა, მაგრამ იძულებული გავხდი...“ ამ არამზადას გავლენიანი მფარველები ჰყოლია მთავრობასა და მაფიაში...

მკვლელი მანიაკი მოზარდებს ცოლთან ერთად აუბედურებდა

მარკ დიუტრუს მიერ ნაწამები ჟიული და მელისა

ეს სულ პატარა ბავშვებთან სურდა სექსი, მაგრამ ამაში მეუღლე შეეწინააღმდეგა — ქალი, რომელიც სიამოვნებით მონაწილეობდა, ცოტათი უფრო მოზრდილ ბავშვებთან მის საშინელ „თამაშში“.

მარკ დიუტრუ 1957 წელს დაიბადა ბელგიაში. ის ოთხი წლის იყო, როცა მამამ ოჯახი მიატოვა. დედა მარტო დარჩა 5 შვილთან ერთად. ქალი საქმეს ვერ აუდიოდა და მარკი, რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა.

1984 წელს, როცა დიუტრუ 27 წლის იყო, საბავშვო ბაღის აღმზრდელზე – მიშელ მარტინზე დაქორწინდა. ის თავიდანვე ცდილობდა, ბავშვებთან სექსუალურ „ექსპერიმენტებში“ მონაწილეობაზე დაეყოლიებინა ცოლი. მარტინს ეშინოდა სამსახურის დაკარგვის და უარს ეუბნებოდა, მაგრამ ბოლოს, მაინც დანებდა. ერთადერთი პირობა, რომელიც ქმარს წაუყენა, ის იყო, რომ საქმე მის აღსაზრდელებს არ შეეხებოდა. გახარებული დიუტრუ დაჰპირდა, რომ ასეთ პატარა ბავშვებს არც გულისხმობდა: გარშემო უამრავი მოზარდია, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება სექსუალურ თამაშებსო...

რამდენიმე წლის მანძილზე ცოლ-ქმარი სხვადასხვა ასაკის გოგონებს იტაცებდა და მათთან ერთად ერთობოდა, თან, პორნოფილმებს იღებდა და „შავ ბაზარზე“ ასაღებდა. მაგრამ ერთმა გოგონამ, რომელიც დიუტრუმ ვერ დააშინა, ყველაფერი თავის მშობლებს უამბო, საქმეში პოლიცია ჩაერია, 1988 წელს არამზადა ცოლ-ქმარი გაასამართლეს და, 11-დან 18 წლამდე ასაკის ხუთი გოგონას მოტაცება-გაუპატიურებისთვის, 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. პოლიციამ ამ ხუთი მსხვერპლის ამბავი დაადგინა, თორემ სინამდვილეში, მათი რაოდენობა მეტი იქნებოდა.

საოცარია, რამდენად ლოიალური აღმოჩნდა ბელგიური თემიდა: ესოდენ მძიმე დანაშაულისთვის ბოროტმოქმედებს მხოლოდ სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს! საინტერესოა, რომ პროკურორის აპელაციის შედეგად, თავისუფლების აღკვეთის ვადა 13 წლამდე გაიზარდა.

და მაინც, დიუტრუმ და მისმა ცოლმა ციხეში გაცილებით ნაკლები დრო გაატარეს: 1992 წელს, საპატიმროს ფსიქოლოგის რეკომენდაციით, იუსტიციის მინისტრმა ისინი ვადაზე ადრე გაათავისუფლა. ციხეში გატარებული წლების შემდეგ დიუტრუმ გადაწყვიტა, რომ ამიერიდან მსხვერპლს ცოცხალს აღარ დატოვებდა...

1995 წლის 24 ივნისს 9 წლის 2 გოგონა – ჟიული და მელისა დაიკარგა. პოლიციამ ვერა და ვერ მიაგნო მათ კვალს. იმავე წლის სექტემბერში მარკ დიუტრუს დედა პოლიციას უგზავნის წერილს, რომელშიც გამოთქვამს ეჭვს, რომ ბავშვების გაუჩინარება მის შვილს შეიძლება უკავშირდებოდეს. საოცარია, მაგრამ პოლიციამ ამ ეჭვს ყურიც არ ათხოვა.

დიუტრუს „საქმენი საგმირონი“ გრძელდებოდა. ძირითადად, ბავშვების გაუპატიურებითა და მკვლელობით დაკავებულმა ბოროტმოქმედმა ისიც კი მოახერხა, რომ ავტომობილი გაიტაცა და ამისთვის, სამთვიანი პატიმრობაც მოიხადა.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ, დიუტრუმ 17 წლის გოგონა გაუპატიურა და მისი მოკვლაც განიზრახა. ქალიშვილმა თავი დააღწია საშიშროებას და პოლიციას მიმართა. დიუტრუს სახლი ზერელედ გაჩხრიკეს. ჩხრეკის დროს სახლის სარდაფიდან ბავშვის ტირილი მოისმოდა, მაგრამ დიუტრუმ თქვა – ეს ჩემი ქალიშვილიაო და პოლიციელებიც ამ მეტად საეჭვო ახსნა-განმარტებით დაკმაყოფილდნენ.

1996 წლის მარტში ჟიული და მელისა შიმშილით დაიხოცნენ დიუტრუს სარდაფში.

იმავე წლის ზაფხულში დიუტრუმ 12 წლის საბინა და 14 წლის ლეტიცია მოიტაცა. მისდა საუბედუროდ, სკოლის მოსწავლეებმა იმ მანქანის ნომერი დაიმახსოვრეს, რომელშიც ლეტიცია ჩაჯდა. პოლიციას, ბოროტმოქმედის დაპატიმრების გარდა, სხვა გზა აღარ დარჩა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, დიუტრუსადმი მიმტევებელი დამოკიდებულების მიზეზი ის იყო, რომ ნაძირალას გავლენიანი მფარველები ჰყოლია.

ახლა დიუტრუ განმარტებით ზის ერთადგილიან საკანში და სასამართლოს დაწყებას ელის. თუმცა, ამბობენ, მას დიდი საშიშროება არ ემუქრება – სიკვდილით დასჯა ბელგიაში გაუქმებულიაო. ■

ნუგზო ბაშელი

ფარისაყვნა

დასაწყისი იხ. გზა № 44-47

ჯერ ისევ ბნელოდა, როცა გამოეღვიძა. საათს დახედა, ექვსის ნახევარი იყო. თავი ისევ ტყვიასავით დამძიმებოდა, პირში ისევ საშინელი გემო ჰქონდა. წამოდგა. მაცივარი გამოაღო. ცივი წყალი დალია. შვება იგრძნო. სარკმელს მიუახლოვდა და გახურებული შუბლი ცივ მინას მიადო. ესიამოვნა.

ეზოში ახალგაზრდა ქალი კვლავ დაასეირნებდა უზარმაზარ ძაღლს.

ტანთ ჩაიცვა და ეზოში ჩავიდა.

— ჩარლი, ჩარლი! — გაიძახოდა ქალი და დორბლიან ძაღლს ეალერსებოდა.

მიუახლოვდა.

— რა ლამაზი ძაღლია. რა ხნისაა? — თავაზიანობის ნიღაბი აიფარა რეზომ.

— სამი წლის.

— რომ მოვეფერო, ხომ არ მიკბენს?

— არა.

ძაღლს უზარმაზარ თავზე ხელი გადაუსვა. ჩარლიმ გამოლენჩებული სახე მოატრიალა და დორბლიანი ენა გადმოაგდო. რეზოს ზიზღმა სახე შეუცვალა, ხელი უკანვე წაიღო.

— თქვენ ამ ბინაში ცხოვრობთ?

— დიახ.

— და ყოველ დილით ასეირნებთ ძაღლს?

— კი, ჩარლის უყვარს დილით ადრე სეირნობა, თვითონ მაღვიძებს ხოლმე. არა, ჩარლი? — თავზე ხელი ალერსიანად გადაუსვა.

— ძალიან მიყვარს ძაღლები. დიდი სიამოვნებით შევიძენდი ამის ლეკვს, — რეზო ძლივს ფარავდა მღელვარებას. რაღაც ბოროტი ეშმაკი შეუჩნდა. თვითონვე ხვდებოდა, რომ რაიმე უცნაურს ჩაიდენდა. თვალები უელავდა, ისე ცქმუტავდა, როგორც ცხენი სტარტის წინ. ქალი კი ვერაფერს ამჩნევდა და კვლავ ხალისიანად ტიტინებდა:

— ო, რას ბრძანებთ, ჩარლი მამალია, მაგრამ ჩემს მეგობარს ჰყავს დედალი. თუ გსურთ, მოველაპარაკები.

— შვილები თუ გყავთ?

— ვის? მე-ე? მე არა-ა... — დაიბნა ქალი.

რეზომ ბოროტად გაიღიმა, თვალები უფრო მეტად აუელვარდა.

— არც ქმარი?

— არა, მაგრამ რა შუაშია?

— არა, რა თქმა უნდა, არაფერში... თქვენ მართალი ბრძანდებით! შვილები, ქმარი... ურეცხე, საჭმელი უკეთე... საშინელებაა, არა?! და მერე არც დაგიფასებენ! სულ სხვაა, ძაღლი! მცირე ალერსისთვის სამუდამოდ მონად გაგიხდება!

ქალი გაოცებული უყურებდა.

— გსურთ, დაგხატოთ?

— რა-ა?

— მე მხატვარი ვარ. თუ გსურთ, დაგხატავთ.

— მე-ე? — ენა დაება ქალს.

— ხო, შენ, — რეზო უკვე თავს ვეღარ იმორჩილებდა, — ლამაზი ფეხები გაქვს, დიდი სიამოვნებით დაგხატავდი შიშველს! — მიუახლოვდა და უკანალზე ხელი გადაუსვა. ქალმა უკან დაიწია და ხელზე ხელი დაჰკრა, სახე აელეწა, ქვედა ყბა აუკანკალდა, ხან ძაღლს გახედავდა, ხან რეზოს. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ სიტყვები ვერ მონახა.

— კრეტინი! — გამოსცრა ბოლოს, შეტრიალდა და წავიდა. ძაღლი უკან გაჰყვა ძუნძულით.

რეზომ დამცინავი, ველური სიამოვნებით სავსე მზერა გააყოლა. შემდეგ დაუსტვინა. განრისხებული ქალი მოტრიალდა. რეზომ შუა თითი გაშალა, მეორე ხელი იდაყვთან დაიკრა და ახარხარდა. ქალმა რაღაც ჩაილაპარაკა. რეზოს არ გაუგონია — გულიანად ხარხარებდა, ხარხარებდა და რაღაც გიჟურ სიამოვნებას პოულობდა ამ ხარხარში. ძლივს დაწყნარდა, მარჯვენა ხელი მიმავალი ქალისკენ გაიშვირა, ცერა თითი მაღლა ასწია, საჩვენებელი გაშალა.

— ბახ! — დაიძახა და კვლავ ახარხარდა, ალბათ, თავისივე სულელური მოქმედების გამო.

უკვე ინათა. შეამცივნა. პიჯაკის საყელო აიწია, ხელები შარვლის ჯიბეში ჩაიწყო და ქუჩას გაუყვა.

მოშივდა. თითქმის ორი დღე იყო, არაფერი ეჭამა. იქვე პურის მორიგე მაღაზია ეგულებოდა. იქით გასწია. მანქანიდან ცხელ პურს ცლიდნენ. პურის სუნმა შიმშილი გაუთკეცა, თავბრუ დაეხვა.

როგორც იქნა, მორჩნენ ჩამოცლას და დაიწყეს გაყიდვა. მიუხედავად ალიონისა, საკმაოდ გრძელი რიგი იდგა. მისი ჯერიც მოვიდა, იყიდა და ხარბად ჩაკბიჩა. ძლივს გადაყლაპა პირველი ლუკმა, გულზე დაადგა. შორიახლოს წყლის სასმელი სოკო შენიშნა. წყალს დაეწაფა.

გზა განაგრძო, თან მადიანად ილუკმებოდა. პური იღლიაში ჰქონდა ამოდებული. ნიავმა ნაგვის გულის ამრევი სუნი მოიტანა. ქუჩის პირას ნაგვის ყუთები იდგა, მაგრამ ნაგავი, რატომღაც, ყუთებში კი არა, მიწაზე ეყარა.

ძაღლის წკმუტუნი მოესმა. ნაგვის გროვიდან გამხდარი ლეკვი გამობობღდა. საცოდავი თვალები ჰქონდა და ერთიანად ნაგვით იყო დასვრილი, ვერც კი მიხვდებოდი, თუ რა ფერის იყო.

ჩაცუცქდა. პური მოტეხა და ლეკვს გაუწოდა. დამშეული ლეკვი დააცხრა ნატეხს. რეზოს გაეღიმა. ერთხანს თანაგრძნობით სავსე თვალებით უცქირა ციცქნა არსებას, შემდეგ პური ისევ მოუტეხა, გვერდზე დაუდო, მოთხუპნულ თავზე ხელი გადაუსვა და წამოდგა. ლეკვს ყურადღება არც მიუქცევია, კვლავ მადიანად განაგრძობდა ჭამას. რეზომ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, გაჩერდა, უკან დაბრუნდა, შემდეგ პური მთლიანად ლეკვს დაუდო და ისევ გაუყვა ქუჩას.

ბინის ქირის გადახდის ვადა ახლოვდებოდა, ფული კი უთავდებოდა. ზაფხულის ცხელი დღე იდგა. საწოლზე იწვა

და რაღაცას ფიქრობდა. ზარის ხმა გაისმა. კარი გააღო. კოლა იყო.

— არ გშია? წამო, რესტორანში წავიდეთ.

— ფული?

— დღეს გვეყოფა, ხვალ ღმერთი მოგვცემს! — კოლამ ჩაიცინა.

წავიდნენ. უკვე ბინდდებოდა. რესტორანში, მყუდრო კუთხეში, საკმაოდ მოზრდილ მაგიდასთან კოლას მეგობრები ისხდნენ. კოლა ამ რესტორნის ხშირი სტუმარი იყო. ბევრი პატივს სცემდა, ბევრს ეშინოდა მისი. ოფიციანტები თავს დასტრიალებდნენ, თან მოწიწებით უღიმოდნენ.

კოლამ ნაცნობებისკენ გასწია, რეზოც მიჰყვა. ნაცნობები გულღიად დახვდნენ, ორივეს საპატიო ადგილი დაუთმეს და შამპანურის ჭიქები კონიაკით აუვსეს.

— გვკლავთ?! — მხრები აიჩეჩა კოლამ, — რა დიდი მსმელი მე მნახეთ, საჭმელი არაფერი გაქვთ, გადმოდგით აქეთ, კუჭზე ნოლი მაწერია.

რეზომ კი მოიყუდა და სულმოუთქმელად დალია. სასმელმა ჯერ ყელი დასწვა, შემდეგ გულმკერდი, ბოლოს — მუცელი. არ ესიამოვნა. ინანა, რომ დალია.

— ყოჩაღ! — თვალები შუბლზე აუვიდა კოლას. აქეთ-იქით აღტაცებული შეძახილები გაისმა, გოგონებმა ტაშიც კი შემოჰკრეს.

— კოლა, წამო, ვიცეკვოთ, — ლამაზი, მაღალი გოგო უკნიდან ყელზე მოეხვია კოლას და ლოყაზე აკოცა.

— საჭმლის ჭამას არ მაცლი? — ცალყბად გაიღიმა კოლამ და თეძოზე ხელი მოუთათუნა.

გოგომ გადაიკისკისა.

— როგორ არა, ჭირიმე, — შემდეგ ყურის ბიბილოზე ნაზად უკბინა და ჩასჩურჩულა, — ღამით სახლში ხომ გამაცილებ? ჩვენები აგარაკზე არიან. იქ ამაზე გემრიელ საჭმელსაც გაჭმევ და ქათქათა ლოგინშიც ჩაგაწვენ.

— ჰო-ო?! — გაიოცა კოლამ, — ფეხებსაც დამბან?

ქალს ბაგეთგან წამით გაუქრა ღიმილი, მაგრამ მხოლოდ წამით. შემდეგ კვლავ გაიღიმა და რაღაცნაირი სიამაყითაც კი წარმოთქვა:

— დაგბან!

კოლა ერთხანს გამომცდელად უყურებდა.

— ჭუჭყიან საცვლებსაც გამირეცხავ? — ტუჩები დამცინავმა ღიმილმა გაუხლიჩა.

გოგონას ენა ჩაუვარდა, შემდეგ უშნოდ გაიღიმა და გაეცალა.

— რეზო, როგორ ხარ? — ნაცნობი ხმა შემოესმა რეზოს. მოიხედა და ლოლა დაინახა. უსიამოდ შეიშმუშნა. გაუკვირდა, აქამდე რომ ვერ შეამჩნია. პასუხად მხრები აიჩეჩა, კონიაკი დაისხა და ისევ დალია... თითქმის არაფერი უჭამია. ალბათ ამიტომ, სასმელი მალე მოეკიდა, უკვე საკმაოდ მთვრალი იყო. ცუდი სიმთვრალე არასოდეს ჰქონია, სასმელი კარგ გუნებაზე აყენებდა ხოლმე. დღეს კი... დღეს რატომღაც დაბოღმილი იყო — აღიზიანებდა ერთმანეთს ჩაკრული წყვილების დანახვა.

იქვე, ბარის დახლთან, მაღალ სკამზე შესკუპებული ერთი ქერათმიანი ლამაზმანი შენიშნა. მოკლე კაბა ეცვა და სწორი, ლამაზი ფეხები მოუჩანდა, თან ნაზად გრძელ, მუქი ფერის სიგარეტს აბოლებდა. რეზოს, ისედაც წამოწითლებული თვალები, კიდევ უფრო წამოუწითლდა, არენაზე გამოსულ ხარს დაემსგავსა.

— ის ქერა ვისია? — ჰკითხა კოლას.

— არავისი, ვიღაც გოიმი დასდევს. წადი, თუ გინდა, „დაეპადხოდე“.

წამოდგა, ქალს მიუახლოვდა და წინ დაუდგა. სახეზე არც შეუხედავს, ფეხებზე დააჩერდა, შემდეგ მუხლზე საჩვენებელი თითი დადო და ნელ-ნელა ზევით ააცოცა.

— ლამაზი ფეხები გაქვს! — თავი არც აუწევია, ისე წარმოთქვა. წინადადება დამთავრებულიც არ ჰქონდა, რომ საფეთქელთან საშინელი ტკივილი იგრძნო. წამით თვალთ დაუბნელდა და დახლს მიენარცხა.

უცებ გამოფხიზლდა, თავი მოაბრუნა და გოგონას გვერდით ვიღაც ახმახი შენიშნა, უშვერი გინებაც შემოესმა...

ბარმენი მიუახლოვდა, ხელი იღლიის ქვეშ ამოსდო, დახლს მოაშორა და გასასვლელისკენ წაიყვანა.

ახმახს რომ გაუსწორდნენ, რეზომ მთელი ძალა მოიკრიბა, ოფიციანტს მხარზე დაეყრდნო, აიწია და თვითონაც გაუკვირდა, როგორ მიაწვდინა წიხლი ყბამდე... ზორბა ვაჟკაცი მოჭრილი ხესავით გაიშხლართა...

კოლამ და მისმა მეგობრებმაც მოირბინეს. ახმახმა წამოდგომა დააპირა, მაგრამ ერთბაშად რამდენიმე წიხლი მოხვდა და კვლავ ჩაიკეცა.

რეზო ქერათმიანს მიუახლოვდა. გოგონა შეშინებული თვალებით იყურებოდა. თითებს შუა ფილტრამდე დაფერფილი სიგარეტი დარჩენოდა და გადაგდებაც ვერ მოეხერხებინა. რეზომ წელზე ხელი მოხვია. ქერა შესამჩნევად მაღალი იყო მასზე. რეზოს ამისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია, გასასვლელისკენ წაიყვანა.

გარეთ გამოვიდნენ. სუფთა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. ქალი მორჩილად მიჰყვებოდა.

— შენ რა გქვია?

— ნატა, — შიშნარევი ხმით უპასუხა.

— ააა, ნატალი... ნუ გეშინია, ნატალი.

— მე-ე, მე არ მეშინია...

— ის „შკაფი“ ვინ იყო?

— ერთი ნაცნობი... გადამეკიდა. სულ კუდში დამდევს.

— ნატალი, ძალიან ლამაზი ფეხები გაქვს, გინდა, დაგხატო? — აკვიატებული ფრაზა თქვა რეზომ.

— შენ რა, მხატვარი ხარ?

— ჰო.

— მინდა, — გამოცოცხლდა გოგონა. ლამაზი კბილებიც გამოაჩინა. თვალებიდან შიში სულ გაუქრა, — ასანთი არ გაქვს? — მხიარულად აჭიკჭიკდა, ჩანთიდან სიგარეტი ამოიღო.

რეზოს არ ესიამოვნა მისი ასეთი აჭიკჭიკება და ლაგამი ამოსდო:

— არ მიყვარს, როცა ქალი ეწევა!

გოგონას კვლავ შიშმა გადაურბინა სახეზე, სიგარეტი ცივად ჩააბრუნა ჩანთაში.

ტაქსი გააჩერეს. რეზომ თავისი მისამართი უთხრა.

— სად მივდივართ?

— ჩემთან.

— არა... არა, მე არ შემიძლია... შინ მშობლები მელოდებიან...

— რა-ა? — რეზომ ბოროტად ჩაიცინა, — რამდენი წლისა ხარ?

— მე-ე? ოცის...

— რაღა დროს შენი მშობლებია! დროა უკვე დამოუკიდებელი გახდე! სიგარეტის წევას მშობლები არ გიშლიან?

— არა.

— ჰოდა, ერთი ღამით თუ შინ არ მიხვალ, არც ამაზე გეტყვიან რამეს!

რეზოს დილით ადრე გამოეღვიძა. ნაბახუსევზე თავი უსკდებოდა. გვერდით წაბლისფერთმიანი გოგონა ფშვინავდა. რეზო ერთხანს გაოცებული უყურებდა, ცდილობდა, გონებაში გუშინდელი დღე აღედგინა. ყველაფერი გაახსენდა: ჩხუბიც, ქერათმიანი გოგონაც, მაგრამ ეს წაბლისფერთმიანი აქ საიდან გაჩნდა, ვერაფრით გაიხსენა.

ხელი შუბლზე მოისვა, ოფლი მოიწმინდა. საფეთქელი დასივებოდა. ახმახის გამგელებული თვალები წამოუტივტივდა გონებაში. ახმახს ქერათმიანი მოჰყვა... ფეხები, სწორი, ლამაზი ფეხები... სახე?.. სახე ვერაფრით მოიგონა... მგონი, წესიერად არც შეუხედავს სახეზე...

მაგრამ ეს ვინღა იყო?!..

წაბლისფერთმიანს სახე კედლისკენ მიებრუნებინა და მხოლოდ თეთრი ყვრიმალი და პატარა ყური მოუჩანდა...

საწოლზე წამოჯდა. ზეწარი გადააძრო. ქალის შიშველმა მკერდმა გამოანათა. მკვრივი, მაღალი ძუძუები ჰქონდა,

თოვლივით თეთრი...

წამოდგა და ბარბაცით გაემართა მაცივრისკენ. გზად სკამს ფეხი წამოჰკრა და... ოქროსფერი თმა იატაკზე „დაიღვარა“...

უაზროდ დააცქერდა პარიკს. სულის სიღრმეში რაღაც შეუცნობელი ტკივილი იგრძნო. შემდეგ გონებაში ქრისტინეს სახე ამოუტივტივდა, მისი ნაღვლიანი თვალები და... ოქროსფერი თმა... ახალი კაბა... ქერაწვერიანი სახე... მწარედ ჩაეცინა.

უკანვე მიბრუნდა. საწოლზე ჩამოჯდა. გოგონას უხეშად მოჰკიდა ხელი ნიკაპზე და მისი სახე თავისკენ შემოაბრუნა. იცნო... ცალი ლოყა დასწითლებოდა, თმა ასწეწოდა, პირი ოდნავ გაეღო და არხეინად ფშვინავდა... არ მოეწონა ეს სახე. ალბათ ინანა კიდეც, რომ მისი გულისთვის გუშინ თავის ქალა კინაღამ ახადეს... სიბრაზე თანდათან ემატებოდა. ნერვებს უშლიდა მისი აწეწილი თმისა და დაწითლებული ლოყის ცქერა, მისი ფშვინვის მოსმენა. გაბრაზებულმა ზეწარს ხელი მოჰკიდა და გადახადა. ერთხანს უყურა მის შიშველ სხეულს, წამით შეებრალა კიდეც, დააყოვნა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და ზეწარი იატაკზე მოისროლა. ხელი თეძოზე მიუტყაპუნა.

— ეეე, გაიღვიძე!

გოგონამ რაღაც ჩაიბურტყუნა და საცოდავად მოიკრუნჩხა.

რეზო უფრო გაცხარდა და დაწითლებულ ლოყაზე ხელი რამდენჯერმე მიარტყა.

როგორც იქნა, გაიღვიძა. ერთხანს უაზროდ იცქირებოდა დაწითლებული თვალებით, შემდეგ საწოლზე წამოჯდა და რაღაცნაირი უსიამო, ჩახლეჩილი ხმით იკითხა:

— რომელი საათია?

— წასვლის დროა! — რეზოს სახეზე ზიზღი გამოეხატა, საშინლად უშნოდ მოეჩვენა გოგონა ამ მომენტში. „მხოლოდ დილით ადრე, ნაბახუსევზე, ვნებიანი ღამის შემდეგ, სძვრებათ ნიღბები ქალებს“, — კოლას სიტყვებმა გაურბინა გონებაში და ტანზე სულ დაჰბურგძლა. სურდა, თავი მოეთოკა, მაგრამ მის სხეულში ჩამჯდარი ეშმაკი აღვირახსნილი მიაქანებდა სადღაც...

ნატამ საათს დახედა.

— ჯერ შვიდიც არ არის. სად გეჩქარება? დღეს ხომ კვირაა... ცოტა კიდევ დავიძინოთ. ზეწარი შენ გადააგდე? მცივა.

ქალი ზანტად წამოდგა, ზეწარი აიღო, მოიხურა და რეზოს მიუახლოვდა.

— გაეთრიე! — წაისისინა რეზომ და კარადას წიხლი დაჰკრა. კარადის კარი შუაზე გასკდა და იატაკზე მოადინა ბრახვანი...

თავზარდაცემული ნატა დაფაცურდა, წამში წამოკრიბა თავისი ნივთები, საჩქაროდ ჩაიცვა და ისე გაიპარა, რეზოს კარის გაღების ხმაც არ გაუგონია.

ფურცელი და ავტოკალამი მოიმარჯვა და მაგიდას მიუჯდა.

„დედა“, — დააწერა ფურცელს ლამაზი ასოებით. ერთხანს იფიქრა და სიტყვა „დედას“ წინ „საყვარელო“ მიუწერა. შემდეგ სიტყვა „საყვარელო“ აღარ მოეწონა, ნერვები მოეშალა და ისე მაგრად გადაუსვა ხაზი, რომ ფურცელი გახია. გაბრაზებულმა მოისროლა ავტოკალამი და წამოდგა. მძიმედ სუნთქავდა. შესცივდა. ტანზე საჩქაროდ ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა.

საკმაოდ გრილოდა.

თავისდა უნებურად ტაძრისკენ გასწია. უცნაურმა მღელვარებამ შეიპყრო. მოწიწებით შეადგა ფეხი საყდარში. გალობდნენ... რამდენი ხანი იყო, აქ აღარ ყოფილა... შესვლისთანავე გაფაციცებით დაუწყო ძებნა ფეხშიშველა გოგონას. ვერსად იპოვა...

სანთლების გამყიდველს მიუახლოვდა. იყიდა, თან გამყიდველს ფეხშიშველა, ქერათმიანი გოგონას შესახებ ჰკითხა.

— არა, შვილო, ამდენი წელია აქ ვარ და მსგავსი არავინ, არასოდეს მინახავს.

გაოგნებული გამობრუნდა. სანთლები არც აუნთია, საყდრის კართან მჯდომ მათხოვარს ჩაუყარა კალთაში.

„საოცრება!.. როგორ თუ, არ უნახავს... აბა, ეს ყველაფერი მომეჩვენა?! მინდვრის ყვავილები, ყვავილების გვირგვინი... როგორ შეიძლებოდა მომჩვენებოდა?!. „მსგავსი არავინ, არასდროს...“ არა, ეს შეუძლებელია! წყეული დედაბერი! მეც ვნახე, რა, ვისთვის მეკითხა! ალბათ, გუშინ რა ჭამა, ისიც არ ახსოვს!“

კოლას ბინის კარი ღია დახვდა. გაუკვირდა, არასოდეს მომხდარა ასეთი რამ. ბინაში შევიდა. საწოლი ოთახიდან კვნესა მოესმა. შეშინებული ეცა კარს. საწოლში დედიშობილა კოლა და ვიღაც გოგონა იწვნენ და მძიმედ ტოკავდნენ. ქალი ვნებიანად კვნესოდა. რეზომ ის გოგონა შეიცნო, გუშინ გაცილებას რომ სთხოვდა კოლას.

წყვილს რეზო არც შეუმჩნევია, ისიც ჩუმად გამობრუნდა და ტახტზე წამოწვა. მცირე ხნის შემდეგ კოლა გამოვიდა, მაგიდას მიუჯდა და სიგარეტს მოუკიდა. არც ახლა შეუმჩნევია რეზო, სიგარეტს ზანტად აბოლებდა და კედელზე რაღაც ერთ წერტილს მისჩერებოდა. მალე გოგონაც გამოჩნდა, კოლას პერანგი მოეხურა შიშველ ტანზე. ვერც მან შეამჩნია რეზო. ქალი კოლას მიუახლოვდა, ზურგზე ხელი მოუსვა და ალერსიანად უთხრა:

— ოხ, რა ბანჯგვლიანი ხარ, რა არის ეს!

კოლა უსიცოცხლო თვალებით მიაჩერდა.

— ვცდილობ, დავამტკიცო, რომ ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვა.

— ჩინებულად გამოგდის! — ქალი კვლავ ალერსიანად უღიმოდა.

— ჩინებულად... — კოლა იატაკს დასჩერებოდა, შემდეგ თავი ასწია და ცივი ხმით წარმოთქვა, — წადი სახლში!

— მაგდებ?! — ქალი კვლავ იღიმებოდა.

— ჰო!..

გოგონას ღიმილი სახეზე შეეყინა. ერთხანს გაუძრევლად იდგა, შემდეგ გაიხადა კოლას პერანგი, მაგიდაზე მიუგდო და საძინებელ ოთახში გავიდა. წუთიც და — კიბეზე აკაკუნდა მისი ფეხსაცმლის ქუსლები...

— კარი რატომ იყო ღია?

— რეზო?! აქ საიდან გაჩნდი?

— კარი იყო ღია.

— კარი?.. ჰო... ბიჭები იყვნენ. გამთენიისას წავიდნენ... ალბათ, იმათ დატოვეს.

დადუმდნენ.

— ფული რამდენი დაგრჩა? — უცებ თავი აიღო კოლამ.

— ას ლარამდე.

— ფული მჭირდება. ხვალ საღამოსთვის, ათასი...

— რამდენი?!

— ათასი, — მწარედ ჩაიცინა, — წავაგე...

კვლავ დადუმდნენ.

— ერთი გოგო ვიცი, მდიდარი მამიკოს შვილია. თუთიყუშივით აჭრელებული დადის... ჯერ მარტო ყელსაბამი აქვს, ათასი მხოლოდ ის ეღირება! სახლში გვიან ბრუნდება ხოლმე... წამომყვები?

— კი, — არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა რეზომ.

ეზოში თაღის გავლით შედიოდნენ. თაღს წინ ჭიშკარი ჰქონდა. კამარა საკმაოდ გრძელი და ბნელი იყო.

— იქით ცხოვრობს, — კოლამ ეზოს სიღრმეში მდებარე მეორე თაღისკენ გაიშვირა ხელი, — აქედან არ ჩანს მაგის ფანჯრები. გვერდით რომ ჩაგივლის, უკნიდან მიეპარე და პირზე ხელი აიფარე.

დიდხანს ცდა არ დასჭირვებიათ. რეზო სრულებით არ ღელავდა, ალბათ ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რისთვის იდგა აქ. კოლა ვერ ისვენებდა, ადგილზე ცქმუტავდა.

თაღის წინ ტაქსი გაჩერდა და იქიდან გოგო გადმოვიდა. მის დანახვაზე რეზოს ჩაეცინა კიდეც: საოცრად ზუსტი იყო კოლას შეფასება — ეს ქალი მართლაც

ძლიერ ჰგავდა თუთიყუშს! კოლამ ხელი წაჰკრა.

გოგომ სიბნელეში უცნობები რომ დალანდა, ოდნავ შეყოვნდა, თითქოს იგრძნო, რაც ემუქრებოდა, მაგრამ მერე მტკიცე ნაბიჯებით მათკენ გამოსწია. ოდნავ რომ გასცდა, რეზო უკნიდან წამოეპარა, სწრაფი მოძრაობით ერთი ხელი პირზე ააფარა, მეორეთი კი ხელები შეუბოჭა. კოლამ დანა დაადო ყელზე.

— ხმა არ ამოიღო!

რეზომ იგრძნო, ერთიანად როგორ აცახცახდა საცოდავი... კოლამ უმალ ჩამოჰგლიჯა ყელსაბამი და სხვა სამკაულს დაუწყო ძებნა, მაგრამ საოცრება... არც ბეჭედი, არც სამაჯური, არც საყურეები არ ეკეთა... ხელიდან გამოსტაცა ჩანთა და გაბრაზებულმა, მაგრად ჩაარტყა მუშტი მუცელში. ქალმა დაიკვნესა და ჩაიკეცა.

— წავედით!

კარგა ხანს გარბოდნენ თავქუდმოგლეჯილები ბნელ ეზოებში და ვიწრო ქუჩებში, შემდეგ პარკში აღმოჩნდნენ გორაზე. გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ. კოლამ ჩანთა გახსნა. შიგ ათასი წვრილმანი და მხოლოდ ოციოდე ლარი იდო... გრძლად შეუკურთხა...

ძრავის ღუღუნი შემოესმათ. მანქანის შუქმა გაკვეთა წყვდიადი.

— „ძაღლები“! — წამოიძახა კოლამ და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ჩანთა მოისროლა.

მანქანა გაჩერდა. სინათლე ჩაქრა.

— „ძაღლები“ არ არიან, — წასჩურჩულა რეზომ.

— აბა, სხვა მანქანას აქ ვინ შემოუშვებდა?!

— „ფირმები“ არიან, არ გესმის, ინგლისურად ბაზრობენ...

მანქანიდან ახალგაზრდა ქალ-ვაჟი გადმოვიდა.

— ორნი არიან! შენ ქალს მიხედე, მე კაცს მოვუვლი, — კოლამ დანა შეაჩეჩა ხელში.

— გაგიჟდი?! უცხოელები არიან. ძვირად დაგვიჯდება მაგათი გაფცქვნა!

— მერე რა, რომ უცხოელები არიან! ფეხქვეშ ვეგებით და ცხვირები მაინც მაღლა აქვთ აწეული! მიმიფურთხებია მათთვის, ეგენიც ისეთივე აქოთებულები არიან, როგორც ჩვენ! ჰა, ვაიძულოთ დასწიონ ცოტა ქვევით ცხვირები?! ქალს მიხედე.

ნელი ნაბიჯით მიუახლოვდნენ. ქალ-ვაჟი ყურადღებასაც არ აქცევდა მათ, ბაასს და კისკისს განაგრძობდა.

კოლამ მთელი ძალით ამოსცხო წიხლი ფეხებს შორის ვაჟს. ვაჟმა დაკვნესებაც ვერ მოასწრო, ისე ჩაიკეცა, რამდენიმე წიხლი სახეშიც მიაყოლა.

ქალი კოლას ეცა.

— თავი გაანებეთ, ამერიკელია! — ქართულად აკივლდა.

— ქალს მიხედე-მეთქი, კრეტინო!

რეზო გამოერკვა, პირზე ხელი აააფარა ქალს და დანა ყელზე მიაბჯინა. ბეჭდები მჭიდროდ ჰქონდა თითებზე მორგებული, კოლამ როგორც იქნა მოხსნა, შემდეგ საყურეებს სწვდა და ჩამოჰგლიჯა, ჯერ ერთი, მერე მეორე...

ქალს გმინვა აღმოხდა და მუხლები მოეკვეთა. მოგლეჯილი ბიბილოებიდან



სისხლი წამოუვიდა.

— რამ გამოგაშტერა, დაგდე და წავედით!

რეზო გაქვავებული დასცქეროდა გასისხლიანებულ ყურებს. შემდეგ ქალს ხელი უშვა. ქალი ნელ-ნელა ჩაიკეცა...

დიდხანს ირბინეს, შემდეგ ნაბიჯს უკლეს. ხმას არ იღებდნენ, მდუმარედ მიდიოდნენ ვიწრო, ბნელი ქუჩით. რეზოს თავი ჩაქინდრა, მხრებში მოღუნულიყო. ბოლოს, გასწორდა და მტკიცე ხმით ჰკითხა:

— რატომ ჩამოაგლიჯე საყურეები?!

— რა?

— საყურეები რატომ ჩამოაგლიჯე?!

— აბა, შეხსნას ხომ არ დავუწყებდი, ვინ ეხვეწებოდა, ყურები გაიხვრიტეო?!

რეზოს მიტკლის ფერი ედო. უცებ, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მოიქნია მუშტი და კოლას ყბაში უთავაზა. კოლა წაიქცა. რეზო წიხლებით შედგა წაქცეულს. წითლად შეეღება სახე კოლას...

სისხლის დანახვაზე რეზო გაშეშდა. ერთხანს თავზარდაცემულმა უყურა უძრავად მწოლიარე კოლას, შემდეგ მოტრიალდა და გაიქცა...

კოლა არ იძვროდა. ვარსკვლავებით მოჭედილ ცას გასცქეროდა. შემდეგ წამოჯდა და ზურგით კედელს მიეყრდნო. პირში სისხლის გემო იგრძნო. გადმოაფურთხა. სისხლის ნერწყვს კბილიც გადმოჰყვა. აიღო, ხელისგულზე დაიდო. ერთხანს დააშტერდა, შემდეგ გულგრილად ჩაიცინა და მოისროლა. ცხვირი ეწვოდა. ხელი მოისვა, ცხვირიდან გამოსულ სისხლს სულ დაესველებინა ზედა ტუჩი.

ქუჩა ბნელი იყო და უკაცრიელი, უპატრონო ძაღლიც კი არსად ჩანდა. მძიმედ წამოდგა. გვერდები სტკიოდა... შინისკენ გასწია.

კარს გასაღები ძლივს მოარგო. აბაზანაში შევიდა. სარკეში საკუთარი თავი ვერ იცნო, მთელი სახე სისხლით ჰქონდა მოსვრილი და თან დასივებული. კვლავ ცივად ჩაიცინა. ონკანი გახსნა, ცივი წყალი პირზე შეისხა. ესიამოვნა. წყლის ჭავლს თავი შეუშვირა. შემდეგ სახე შეიმშრალა და კვლავ სარკეში ჩაიხედა. არაჩვეულებრივად გულგრილი და ცივი იყო მისი მზერა...

ხელი ჯიბეში ჩაიყო. ხელისგულზე აბრჭყვიალდა ბრილიანტის ერთი ციცქნა თვლები... კარგად დააკვირდა, მოციმციმე თვლებში, ცირკონები შეიცნო. ელდა ეცა. ერთხანს უყურა, შემდეგ უნიტაზში ჩაყარა და ჩარეცხა...

ოთახში გამოვიდა. საწოლი აშალა. ლეიბის ქვეშიდან ცხვირსახოცში გახვეული რაღაც საგანი გამოიღო. გახსნა. რევოლვერი იყო... ხელში შეათამაშა. ისევ ცივად ჩაეცინა.

ტახტზე დაჯდა. რევოლვერს დააჩერდა, შემდეგ ნელ-ნელა მაღლა ასწია და საფეთქელზე მიიდო. ერთხანს ასე იყო, მერე რევოლვერი დაუშვა.

წამოდგა. ტელეფონთან ანგარიშმიუცემლად მივიდა. აკანკალებული ხელით მექანიკურად აკრიბა ნომერი. ყურმილს კარგა ხანს არავინ იღებდა, ბოლოს, როგორც იქნა, აიღეს.

— ალო... — მოესმა ლოლას ნამძინარევი ხმა.

კოლას წამით სახე გაუნათდა. პირი დააღო, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ სიტყვები ვერ გამონახა.

— ალო! ხმა ამოიღეთ, რა! ალო! გისმენთ!

კოლას ქვედა ყბა აუკანკალდა, წამწამები დაენამა.

— დენეგერატი! — გაისმა ყურმილში და ლოლას ხმა წყვეტილმა ზუმერმა შეცვალა...

ყურმილი ხელიდან გააგდო...

სროლის ხმამ დაარღვია სიმყუდროვე...

გაგრძელება იქნება

დათო ხუჯაძე თბილისში კონცერტის ჩასაფარებლად ჩამოვიდა

რამდენიმე დღის წინ დათო ხუჯაძე თბილისში ჩამოვიდა. როგორც შევიტყვეთ, ის დეკემბრის შუა რიცხვებში გამართავს კონცერტს, რომელიც ვფიქრობთ, გაახარებს მის თბილისელ მსმენელს.

— მოსკოვში ყოფნისას, იმედები ხომ არ გაგიცრუვდათ?

— პირიქით, რასაც ველოდი, იმაზე უკეთესი ატმოსფერო დამხვდა. შემიძლია ვთქვა, რომ შოუბიზნესი იქ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით არსებობს. სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ რუსეთში ქართველებს კვლავ სცემენ პატივს. ჩემი ქართული რეპერტუარის მიუხედავად, მსმენელი და თაყვანისმცემელი არ მომკლებია.

— მოსკოველ მეგობრებთან ერთად, რაიმე სიახლეს ხომ არ გეგმავთ?

— მეგობარი მართლაც ძალიან ბევრი მყავს, ახალშეძენილიც და ძველიც. მათთან ერთად კონცერტებზეც მიწევდა გამოსვლა. ყველაზე ბოლო სიახლე კი, ის არის, რომ დიანა ღურწკაიასთან ერთობლივი დუეტის ჩაწერა მაქვს დაგეგმილი.

— რამდენად კონკურენტუნარიანი ხართ მოსკოვში და რამდენად ლოიალურია თქვენ მიმართ იქაური მუსიკალური სამყარო?

— იყო შემთხვევა, როცა იულია ნაჩალოვასა და სოსო პავლიაშვილთან ერთად გამოვდიოდი. შევასრულე ალბათ ყველასთვის ნაცნობი უკრაინული სიმღერა. სწორედ ამ დროს დარბაზში მსხდომი, ერთ-ერთი პოპულარული ჯგუფის წევრები დემონსტრაციულად წამოდგნენ და დარბაზი დატოვეს: როგორც გაირკვა, არ მოეწონათ ოვაციები, რომელიც ჩემს სიმღერას მოჰყვა (ეს ჯგუფიც ერთ-ერთ უკრაინულენოვან სიმღერას ასრულებდა...), მაგრამ მსგავსი შემთხვევა ნამდვილად გამონაკლისია, საერთოდ კი, ყველასთან ნორმალური, თბილი ურთიერთობა მაკავშირებს. ■

მსმენელმა ხარისხიანი „პროდუქტი“ უნდა მიიღოს

კონცერტის დროს ფონოგრამის გამოყენება დღევანდელი ქართული ესტრადის ერთ-ერთ ყველაზე ყბადაღებულ თემად იქცა და, ბოლოს, ფონოგრამის აკრძალვის ინიციატივა გაჩნდა. ამ სკანდალურად ცნობილი დადგენილების პროექტის შესახებ, კომენტარისთვის კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელს ***დავით ოქიტაშვილს*** *მივმართეთ.*

— აკრძალვა ქართულ ესტრადაში ალბათ მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს და უნდა ვიფიქროთ, რომ ბევრი მოწინააღმდეგე ეყოლება?

— ვფიქრობ, ეს ზომა ყველასთვის მისაღები უნდა იყოს: მსმენელს აქვს უფლება, მიიღოს ხარისხიანი „პროდუქტი“, რადგან ფულს იხდის. აღნიშნული დადგენილება ძირითადად ფილარმონიის, კონსერვატორიისა და სხვა სპეციალური ნაგებობების დარბაზებში ჩატარებულ კონცერტებზე გავრცელდება და არა სპორტულ დარბაზებზე, სადაც განსხვავებული აკუსტიკური პირობებია. ჩვენ კონსულტაციები გვაქვს მეზობელი ქვეყნების შოუბიზნესის წარმომადგენლებთან და, როგორც აღნიშნული დადგენილების ერთ-ერთ ინიციატორს, ამანაც განმიმტკიცა აზრი, რომ ის ქართულ შოუბიზნესს მხოლოდ სიკეთეს მოუტანს.

— თქვენი ოპონენტები თქვენს არაკომპეტენტურობაზე ლაპარაკობენ. ამავე დროს, გავრცელდა ინფორმაცია კულტურის მინისტრის ერთ-ერთ კანდიდატად თქვენი დასახელების შესახებაც.

— ვისაც ჩემს კომპეტენტურობაში ეჭვი ეპარება, მხოლოდ იმას ვეტყვი, რომ საწყისი განათლება მერვე მუსიკალურ სკოლაში მივიღე, განათლების შემდგომ ეტაპებზე აღარაფერს ვიტყვი... რაც შეეხება მეორე კითხვას — მინდა მადლობა გადავუხადო ამ ჭორის გამავრცელებლებს, რადგან მან ჩემსა და სესილი გოგიბერიძეს შორის მეგობრობა კიდევ უფრო განამტკიცა: ვინც პირადად მიცნობს, იცის, რომ ამბიციები და, მით უმეტეს, თანამდებობისკენ ლტოლვა არ მახასიათებს, თვითონ სესილიზე უკეთესი კანდიდატი კი არ მეგულება: მან კულტურის სფეროში ქაოსის აღმოფხვრას შეუწყო ხელი და დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებს. ■

თემურ თათარაშვილის ახალი კლიპი

ცოტა ხნის წინ, თემურ თათარაშვილის ახალი მუსიკალური კლიპის გადაღება დასრულდა. მის რეჟისორად ბასა ფოცხიშვილი, დიზაინერად კი, ბაკურ ბაკურაძე მოგვევლინა. კონკრეტული ინფორმაციისთვის ნატო ვაჩნაძის სახელობის კინოაკადემიის დირექტორს, აღნიშნული კლიპის პროდიუსერს ***— მანანა სურაძეს*** *გავესაუბრეთ.*

ბასა ფოცხიშვილი

მანანა სურაძე

— როგორ აღმოჩნდით პროდიუსერის ამპლუაში?

— შეიძლება ითქვას, მართლაც მოულოდნელი ნაბიჯი გადავდგი შოუბიზნესში, მაგრამ ეს მხოლოდ თემურთან მეგობრობის გამო მოხდა: ყოველთვის ვპირდებოდი კლიპის გადაღებაში დახმარებას, მაგრამ სანამ ამას მოვახერხებდი, თემურმა ორი კლიპის გადაღება მოასწრო... საერთოდ, საკმაოდ ბევრი პროექტი მაქვს დაფინანსებული.

— როგორც შევიტყვე, თემურის კლიპიც თქვენ დააფინანსეთ და ბასა ფოცხიშვილიც თქვენ გამო დათანხმდა გადაღებაზე...

— თანხების მოძიება მართლაც მე მოვახერხე, რაც შეეხება ბასას — მას თავისი სიტყვისთვის არ უღალატია: თუ არ ვცდები, მან თქვა, რომ მხოლოდ ორ-სამ მომღერალს დათანხმდებოდა კლიპის გადაღებაზე. როგორც ჩანს, თემური შემსრულებელთა ამ ვიწრო წრეში შედის. საერთოდ, ჩვენ ერთმანეთთან ახლო, მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს.

— მომავალშიც აპირებთ პროდიუსერის საქმიანობის გაგრძელებას?

— სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან მომეწონა ეს საქმე და საინტერესო წინადადების შემთხვევაში, კვლავაც სიამოვნებით მოვკიდებ ხელს.

მოამზადა რეზო ძაგანიშვილმა

ჯულიანა მური 3 მილიონად „გაიყიდა“

კოსმეტიკურმა ფირმა REVLON-მა ჯულიანა მური თავის ახალ სახედ შეარჩია. კომპანიასთან დადებული სარეკლამო კონტრაქტის თანახმად, მსახიობი ყოველწლიურად 3 მლნ დოლარს მიიღებს. საინტერესოა, რომ ჯულიანამ ზუსტად ეს თანხა მიიღო ძფბ-ს აგენტის როლის შესრულებისთვის „კრავთა დუმილის“ გაგრძელებაში – „ჰანიბალში“.

„რევლონის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მრავალი ქალისთვის ჯულიანა მური სილამაზისა და წარმატების განსახიერებაა. ის საუცხოო მსახიობი და ნამდვილი თანამედროვე ქალია, რომლის სილამაზეს წლები ვერაფერს აკლებს.

კოსმეტიკის მწარმოებლებს 39 წლის მსახიობის ორსულობაც არ აშფოთებთ. ჯულიანა მურის მეორე შვილი ქვეყანას მომავალი წლის ზაფხულში უნდა მოევლინოს, მაგრამ ეს რეკლამაში მის საქმიანობას ხელს არ შეუშლის, პირიქით – დამატებით ყურადღებას მიიპყრობს და კომპანიის პროდუქციის რეალიზაციის გაზრდას შეუწყობს ხელს. შეგახსენებთ, რომ ადრე „რევლონის“ სახეს მელანი გრიფიტი, ჰელი ბერი, სინდი კროუფორდი და კლაუდია შიფერი წარმოადგენდნენ. ■

კომპანია „იუნივერსალმა“ მილიარდის ნიშნული გადალახა

„იუნივერსალი“ პირველია ჰოლივუდის კომპანიებს შორის, ვინც წლეულს აშშ-ის საზღვრებს გარეთ გატანილი ფილმების გაქირავებით 1 მლრდ დოლარამდე შემოსავალი დააგროვა და 1999 წელს მიღწეული შედეგი გაიმეორა.

მსოფლიოში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ფილმები „მუმია ბრუნდება“ (224,8 მლნ დოლარი), „ბრიჯიტ ჯონსის დღიური“ (200 მლნ დოლარი), „იურიული პერიოდის პარკი 3“ (181,1 მლნ დოლარი), „ჰანიბალი“ (135,5 მლნ). ასმილიონიანი ნიშნული უკვე გადალახა ფილმმა „ამერიკული ღვეზელი 2“, რომელიც ჯერ კიდევ 15 ქვეყანაში უნდა შეიტანონ, მათ შორის – იაპონიაშიც, სადაც ახალ ამერიკულ ფილმებს მუდამ დიდი შემოსავალი მოაქვს.

კომპანია „იუნივერსალი“ გაისად თავის ოცწლიან იუბილეს აღნიშნავს და ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გეგმებიც აქვს დასახული. ■

შერი მამაკაცებს აშინებს

ცნობილი მომღერალი შერი ამბობს – მეგობარი მამაკაცი იმიტომ არ მყავს, რომ მამაკაცებს ჩემი ეშინიათო.

მარტოობაში გატარებული სამი წლის შემდეგ, მომღერალი მიხვდა, რომ მამაკაცებს ეშინიათ „მისტერ შერად“ არ გადაიქცნენ.

„მახსოვს, ერთხელ მე და მიშელ პფაიფერი ღამის კლუბში წავედით – ძალიან გვინდოდა ცეკვა.

გვეგონა, რომელიმე მამაკაცი საცეკვაოდ გაგვიწვევდა, მაგრამ ჩვენი მოლოდინი ამაო აღმოჩნდა – გამბედაობა არავის ეყო... – აღნიშნა შერმა და დასძინა: აი, რატომ ხდება, რომ ცნობილი ადამიანები ბოლოს და ბოლოს, სხვა ცნობილ ადამიანებს ხვდებიან. მე მამაკაცებს არ გავურბივარ, უბრალოდ მინდა, ვინმემ ჩემთან ჩვეულებრივი საუბარი მოახერხოს...“ ■

გაი რიჩის მადონას ჩაცმულობა აცოფებს

გაი რიჩი თურმე აღშფოთებულია იმით, რომ მისი ცოლი „ბებერი მეძავივით“ იცვამს. ამის შესახებ თავად მომღერალმა განაცხადა ბრიტანული რადიოსადგურისთვის მიცემულ ინტერვიუში.

სახელოვანი მეუღლეები უმეტესად, იმის

გამო კამათობენ ხოლმე, რომ მადონას ძალიან უყვარს სექსუალური, მოტკეცილი და გამჭვირვალე ტანსაცმელი. 33 წლის გაი რიჩის კი ეს აღიზიანებს და ბრაზობს კიდეც.

მადონას თქმით, მისი ქმარი იმას ვერ იტანს, რომ გამჭვირვალე სამოსს მიღმა ვიღაცა მისი მეუღლის მკერდს ათვალიერებს, ამიტომ მოითხოვს, რომ ქალმა უფრო მოკრძალებული სამოსი შეარჩიოს. 43 წლის მადონა იძულებულია, ქმარს დაემორჩილოს, თუმცა ზოგჯერ მაინც იმოსება საკუთარი შეხედულებისამებრ და ცდილობს არ გამოიყურებოდეს ისე, როგორც „ბებერი მეძავი“. საინტერესოა, რომ პოპ-ვარსკვლავსაც ჰქონია პრეტენზიები ქმრის მიმართ: თავად მადონა საოცრად პუნქტუალური ყოფილა და ყველაფერს კარგად იმახსოვრებს (რაც მის ქმარს ასევე აცოფებს), მაშინ, როცა გაი რიჩის ხშირად ავიწყდება მათი ერთობლივი გეგმები და შეხვედრებზეც იგვიანებს ხოლმე. ■

მოამზადა
მანანა ღოღობერიძემ

ახალი BMW 316I

დეკემბერში გერმანიაში ამ ავტომობილის გაყიდვა დაიწყება. BMW 316I ბავარიული კონცერნის ყველაზე ხელმისაწვდომ ახალ მოდელად ითვლება. სამკარიანი ჰეჩბეკი – 20.400 ევრო, ოთხკარიანი სედანი 316I COMPACT კი – 23.400 ევრო (20.800 დოლარი) ეღირება. საბაზო კომპლექტაციაში მასტაბილიზებელი კონტროლის სისტემა – DSC და კონდიციონერი შედის. ახალი „სამიანის" მთავარი ხიბლი მისი ძრავაა, რომლის სიმძლავრე, წინამორბედ ვერსიასთან შედარებით, 10%-ით არის გაზრდილი. „ბე-ემ-ვე"-ს ინჟინრებმა ის სარქვლების მუშაობის მართვის ელექტრონული სისტემით – VALVETRONIC-ით აღჭურვეს.

აქამდე ეს ტექნიკური სიახლე მხოლოდ უფრო ძვირად ღირებულ და მოწინავე – მეხუთე და მეშვიდე სერიის მანქანებში იყო გამოყენებული. VALVETRONIC-ი ძრავის შესაშურ ეკონომიურობას უზრუნველყოფს, რომლის წყალობითაც საწვავის ხარჯი ქალაქში მოძრაობისას, სულ ცოტა, 10%-ით მაინც მცირდება: 1800 კუბ.სმ მოცულობის ძრავა 100 კმ-ზე საშუალოდ, 7,1 ლ ბენზინს ხარჯავს, რაც 115 ცხ.ძ-ის მქონე ავტომობილისთვის ძალზედ კარგი მაჩვენებელია. მოძრაობის სპორტული სტილის მოყვარულთ კონცერნი გაცილებით მძლავრ – 143 ცხ.ძ-ის მქონე 2 ლიტრიან ძრავას შესთავაზებს, რომელიც რამდენადმე უფრო ძვირი – 22.400 დოლარი ეღირება. ■

MERCEDES VANEO – სათაურად ვარიანტი

„მერსედესი" სამოდელო პალიტრას აფართოებს. გერმანულმა ფირმამ, რომელიც პრაქტიკულად, ყველა ტიპის ავტომობილს აწარმოებს, ამჯერად კომპაქტური ვენების პერსპექტიული ბაზრის ათვისება გადაწყვიტა. მომავალი წლის დასაწყისში მომხმარებელს A კლასის ცნობილი ავტომობილის ბაზაზე შექმნილ VANEO-ს შესთავაზებენ. ზომების გაზრდის წყალობით (ეს მოდელი ჩვეულებრივ A კლასს სიგრძეში 60 სმ-ით, სიმაღლეში კი – 25 სმ-ით აღემატება), კომპაქტურ ვენს ძალზედ ხალვათი სალონი აქვს: მასში კომფორტულად განთავსდება 5 მოზრდილი მგზავრი და ორი ბავშვი, ამასთან, ბარგისთვისაც საკმაო ადგილი დარჩება. მანქანის ტვირთამწეობა 543 კგ-ს შეადგენს.

საბაზო მოდელი სერიულად აღიჭურვება მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემით ABS, ელექტრონული კონტროლის მასტაბილიზებლით ESP, უსაფრთხოების ფრონტალური ბალიშებით, ცენტრალური საკეტით და მინების ელექტრონული ამწევებით.

ვენს იგივე ძრავები ექნება, რაც ჩვეულებრივ A კლასს: 1,6 და 1,9 ლ ბენზინის, რომლის სიმძლავრეა, შესაბამისად, 82 და 125 ცხ.ძ, და დიზელის 75 ცხ.ძ-იანი და 91 ცხ.ძ-იანი.

საბაზო მოდელის ფასი გერმანიაში დაახლოებით 17.500 დოლარი ეღირება, უფრო ძვირად ღირებული კომპლექტაციები 22.000-მდე მიაღწევს. „მერსედესი" მომხმარებლებს მათი მიდრეკილებების შესაბამისი ოპციების 5 პაკეტს შესთავაზებს: CARRY – პიკნიკების მოყვარულთათვის, BIKE – ველოსიპედისტებისთვის, SURF – ვინდსერფინგის მოტრფიალეთათვის, SNOW – სნოუბორდისა და სათხილამურო სპორტის მოყვარულთათვის, დაბოლოს – DOG – ძაღლების პატრონებისთვის.

„მერსედესის" ვენის ძირითადი კონკურენტები არიან ფრანგული RENAULT SCENIC და გერმანული OPEL ZAFIRA. თუმცა, როგორც ექსპერტები შენიშნავენ, ბაზარზე ადგილი ყველას ეყოფა: მსოფლიოში დღითი დღე იზრდება მოთხოვნა კომპაქტურ ვენზე და თუ 1998 წელს ამ ტიპის 250 ათასი ავტომობილი გაიყიდა, სპეციალისტთა პროგნოზით, 2004 წლისთვის ეს მაჩვენებელი 1 მლნ-ს მიაღწევს. ■

მსოფლიოში უმცირესი ჯიპიროლეტი

გერმანიაში ორადგილიანი ფრანგული მანქანის – მსოფლიოში უმცირესი კაბრიოლეტის – SCOOT-ის გაყიდვა დაიწყო. 12.900 მარკად (დაახლოებით 6.000 დოლარად) ნებისმიერი მსურველი ფირმა SECMA-ს მიერ გამოშვებული ამ ფრიად ორიგინალური სატრანსპორტო საშუალების პატრონი შეიძლება გახდეს. 2,05 მ სიგრძის, 1,09 მ სიგანის, 1,49 მ სიმაღლისა და სულ 202 კგ მასის მქონე ეს ავტომობილი ძალიან ჰგავს იმ მანქანებს, რომელიც ელექტროძრავით არის აღჭურვილი და რომელსაც გოლფის სათამაშო მოედანზე იყენებენ. მაგრამ SCOOT-ი ყველა თვალსაზრისით, ჩვეულებრივი ავტომანქანაა: მის სამართავად აუცილებელია გქონდეთ მართვის მოწმობა, სათანადო წესით რეგისტრაცია და დაზღვევა. ნამცეცა 340 კუბ.სმ მოცულობის ერთცილინდრიანი ძრავით არის აღჭურვილი (იტალიური ფირმა SCOOT-ს წარმოების), 14 ცხ.ძ-ს სიმძლავრე აქვს და 75 კმ/სთ-ს ავითარებს. განსაკუთრებით მიმზიდველია მისი საოცარი ეკონომიურობა – ის 100 კმ-ზე სულ 1,5 ლ-ს ხარჯავს. სარეკლამო პროსპექტებში სამართლიანად არის ხაზგასმული, რომ SCOOT-ი „მოპედისა და მოტოროლერის საუცხოო ალტერნატივას წარმოადგენს“. მართლაც, ის გაცილებით კომფორტულია: ჯერ ერთი, როგორც ყველა ავტომობილს, აქვს სახურავი, აღჭურვილია გადაცემათა ავტომატური კოლოფით, უსაფრთხოების ღვედებით, სადგომი (ხელის) მუხრუჭითა და ღუმლით, აქვს 90 ლ ტევადობის საბარგული. ყველაზე გამოკვეთილი ნაკლი მაინც ავტომობილის ფასია, რომელიც ჩვეულებრივი მოდელის ერთწლიან მანქანას ან 5 მოპედს გასწვდება, ამიტომ ექსპერტთა ვარაუდით, მან პოპულარობა მხოლოდ დიდ ქალაქებში და ისიც – როგორც გასაქირავებელმა სატრანსპორტო საშუალებამ შეიძლება მოიხვეჭოს.

საინტერესოა, რომ ფირმამ ელექტროამძრავიანი SCOOT-იც შექმნა, რომელიც 209 კგ-ს იწონის, 25 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს, მოქმედებაში კი, 2 ცხ.ძ-ს მქონე ელექტროძრავით მოდის. ელექტრომობილი თითქმის 8.000 დოლარი ეღირება.

საერთოდ, ფრანგ ავტოკონსტრუქტორებს „ნამცეცა“ მანქანების შექმნისა და აქტიური ცდების ტრადიცია აქვთ. მაგალითად, კომპანია „რენოსთვის“ ძარების შემქმნელი ფირმა „მატრას“ მიერ შემუშავებული ავტომობილი M72 ძალიან წააგავს აპარატს, რომლითაც ამერიკელი ასტრონავტები მთვარის ზედაპირზე დადიოდნენ. 3 მ სიგრძის ამ მანქანას 750 კუბ.სმ მოცულობის 20 ცხ.ძ-იანი ძრავა აქვს, რომელიც თავისუფლად უზრუნველყოფს 380 კგ-იანი ავტომობილის 110 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობას. მეორე მაგალითია ფირმა „ლეჟეს“ მიერ დაკვეთილი ორადგილიანი BE UP, რომლის ძარა ცნობილმა იტალიელმა დიზაინერმა ჯუჯარომ შეიმუშავა. 21 ცხ.ძ-იანი ძრავით აღჭურვილი ავტომობილი 120 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებს. ■

OPEL VECTRA-ს განახლებული ვერსია

თავდაპირველად OPEL-ი ფრანკფურტის ავტოსალონზე (სექტემბერში) აპირებდა ამ მოდელის წარდგენას, მაგრამ მის წარდგენამდე ცოტა ხნით ადრე, მიზეზების დაუსახელებლად, პრემიერა გადადო. სულ ცოტა ხნის წინ, ფირმის ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა ახალი მანქანის ფოტოსურათები და გამოაცხადა, რომ მისი დებიუტი, 2002 წლის მარტისთვის დაგეგმილი ჟენევის ავტოსალონზე შედგება.

ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ „ოპელმა“ ფაქტობრივად, ახალი ავტომობილი შექმნა. ქალაქ რიუსელსჰაიმში მდებარე ქარხნის ხელახალი შეიარაღება, სადაც მომავალი წლის იანვრიდან დაიწყება ახალი „ვექტრას“ წარმოება, კომპანიას 700 მლნ დოლარი დაუჯდა.

თავდაპირველად, მომხმარებელს ამ მანქანის ოთხკარიან სედანს შესთავაზებენ, ცოტა ხანში მას უნივერსალი, კუპე და მინი-ვენიც მოჰყვება. ავტომობილში ბევრი ტექნიკური სიახლეა გამოყენებული. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ინტერაქტიური საკიდარი IDS და საჭის ელექტროჰიდრავლიკური გამაძლიერებელი. აეროდინამიკის უმთავრესი მაჩვენებელი – ჰაერის წინააღმდეგობის კოეფიციენტი, 0,28-მდეა დაყვანილი. ძრავების პალიტრა ოთხ ვარიანტს შეიცავს: 2 ოთხცილინდრიანი ბენზინის ძრავა – 122 და 147 ცხ.ძ-ისა, და 2 დიზელის – 100 და 125 ცხ.ძ-ისა. ■

თქვენი პატარა

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

როგორ ვითარდება ფიზიკურად ნორმალური ახალშობილი

ჯანმრთელი დროული ახალშობილის სხეულის წონა შეადგენს ვაჟებისათვის 3,4-3,5 კგ-ს, ქალებისათვის – 3,2-3,4 კგ-ს; სიგრძე: ვაჟებისათვის – 50 სმ-ს, გოგონებისათვის 49 სმ-ს. სხეულის მასის დასაშვებ მერყეობად მიჩნეულია 2,7-4,0 კგ, ხოლო სიგრძის – 46-56 სმ. თუ ახალშობილის მასა ნაკლებია 2,5 კგ-ზე, ხოლო სიგრძე – 45 სმ-ზე, იგი დღენაკლულია, ან აქვს თანდაყოლილი ჰიპოტროფია, ხოლო 4,0 კგ-ზე მეტი მასის ახალშობილი, გიგანტია. დაბადებიდან მე-2, მე-3 დღეს ბავშვი იკლებს წონაში და იგი დაახლოებით 150-300 გ-ს კარგავს. ეს წონის ფიზიოლოგიური კლებაა. ამის შემდეგ იწყება ინტენსიური მატება. ბევრს მიაჩნია, რომ პირველი თვის განმავლობაში ბავშვი წონაში მატულობს 600 გ-ს, მეორე თვეში – 750-ს, მესამე თვეში 700-ს, მეოთხეში – 650, მეხუთეში 600-ს და ა.შ. იმის დასადგენად, თუ რამდენი უნდა მოიმატოს ბავშვმა ამა თუ იმ თვეში, იყენებენ, შემდეგ ფორმულას:

800-50X(N-1) – სადაც 800 გ მაქსიმალური მატებაა I თვეში, N – თვეების რიცხვი. ახალშობილის წონა ორმაგდება 5-6 თვეში, სამმაგდება – 1 წელიწადში, 1 წლის ბავშვის საშუალო წონაა 10 კგ, ხოლო 1 წლის ზემოთ, ბავშვის წონას ითვლიან ფორმულით 10+2XN, სადაც N – წლების რიცხვია.

1 წლის ბავშვის სიგრძე საშუალოდ, 75 სმ-ია. ამა თუ იმ ასაკში ბავშვის სიმაღლის გამოსაანგარიშებლად ვიყენებთ ფორმულას: 75+5XN, სადაც 5 ყოველწლიური საშუალო ნამატია, N – წელთა რიცხვი. დადგენილია, რომ ახალშობილის სიგრძე ორმაგდება 5 წლის განმავლობაში და სამმაგდება 14-15 წლის ასაკში. ■

სათესლე ჯირკვლის შეკავება ანუ კრიპტორქიზმი

მუცლად ყოფნის პერიოდში სათესლე ჯირკვლები თირკმლების ახლოს მდებარეობს. შემდგომში ისინი, ქვევით დაშვებას იწყებს და როდესაც ბავშვი იბადება, უკვე სათესლე პარკშია ჩამოსული ან იქ ცხოვრების პირველი წლის განმავლობაში დაეშვება.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთი ან ორივე სათესლე ჯირკვალი პარკში ჩამოსვლას ვერ ასწრებს, ხდება მისი შეკავება მუცლის ღრუში ან საზარდულის არხში. ეს არის განვითარების მანკი, რომელსაც სათესლე ჯირკვლის შეკავება, ანუ კრიპტორქიზმი ეწოდება.

კრიპტორქიზმი არც ისე იშვიათი დაავადებაა; შედარებით ხშირია ბავშვებში, ვიდრე მოზრდილებში, უფრო მეტად – მარჯვენამხრივია, ვიდრე მარცხენამხრივი. ორივე სათესლის ერთდროული შეკავება შედარებით იშვიათია.

როდესაც მოსალოდნელი საშიშროების შესახებ ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ის გართულებები, რომელიც შეიძლება უპირველესად თან ახლდეს სათესლე ჯირკვლის შეკავებას. სათესლე ჯირკვალი, რომელმაც დროულად ვერ ჩაღწია პარკში, შედარებით პატარაა, განუვითარებელი და ფუნქციურად არასრულფასოვანი. თუ ორივე ჯირკვლის შეკავებაა, ეს უნაყოფობის მიზეზი შეიძლება გახდეს.

გარდა ამისა, თამაშისა და ფიზიკური დატვირთვის დროს შესაძლებელია, შეკავებული სათესლე ჯირკვალი შემოიგრიხოს ან ჩაჭედოს. ასეთ შემთხვევებში ავადმყოფს ეწყება მწვავე, შეტევითი ტკივილი და საჭირო ხდება სასწრაფო, გადაუდებელი ოპერაციული ჩარევა.

მოსალოდნელი გართულებებიდან ყველაზე სახიფათო ის არის, რომ შეკავებული ჯირკვალი მიდრეკილია სიმსივნური გადაგვარებისკენ. აღნიშნული საშიშროება მით უფრო რეალურია, რამდენადაც მაღლა მდებარეობს ჯირკვალი და მისი პარკში ჩაშვება დაგვიანებულია.

ბავშვის სათესლე ჯირკვლის შეკავებას ყველაზე ადრე დედა შენიშნავს, რაც მის უარყოფით განცდებს იწვევს. თითქოს არაბუნებრივიც არაფერია, რადგან საქმე შვილის ხვალინდელ დღეს, მის მომავალს ეხება; სამაგიეროდ, გაუგებარია სხვა ამბავი: ხშირად, მშობლები წლების განმავლობაში შექმნილ მდგომარეობას საიდუმლოდ ინახავენ და არ მიმართავენ ექიმს.

სავსებით კანონზომიერია კითხვა – კრიპტორქიზმის დროს, როდის, რომელ ასაკში უნდა გაკეთდეს ოპერაცია. ეს საკითხი თანაბრად უნდა აღელვებდეს როგორც ექიმს, ისე მშობლებს.

ცნობილია, რომ იშვიათ შემთხვევაში სქესობრივი მომწიფების პერიოდისათვის სათესლე ჯირკვალი შეიძლება თავისთავად ჩამოეშვას სათესლე პარკში. ეს გარემოება მშობლების დეზორიენტაციას იწვევს და ავადმყოფების დიდი უმრავლესობა ექიმთან მაშინ მიჰყავთ, როდესაც ფაქტობრივად დაიკარგა ქირურგიული მკურნალობისთვის მეტად სასურველი და შესაფერისი დრო. უდავოა, რომ შეკავებული ჯირკვალი ზოგჯერ სქესობრივი მომწიფების პერიოდისთვის შეიძლება მართლაც ჩამოეშვას სათესლე პარკში, მაგრამ არც ის არის სადავო, რომ ასეთი ჯირკვალი ღრმა ცვლილებებს განიცდის და ხშირად, ფუნქციურად არასრულფასოვანი ხდება.

აქედან გამომდინარე, შეკავებული სათესლე ჯირკვლის დროს ოპერაციული მკურნალობის ოპტიმალური პერიოდის სწორ განსაზღვრას უაღრესად დიდი, ინდივიდუალური მნიშვნელობა აქვს, რადგან მასთან ორგანულად არის დაკავშირებული შეკავებული ჯირკვლის ბიოლოგიური სრულფასოვნების აღდგენის და მასში მოსალოდნელ გართულებათა პროფილაქტიკის საკითხი.

შეკავებულ სათესლე ჯირკვალში მოსალოდნელი გართულებები რომ შემცირდეს, ჯირკვალი, როგორც ორგანო, ნორმალურად რომ განვითარდეს, არ უნდა დაველოდოთ პარკში მის ჩამოსვლას. სასურველია, ჯირკვლის ჩამოშვების ოპერაცია გაკეთდეს დროულად – 5-6 წლის ასაკში. ამ ხანში ჯირკვალში არსებული ცვლილებები ჯერ კიდევ არ არის ღრმა და უმრავლეს შემთხვევაში შექცევადია. ■

ჯანმრთელობის ფილოსოფია

სალერნოს ჯანმრთელობის კოდექსი
(დასაწყისი იხ. „გზა“ №44-№46)

არნოლდ ვილანოველი

სალერნოს ჯანმრთელობის კოდექსი

XXXVI

ალუბალს შეჭამ – სიკეთეს ნახავ:
გაგიწმენდს კუჭს და დაგიშლის ქვებსა.
კენკრისგან სისხლი დაგეწმინდება.

XXXX

შინდი ადიდებს შარდის სიუხვეს,
შინდი ამაგრებს ამასთან კუჭსაც.
მაგარი შინდი კარგია,
მაგრამ რბილი – ორმაგად სასარგებლოა.

XXXXII

ლუდი სიცოცხლის წვენებს კვებავს, ძალას გვანიჭებს;
ასუქებს, სისხლის მიმოქცევას აზომიერებს,
მუცელს არბილებს, ბერავს, შარდსაც გამოყოფს მავნეს.

XXXXIII

ძმარი აცივებს, უფრო მძლავრად აშრობს სხეულსა;
თესლსაც ამცირებს, თენთავს, იწვევს მელანქოლიას;
მყესებს აწვალებს, ძარღვებს ახმობს, სიმსუქნეს აცხრობს.

XXXXIV

თალგამი კუჭის მკურნალია, ქარებს განდევნის.
შარდს ადენს, მაგრამ კბილებს შლის და ანგრევს, დაბოლოს
მოხარშული კი მიზეზია შემტევ ტკივილთა.

XXXXVI

სტომაქის ქარებს განაქარვებს თესლი კამისა.
კამის სიკეთე სამგვარია: კუჭს ასუფთავებს,
თვალს ამახვილებს და განდევნის ციების შხამსა.

XXXXIX

მას, ვინც სადილობს, სამარილე დაუდგით წინა,
შხამს ერევა და გემოს აძლევს საჭმელს მარილი.
უგემურია უმარილო კერძი ყოველი,
მაგრამ უზომო – თესლსა ვნებს და ასუსტებს მზერას,
კაცს აკანკალებს, კანს აქავებს, ქეცის წყაროა.

L

მარილიანი, ცხარე, მწარე გვწვავს და გვამაგრებს.
მჭახე და მჟავე შეგვაცივებს, პირიქით ტანში.
მსუქანი, რბილი, ტკბილთან ერთად, სიმშვიდეს გვაძლევს.

LI

პური და ღვინო კბილებსა წმენდს, უხდება თვალებს;
მატულობს ის, რაც მცირეა და მცირდება ბევრი.

LIV

ძველ მედიკოსთა აზრით, ბალბა არბილებს მუცელს,
ფესვის ნაფხეკი ამსუბუქებს კუჭის გაწმენდას
მშობიარესაც ეხმარება, თვიურს უხდება.

თარგმანი აკაკი გელოვანის

ჯარტოფილის „ჯალათა“

12 ცალი საშუალო და ერთნაირი ზომის კარტოფილი გარეცხეთ, რომ არ ჩაიშალოს, მოხარშეთ ოდნავ მარილიან წყალში, გადაავლეთ ცივი წყალი და გაფცქვენით. თითოეული კარტოფილის ძირი სწორად გადაჭერით, რომ საინზე საყრდენი ჰქონდეს, თავი კი ფრთხილად ამოუბურღეთ წვრილი დანით და სიცარიელე ამოავსეთ ბაჟით. შემდეგ კარტოფილს ოხრახუშის ღერით მოხერხებულად გაუკეთეთ სახელური, ისე, რომ კარტოფილი კალათს დაემსგავსოს. კალათის თავი მოალამაზეთ ბროწეულის მარცვლებით; ბაჟის ნაცვლად შეგიძლიათ „კალათი“ ამოავსოთ ქინძით, ნივრითა და ძმრით შეზავებული ნიგვზით, ან ცხიმში მოშუშული ხახვით, აგრეთვე დაფშვნილი ყველით. თუ „კალათს“ ხახვით ან ყველით ამოავსებთ, მაშინ თავი არაჟინით შეულამაზეთ.

სტაფილოს და ხაჭოს სალათი

200-250 გ ხაჭო კარგად დასრისეთ 1 ღვინის ჭიქა ანადუღარ ცივ რძეში. შეაზავეთ მარილით (გემოვნებით) და თუ ხაჭო მომჟავოა, დაუმატეთ 1 ჩ/კ შაქრის ფხვნილი. შეურიეთ 200 გ მსხვილად გახეხილი სტაფილო, მოათავსეთ საინზე და ზემოდან მოაყარეთ წვრილად დაჭრილი კამა.

ნუგბარი მანანის ბურღულისაგან

ერთ ჭიქა ერბოში მოხალეთ (გავარდისფრებამდე) 3 ჩ/ჭ მანანის ბურღული, დაასხით ზედ 4 ჩ/ჭ წყალში წამოდუღებული 2 ჩ/ჭ შაქრის ფხვნილისაგან მიღებული ვაჟინი და ურიეთ მანამდე, ვიდრე ბურღული მთლიანად არ შეიწოვს ვაჟინს, შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან მიღებული მასა, გადაფარეთ ჭურჭელს ჯერ ჩაის ტილო, შემდეგ თავსახური და დატოვეთ ასე 20 წუთის განმავლობაში. 20 წუთის შემდეგ მოაფრქვიეთ მცირეოდენი ვანილი, ისევ აურიეთ კარგად და დატოვეთ, ვიდრე გაცივდება. გაცივებული მასა გადმოიღეთ გაშლილ შესაფერის თეფშზე ან ლანგარზე და მოაყარეთ ზემოდან 200 გ მსხვილად დაჩეჩქვილი ან დაჭრილი ნიგოზი.

ვაშლის ღვეზელი უცხიმოდ

5 კვერცხი და 1 ჩ/ჭ შაქრის ფხვნილი კარგად ათქვიფეთ, დაუმატეთ 200 გ არაჟანი, 1 ჩაის კოვზი სოდა, მცირეოდენი ვანილი, დანის წვერით მარილი, 6-7 ცალი მსხვილად გახეხილი ვაშლი (ანტონოვკა), კარგად აურიეთ და თანდათანობით შეაზილეთ (დაახლოებით 400-500 გ) ფქვილი ისე, რომ მიიღოთ კექსის ცომის მაგვარი ცომი; მოათავსეთ იგი ცხიმწასმულ და ფქვილმოყრილ დიდ ტაფაზე, გააბრტყელეთ, ცომი მიიყვანეთ ტაფის ნაპირებამდე და შედგით ღუმელში დაბალ ცეცხლზე. გამომცხვარ და გაცივებულ ღვეზელს მოაყარეთ შაქრის პუდრა და დაჭერით სასურველ ფორმებად (რომბისებურად ან ოთხკუთხა ნაჭრებად).

■

კითხვა + პასუხი

კითხვა: ჩემს მეზობელს ნაღვლის ბუშტში კენჭი აქვს. ორიოდე დღის წინ შეტევა დაემართა. მაინტერესებს, როგორ შეიძლება ნაღვლ-კენჭოვანი დაავადების თავიდან აცილება და როგორია მისი მკურნალობის საშუალებები.

პასუხი: ნაღვლის კენჭების გაჩენის პროფილაქტიკა, ამის ხელშემწყობ დაავადებასთან და წინაპირობებთან ბრძოლაში მდგომარეობს: ჯანმრთელმა ადამიანმა ბევრი უნდა იმოძრაოს, ფეხით იაროს, სისტემატურად ივარჯიშოს, ერიდოს ხანგრძლივ ჯდომას, თავი უნდა შეიკავოს ზედმეტი კვებისგან, განსაკუთრებით — ცხიმიანი კერძებისგან. საჭიროა ყაბზობის საწინააღმდეგო ზომების დროული მიღება. ყველა ეს ღონისძიება ორსულობის პერიოდშიც უნდა ტარდებოდეს.

თუ ადამიანს კენჭოვანი დაავადების შეტევა დაემართა, მაშინვე უნდა მიმართოს ექიმს. შეტევის შემდეგ საჭიროა კვებისაგან ნაწილობრივი თავშეკავება და კუჭ-ნაწლავის მოქმედების მოწესრიგება. წამლები უნდა მიიღოს მხოლოდ ექიმის დანიშნულებით. მედიცინის ბოლოდროინდელი მიღწევებით შესაძლებელია, ზოგიერთ შემთხვევაში ნაღვლის კენჭების დაშლა. თუ განვითარდა ნაღვლ-კენჭოვანი დაავადების რაიმე გართულება — მწვავე ანთება, დაჩირქება, ბუშტის გახეთქვა, თუ გახანგრძლივდა სიყვითლე, — საჭიროა ქირურგიული ჩარევა.

კითხვა: რა იწვევს ორგანიზმის შეშუპებას და რა წამლები შეიძლება მივიღოთ ამ დროს?

პასუხი: შეშუპება ორგანიზმის ქსოვილებსა და ღრუებში ზედმეტი სითხის დაგროვებაა. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, გულის უკმარისობაა, როდესაც ვენებსა და კაპილარებში შეგუბებული სისხლიდან სითხე ჭარბი რაოდენობით გაჟონავს ქსოვილებისაკენ და აღარ ხდება მისი უკანვე შეწოვა. ასეთი შეგუბებითი შეშუპების გამო დიდდება ღვიძლი, სივდება ქვედა კიდურები, სითხე გროვდება პლევრის და მუცლის ღრუებში; სხეულის წონა რამდენიმე კილოგრამით მატულობს. ფილტვებში შეგუბება გულის ასთმის შეტევით გამოვლინდება.

ორგანიზმში ნატრიუმის შეკავებასთან და სისხლში ცილის რაოდენობის შემცირებასთან არის დაკავშირებული შეშუპება თირკმლების დაავადებების (ნეფრიტი, ნეფროზი, ამილოიდოზი) შემთხვევებში. იგი პირისახიდან იწყება, შეიძლება მთელ სხეულზე გავრცელდეს და ღრუებში სითხის დაგროვება გამოიწვიოს.

მუცლის ღრუში სითხის დაგროვება ხდება ღვიძლის ციროზის დროს. ფარისებრი ჯირკვლის უკმარისობის გამო ვითარდება თავისებური ე.წ. ლორწოვანი შეშუპება (მიქსედემა) კანის სიმშრალითა და გამკვრივებით.

შეშუპებას შეიძლება ადგილობრივი ხასიათი ჰქონდეს — მაგალითად, სისხლის შეგუბების შედეგად ვითარდება ქვედა კიდურების შეშუპება, ვენების თრომბოზის და თრომბოფლებიტის გამო. ლორწოვანი გარსისა და კანქვეშა ქსოვილის გარკვეული უბნების შეშუპებას იწვევს ორგანიზმის ალერგიული რეაქცია.

შეშუპების მიზეზის დადგენა უნდა მოხდეს ავადმყოფის სამედიცინო გამოკვლევის საფუძველზე. მხოლოდ ამის მერე იქნება შესაძლებელი სწორი მკურნალობის ჩატარება, რომელიც მიმართული უნდა იყოს ძირითადი დაავადების საწინააღმდეგოდ. თვითმკურნალობა (შარდმდენი საშუალებებით) ყოვლად დაუშვებელია, რადგან ამან შესაძლოა, დიდი ზიანი მოუტანოს ავადმყოფს.

კითხვა: რატომ არის, რომ ადამიანი ვერ იტანს ხოლმე ზოგიერთ საჭმელს?

პასუხი: ზოგი ადამიანი ვერ იტანს მარწყვს, ზოგი რძეს, ზოგი თევზს ან მსუქან ხორცს. ეს სხვადასხვა მიზეზით აიხსნება. ძირითადად კი, მიზეზი ორია: ფერმენტოპათია და ალერგია. ფერმენტოპათია, იგივე ენზიმოპათია, არის ორგანიზმში, კერძოდ კუჭ-ნაწლავში, რომელიმე ფერმენტის — ანუ ენზიმის დეფექტი — სისუსტე ან სრული არარსებობა. ეს დეფექტი შეიძლება იყოს თანდაყოლილი ან შეძენილია რაიმე დაავადების — გასტრიტის (კუჭის ლორწოვანის ანთება) ან ენტეროკოლიტის (ნაწლავების ლორწოვანის ანთება) შედეგად. ფერმენტული დეფექტის გამო, არ ხდება გარკვეული ნივთიერების, მაგალითად, რომელიმე შაქრის, ცილოვანი ნივთიერების მონელება, ეს ნივთიერება იხრწნება, აღიზიანებს კუჭ-ნაწლავს და აღმოცენდება ავადმყოფური მოვლენები შეწოვის დაქვეითებითა და ფაღარათიანობით.

ფერმენტოპათიის მაგალითია ფერმენტ ლაქტაზას უკმარისობა. ადამიანი ფერმენტული დეფექტის გამო ვერ გადაამუშავებს რძის შაქარს — ლაქტოზას, ამიტომ მის ნაწლავებში რძის შაქრის ბაქტერიული დუღილი იწყება, ეს კი მუცელს ბერავს და ფაღარათს (კუჭის აშლას) იწვევს. რძის მჟავე პროდუქტებში ლაქტოზა დაშლილია. ამიტომაა, რომ ადამიანი უმტკივნეულოდ იტანს მაწონს, კეფირს, არაჟანს. ეს დეფექტი ჩვეულებრივ, თავს იჩენს მოზრდილებში და ასაკთან ერთად ღრმავდება.

ფრუქტაზის უკმარისობის დროს ადამიანის ნაწლავებში დარღვეულია ხილისა და შაქრის — ფრუქტოზის მონელება. ასეთი ადამიანი ვერ იტანს ხილს და ბავშვობიდანვე ერიდება მას.

ანალოგიური მექანიზმებით ე.ი. სხვადასხვა ფერმენტის სისუსტით ან ნაკლებობით შეიძლება ზოგიერთი პროდუქტის (ტკბილეულის, ნამცხვრის, მსუქანი ხორცის და სხვა) აუტანლობის ახსნა, სხვა მხრივ, სრულიად ჯანმრთელ ადამიანებსა და ავადმყოფებში.

საკვებ პროდუქტთა აუტანლობის მეორე სახეობაა ალერგია. ამ შემთხვევაში, ორგანიზმის უარყოფითი განწყობა ამა თუ იმ პროდუქტის მიმართ გამომუშავდება თანდათანობით, გარკვეული კერძის მრავალგზის მიღების შემდეგ. წინათ უვნებელი პროდუქტი, შემდგომში იწვევს მთელ რიგ ავადმყოფურ მოვლენებს: მუცლის შებერვას, გულის რევას, პირღებინებას, ფაღარათს. ზოგს უჩნდება გამონაყარი კანსა და ლორწოვან გარსზე, უსივდება ტუჩები, ცხვირი, პირისახე, თითები. არის შემთხვევები, რომ საკვები ბრონქული ასთმის შეტევას იწვევს. ალერგიის გამომწვევი პროდუქტების სია ძალზედ გრძელია: მარწყვი, ხენდრო, კვერცხი, შოკოლადი, ყავა, ხორცი (უმეტესად ღორის), თევზი, ნიგოზი, წიწაკა და პილპილი, სასმელები (განსაკუთრებით წითელი ღვინო) და სხვა. ერთსა და იმავე ადამიანს შეიძლება გამოუმუშავდეს ალერგიული განწყობა რამდენიმე პროდუქტის მიმართ.

■


„უცხოპლანეტელი“

აქამდე სპილბერგი ან კომერციულ ბოევიკებს იღებდა, ან სერიოზულ ფილმებს, რომელიც უხვად აგროვებდა პრემიებს. შემოქმედის ახალი სურათი – „ხელოვნური გონი“ ორივე სახეობას აერთიანებს. სახელგანთქმული რეჟისორი მესამე ათასწლეულში შედის ფილმით, რომელშიც სერიოზული შემოქმედებისა და გასართობი კინოს შერწყმა უნდა მოხდეს.

„შინდლერის სიის“ გადაღებებზე

სტივენ სპილბერგი – კოვრისშემძრე ჰიდროპერი

„ხელოვნური გონი“ მრავალი წლის წინ სპილბერგის მეგობარმა – სტენლი კუბრიკმა ჩაიფიქრა, მაგრამ 70-იან წლებში ამ პროექტის განხორციელებას ხარისხიანი სპეცეფექტების შექმნის შეუძლებლობამ შეუშალა ხელი, შემდგომ კი კუბრიკი სხვა სურათებით იყო დაკავებული. მისი სიკვდილის შემდეგ სპილბერგმა გამოაცხადა, რომ თავისი მეგობრისა და მასწავლებლის ჩანაფიქრის ხორცშესხმა გადაწყვიტა.

ეს ფრიად უცნაური არჩევანი იყო ადამიანისთვის, რომელიც 1999 წელს XX საუკუნის საუკეთესო რეჟისორად დაასახელეს. მაგრამ სპილბერგს ისეთი ფუფუნების საშუალება აქვს, რომ ვინმესთვის რამის მტკიცებით არ შეიწუხოს თავი. მას – ორი „ოსკარისა“ და ყველანაირი პრემიის მფლობელ კინემატოგრაფისტს, ცოცხალ კლასიკოსად მიიჩნევენ. მისი ხუთი ნაწარმოები „XX საუკუნის 100 საუკეთესო ამერიკული ფილმის“ სიაშია შეტანილი, რომელიც ამერიკულმა კინოინსტიტუტმა შეადგინა. ამ ყველაფრის შემდეგ, ერთადერთი ადამიანი, რომელსაც სპილბერგმა შეიძლება რაიმე რჩევა ჰკითხოს, ეს... თავად სტივენ სპილბერგია.

ჯერ კიდევ „ხელოვნური გონის“ პრემიერამდე ამ სურათზე უკვე ლეგენდებს თხზავენ. ამის მიზეზი, როგორც პროექტის უჩვეულო ხასიათი, ასევე მისი გასაიდუმლოება იყო. დანამდვილებით მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ ამ სურათში სპილბერგი ყოფიერების ყველაზე ამაღელვებელ ასპექტებს იკვლევს, სახელდობრ: რას წარმოადგენს ადამიანი? რა არის გონი? არსებობს თუ არა ბედისწერა?..

მცირეწლოვანი დამდგმელი რეჟისორი

როგორ ყალიბდებოდა შემოქმედი

სპილბერგის ცხოვრება და კარიერა იმის ნათელ დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ბედისწერა მაინც არსებობს. თავდაპირველად, ნორჩი სტივენის ცხოვრება იმგვარად მიედინებოდა, რომ ის რეჟისორი ვერაფრით ვერ უნდა გამხდარიყო.

სტივენ სპილბერგი 1947 წლის 18 დეკემბერს, ქალაქ ცინცინატიში დაიბადა. მამამისი ახალი დემობილიზებული იყო ჯარიდან და ელექტრიკოსად მუშაობდა. დედა – პროფესიონალი პიანისტი, კარიერაზე ფიქრს მალე დაემშვიდობა, რადგან ჯერ ვაჟიშვილი სტივენი, შემდეგ კი, ქალიშვილები – ენი, სიუ და ნენსი შეეძინა.

სამსახურის გამოცვლის გამო მამა ცოტა ხანში, არიზონის შტატის პროვინციულ ქალაქ ფენიქსში გადავიდა, სადაც კინოწარმოების ხსენებაც კი არ იყო.

სტივენი კლასში ერთადერთი ებრაელი იყო და მისი სკოლაში სწავლის პერიოდი მთლად უღრუბლო არ ყოფილა: თანაკლასელებს ის უცხოტომელად მიაჩნდათ და თითქმის არ ეთამაშებოდ-



ნენ. სტივენი გამუდმებით შინ იჯდა და ტელევიზორს უყურებდა.

სპილბერგების მთელი ოჯახი ფენიქსში დაუფარავ ანტისემიტიზმს შეეჯახა. ყოველ საღამოს, მეზობელი ბიჭები მათ ფანჯრებთან იკრიბებოდნენ და გაჰყვიროდნენ: „სპილბერგებო – ბინძურო ურიებო!“ ერთხელ სტივენმა მოთმინება დაკარგა: ღამით სახლიდან გაიპარა და მეზობლებს ფანჯრის მინები არაქისის ზეთით შეუღება. შემდეგ დიდხანს ელოდა შურისძიებას, რომელიც მის ქმედებას რატომღაც არ მოჰყვა.

როცა 12 წლის გახდა, სტივენი ბოისკაუტების გუნდში მიიღეს. ეს იმდენად ეამაყებოდა, რომ გადაწყვიტა, რაიმე გაეკეთებინა სკოლისთვის. სწორედ იმ დროს, მამამ 8 მილიმეტრიანი კინოკამერა უყიდა და ბიჭმა სასკოლო მეჯლისი გადაიღო. მეორე დღეს, ეს ფირი სკოლაში უჩვენა და მყისვე, პოპულარულ ბიჭად იქცა, რომელსაც ყველა გოგონა უღიმოდა.

იმ დღიდან სტივენი ერთი წუთითაც არ იშორებდა კინოკამერას. თავდაპირველად, საშინელებათა ფილმებს იღებდა, სადაც სისხლის მაგივრობას ალუბლის წვენი უწევდა. ამ გადაღებების შემდეგ დედამისს დიდხანს უწევდა სამზარეულოსა და აბაზანის ხეხვა.

ცოტა ხანში ბიჭმა სათავგადასავლო ფილმის გადაღება ჩაიფიქრა და მშობლები იმაზეც კი დაიყოლია, რომ კინოექსპედიცია მოეწყოთ: მთელი ოჯახი, მამის ძველი ჯიპით, უდაბნოში გაემგზავრა, მაგრამ პიკნიკის ნაცვლად, მშობლებს და დებს მუშაობამ მოუწიათ – „რეჟისორის“ დავალებით, სასაცილო კოსტიუმების მორგება და კაქტუსებში მალვა უხდებოდათ... ასე შეიქმნა სპილბერგის პირველი 40 წუთიანი ფილმი „გაქცევა არსაით“. დამდგმელი რეჟისორი 13 წლის იყო.

ნამდვილი ჯინო

1963 წლის 24 მარტი. ქალაქ ფენიქსის კინოთეატრში უჩვეულო პრემიერაა. მაყურებლები „ციური მნათობების“ სანახავად მივიდნენ, რომელიც 16 წლის სტივენ სპილბერგის ხელმძღვანელობით, ადგილობრივმა მოსწავლეებმა გადაიღეს. ეს ნამდვილი ფილმი იყო – სპეცეფექტებითა და სხვა ატრიბუტებით აღჭურვილი კინოსურათი, რომელიც თითქმის 2 საათი გრძელდებოდა და იმის შესახებ მოუთხრობდა, თუ როგორ იტაცებენ და შემდეგ თავიანთი კოსმოსური ზოოპარკისთვის იყენებენ ადამიანებს უცხოპლანეტელები.

სტივენს ბავშვობიდან უყვარდა ამოსთან დაკავშირებული საინტერესო ამბები. 10 წლის რომ იყო, მამასთან ერთად ნახა, როგორ მოფრინავდა მეტეორიტი. უცნაური დამთხვევა მოხდა: მეორე დღეს გაზეთებში მფრინავი თეფშების შესახებ წერდნენ. ნორჩმა სტივენმა იფიქრა – „ციური ცეცხლი“, რომელიც მან ნახა, ამო იყო. ამ აზრმა დიდხანს აწვალა ბიჭი და საბოლოოდ, 67 გვერდიან სცენარში პოვა გამოხატულება. ფილმის დაფინანსებას სტივენს მშობლები დაჰპირდნენ. მათ შეუძინეს კინოფირი, კოსტიუმები, გრიმი და საერთო ჯამში, 600-მდე დოლარი დახარჯეს. დედა მსახიობებს უფასოდ აჭმევდა, მამა კი ბიჭს, მინიატურული გადაღებისთვის საჭირო მაკეტების კეთებაში ეხმარებოდა.

მსახიობებად სტივენმა სასკოლო-სამოყვარულო თეატრის დასის წევრები მიიწვია. გადაღებები ნახევარი წლის მანძილზე, უქმეებში მიმდინარეობდა. ყველა მოსწავლე დიდი მონდომებით ეხმარებოდა სტივენს, რომელიც აცვიფრებდა მათ თავისი უშრეტი გამომგონებლობით. მაგალითად, ღამის წიაღში დიდი სისწრაფით მოძრავი მანქანა – ეს მამის ძველი ჯიპია, რომელსაც სტივენის დები ამოძრავებენ: ერთი არწევს, მეორე ფარნებდამაგრებულ თოკს ექაჩება (მოციმციმე შუქები), მესამე კი, კამერის წინ ხის ტოტებს აქანავებს.

სტივენმა ისიც მოახერხა, რომ ადგილობრივი საავადმყოფოსა და აეროპორტის ხელმძღვანელობისგან ნებართვა მიიღო და ამგვარად, „ნატურაზე“ გადაღების საშუალება მიეცა. უფრო მეტიც – მისი ენთუზიაზმით მოხიბლულმა ერთმა მფრინავმა, სპეციალურად ფილმისთვის, რამდენიმე ვირაჟიც შეასრულა.

როცა გადაღებები დასრულდა, სტივენმა სასკოლო ორკესტრის ხელმძღვანელი, ფილმისთვის საუნდტრეკის ჩაწერაზე დაიყოლია. ერთ-ერთი „მსახიობი“ გოგონას დედა, რომელიც ადგილობრივ კინოთეატრში მოლარედ მუშაობდა, მის დირექციას ერთი სეანსის მოწყობის თაობაზე მოელაპარაკა. ადგილობრივი კინოდადგმის გარშემო ისეთი სარეკლამო კამპანია გაიშალა, რომ ამ სეანსზე ყველა ბილეთი გაიყიდა. ამონაგებმა თანხამ მთლიანად დაფარა „ციურ მნათობთა“ „პროდიუსერების“ – ცოლ-ქმარ სპილბერგის მიერ გაწეული ხარჯები.

დიდებისკენ მიმავალი ეულიანი გზა

„მორჩა, შვილო! ახლა, როცა კარგად შეიქციე თავი, – კმარა! – უთხრა მამამ პრემიერის მეორე დღეს, – შესანიშნავი ჰობი გაქვს, მაგრამ დროა, სერიოზულ საქმეს მოჰკიდო ხელი: უკვე 16 წლის ხარ“.

ერთი შეხედვით, ცხოვრება ყველაფრით ადასტურებდა მამის სიტყვების სისწორეს. მალე სპილბერგთა ოჯახი ფენიქსიდან კალიფორნიაში გადავიდა, სადაც სტივენმა ორჯერ სცადა უნივერსიტეტის კინოსკოლაში შესვლა, მაგრამ ორჯერვე მარცხი განიცადა. სპილბერგს ისიც კი უთხრეს – ამ საქმეში აბსოლუტურად უნიჭო ხარ და სჯობს, რეჟი-

„ყბები“

პირველ ცოლთან – ემი ირვინგთან და შვილ მაქსთან ერთად

სურაზე არც იფიქროო. გულდაწყვეტილი სტივენი ტექნიკურ კოლეჯში შევიდა, მაგრამ არდადეგების დროს კიდევ ერთი სამოყვარულო ფილმი –„ემბლინი“ გადაიღო და ისიც მოახერხა, რომ კინოკომპანია „იუნივერსალშიც“ ეჩვენებინა. ფილმი ტელეჩვენებისთვის შეიძინეს, მისი 22 წლის ავტორი კი ტელეგადაცემათა რეჟისორად აიყვანეს.

„იუნივერსალის“ თანამშრომლები დღემდე იხსენებენ იმ დღეს, როცა სტუდიაში „ემბლინი“ უჩვენეს. სადემონსტრაციო დარბაზში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი – სპილბერგზე ჯერ კიდევ მაშინ დადიოდა ხმები. სულ რამდენიმე სცენა იყო ჩავლილი, როცა ვიღაცამ ხმამაღლა ამოიგმინა: „ღმერთო ჩემო! მე უკვე შემძულდა ეს ვაჟბატონი...“

პროდიუსერი ჯონ ბედჰემი იხსენებს: „იმდენად მაგარი, ახალი და ნიჭიერად გაკეთებული კინო იყო, რომ არ შეიძლებოდა, შურის გრძნობა არ აღგძვროდა... დღემდე მახსოვს, რომ „სტივი სპილბერგად“ წარმოგვიდგინეს. მას რამდენიმე ზომით დიდი, შავი როლინგი ეცვა, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა: ყმაწვილი ღვთით ბოძებული კინემატოგრაფიული ნიჭით იყო დაჯილდოებული“.

სპილბერგსა და ბედჰემს სერიალ „ღამის გალერეის“ ე.წ. საპილოტე გამოშვება მიანდვეს: რეჟისორი სპილბერგი 22 წლის იყო, პროდიუსერი ბედჰემი – 29-ის. როგორც ბედჰემი ამბობს, სპილბერგს ძალიან ეშინოდა სკანდალურად ცნობილი კინოვარსკვლავის ჯოან კროუფორდისა, ამიტომ მათ ასე გაინაწილეს ფუნქციები: ქალებთან ურთიერთობაში მეტად გაწაფული პროდიუსერი მხოლოდ კროუფორდით იყო დაკავებული, სპილბერგი კი – სხვა დანარჩენებით.

გადასაღებ მოედანზე კროუფორდის გამოჩენის დღეს სპილბერგმა მას ვარდი მიართვა, რომელიც... „პეფსის“ ბოთლში იყო ჩადებული. პრიმადონამ განმგმირავი მზერა ესროლა, რაც მოსალოდნელ სკანდალს მოასწავებდა, მაგრამ სპილბერგი იმდენად აწურული იყო, რომ ქალბატონი მოლბა და არანაირი ინციდენტი გადაღების ბოლომდე არ მომხდარა. სპილბერგი და კროუფორდი მეგობრებად დაშორდნენ.

„ღამის გალერეის“ წარმატებამ სპილბერგს გზა გაუხსნა ახალი იდეების განხორციელებისკენ. 1971 წელს მან გადაიღო ტელეფილმი „დუელი“, რომელიც საფრანგეთის ქალაქ ავორიაზში ჩატარებული კინოფესტივალის მთავარი პრიზით დაჯილდოვდა. ევროპაში მიღწეულმა წარმატებამ სტივენს ჰოლივუდის კარი გაუღო: 1974 წელს მან თავისი პირველი კინოფილმი – „ექსპრესი შუგარლენდში“ გადაიღო, ცოტა ხანში კი ახალგაზრდა რეჟისორს „ყბების“ დადგმა შესთავაზეს, რომელიც პატარა ქალაქის დამტერორებელ ზვიგენზე მოუთხრობდა.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა სტუდიამ ამგვარი სურათის, არა პავილიონში, არამედ რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში გადაღება გარისკა. გადამღები ჯგუფი კუნძულ მარტას ვინიარდზე გაემგზავრა, სადაც რამდენიმე თვის მანძილზე ებრძოდა შტორმს, წვიმასა და ზვიგენის გაუმართავ ანიმატრონულ მულაჟს, რომელიც წამდაუწუმ ფსკერისკენ მიემართებოდა...

„სტივენისთვის ეს სურათი საკუთარ ჯვაროსნულ ლაშქრობად იქცა, – იხსენებდა მოგვიანებით მსახიობი რიჩარდ დრეიფუსი. – თითოეული ჩვენგანი განმსჭვალული ვიყავით ჩვენ-ჩვენი გმირების სულისკვეთებით, რაც ულმობელ ბუნებასთან ბრძოლის ჟინში გამოიხატებოდა, მაგრამ სტივენს ყველაზე დიდი ტვირთი აწვა მხრებზე“.

ქეით ქეფშოუსთან ერთად

დაძლეული სიძნელეები მთლიანად გაამართლა მიღწეულმა წარმატებამ: „ყბების“ ბიუჯეტმა 8,5 მლნ დოლარი შეადგინა, ფილმის გაქირავებამ კი მის შემქმნელებს 260 მლნ მოუტანა. იმ დღიდან სტივენ სპილბერგი ჰოლივუდის მეფედ იქცა.

რეჟისორი, ბიზნესმენი, ჯერძო პირი

ამჟამად სპილბერგი ამერიკის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია. 1984 წელს საკუთარი ფირმა „ემბლინი“ შექმნა და მას შემდეგ არა მარტო იღებს, არამედ სხვა რეჟისორების ფილმების პროდიუსერადაც გვევლინება. უფრო მეტიც: „ემბლინში“ არის „თანმხლები“ ნივთების საწარმოო ქვედანაყოფიც, რომელსაც კოლოსალური შემოსავალი მოაქვს. სპილბერგი პირველი იყო, ვინც მიხვდა, თუ რამდენად მომგებიანია კინოაქსესუარები: მან წამოიწყო „უცხოპლანეტელის“ თოჯინების, ინდიანა ჯონსის შლაპებისა და ქურთუკების, „იურიული პერიოდის პარკის“ სათამაშოების წარმოება და ამ პროდუქციით ასობით მლნ დოლარის შემოსავალი მიიღო.

90-იან წლებში, ჯეფრი კატცენბერგთან და დევიდ ჰესენთან ერთად, სპილბერგმა

„ინდიანა ჯონსი და უკანასკნელი ჯვაროსნული ლაშქრობა“

ახალი სტუდია – DREAMWORKS SKG დააფუძნა, რომელშიც, სხვათა შორის, ბოლო ორი „ოსკაროსანი“ ფილმი – „მშვენიერება ამერიკულად“ და „გლადიატორი“ დაიდგა. სპილბერგის დღევანდელი ქონება, ყველაზე მოკრძალებული ანგარიშით, 2 მლრდ დოლარს შეადგენს.

80-იან წლებში სტივენმა, ბოლოს და ბოლოს, პირადი ცხოვრებისთვისაც მოიცალა. 1985 წელს მას შეუყვარდა მსახიობი ემი ირვინგი. ისინი დაქორწინდნენ და ვაჟიშვილი მაქსი შეეძინათ, მაგრამ მათ შორის სიამტკბილობა დიდხანს არ გაგრძელებულა: მოუცლელობის გამო, მეუღლეები ხშირად ვერ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ცოტა ხანში სპილბერგით მსახიობი ქეით ქეფშოუ მოიხიბლა. საინტერესოა, რომ თავდაპირველად მას გრძნობა დაუსწრებლად გაუჩნდა – ქეითმა სტივენი ფოტოსურათებითა და მასზე გამოქვეყნებული სტატიებით შეიყვარა. როცა ქალმა „ინდიანა ჯონსში“ როლის მიღებას მიაღწია, მან ყველაფერი იღონა, რათა რეჟისორის გული მოენადირებინა.

1989 წელს სპილბერგი ირვინგს გაეყარა, ორი წლის შემდეგ კი ქეითმა ოცნება აისრულა – სტივენ სპილბერგის ცოლი გახდა. მეუღლის კარიერისთვის მან პრაქტიკულად, უარი თქვა საკუთარ პროფესიულ ცხოვრებაზე: ქეფშოუ ძალიან იშვიათად მონაწილეობს გადაღებაში. სამაგიეროდ, ცოლ-ქმარმა 3 შვილი გააჩინა და 2 ბავშვიც იშვილა. საინტერესოა, რომ ორივე ნაშვილები – შავკანიანია. ოჯახში ხშირად სტუმრობს ხოლმე მაქსი, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ცხოვრობს ხოლმე მამასთან და დედინაცვალთან.

და მაინც, სრულ იდილიას სპილბერგის ცხოვრებას ვერ უწოდებ. მაგალითად, 1997 წელს პოლიციამ მის სახლთან ახლოს დააკავა მანიაკი ჯონათან ნორმანი, რომელსაც თან ხელბორკილები, თოკები და სხვა საწამებელი ნივთები აღმოაჩნდა. მისი დაკითხვისას გაირკვა: სპილბერგის თაყვანისმცემელ ნორმანს ძალიან მოუნდა, რომ „ისინი ერთიმეორეს ეკუთვნოდნენ“. უფრო მარტივად და პირდაპირ რომ ვთქვათ, მას სპილბერგის გაუპატიურება და მოკვლა სურდა, შემდეგ კი, თვითმკვლელობა ჰქონდა განზრახული...

როგორც ჩანს, ამ ინციდენტმა ძლიერ დააფრთხო სპილბერგი. იმ დღის შემდეგ ის გამუდმებით პირადი მცველების გარემოცვით დადის.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ყველა მისი განცდა, ჩვეულებისამებრ, ფირზე აღიბეჭდა: ამჟამად ის ფუტურისტულ ფილმს – „ანგარიში უმცირესობების შესახებ“ იღებს, სადაც მოთხრობილი იქნება მომავლის პოლიციაზე, რომელიც დანაშაულს მის ჩადენამდე აღკვეთს...

■

ფილმოგრაფია

1971 – „დუელი“ (სატელევიზიო)
1974 – „ექსპრესი შუგარლენდში“
1975 – „ყბები“
1977 – „მესამე ხარისხის ახლო კონტაქტები“
1979 – „1941“
1981 – „დაკარგული კიდობნის ძიებაში“
1982 – „უცხოპლანეტელი“
1984 – „ინდიანა ჯონსი და ბედისწერის ტაძარი“
1985 – „მეწამული ფერი“
1987 – „მზის იმპერია“
1989 – „ყოველთვის“, „ინდიანა ჯონსი და უკანასკნელი ჯვაროსნული ლაშქრობა“
1991 – „კაპიტანი ჰუკი“
1993 – „შინდლერის სია“, „იურიული პერიოდის პარკი“
1996 – „სტივენ სპილბერგის სარეჟისორო სავარძელი“ (ვიდეოთამაში)
1997 – „ამისტად“, „დაკარგული სამყარო: იურიული პერიოდის პარკი“
1998 – „რიგითი რაიანის გადასარჩენად“
2001 – „ხელოვნური გონი“, „ანგარიში უმცირესობების შესახებ“ (გადაღების პერიოდი)
2002 – „გეიშის მემუარები“ (პროექტი)



შეხვედრა უმაღლეს დონეზე
ადამიანის მსგავსი ფესვის მქონე მცენარე
ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი დიპლომატი
ადმინისტრ. ტერიტორიული დანაყოფი
კლუბ „ჯულსის“ თაყვანისმცემელთა თავკაცი
ინსაბლი ამრან ვრალიძის ხელმძღვ.
ლედი ...
სუბსიდიის პოპულარული სახე
ქონებრივი დანაკარგი
იუპიტერის თანამგზავრი
რადიოს ან ტელევიზიის მუშაკი
მთავარ დედამიწათვის
კომბ. პოკერში ქართველი მოჭიდავე ოლიმპ. ჩემპ.
ძვ. ბერძენი პოეტი დრამატურგი
ჰაერზე მძიმე საფრენი აპარატი
რწმენა სურვილის განხორციელებისა
თვითმფრინავების ფარეხი
ლვინის შესანახი ჭურჭ
ცხოველის თათი
„დარისპანის გასაჭირი“ (პერსონაჟი)
მაღაზიის დიდი ფანჯარა
მეფე, იმპერატორი, სულთანი
ცხოველის ზურგის უკანა ნაწილი
წილი საერთო საქმეში
ფერების განურჩევლობა
ბილიარდის ჯოხი
უდანაშ-ის დასაბუთება
ცილობა, აყალმაყალი
მმართველობის ფორმა
ნაწარმოების მთავარი აზრი
კბილის მთავარი შემადგენელი ნაწილი
ამერიკელი კალათბურთელი შაკილ ...
ბალეტი „ჟედების ტბა“ (პერსონაჟი)
წყლის ჩასაკეტი საშუალება არხში
გერმანელი ფილოსოფოსი
კალვინიზმის დამაარსებელი
ჩლიქზე დასაკრავი რკინა
„კრაზანა“ (მწერალი)
ჭადრაკში: სვლათა შესაძლო კომბინაცია
შეადგინა რამაზ ალანიამ

27-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-გ; 4-ა.

კვირის (3 – 9 დეკემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

თქვენი ქცევა ძალზედ გადამდები იქნება: გაიცინებთ და – ყველა ხარხარს დაიწყებს, საქმეს წამოიწყებთ და იმავე საქმიანობას სხვებიც აიტაცებენ. ამის გათვალისწინებით, ამ კვირაში მხოლოდ დადებითი მუხტის ტარება გმართებთ, თორემ თავსაც უსიამოვნებას გადაჰყრით და სხვებსაც.

თხის რქა – 22/XII-20/I

ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას: ჩვეულებრივი გადაღლისა თუ სტრესული მდგომარეობის გარდა, შეიძლება, მაგრად გაცივდეთ კიდეც, ამიტომ ეცადეთ, სწორად – ე.ი. ზუსტად ამინდის მიხედვით შეარჩიოთ ტანსაცმელი. კვირის შუა პერიოდი პერსპექტიული მოლაპარაკებისთვის არის შესაფერისი, უქმეებში კი, მნიშვნელოვან სიახლეს შეიტყობთ.

მერწყული – 21/I-19/II

სამსახურშიც და ოჯახშიც, შესაძლოა, ყველა უკვე წინასაახალწლო სამზადისით იყოს დაკავებული, მაგრამ თქვენთვის ეს კვირა ძალზედ წყნარად ჩაივლის. გარშემომყოფთა ფუსფუსში თქვენ დინების საწინააღმდეგოდ მოძრავ ნავს დაემსგავსებით, სამაგიეროდ, შესაშური გონიერებით შეუცვლელი იქნებით სერიოზული საკითხების გადაწყვეტისას.

თევზები – 20/II-20/III

მთელი კვირა მეტისმეტად ემოციური, დროდადრო კი, აღგზნებულიც იქნებით. ზოგ საქმეში ეს ნამდვილად წაგადგებათ, მაგრამ საბოლოო ჯამში, ამჯერად, წაგებული დარჩებით: თავადაც გადაიღლებით და გარშემომყოფებთანაც გაიფუჭებთ ურთიერთობას. ასე რომ, შეეცადეთ, რაც შეიძლება მეტად თავშეკავებული იყოთ.

ვერძი – 21/III-20/IV



გირჩევთ, ოთხშაბათამდე ყველა გადაუდებელ საქმეს მიხედოთ, ამის შემდგომაც არ მოდუნდეთ და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საზრუნავს აუცილებლად მიხედვით: ერთი წამითაც არ უნდა შეასუსტოთ ყურადღება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც თქვენთვის მეტისმეტად პრინციპულია.

კურო – 21/IV-21/V

ამ კვირაში თანამოსაუბრესაც ადვილად მოხიბლავთ და საჯარო გამოსვლის დროსაც გამოიჩენთ თავს, რითაც მსმენელთა მოწონებას დაიმსახურებთ. მეტისმეტად ნუ გათამამდებით, რადგან ამ წარმატებების იქით, თქვენი საქმეები დიდად წინ ვერ წაიწევს: ნებისმიერი საორგანიზაციო თუ შემოქმედებითი საქმე თქვენთვის ახლა გადაულახავ დაბრკოლებად შეიძლება იქცეს.

მარგალიტი – 22/V-21/VI



ამ კვირაში ბევრ გაურკვევლობას წააწყდებით და თავადვე მოგიწევთ ყველა ამოცანის ამოხსნა. პარტნიორთა პოზიციებს თქვენ თვითონ უნდა ჩასწვდეთ და საკუთარი გეგმებიც დასახოთ. კვირის ბოლოსთვის ცოტას ამოისუნთქებთ, უქმეებში მეგობრებთან გატარებული დრო კი, სიამოვნებასაც მოგგვრით და ძალებსაც შეგმატებთ შემდგომი სამუშაო კვირისთვის.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

მეტისმეტად ხშირად ეცდებით სამსახურიდან თავის დაძვრენას, თუმცა, მაშინაც, როცა ადგილზე იქნებით, მაინცდამაინც დიდ ენთუზიაზმს ვერ გამოიჩენთ. ამ კვირას, ძირითადად, საოჯახო საქმეებით იქნებით დაკავებული, შესაძლოა, ეს მასშტაბური პრობლემების გადაწყვეტასთანაც (რემონტი, ახალ ბინაში გადასვლა) იყოს დაკავშირებული.

ლომი – 23/VII-23/VIII



ამ კვირაში უამრავი კარგი იდეა მოგივათ, რომელიც სამსახურის საქმეებსაც წასწევს წინ და წინასაახალწლო სამზადისსაც ნამდვილ სადღესასწაულო ელფერს შესძენს. ოღონდ, გაითვალისწინეთ, რომ რასაც მოიფიქრებთ, თავადვე უნდა განახორციელოთ. თუ მის რეალიზაციას სხვას მიანდობთ, უპირველესად, თქვენ თვითონ დაგრჩებათ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა.

ქალწული – 24/VIII-23/IX



ჰოროსკოპში ლოკოკინას ნიშანი რომ არსებობდეს, ამ კვირაში ზედგამოჭრილი იქნებოდა თქვენთვის: ახლა ის დროა, გამოიკეტოთ ოთხ კედელში ახლობელ ადამიანთან ერთად და წყნარ გარემოში, დარბაისლურად ატაროთ მდორედ წარმავალი დრო...

სასწორი – 24/IX-23/X

ყველგან, სადაც კი გაჩნდებით, უმალ სადღესასწაულო განწყობა დაისადგურებს, რადგან მომხიბლავობა, ენერგიულობა და მომეტებული შარმი, ნებისმიერი სახლის სასურველ სტუმრად გაქცევთ. ეცადეთ, რაც შეიძლება ნაყოფიერად გამოიყენოთ ეს მომენტი, განსაკუთრებით – საპირისპირო სქესის თქვენთვის საინტერესო წარმომადგენლებთან...

ღრიანკალი – 24/X-22/XI

შესაძლოა, მთელი თქვენი არსება იდუმალმა განცდებმა დაიპყროს. ამ მდგომარეობიდან გამოსვლას რაღაც სერიოზული მატერიალური საზრუნავი შეუწყობს ხელს, რომელიც კვირის შუა პერიოდიდან არის მოსალოდნელი. ნუ გადაჰყვებით გრძნობებს, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეთ ციფრებთან მიმართებაში და დაუფიქრებლად ნუ დახარჯავთ ფულს.

თქვენი დამოკიდებულება დღესასწაულებთან

ადამიანთა უმრავლესობისთვის დღესასწაული ყოველდღიური ერთფეროვანი ყოფისგან თავის დაღწევის საუკეთესო საშუალებაა. ზოგს ამ დროს საჩუქრების მირთმევა და მიღება ხიბლავს, ზოგს — ახალი ადამიანების გაცნობის შესაძლებლობა, ზოგს კი უბრალოდ კარგ გარემოში ახლობლებთან დროს ტარება.

ხანდახან, დღესასწაულზე მნიშვნელოვანი, მის შესახვედრად მოსამზადებელი ფაციფუცია. იმას, თუ რა გხიბლავთ დღესასწაულებში პირადად თქვენ და რა დამოკიდებულება გაქვთ მის მიმართ, ჩვენი ტესტის მეშვეობით შეიტყობთ:

1) თქვენი საყვარელი დღესასწაულია:

ა) დაბადების დღე — 3;

ბ) ახალი წელი — 2;

გ) გამორჩეული დღესასწაული არ გაქვთ — 0.

2) დღესასწაულის აღნიშვნის დროს თქვენთვის უმთავრესია:

ა) საჩუქრები, რომელიც ახლობლებსა და მეგობრებს უნდა მიართვათ — 3;

ბ) საჩუქრის მიღების შესაძლებლობა — 1;

გ) კარგ კომპანიაში დროის სასიამოვნოდ გატარება — 0.

3) დღესასწაულის აღნიშვნა გირჩევნიათ:

ა) შინ, როცა მხოლოდ მათ მიიწვევთ, ვინც თქვენ გსიამოვნებთ — 3;

ბ) სტუმრად, თუნდაც მასპინძლის გარდა მთელი კომპანია თქვენთვის უცნობი ხალხისგან შედგებოდეს — 2;

გ) შინ, სტუმრების გარეშე — 1.

4) ახლობლისთვის მისართმევ საჩუქარს, როგორც წესი, არჩევთ:

ა) დამოუკიდებლად, მარტო — 2;

ბ) რჩევას ახლობლებს ეკითხებით და საჩუქრის არჩევის დროს მათ რეკომენდაციებს ითვალისწინებთ — 3;

გ) ამ საქმეს სხვას გადააბარებთ ხოლმე — 1.

5) თუ სტუმრად მისული სუფრის წევრებს შორის თქვენთვის არასასურველ პიროვნებას შენიშნავთ, როგორი იქნება თქვენი რეაქცია?

ა) ეცდებით, მისი იქ ყოფნა არ შეიმჩნიოთ — 3;

ბ) შეძლებისდაგვარად მწარე სიტყვებით გაესაუბრებით და შეიძლება ტანსაცმელზე რაიმე კერძიც, ვითომ შემთხვევით, გადაასხათ — 1;

გ) დემონსტრაციულად დატოვებთ იმ სახლს — 0.

6) თუ ერთ დღეს ორ წვეულებაზე მიგიწვიეს:

ა) ეცდებით ორივე მათგანზე მოხვდეთ — 1;

ბ) ერთ-ერთს ამოარჩევთ, რომელიც თქვენი აზრით, უფრო მხიარული იქნება — 2;

გ) მას ეწვევით, ვინც პირველმა დაგპატიჟათ — 3.

7) თუ სტუმრად ყოფნისას მასპინძლების საყვარელი სერვიზის ერთ-ერთი თეფში შემთხვევით გაგიტყდათ:

ა) უამრავ ბოდიშს მოიხდით და სახლში წახვალთ, რადგან დანაშაულის გრძნობა მხიარულების გაგრძელების საშუალებას არ მოგცემთ — 1;

ბ) ბოდიშს მოიხდით და მასპინძლებს შეჰპირდებით, რომ იშოვით და მიუტანთ ისეთივე თეფშს — 3;

გ) ირგვლივ მიმოიხედავთ და თუ ეს ფაქტი ვერავინ შენიშნა, თეფშის ნატეხებს ჩუმად შეყრით მაგიდის ქვეშ — 0.

8) თუ სტუმრად მისულს სუფრა ეტიკეტის მკაცრი დაცვით დაგხვდათ გაწყობილი, ანუ თქვენ წინ რამდენიმე ჩანგალი, დანა და ჭიქა აწყვია, ამ დროს თქვენ:

ა) ყველანაირად შეეცდებით გონება დაძაბოთ, სუფრასთან ქცევის წესები გაიხსენოთ და მასპინძლების მიერ შემოთავაზებული წესები დაიცვათ — 1;

ბ) ინანებთ, რომ მათი მიწვევა მიიღეთ, დაელოდებით, რას გააკეთებს თქვენ წინ მჯდომი სტუმარი და ისევე მოიქცევით — 2;

გ) ისევე მოიქცევით, როგორც ნებისმიერ სხვა კომპანიაში ყოფნისას — 3.

9) რა არ მოგწონთ ყველაზე მეტად დღესასწაულებში?

ა) მისი მზადების პერიოდი, მაღაზიებში სირბილი და ფაციფუცი — ეს ყველაფერი ძალიან გღლით — 0;

ბ) დღესასწაულის შემდგომი პერიოდი, როცა საჭიროა ყველაფრის ალაგება და ბინის წესრიგში მოყვანა — 1;

გ) ის, რომ დღესასწაული სწრაფად მთავრდება — 3.

10) შეგიძლიათ თუ არა წვეულებებზე ნამდვილი მოლხენა?

ა) გულიანად მოილხენთ, თუ ვინმე წინასწარ ხასიათს არ გაგიფუჭებთ — 1;

ბ) დღესასწაულის სათანადოდ აღნიშვნაში ხელს ვერავინ და ვერაფერი შეგიშლით — 3;

გ) ცდილობთ, როგორც შეგიძლიათ, მაგრამ ხანდახან ვერ ახერხებთ — 2.

დაჯამეთ ქულები

5-10 ქულა: **თქვენნაირი ადამიანები, რომელთაც დღესასწაულების აღნიშვნა არ ეხერხებათ, ძალიან ცოტანი არიან. თქვენი წარმოდგენით დღესასწაული ჩვეულებრივი დღისგან მხოლოდ კერძების მრავალფეროვნებით განსხვავდება.**

სტუმრად წასვლა საერთოდ არ გიყვართ და როცა ამის გაკეთება აუცილებლობის გამო გიწევთ, სუფრასთან სახეზე მხოლოდ ერთი რამ გაწერიათ: „სჯობდა შინ დავრჩენილიყავი“.

სცადეთ და სტუმრები თქვენთან მიიწვიეთ. შეიძლება ამ მოვლენამ პირველ ხანებში არ გაგახალისოთ, მაგრამ დღესასწაულების მოწყობის პრაქტიკას თანდათანობით შეიძენთ, მხიარულ ატმოსფეროში ჩაებმებით და შესაბამისი დასკვნების გამოტანაც არ გაგიჭირდებათ.

ყველაფერი გამოგივათ და თქვენი ცხოვრებაც მკვეთრად შეიცვლება!

11-21 ქულა: **დღესასწაულებად მხოლოდ კალენდარში წითლად აღნიშნული დღეები მიგაჩნიათ. სტუმრების მიღება უფრო გიყვართ, ვიდრე სტუმრად წასვლა და თუკი მაინც მიდიხართ, მაშინ წინასწარვე გრძნობთ, როგორი კომპანია და დროს ტარება გელით. წვეულების მოსამზადებელი საქმეები არ გთრგუნავთ, რადგან თქვენთვის მთავარი, კარგად და ხალისიანად გატარებული დრო ანუ შედეგია.**

22-30 ქულა: **ყოველი დღესასწაულის წინ უამრავ მიწვევას ღებულობთ და მათ შორის არჩევანის გაკეთებაც ხშირად გიწევთ. ეს გასაკვირი არ არის, რადგან თქვენ შესანიშნავი უნარი გაქვთ, რომ კომპანიის მამოძრავებელ ძალად, მის სულად და გულად იქცეთ და ხალხს ნამდვილი მოლხენის გემო აჩვენოთ.**

დღესასწაულების მოწყობა თქვენი სტიქიაა და ამიტომაც, დაბადების დღეზე თქვენი სახლი სტუმრებს ვერ იტევს. წვეულების მოსაწყობად ნებისმიერ მიზეზს იყენებთ და კალენდარში წითლად აღნიშნულ დღეებს არ ელოდებით. ამ უნარს თქვენი ახლობლები და მეგობრები ძალიან აფასებენ, ამიტომ, ეცადეთ, ეს თვისება არ დაკარგოთ და უფრო განავითაროთ კიდეც.

ძაღლმა გოჭები იშვილა

ესპანეთის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე ქალაქ ფონფრია დე ალბაში ძაღლმა ლინდამ ლეკვები გააჩინა, მაგრამ პატარები ძალიან სუსტები იყვნენ და მალე დაიღუპნენ. თავად ლინდა კი, დეპრესიაში ჩავარდნის ნაცვლად, ოთხი გოჭის „დედა“ გახდა: მეზობლად მცხოვრებ ოჯახს, დედა ღორი მოჰკვდომოდა და ოთხი დაობლებული გოჭისთვის დედობილს ეძებდა. ლინდამ სიამოვნებით შეიკედლა შვილობილები და იდილიამაც დაისადგურა. საინტერესოა, შემდგომში როგორ განვითარდება მოვლენები, რადგან ლინდა უეჭველად ეცდება, გოჭები ლეკვების მსგავსად გაზარდოს... ■

დედოფალი ცნობათა ბიუჩო ხოდია

დიდი ბრიტანეთის დედოფლის რეზიდენციაში – ბუკინგემის სასახლეში საექსკურსიოდ, რეგულარულად დადიან ტურისტები. თუმცა მათ გიდი დაჰყვებათ, ზოგს საპროგრამო მარშრუტი არ აკმაყოფილებს და დარბაზებისა და ოთახების დათვალიერების გარდა, თვით ელისაბედ მეორესთან შეხვედრა სწადია. ამ რამდენიმე ხნის წინ ერთ-ერთმა ტურისტმა, ყველას გასაოცრად, სამეფო დაცვისთვის გვერდის ავლა მოახერხა და დედოფლის პირად აპარტამენტებში ამოყო თავი... შემდგომ, როცა პოლიციის განყოფილებაში დაჰკითხეს, ახალგაზრდა კაცმა თქვა: ჩემი ერთადერთი სურვილი ის იყო, რომ სამეფოს ყველაზე კომპეტენტურ პიროვნებას ჩემთვის საჭირო მიმართულება მიენიშნებინაო... ■

საძილე ტომარაში გველებთან ერთად

ტეხასის შტატის მცხოვრებმა ჯეკ ბიბიმ საკუთარი მსოფლიო რეკორდი მოხსნა: მან 109 შხამიან გველთან ერთად გაატარა ღამე საძილე ტომარაში. გინესის რეკორდების წიგნში დაფიქსირებული მისი წინა რეკორდი ის იყო, რომ რეკორდსმენი 75 გველთან ერთად იწვა აბაზანაში. 50 წლის ბიბი, რომელიც თავს გველკაცს უწოდებს, კიდევ რამდენიმე მსგავსი რეკორდის დამყარებას აპირებს – მაგალითად, სურს კობრას აკოცოს. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ გველებთან 32 წლიანი მუშაობის მანძილზე ჯეკმა გველის ნაკბენის სამკურნალოდ სულ 4-ჯერ მიმართა ექიმებს. ■

ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვა ბატონმა კობა ნარჩემაშვილმა.

ვულოცავთ ბატონ კობას და ვუსურვებთ წარმატებებს!

მაგრად არ დამარტყა, ბიჭო!

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (4 დეკემბრის) 13 საათამდე.

„ფანტაზია“
მაგრად არ დამარტყა, ბიჭო!

„ფანტაზიორობს
მკითხველი“
მომთვინიერებელი

ყოველ სამშაბათს და შაბათს!

ყველაზე გასართობი ჟურნალი